# კვირის პალიტრა

№ 33 (393) ◆ 19 – 25 აგვისტო. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



## — თორმეტი წელი ომში გავატარე და, თურმე ქალმა უნდა მასწავლოს, როგორ უნდა ვიომო...

**ინტერვიუ პარტიზანთან, ცნობილი მოვლენების უცნობ დეტალებზე...**

რუსეთსაც კი არ სჯეროდა, რომ ამხელა ჩეჩნური რაზმის გადაყვანა შეიძლებოდა ერთ ღამეში. ავდრიანი ღამე ამოვარჩიეთ. სულ სამმა კაცმა იცოდა სრული ინფორმაცია. არც კვიციანმა იცოდა. ერთი გელაევი იყო, მეორე მე და მესამე – ვინც ყველაზე ჩახედული გახლდათ. გვ.5,10

**დღეს საქართველოში ადამიანი აღარ არსებობს, ვისაც ვენდობით**

რა იარაღიც გამოგვიგზავნა შარშან შენგელიამ, არც ერთმა არ ივარგა.

სამუშია ვინ არის, რას წარმოადგენს... ვერავინ აიღებს ამდენს თავის თავზე, თუ მის უკან ვიღაც არ დგას. ჩემი გამოცდილებით, სამუშია უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელია. მე მაგათ პარტიზანებს ვერ ვუწოდებ.

## რკინიგზა სასამართლოს სერიოზულ ბრალდებებს უყენებს



— პრინციპის საქმეა, თორემ ამ სადავოდ გახდილ თანხას სულ ვაჩუქებთ ჩხაიძეს...

„ვერ ვიტყვი და ვერ დავამტკიცებ, აიღო თუ არა ქრთამი ჭანტურიამ. შეიძლება ეს საქმე ვიღაცის ხათრითაც გააკეთა, მაგრამ ვიღაცის ხათრით უკანონობის ჩადენა შეიძლება? თქვენ კარგად არ იცნობთ ლადო ჭანტურიას. ცნობილია, რომ მან მოსამართლის საგამოცდო ტესტები სეიფიდან მოიპარა და ერთი აწ გარდაცვლილი მაღალჩინოსნის სიძეს მისცა. ის კი თითო ტესტს ხუთი ათას დოლარად ყიდდა...“

როგორ ხვდება კონტრაბანდული ბენზინი აზერბაიჯანიდან საქართველოში. საქართველოსკენ მომავალი ნედლი ნავთობით დატვირთული ეშელონის ზოგიერთ ვაგონ-ცისტერნაში აზერბაიჯანული წარმოების უმაღლესი ხარისხის ბენზინი ასხია. საზღვარზე ეშელონს არავინ ამოწმებს. ბათუმამდე იგი ათეულობით ქალაქს გაივლის და საიდანაც შეკვეთა ექნება, კონტრაბანდული ბენზინით გალიცლიცებული ვაგონ-ცისტერნა იმ სადგურზე ჩაიხსნება. გვ.6

## მკითხველის პრემია

**თქვენ ირჩევთ, ჩვენ ვაჯილდოებთ** გვ.35



„იტერას“ შემოსვლა საქართველოში კარგად გათვლილი პროექტია და ადვილი შესაძლებელია, რომ შეთანხმებულია ვაშინგტონთან, რაც მიზნად ისახავს რუსეთის მასშტაბურ ჩართვას რეგიონის ენერგოპროექტებშიც. მაგრამ, დავუშვათ, თუ რუსეთი გაგიჟდა, თავზე ხელი აიღო და ხელისუფლებამ „იტერა“ გამოიყენა საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლებისთვის, როგორც დღემდე იყენებდა, ანუ დაიწყეს გაზის შეწყვეტა, ეს უმძიმეს დარტყმას მიაყენებს საკუთრივ რუსეთის ავტორიტეტს.

800 წლის შემდეგაც მივტირით „ნიკოფსიიდან – დარუბანდამდე“ გადაჭიმულ საქართველოს, რუსებს კი გუშინ-გუშინწინ დაემხოთ თავზე უზარმაზარი იმპერია და, რა გასაკვირია, რომ უჭირთ რეალობასთან შეგუება.

გვ.3 ***დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მთავარი კონსულტანტი, გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე***

## ლომების პირისპირ



— რევაზ ჩხეიძეს შეუძლია შემოვიდეს... გავშეშდი! ვგრძნობდი გარინდული დარბაზის ერთ დიდ თვალს...

ორივე გაშლილი ხელი მაღლა ავწიე და გავიცინე. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არ მეცინებოდა. მწვრთნელმა ლომებთან მარტო დარჩენა შემომთავაზა! ...ის რამდენიმე წუთი ლომების პირისპირ – გაქვავებული სხეულით და შიშდავიწყებული გულით – საუკუნედ იქცა! გვ.16

## ზოგი რვეულიც მავნებელია

**(მშობლების საყურადღებოდ)** გვ.4

პოლიგრაფიის ლაბირინთში გარკვეულმა თურქულ ნაწარმზე უარი ვთქვი და რა თქმა უნდა, ქართული რვეულები შევიძინე...

## ანიდან ჰოემდე – ყველაფერზე, რაც გაინტერესებთ

*** „სახე“ არ დაბრუნდება...

*** რას ნიშნავს ჩვენში ახალ-დამკვიდრებული ტერმინი „პიარი“?

*** ურეკის სამკურნალო ქვიშის აბაზანის მიღების წესი. გვ.29

— მაშინ ძალიან დიდ ომს გადავრჩით და, სხვათა შორის, ეს დავით თევზაძის უდიდესი დამსახურებაა. კახა თარგამაძე და ედუარდ შევარდნაძე კი ამ პროვოკაციაზე მიდიოდნენ... მთელი გეგმა იყო შემუშავებული, მაგრამ თევზაძემ არ ქნა. გვ.8

— მოპარულ ქონებას უკან მოვატანინებთ და ხალხს დავურიგებთ.

***ჯაბა იოსელიანი***

## ჩვენებური ზღვა და ჩვენებურები...

„გადაწყვეტილი მაქვს, აი, იმ პარაშუტით გავფრინდე...“

***სოფიკო ჭიაურელი***

„პოსეიდონმა დამიბარა და ამიტომ შემაგვიანდა“

***გელა ჩარკვიანი***

„სხვაგან წასვლის სურვილიც არა მაქვს“.

***გურამ საღარაძე***



ამბები ღია ცის ქვეშ დარჩენილი ინგა გრიგოლიასი, კალოშებიანი „წოპესი“, პოსეიდონთან სტუმრად მყოფი გელა ჩარკვიანისა და კიდევ ბევრი სხვა... გვ.11,22

იცით, როგორ გალანძღა გიამ შევარდნაძე დსთ-ში შესვლის გამო?! აქედან დაურეკა. მდივანმა არ დააკავშირა. გიამ მკაცრად უთხრა, ვიცი, მანდ არის, დამალაპარაკეთო. როცა შევარდნაძემ ყურმილი აიღო, გიამ ყვირილით მიახალა, – ეგ არის შენი პირობა, ჩვენ ხომ სხვანაირად მოვილაპარაკეთო... და გალანძღა.



გვ.13

**19 აგვისტოს 42 წელი შეუსრულდებოდა**

# ფერისცვალების მადლი გფარავდეთ!

## ინციდენტი ამოიწურა?

კოდორის ხეობაში, მარუხის უღელტეხილთან აფხაზ-სომეხ-რუს ბოევიკთა დესანტის გადასხმამ და მათთან ემზარ კვიციანის მეომრების შეტაკებამ გვარიანად შეაშფოთა საზოგადოება და კონფლიქტის შესაძლო განახლებაზე აალაპარაკა. ხეობაში სახელმწიფო მინისტრის ჩასვლამ და ჭუბურხინჯში ანრი ჯერგენიასთან გამართულმა მოლაპარაკებებმა ინციდენტი ამოწურა. ქართული მხარე ირწმუნება, რომ დესანტმა დატოვა ხეობაც და უღელტეხილიც. მაგრამ, უკანასკნელ საათამდე საწინააღმდეგოს ამტკიცებდა აფხაზური მხარე. სეპარატისტთა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, ვითარება კოდორის ხეობაში კვლავ დაძაბულია. მარუხის უღელტეხილიდან აფხაზთა დესანტის გაყვანაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მან მხოლოდ უკან დაიხიაო... ამ ერთდღიანი ინციდენტის განმუხტვას მიესალმა პრეზიდენტი შევარდნაძე და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ბოლო დროს ქართველები და აფხაზები ყოველგვარი შუამავლის გარეშე აგვარებენ პრობლემებს. საინტერესოა ისიც, რომ პრეზიდენტმა ბრძანა, შეიძლება მოლაპარაკებათა პროცესში მეც ჩავერთოო (თუ ეს მოხდა, ასლან აბაშიძის მისიის პერსპექტივა საბოლოოდ გაუტოლდება ნულს) და დასძინა, რომ ამ საქმეში არძინბას ავადმყოფობა უშლის ხელს...

## ქალბატონ ტალიავინის იმედი...

საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი ჰეიდი ტალიავინი შეხვდა ქართული მასმედიის წარმომადგენლებს და მოკლედ გააცნო თავისი სამომავლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. მისი თქმით, გაეროს გენერალური მდივანი და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში კვლავაც პოლიტიკურ მოლაპარაკებებსა და ძალისხმევას ანიჭებენ უპირატესობას; ამ პროცესში მთავარი სამოქმედო დოკუმენტი იქნება ე.წ. ბოდენის გეგმა თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ (კულუარული ცნობით, ამ დოკუმენტის პრეზენტაცია, სავარაუდოდ, სოხუმში მოხდება მაშინ, თუკი მეგობარი ქვეყნების ჯგუფი და უწინარესად, რუსეთი, „დაიყოლიებს“ სეპარატისტებს, მიუსხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას ამ დოკუმენტის განსახილველად... ხოლო ვისაც რაიმე კონკრეტული ინფორმაცია აქვს, არაფერს აკონკრეტებს). ქალბატონმა ტალიავინმა ისიც ბრძანა, რომ მას კარგად ესმის ვითარების სირთულე, თუმცა იმედი აქვს, რომ სამშვიდობო პროცესი (მათ შორის ჟენევის მანდატით) განახლდება და მხარეები საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით მივლენ კონსესუსამდე...

## დავა გრძელდება. მერე?

გრძელდება სკანდალი ელექტროკავშირის პრივატიზების თაობაზე, რომლის დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაცია ბოლო დრომდე მთავრობის მაღალჩინოსნებსაც კი არ ჰქონიათ! გავრცელებული ცნობით, უცხოურ ფირმებთან საქართველოს მიერ საიდუმლოდ დადებული ხელშეკრულება კაბალური და წამგებიანია ქვეყნისთვის. კერძოდ, მაღალია საპროცენტო განაკვეთი, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ელექტროკავშირი ან უცხოური კომპანიის საკუთრება გახდება, ან უცხოელი ინვესტორები მიიღებენ ელექტროკავშირის მართვის უფლებას. არადა ექსპერტები ირწმუნებიან, ელექტროკავშირი მომგებიანი სტრატეგიული ობიექტია და სწორი მენეჯმენტის პირობებში მას ქართველებიც კარგად მოუვლიდნენო. უცხოელი ინვესტორები კი კმაყოფილებით აცხადებენ, რომ ისინი განავითარებენ ელექტროკავშირს და შემდეგ... გაცილებით ძვირად გაყიდიან(!). ახლა ყველა ინტერესით ელოდება ინვესტორთა ბიზნესგეგმას, რომელსაც აგვისტოს ბოლოს წარმოადგენენ. მანამდე კი გასაიდუმლოებული ხელშეკრულების შემსწავლელი კომისია იმუშავებს და ალბათ შესაბამის დასკვნასაც დაწერს...

## ენერგეტიკოსებმა შიმშილობა დაიწყეს

ენერგეტიკის სამინისტროს შენობასთან შიმშილობა დაიწყეს ლაჯანურჰესისა და გუმათჰესის თანამშრომლებმა, რომლებმაც უკვე ორი წელიწადია, არ იციან, რა არის... ხელფასი(!). ენერგეტიკოსები 5 თვის შრომის საზღაურის მიღებას მოითხოვენ, სამინისტროს წარმომადგენლები კი ერთი თვის ხელფასს შეჰპირდნენ(!). მოშიმშილეებს ეს დაპირება არ აკმაყოფილებთ და იმუქრებიან, შიმშილობის აქციას მალე ენერგოგადაცემის თანამშრომლებიც შეუერთდებიანო...

## გარემოვაჭრეებმა გამგებელს კაბინეტის კარი აუჭედეს

ოზურგეთის პოლიციამ, გამგებლისა და საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გარემოვაჭრეებს დახლების გაშლის ნება არ მისცა. ამიტომ ბენზინით სავსე ქილებით, ხელკეტებითა და ქვებით შეიარაღებულმა მოსახლეობამ ალყაში მოაქცია გამგეობის შენობა, გამგებლის კაბინეტის კარი კი აჭედეს. გამგებელმა ლევან ურუშაძემ მათ აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე შესვლა შესთავაზა, რაზეც გარემოვაჭრეებმა უარი განაცხადეს — ეს ადგილი სავაჭროდ არახელსაყრელიაო. მოგვიანებით პოლიციამ გარემოვაჭრეთა დაუკითხავად, დახლების გადატანა დაიწყო ბაზრის ტერიტორიაზე, რამაც დაპირისპირება უკიდურესად გაამწვავა. დათმობას არც ერთი მხარე არ აპირებდა. გარემოვაჭრეები იმუქრებოდნენ, ვიდრე ძველ ადგილზე ვაჭრობის უფლებას არ მოგვცემთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლითო...

## გაღმა-გამოღმა

რუსეთის მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია რუსი მესაზღვრეების მიერ საქართველოს ექვსი მოქალაქის დაკავების შესახებ, რომლებიც საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას ცდილობდნენ. დაკავებულები ამჟამად სტავროპოლში ჰყავთ. ქართველი ძალოვნები აცხადებენ, რომ რუსეთის მხრიდან მათ ამ ფაქტის შესახებ ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არ მიუღიათ. მაგრამ კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა ამ ექვსი ქართველის სანაცვლოდ რუსებმა ამას წინათ სავიზო რეჟიმის დარღვევის ბრალდებით პანკისში დაკავებული სამი სტავროპოლელი მილიციელის გათავისუფლება მოითხოვონო. ეს მილიციელები, რომლებიც სამთვიან წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან, განაგრძობენ შიმშილობას მოთხოვნით — შეუცვალონ აღმკვეთი ღონისძიება და გაათავისუფლონ. ამასთან, დაკავებულები კვლავ „ირწმუნებიან“, რომ სრულიად უდანაშაულონი არიან.

## მამალს კუდი გამოუჩნდა!

მალე ალბათ ყაზბეგის საბაჟო პუნქტის ხელმძღვანელ-თანამშრომლებს „დაიფრენენ“ პოსტებიდან. ჟინვალთან სამართალდამცავებმა დააკავეს განსაკუთრებით დიდი ოდენობის უაქციზო სიგარეტი, რომელიც რუსეთიდან ყაზბეგის საბაჟოს გავლით შემოვიდა საქართველოში. მებაჟეებმა საბუთებში ჩაწერეს, სატვირთო ავტომანქანა ცარიელიაო. სინამდვილეში კი კონტეინერი გატენილი იყო უაქციზო სიგარეტით..

## ბიულეტენების გადათვლა გრძელდება

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გრძელდება 2 ივნისის არჩევნების ბიულეტენების გადათვლა, რომელიც ორ თვეში უნდა დასრულდეს იმ შემთხვევაში, თუკი ჯგუფის წევრები დღეში 10 ტომარა ბიულეტენის გადათვლას შეძლებენ. ცესკოს ხელმძღვანელთა ვარაუდით, იმ შედეგების გათვალისწინებით, რაც კომისიას ბიულეტენების გადათვლის დაწყებიდან დაუგროვდა, თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგები თითქმის არ შეიცვლება.

## ექსპრეზიდენტებს — პრივილეგიები!

ამას წინათ მთავრობის სხდომაზე უნდა განეხილათ ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მომზადებული კანონპროექტი „საქართველოს ექსპრეზიდენტისა და მისი ოჯახის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“, მაგრამ განხილვა გაურკვეველი დროით გადაიდო. კანონპროექტის თანახმად, მომავალში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტებისა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოებისთვის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 140 ათასამდე ლარი უნდა გამოიყოს, ექსპრეზიდენტებს უნდა ჰყავდეს ათკაციანი პირადი დაცვა; დაუშვებელი უნდა იყოს ყოფილ პრეზიდენტთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და დაპატიმრება. უკიდურეს შემთხვევაში, ეს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს; ყოფილი პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის ყველა არასრულწლოვანმა, შრომისუუნარო წევრმა უნდა მიიღოს პრეზიდენტის ხელფასის ოდენობის პენსია; ეს პრივილეგიები არ უნდა გავრცელდეს იმ პრეზიდენტებზე, რომლებსაც იმპიჩმენტით გადააყენებენ პოსტიდან!

## შევარდნაძე ვალის გადახდას გვპირდება

„ეი-ი-ეს თელასისა“ და სემეკის მიერ ელექტროენერგიის საფასურის 1,3 თეთრით გაზრდამ ფეხზე დააყენა პროფკავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, რომლებმაც საპროტესტო აქციები წამოიწყეს და პირველი შტურმი სამინისტროზე მიიტანეს მოთხოვნით — სამინისტროს არ გაეტარებინა რეგისტრაციაში სემეკის რეზოლუცია ტარიფის გაზრდის თაობაზე და მინისტრს არ მოეწერა ხელი. სამინისტრომ დოკუმენტში სამართლებრივი შეცდომები აღმოაჩინა და კომისია გამოყო მის შესასწავლად, ანუ რეგისტრაციაში არ გაატარა! მაგრამ პრეზიდენტმა შევარდნაძემ მათ „სიურპრიზი“ მაინც მოუმზადა — პარასკევს გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ მოსახლეობა, ფაქტობრივად, კვლავ ძველი ტარიფით გადაიხდის ელექტროენერგიის საფასურს, მომატებულ თანხას სახელმწიფო ენერგეტიკის სისტემაში მიმდინარე რეფორმის შედეგად გამოთავისუფლებული თანხებით(!) დაფარავსო...

## იოდირებულ მარილში იოდი არ აღმოჩნდა!

სახსტანდარტმა სავაჭრო ქსელიდან მთლიანად ამოიღო ჩიყვის პროფილაქტიკისთვის გათვალისწინებული „იოდირებული მარილი“ იმ მოტივით, რომ მარილში არ აღმოჩნდა... იოდი(!). ეს საგანგებო ლაბორატორიული შემოწმებით დადგინდა. გაირკვა ისიც, რომ იოდირებული მარილი სამკურნალო თვისებებს სამ თვეში კარგავს, მაგრამ ამის მიუხედავად საქართველოში უკრაინიდან, სომხეთიდან, საბერძნეთიდან და ირანიდან შემოტანილ ამ მარილის ყუთებს რამდენიმეწლიანი მოხმარების ვადა აწერია(!). ასე რომ, სჯობს პირდაპირ „იოდი ვსვათ“... სახსტანდარტმა კი დაავალდებულა დისტრიბუტორები, ყოველ სამ თვეში ერთხელ გააკეთონ მარილის ახალი სინჯები და აიღონ სერტიფიკატი!

## ვინ გაიტაცა ვიცე-პოლკოვნიკი?

ცხინვალის მახლობლად ნიღბიანმა პირებმა გაიტაცეს შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის ვიცე-პოლკოვნიკი, 36 წლის ზურაბ დურგლიშვილი. იგი ავტომანქანით ცხინვალიდან მიდიოდა ზნაურის რაიონის სოფელ ავნევისკენ. მასთან ერთად მანქანაში ოთხი, მათ შორის, ორი — ოსი ეროვნების ქალი იჯდა, რომლებისთვისაც თავდამსხმელებს ხელი არ უხლიათ. დურგლიშვილი კი „ნივაში“ ჩასვეს და უკან, ცხინვალისკენ წაიყვანეს. გამოძიება ძარცვის მოტივს გამორიცხავს, რადგან ბანდიტებს დურგლიშვილის „ჟიგული“ და მობილური ტელეფონი არ გაუტაციათ... დურგლიშვილს ახლა ყველა — ქართველები, ოსები და რუსები — ერთად ეძებს. სამშვიდობო ძალებს ბლოკირებული აქვთ ცხინვალისა და მიმდებარე სოფლების ყველა გასასვლელ-შესასვლელი. მოსახლეობა შეშფოთებულია და არ გამორიცხავს, რომ დურგლიშვილის გატაცებამ შეიძლება კვლავ დაძაბოს ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის. ზოგიერთი ვერსიით, გატაცებული კავშირში იყო ადგილობრივ დამნაშავეებთან, თუმცა ამ ვერსიას გამორიცხავენ მისი ახლობლები და თანამოსამსახურეები. მათი თქმით, დურგლიშვილს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ცხინვალელ ოსებთან...

საქმეს ოსური მხარე იძიებს.

## რუსეთი თავისას არ იშლის

ახლახან რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩაატარეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა პანკისში, საქართველოს მთავრობის დაუკითხავად, რუსის ჯარის შესაძლო შეყვანის თაობაზე. გამოკითხულთა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა დასმულ კითხვას.. ამ ფაქტს მძაფრად გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მან, ვინც მსგავსი გამოკითხვის ჩატარება ჩაიფიქრა რუსეთის ფედერაციაში, ხელს უწყობს ომის გაჩაღებას, გამოდის შეიარაღებული კონფლიქტის აპოლოგეტად და ვერ მოუშორებია ველიკოდერჟავული ამბიციები, — ითქვა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე. საქართველოს საგარეო უწყებამ ამ ფაქტს რუსეთის კიდევ ერთი იმგვარივე უპასუხისმგებლო დემარში უწოდა, როგორც აფხაზეთში მიმდინარე ე.წ. პასპორტიზაციაა, სადაც რუსეთის მოქალაქეობას უკვე თავისუფლად იღებენ...

## სომალელმა მეკობრეებმა ქართველები გაიტაცეს

აფრიკის სახელმწიფო სომალის ნაპირებთან თანამედროვე მეკობრეებმა გაიტაცეს ბერძნული გემი ეკიპაჟითურთ. მათ შორის ექვსი ქართველი მეზღვაურია და გემის კაპიტანიც ქართველია. მეკობრეები მათ გასათავისუფლებლად 1 მლნ დოლარს ითხოვენ. საქართველოს ხელისუფლება კი თავს იმშვიდებს, — ბოლო დროს სომალთან მეკობრეებმა ოთხი გემი გაიტაცეს და არც ერთ ამ ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლიაო...

მეკობრეებთან მოლაპარაკებას კი ბერძნები აწარმოებენ.

## კადიროვმა ხმა ამოიღო

ჩეჩნეთის ხელმძღვანელის კადიროვის განკარგულებით, რესპუბლიკაში სამდღიანი საერთო ეროვნული გლოვა გამოცხადდა. ამის მიზეზი გახდა რუსი სოლდაფონი-არტილერისტის მიერ ქვემეხით სრულიად უმიზეზოდ საცხოვრებელი სახლის დაბომბვა. დაიღუპა ორი გოგონა და მათი დედა. საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც კრემლმა ჩეჩნეთში „თავის კაცად“ კადიროვი დასვა, ამ უკანასკნელს მსგავსი განკარგულება არ გაუცია, თუმცა, ლამის ყოველდღე იღუპებოდნენ მშვიდობიანი მცხოვრებლები. გლოვის გამოცხადებასთან ერთად კადიროვმა მრისხანედ შეუთვალა რუს გენერლებსა და სამხედროებს, ამ ბარბაროსობის გამო სასტიკად დაისჯებით, ამიერიდან მხოლოდ განცხადებების გაკეთებას აღარ დავჯერდებითო(!). ამ ინფორმაციამ შეაშფოთა მოსკოვი, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა მკვლელის დასჯა.

## ვისია, ვისი „წითელი ხიდი“

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე ე.წ. „წითელ ხიდს“ ეწვია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე არსებული პრობლემების გაცნობისა და მოწესრიგების მიზნით. საზღვრის და საბაჟო გამშვები პუნქტების გახსნის სადავო დეტალების გარდა ორ მხარეს შორის კიდევ ერთი გაუგებრობა არსებობს. საქართველოს კულტურის სამინისტრო კატეგორიულად მოითხოვს ისტორიული ძეგლის — „წითელი ხიდის“ დაცვას და ხიდზე საავტომობილო მოძრაობის აღკვეთას. საინტერესოა, რომ „წითელ ხიდთან“ სადავო ტერიტორია რამდენიმე ასეული მეტრია და როგორც ქართული მხარე ამტკიცებს, აზერბაიჯანის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა განთავსებული. ამასთან, აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით ქართველ მესაზღვრეებს იარაღის ტარების უფლება არა აქვთ(!). დამაფიქრებელია ისიც, რომ, აზარბაიჯანელებმა თავიანთი სასაზღვრო-გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორია... დანაღმეს(!). არადა, ორი ქვეყნის სამთავრობო კომისიათა ექსპერტებს თითქმის ყველა სადავო საკითხი შეთანხმებული აქვთ, მაგრამ რატომღაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჭიანურდება. მოლაპარაკებები, მალე განახლდება და ქართული მხარე კატეგორიულად და პრინციპულად აპირებს საქართველოს ინტერესების დაცვას.

## მე-5 საპყრობილის ადმინისტრაცია დათხოვნილია

იუსტიციის სამინისტრომ სამსახურიდან გააგდო მე-5 საპყრობილეს მთელი ადმინისტრაცია და ყველა თანამშრომელი, რისი მიზეზიც გახდა წინასწარ დაკავების საკნიდან არასრულწლოვანი ბრალდებულის დავით ღვალაძის გაქცევა. პატიმარმა იატაკი გათხარა და მიიმალა(!). დაპატიმრებულია მე-5 იზოლატორის კონტროლიორი და ის უკვე პასუხისგებაშია მიცემული!

## რუსეთის ვიცე-კონსული მიწისქვეშეთიდან ამოჰყავთ...

შაბათს, გვიან ღამით, კოსტავას ქუჩაზე არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში „ლადას“ მარკის ავტომანქანა გადაიჩეხა(!), რომელსაც რუსეთის საელჩოს დიპლომატიური ნომრები ჰქონდა. მანქანაში საქართველოში რუსეთის ვიცე-კონსული და რუსეთის საელჩოს ერთი თანამშრომელი იმყოფებოდა, ორივე გვარიანად მთვრალი, რომლებიც რაღაც სასწაულით არცკი დაზიანებულან (ავტომანქანა კი დაიმტვრა). საინტერესო ის არის, რომ რუს დიპლომატთა საშველად მისულ გამვლელ თბილისელებს, რომლებიც მანქანიდან ამოათრიეს ისინი, „დიპლომატებმა“ მბრძანებლური ტონით და გინებით მოსთხოვეს გადასასვლელში გადაჩეხილი მანქანის ამოყვანაც, პოლიციელებს კი დიპლომატიური იმუნიტეტის მოშველიებით უარი განუცხადეს ჩვენების მიცემასა და ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებაზე... აღნიშნული ავტოავარიის გარემოებებსა და მიზეზებს ვაკე-საბურთალოს რაიონის საგზაო პოლიცია იძიებს...

## ათი წლის შემდეგ...

**„ინტერ-პრესი“**—საქართველოს საპენსიო ფონდის ხელმძღვანელის ირაკლი კოპლატაძის ცნობით, თუ დღეს საპენსიო ასაკი მამაკაცისათვის 65, ხოლო ქალისთვის 60 წელს შეადგენს, 2014 წელს საპენსიო რეფორმის სავარაუდო დასრულების შემდეგ ორივე სქესისათვის იგი 60 წლით იქნება განსაზღვრული.

პენსიაში გასვლის შემდეგ სავალდებულო სადაზღვევო პენსიის მიღების მსურველ მოქალაქეებს 15-წლიანი შრომითი სტაჟის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა მოეთხოვებათ. პენსიის ოდენობა ხელფასის მოცულობით იქნება განსაზღვრული.

საქართველოში საპენსიო რეფორმის მოსამზადებელი ეტაპი 2001 წელს დაიწყო. შესაბამისი კანონპროექტები მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით საპენსიო ფონდმა უკვე მოამზადა და სექტემბრის დასაწყისში ისინი განსახილველად მთავრობასა და პარლამენტს გადაეცემა.

## რუსეთის გენპროკურორს ბოთლები დაუშინეს!




რუსეთის გენერალურ პროკურორს შავად წაუვიდა საქმე. რიაზანიდან მოსკოვისკენ მიმავალი პროკურორის ვაგონს ერთ-ერთ სადგურში მთვრალმა ხალხმა „გასართობად“ ქვები და ბოთლები დაუშინა. საბრალოს, ჯერ წნევამ აუწია, შემდეგ გულმაც უმტყუნა და სასწრაფოდ გააქანეს რომელიღაც დასახლებული პუნქტის პოლიკლინიკაში, სადაც დაამშვიდეს და პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. საინტერესოა, რომ ექიმებმა უსტინოვი მანამ ვერ იცნეს, ვიდრე მისი პირადობის მოწმობა არ ნახეს...

## სილა — რუსეთს

ავღანეთში ამერიკელი სამხედროები აუცილებლად დარჩებიან, — განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა და ამით, როგორც დასავლელი პოლიტოლოგები აცხადებენ, ვაშინგტონმა კიდევ ერთი „მწვავე სილა“ გააწნა მოსკოვს. რამსფელდის თქმით, ამიერიდან ამერიკელები არათუ ქვეყნის სტაბილურობას უზრუნველყოფენ, არამედ დაეხმარებიან ავღანეთს არმიისა და პოლიციის მშენებლობაში.

## ხომალდი დაკარგულად გამოცხადდა

ამერიკული კოსმონავტიკის ისტორიაში „შავ დღედ“ გამოაცხადეს ხუთშაბათს მომხდარი შემთხვევა. კოსმოსური ხომალდი „კონდორი“, რომელიც „ნასას“ 160 მილიონი დოლარი დაუჯდა, კოსმოსში... დაიკარგა(!). ვარაუდობენ, რომ ხომალდი დედამიწის ორბიტაზე გასვლისას დაიშალა, ან დაიწვა! გეგმის თანახმად, ხომალდი ორბიტაზე უნდა დაშორებულიყო ზონდს, შემდეგ კი კომეტის შესასწავლად გამგზავრებულიყო. მაგრამ კავშირი გაწყდა და ხომალდი „დაკარგულად“ გამოცხადდა!

## სტიქია არაფერს და არავის ინდობს

ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მძვინვარე უპრეცედენტო სტიქიამ, ქარიშხალმა და წყალდიდობამ ათობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ათეულ მილიონობით ოჯახი დააზარალა. გერმანიაში, დრეზდენის მუზეუმში შევარდნილმა წყალმა უნიკალური ექსპონატები არ დაინდო... როცა სტიქია და ციკლონი ევროპაში მორჩნენ „საქმეს“, ატლანტის ოკეანე გადალახეს და მექსიკას გადაუარეს, იქიდან კი ჩინეთს დაატეხეს თავს დიდი უბედურება!

# „პანკისის ხეობაში რუსების ნებისმიერი ფორმით შეშვება გამორიცხულია...“

მას შემდეგ, რაც პანკისის ხეობას ნელ-ნელა გარს შემოეწყო ქართული შინაგანი ჯარი, ქვედანაყოფები და უშიშროების სპეცრაზმები, ხეობის მიდამოებში „წვრთნისა და აღჭურვის“ ფარგლებში მალე დაიწყება კონტრტერორისტული სწავლება ამერიკელ ინსტრუქტორთა მიერ მომზადებული ქართველი სამხედროების მონაწილეობით, რუსეთის პროპაგანდამ ამჯერად საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულა რუსების მიერ ტერორისტად გამოცხადებულ ასლან მასხადოვთან კავშირურთიერთობებში და, შესაბამისად, საერთაშორისო ნორმებისა და კონვენციების უხეშ დარღვევაში, თანაც საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ნოტით(!). კრემლისგან მართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა კი, ბოლო დროს გამოკითხვათა მთელი სერია ჩაატარეს რუსეთის ფედერაციაში, რომლის მიზანიც ერთადერთი იყო — გაეგოთ საზოგადოებრივი აზრი რუსეთ-საქართველოს შორის შესაძლო ომის ან პანკისის ხეობაში რუსეთის ჯარის თვითნებური შეჭრის შესახებ. შედეგიც რუსეთის მასმედიაში გაშლილი ანტიქართული პროპაგანდის ადეკვატური მიიღეს — გამოკითხულთა უმეტესობა მხარს უჭერს რუსეთის აგრესიას ანუ ომს საქართველოს წინააღმდეგ(!). ამის შემდეგ აღარ არის გასაკვირი, კოდორის ხეობაში დესანტის გადასხმის მცდელობა, სერგეი ივანოვის მორიგი „ანტიპანკისური“ დემარშები და ა.შ. ამ და სხვა გარემოებების ფონზე კი, „მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას“ ჰგავდა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება „იტერა-ჰოლდინგის“ შემოყვანასთან დაკავშირებით. ეს ბევრმა ექსპერტმა და პოლიტიკოსმა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისადმი უმძიმეს დარტყმად შეაფასა, რაც გარკვეულწილად გვემუქრება კიდეც. ზოგმა ეს რუსეთის მიმართ ერთგვარ რევერანსად აღიქვა, კულუარებში კი გაისმა ხმა — ეს გადაწყვეტილება ვაშინგტონთან არის შეთანხმებულიო! თუ რასთან შეიძლება გვქონდეს რეალურად საქმე, ამ და სხვა საკითხებზე მოსაზრებების გამოთქმა ვთხოვეთ დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მთავარ კონსულტანტს, გენერალ-მაიორ **ანზორ მაისურაძეს:**

— გამორიცხულია, რომ რომელიმე ქვეყანამ ომი დაიწყოს საერთაშორისო თანამეგობრობასთან შეუთანხმებლად. ამიტომ, არა მგონია, რუსეთმა, აშშ-სა და სხვა ქვეყნებთან შეუთანხმებლად, პანკისის ხეობაში რაიმე მოიმოქმედოს. დარწმუნებული ვარ, მოსკოვი კვლავაც დიპლომატიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტებს გამოიყენებს საქართველოზე ზეწოლისთვის, რათა პანკისის ხეობიდან ჩეჩენი ლტოლვილები და ბოევიკები განდევნოს, დააპატიმროს ან გაანადგუროს. მაგრამ ეს ჩვენი საწუხარი უფროა, ვიდრე რუსებისა. კავკასიელებს ოდითგან კანონად გვაქვს: „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, გინდ ზღვა ემართოს სისხლისა!“ ამიტომ უსათუოდ უნდა დავიცვათ წინაპართა ანდერძი, რათა მომავალ თაობებს შევუნარჩუნოთ კეთილმეზობლური ურთიერთობების ტრადიცია. სტუმართმასპინძლობის წესის დაუცველობა კი გამცემლობად აღიქმება და საუკუნეობით გადაეცემა შთამომავლობას, საუკუნეობით გაგრძელდება შუღლი, მტრობა... ეს უნდათ კიდეც ჩვენს მტრებს. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება სწორად იქცევა პანკისთან დაკავშირებით, სადაც უკვე შევიდა ჩვენი ჯარიც. სერგეი ივანოვმა კი, რამდენიც გაეხარდება, იმდენი განცხადება აკეთოს. ის თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს, ჩვენ კი ჩვენსას. ყოველივე ეს დიპლომატიით თუ პირადი კონტაქტებით მკაფიოდ უნდა ვაგრძნობინოთ რუსებსაც და სხვებსაც. მით უმეტეს, რომ სათქმელი ძალიან ბევრი გვაქვს... ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ყველაფერი კეთდებოდა, რათა შექმნილიყო ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური რესპუბლიკა, რომლის დედაქალაქი სოხუმი იქნებოდა. ეს შედიოდა თურქეთისა და აშშ-ის სტრატეგიულ გეგმაში. მაგრამ საბჭოთა უშიშროება ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ეს გეგმა არ განხორციელებულიყო. თურქეთისა და აშშ-ის სპეცსამსახურები ხელს უწყობდნენ მღელვარების აგორების მცდელობას ჩრდილოეთ კავკასიაშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, აფხაზეთშიც. ასე რომ, მარტო რუსების ბრალი არ არის აფხაზეთში კონფლიქტის გაღვივება. მეტიც, შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ 60-იანი წლებიდან მოყოლებული, რამდენჯერმე ააბუნტეს ჩეჩნეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, აფხაზეთი და სხვებიც. მიზანი ერთი იყო — შეექმნათ აღნიშნული რესპუბლიკა ზღვაზე გასასვლელით და აქედან დაეწყოთ საბჭოთა კავშირის დემონტაჟი. ამას ხელს უწყობდა მუსლიმანური სამყაროც, აფინანსებდნენ და დღესაც აფინანსებენ შესაბამის ძალებს ჩრდილოეთ კავკასიაში. როგორც კი დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლა, აღნიშნულმა ძალებმაც დაიწყეს ეს პროცესი ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსებმა მაშინ მოახერხეს ჩრდილოეთ კავკასიისთვის აეცილებინათ დიდი ომი და მთელი აგრესია აფხაზეთისკენ, საქართველოსკენ მომართეს, ჩვენც პროვოკაციაზე წამოგვაგეს. ამ პროვოკაციას შეგნებულად, თუ შეუგნებლად ხელს უწყობდა რუსეთი და სხვა ქვეყნებიც. ბოლოს და ბოლოს, ამერიკამ და დასავლეთმა რუსი ხელისუფალნი მოისყიდეს, რათა დაეშალათ საბჭოთა კავშირი და როგორ ფიქრობთ, გაუჭირდებოდათ რუსეთის გარკვეული სამხედრო პოლიტიკური წრეების მოსყიდვა, რათა მათ აფხაზეთში გაეკეთებინათ ის, რაც გააკეთეს? როგორ უპასუხა რუსეთის ინტერესებს აფხაზეთის ტრაგედიამ, ამას ჩეჩნეთის მაგალითზე ვხედავთ. ასე რომ, ყველაფერი ეს ერთი ჯაჭვის რგოლებია... მაშინ კი, რუსეთის მე-14 არმიის ნარჩენი ტექნიკით დავიწყეთ ომი აფხაზეთში, რაც უდიდესი შეცდომა იყო, რისი წინააღმდეგიც ვიყავი როგორც უშიშროების მინისტრი. მეორეც: დალოცვილო, ვინმეს, რომელიმე ქვეყანას შეუთანხმე აფხაზეთში შესვლა? თანაც ზუსტად ომის წინ უშიშროებას შლი? როდესაც საქართველოს უშიშროების სამინისტრო დაიშალა, არძინბა სიხარულს ვერ მალავდა, რადგან ეშინოდა მისი და მანაც უმალ დაშალა ეს სამსახური. ამან სეპარატისტთა პოზიციები გააძლიერა, არადა ეს სამინისტრო რომ შენარჩუნებულიყო, აფხაზეთში პროცესები უთუოდ ჩვენს სასარგებლოდ წარიმართებოდა. ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები კი საბჭოთა კავშირის დროს დაწყებული პროცესების გაგრძელებაა და უკვე რუსეთის დაშლას ისახავს მიზნად!

**— საქართველოსთან ურთიერთობებში რუსეთი საბჭოთა კავშირის ტრადიციებს არ ღალატობს. გამუდმებით მიმართავს დაშინების, შანტაჟისა და პროვოკაციების პოლიტიკას. ამ ფონზე პასიური ხომ არ მოჩანს ვაშინგტონის პოზიცია რუსული აგრესიისადმი?**

— ამერიკელები ზოგად და ზომიერ განცხადებებს სჯერდებიან, ვაშინგტონს მოსკოვთან ურთიერთობის გართულება არ სურს. ამერიკა ავღანეთს, ერაყს, ირანს, ტერორიზმს და ფუნდამენტალურ ისლამს ებრძვის და რუსეთის მხარდაჭერა ჯერ კიდევ სჭირდება. ამიტომ დარწმუნებული ვარ, საქართველოს გულისთვის რუსეთს არ აწყენინებს. გამორიცხულია, რომ სხვა რომელიმე წამყვანმა ქვეყანამაც გაიფუჭოს ურთიერთობა რუსეთთან საქართველოს გამო. განცხადებებით და რეზოლუციებით — კი ბატონო, ყველა მხარში დაგვიდგება, მაგრამ ამის იქით საქმე არ წავა. არც ერთი ამერიკელი ჯარისკაცი საქართველოსთვის არ იომებს. გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის პერიოდი. მაშინ მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა, საბჭოთა კავშირთან შეუთანხმებლად, მაგრამ თუ რომელიმე ქვეყნის მიმართ მაინც წამოიწყებდნენ საომარ მოქმედებას, ოპერაციას, ეს, როგორც წესი, იწვევდა მძაფრ კონფრონტაციასა და დაძაბულობაც პიკს აღწევდა ხოლმე. იგივე ითქმის აშშ-ზეც. მაშინაც იყო ჯენტლმენური შეთანხმებები მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის. უამისოდ პოლიტიკა არ არსებობს. საბჭოთა კავშირის დროს აშშ ვერ დაბომბავდა იუგოსლავიას გაეროს თანხმობის გარეშე, მაგრამ დასუსტებული რუსეთის ფონზე ამერიკელებმა მისცეს საკუთარ თავს უფლება და დღესაც აძლევენ — გაატარონ ძალისმიერი პოლიტიკა იქ, სადაც მათი ინტერესები ილახება. რუსეთის დღევანდელი ხელმძღვანელობა ხელის ერთი დაკვრით არ გადაწყვეტს რაიმე საკითხს, მით უმეტეს მეზობელი ქვეყნის მიმართ.

> **რუსები ფიქრობენ: აფხაზეთი რომ დავუბრუნოთ საქართველოს, ეს ქვეყანა საბოლოოდ გადაბარგდება აშშ-ის გავლენის ქვეშ, რაც გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებს ჩვენს გეოპოლიტიკურ ინტერესებს კავკასიაშიო. ამერიკელები კი, რომლებსაც ასევე აქვთ საკუთარი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ჩვენს რეგიონში, პრაგმატულად სჯიან — სანამ აფხაზეთს რუსეთი არ დაუბრუნებს საქართველოს, მანამ იქ ძლიერი იქნება ანტირუსული განწყობილებებიო.**

რუსეთის პრეზიდენტს ის დიდი სკოლა აქვს გავლილი, რომელიც მეც გავიარე. ჩვენი პროფესიის კაცი კი, კონკრეტულ ნაბიჯს მანამ არ გადადგამს, ვიდრე ათასჯერ არ გაზომავს და ათასჯერ გადამოწმებულ ინფორმაციას არ მიიღებს იმის შესახებ, თუ რეალურად რა ვითარებაა, ვთქვათ, იმავე პანკისში, რა უნდა გაკეთდეს და, რაც მთავარია, რა შედეგს მიიღებს იქ სამხედრო აგრესიის განხორციელების შემთხვევაში. მაგრამ თუ მაინც არასერიოზულად მოიქცევა მოსკოვი, დარწმუნებული ვარ, ეს პუტინის სანქციით არ იქნება გაკეთებული, არამედ იმ გარკვეული სამხედრო პოლიტიკური ძალების მიერ, რომლებიც შიდაოპოზიციაში უდგანან რუსეთის პრეზიდენტს. მიჭირს იმის გაანალიზება, თუ დღეს როგორ „იხარშება“ პოლიტიკა რუსეთის სახელისუფლებო წრეებში, მაგრამ ჩემს დროს ნებისმიერი საგარეო-პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტას, რომელიც დაკავშირებული იყო თუნდაც ყველაზე პატარა ქვეყნის მიმართ, უდიდესი ყურადღება ექცეოდა და გათვალისწინებული იყო დაახლოებით ათი წინმსწრები სვლა შედეგებითურთ. მხოლოდ შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას. ჩვენ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებით, ქმედებით უნდა ვაგრძნობინოთ მოსკოვს, რომ სამხედრო „გასეირნება“ პანკისში, თუ საქართველოს სხვა რეგიონში, აღარ გამოუვა და ამის უფლებას ქართველები არ მივცემთ!

**— კოდორის ხეობაში აფხაზთა დესანტის გადმოსხმამ და შეიარაღებულმა შეტაკებამ გვარიანად შეაშფოთა საზოგადოება. რა რეალურ საფრთხეებს უნდა ველოდოთ და უწინარესად, საიდან.**

— აფხაზების ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი. ისინიც შეშინებულნი არიან და საკუთარ თავს იცავენ, რადგან ომის 10 წლისთავზე გაისმის მოწოდებები, — უნდა შევებათ აფხაზებსო. მაგრამ რომელ ომზე შეიძლება ლაპარაკი, როცა პრეზიდენტი აცხადებს, — საქართველოს ხელისუფლებას გულშიც არ გაუვლია აფხაზეთში ომის დაწყებაო? შეთანხმებული ხომ უნდა იყოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ერთ ჩარჩოში მოქცეული და ერთ საერთო ინტერესს დაქვემდებარებული? ხომ არ შეიძლება პრეზიდენტი ერთს ლაპარაკობდეს, დანარჩენი — სხვას? პრეზიდენტმა ნათლად გამოაცხადა — აფხაზეთის პრობლემის მიმართ ქვეყნის პოლიტიკა არის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით კონფლიქტის დარეგულირებაო! ზოგიერთი პოლიტიკოსი თუ ჩინოსანი კი გაიძახის, — არ გამოდის მშვიდობიანი გზა და პრობლემა ძალით უნდა გადავწყვიტოთო, დავიწყოთ პარტიზანული ომიო და ა.შ. კი მაგრამ, ვინ მისცა ამ ხალხს ომისა და მშვიდობის საკითხის გადაწყვეტის უფლება? მე რომ პრეზიდენტი ვიყო, ამათ ხმას ჩავაკმენდინებდი. როცა ქვეყანას პრეზიდენტი ჰყავს, როგორიც უნდა იყოს იგი, თითოეული მოქალაქის მოვალეობაა მისი ავტორიტეტის ამაღლება, რადგან ეს იგივე ჩვენი ქვეყნის და თითოეული ჩვენგანის ავტორიტეტია. ამასთან, მთავარია პრეზიდენტს ჰქონდეს მართალი, გამართული და ასგზის შემოწმებული ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს, მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები. საქართველოს არასოდეს უცხოვრია დალხინებით. როცა რუსეთის ნაწილი იყო, ავად თუ კარგად, საგარეო საფრთხისგან დაცულნი ვიყავით, მაგრამ ამ პერიოდში ჭაბუა ამირეჯიბისა არ იყოს, დავემსგავსეთ „საძოვარზე მიშვებულ ნახირს“, რომელსაც დაავიწყდა ქვეყნის და საკუთარი თავის დაცვა, საქართველოს პატრონობა. ახლა ვსწავლობთ თავდაცვას. რუსები 500 წლის მანძილზე ქმნიდნენ საკუთარ იმპერიას და როცა იგი თვალის დახამხამებაში, ხუთ თვეში გამოეცალათ ხელიდან, რა თქმა უნდა, იმპერიული მენტალიტეტი დარჩათ. არ მიკვირს, რომ რუსები ამას მძიმედ განიცდიან. ჩვენი მაგალითი გავიხსენოთ — 800 წლის შემდეგაც მივტირით „ნიკოფსიიდან — დარუბანდამდე“ გადაჭიმულ საქართველოს, რუსებს კი გუშინ-გუშინწინ დაემხოთ თავზე უზარმაზარი იმპერია და, რა გასაკვირია, რომ უჭირთ რეალობასთან შეგუება. ჩვენ ის კი არ უნდა გვალიზიანებდეს, რას ამბობს სერგეი ივანოვი, არამედ მობილიზებულნი უნდა ვიყოთ ქვეყნის დასაცავად და არ უნდა ვაპატიოთ არავის პატარა მცდელობაც კი, საქართველოს ტერიტორიის ხელყოფისა, რა ძალებიც გაგვაჩნია — დიპლომატია, პოლიტიკა, ეკონომიკა თუ სამხედრო — ყველა საშუალებით უნდა დავუპირისპირდეთ მას, და მერწმუნეთ, როცა საქართველოს არაკეთილმოსურნეები ამას დაინახავენ, ტონსაც შეიცვლიან და სხვაგვარადაც დაგველაპარაკებიან.




**— ამ პროცესების ფონზე თქვენი ყოფილი რუსი კოლეგები როგორ აფასებენ საქართველო-რუსეთის შორის არსებულ ამ არანორმალურ ურთიერთობას და სად ხედავენ გამოსავალს იმავე პანკისის ხეობისა და უწინარესად, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების თვალსაზრისით?**

— შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ძალიან აწუხებთ ის, რაც ჩვენს ქვეყნებს შორის ხდება და არც პასუხისმგებლობას გაურბიან. ისინი უნიჭიერესი ადამიანები არიან და ხედავენ, რომ სწორედ რუს პოლიტიკოსთა „წყალობით“ მივიდა საქმე აქამდე. თუმცა ჩემთვის ისიც უკითხავთ, — როდის აქეთ გახდა თურქეთი თქვენი ძმაო. მე კი მიპასუხია, — თქვენ იმის დიდოსტატები ხართ, რომ მოყვარე მტრად მოიკიდოთ. ჩვენ, ქართველები კი, დღეს მთელ მსოფლიოში ვეძებთ მეგობრებს და ეს არ უნდა გაღიზიანებდეთ-მეთქი. დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში საქართველოს მიმართ რუსეთს ექნება ჩამოყალიბებული სწორი ურთიერთსასარგებლო პოლიტიკა. დარეგულირდება ეს ურთიერთობები, თუმცა რა მიმართულებით განვითარდება იგი, ძნელი სათქმელია. ერთი კი ცხადია, ომი და კონფრონტაცია არავის სურს. რუსეთი, ავად თუ კარგად, საკუთარ თავს მოუვლის, მიუხედავად უამრავი შეცდომისა და პრობლემისა. ჩვენ კი, ყველა სიტუაციაში უნდა ვეძებოთ და მოვნახოთ საქართველოსთვის ოპტიმალური გადაწყვეტილება. იმავე პანკისის ხეობაში რუსების ნებისმიერი ფორმით შეშვება გამორიცხულია და დანა რომ მოგვაბჯინონ ყელზე, ამ პოზიციიდან ფეხი არ უნდა მოვიცვალოთ და ხმამაღლა განვაცხადოთ — ავად თუ კარგად, პანკისის პრობლემას ნელ-ნელა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება დაარეგულირებს! აფხაზეთის კონფლიქტი კი, სამწუხაროდ, უახლოეს მომავალში არ დარეგულირდება. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ: აფხაზეთის პრობლემას მაშინ მოევლება, როცა აშშ და რუსეთი შეთანხმდებიან — ამ კონფლიქტს წერტილი უნდა დავუსვათ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგესო. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არიან მზად ვაშინგტონი და მოსკოვი. რუსები ფიქრობენ: აფხაზეთი რომ დავუბრუნოთ საქართველოს, ეს ქვეყანა საბოლოოდ გადაბარგდება აშშ-ის გავლენის ქვეშ, რაც გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებს ჩვენს გეოპოლიტიკურ ინტერესებს კავკასიაშიო. ამერიკელები კი, რომლებსაც ასევე აქვთ საკუთარი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ჩვენს რეგიონში, პრაგმატულად სჯიან — სანამ აფხაზეთს რუსეთი არ დაუბრუნებს საქართველოს, მანამ იქ ძლიერი იქნება ანტირუსული განწყობილებებიო. ასე რომ, აქ საქმე გვაქვს აღიარებულ პოსტულატთან — არ არსებობენ მუდმივი მეგობრები, არსებობს მუდმივი ინტერესები! ამიტომ უნდა გავიაზროთ, სად თანხვდებიან და სად არა ამ ორი ქვეყნის ინტერესები და შესაბამისი მოქმედების სტრატეგიაც ავირჩიოთ.

**— რას იტყვით საქართველოში რუსული კომპანია „იტერას“, როგორც მონოპოლისტის, შემოსვლის შესახებ.**

— ნებისმიერ დიდ ქვეყანაში, იმავე აშშ-ის ყოველ მნიშვნელოვან კომპანიაში უსათუოდ ზის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენელი. რა თქმა უნდა, „იტერაშიც“ არიან რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები და ეს ბუნებრივია, რადგან ასეთ სტრატეგიულ დარგში უეჭველად უნდა იყოს გათვალისწინებული სახელმწიფო ინტერესები. ამერიკაში ერთ ცნობილ მოღვაწეს ვკითხე, — ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტი რამ გაგაყიდვინათ, ასეთი რა გაგიჭირდათ-მეთქი? მიპასუხა: რა მოხდა, უნივერსიტეტი იაპონიაში ხომ არ წაუღიათ, აქ დგას და იდგებაო. დიახ, მათ არ მიაჩნიათ ეროვნულ შეურაცხყოფად განათლების უმნიშვნელოვანესი ცენტრის გასხვისება, თუკი სარფიანი იქნება. სამწუხაროდ, დღეს არ არსებობს სხვა საშუალება ქვეყნის გაზით მომარაგების საქმეში, გარდა „იტერასი“. ამერიკელებს კი, თუ სურთ ჩვენი დახმარება, ადგნენ და გაზის საფასური გადაუხადონ რუსებს. არც ერთი ქვეყანა გაზს უფასოდ არ მოგვცემს. რუსეთიც, თუკი მასთან არ ვითანამშრომლეთ, ფულიც რომ გადაუხადო, რაღაც პოლიტიკური მიზეზების გამო იტყვის — არ მინდა და არ გაძლევ გაზსო. სანამ გაზი გვაქვს, სიმშვიდეა, ზამთარში კი, თუკი არ იქნება, დესტაბილიზაციის შესანიშნავი ნიადაგი შეიქმნება და გვინდა ეს? თუ გვინდა უგაზობა, უშუქობა და აქედან გამომდინარე, ყველა უბედურება, მაშინ ახლავე ავიღოთ ჯოხი, გავიდეთ ქუჩაში და დავანგრიოთ, თუკი რამ დასანგრევი დაგვრჩა. კიდევ სამი წელიწადი საქართველოს არ ექნება გაზის ალტერნატიული წყარო, სანამ შაჰ-დენიზის გაზსადენი არ აშენდება და რა ვქნათ ამ ხნის მანძილზე, უგაზოდ იყოს ქვეყანა და ხალხი? ამას პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ეს შეთანხმება მშვიდობის და სტაბილურობის ერთ-ერთ პირობად შეიძლება იქცეს. მეტსაც გეტყვით: „იტერას“ შემოსვლა საქართველოში კარგად გათვლილი პროექტია და ადვილი შესაძლებელია, რომ შეთანხმებულია ვაშინგტონთან, რაც მიზნად ისახავს რუსეთის მასშტაბურ ჩართვას რეგიონის ენერგოპროექტებშიც. მაგრამ, დავუშვათ, თუ რუსეთი გაგიჟდა, თავზე ხელი აიღო და ხელისუფლებამ „იტერა“ გამოიყენა საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლებისთვის, როგორც დღემდე იყენებდა, ანუ დაიწყეს გაზის შეწყვეტა, ეს უმძიმეს დარტყმას მიაყენებს საკუთრივ რუსეთის ავტორიტეტს და იოლად არ ჩაუვლის მსგავსი დემარშები. ჩემი აზრით, „იტერას“ შემოყვანა საქართველოში ნიშნავს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისკენ ჩვენ მიერ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს. აგერ, ამას წინათ, მაღალ დონეზე რამდენჯერმე აღინიშნა, რომ თურქეთი უკვე იმდენ გაზს იღებს რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, შეიძლება შაჰ-დენიზის გაზსადენის მშენებლობის დაწყება გადაიდოს 2005 წლამდეო. რა ვქნათ მაშინ? კვლავ „იტერასთან“ კატა-თაგვობანა ვითამაშოთ, თუ ის სჯობს, ამ კომპანიამ საფუძვლიანად მოჰკიდოს ხელი საქართველოში ამ დარგს. რომ გაიძახიან კაბალური შეთანხმებააო, რა, „ეი-ი-ეს თელასთან“ არა გვაქვს კაბალური ხელშეკრულება? თავისთავად ორივე პროექტი კარგია და პოლიტიკური გადაწყვეტილებაც სწორია, მაგრამ აქ მთავარია, არ მოეწეროს ხელი ჩვენი ქვეყნისთვის წამგებიან კონტრაქტს. საერთოდ კი, ენერგეტიკულ პროექტებში რუსეთთან, ამერიკელებთან და ევროპის სახელმწიფოებთან ერთად, რაც უფრო ღრმა იქნება ეს თანამშრომლობა, უსაფრთხოების მით უფრო მტკიცე გარანტიები გვექნება.

**— მოეპოვება თუ არა ქართულ დაზვერვას რაიმე ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ „იტერას“ მეშვეობით ჩვენში ხორციელდება რუსეთის პოლიტიკური ინტერესები?**

— დაზვერვა ყველაფერს აკეთებს, რათა დროულად წინმსწრები ინფორმაცია მიაწოდოს პრეზიდენტს და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელ პირებს. ის, რომ „იტერას“ მეშვეობით რაიმე ძირგამომთხრელ ქმედებებს გეგმავდეს მოსკოვი საქართველოში, ასეთი ინფორმაცია არა გვაქვს. ამიტომ იმის თქმა, „იტერა“ იმიტომ არ გვინდა, რომ მისი შემოსვლით და გაზით რუსეთს საქართველოს დაპყრობა-დაკაბალება სურსო, არ არის სწორი და არ ეფუძნება სარწმუნო ინფორმაციას. მთელი აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნები რუსეთის გაზით არსებობენ და რომელია დაკაბალებული? ნატოს წევრები და წევრობის კანდიდატები არიან უკვე! მსოფლიო შეიცვალა და იმავე რუსეთთან ურთიერობებშიც ახლებური მიდგომა და აზროვნება გვმართებს ისევე, როგორც რუსებს — ჩვენ მიმართ.

*ზურაბ მჭედლიშვილი*



# ფერისცვალება

ღმერთმა ზოგიერთი დღე თავისი განსაკუთრებულობით გამოარჩია, დანარჩენ დღეებზე აამაღლა და დღესასწაული უწოდა.

ასეთია დღევანდელი დღე — 19 აგვისტო, დღესასწაული უფლის ფერისცვალებისა.

მას შემდეგ, რაც ქრისტემ მოციქულებს წინასწარ გაუმხილა მომავალი ტანჯვისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ, თაბორის მთას აუყვა სალოცავად. თან სამი რჩეული მოციქული — პეტრე, იოანე და იაკობი წაიყვანა: პეტრე როგორც სარწმუნოებით უპირველესი მოციქულთა შორის, იოანე — სიყვარულით, იაკობი — მოწამეობრიობით.

თაბორის მთაზე ქრისტე მოციქულთა წინაშე თავისი ზეციური, ღვთაებრივი დიდებით წარდგა. დიდებული, ღვთაებრივი ნათელი ქრისტეს არა მარტო სახიდან, არამედ მთელი მისი ღმერთკაცობრივი ბუნებიდან გამობრწყინდა და თვით სამოსიც კი ნათელივით განსპეტაკდა.

მოციქულებმა უფლის ფერისცვალებისას იხილეს ორი კაცი, რომლებიც „ესაუბრებოდნენ" იესოს: მოსე — რჩეული ერის კანონმდებელი და ელია — ამ კანონის აღმსრულებელი.

ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ ელია წინასწარმეტყველი ღვთის უანგარო სამსახურისთვის ცოცხლად იქნა აყვანილი ზეცაში ცეცხლოვანი ეტლით. იგი ქრისტეს მეორედ მოსვლის წინაც მოგვევლინება საქადაგებლად და გასამხნევებლად.

თაბორის მთაზე ერთმანეთს შეხვდნენ ძველი აღთქმის ორი უდიდესი წინასწარმეტყველი და ახალი აღთქმის სამი რჩეული მოციქული. წმინდა გრიგოლ პალამას თქმით, ეს მთა გახდა ერთგვარი ხატი ეკლესიისა, რომელშიც ქრისტემ ორი აღთქმა — ძველი და ახალი შეახვედრა და შეაერთა.

ფერისცვალებული ქრისტეს სიდიადით აღტაცებული პეტრე უფალს ეუბნება: — რა კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა; მოდი, გავაკეთოთ სამი კარავი: ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთი ელიას. პეტრე ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, როცა მოციქულები ნათელმა ღრუბელმა, არამიწიერმა სინათლემ დაჩრდილა, ღრუბლიდან ესმათ ხმა მამა ღმერთისა: — ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მოვიწონე; მას უსმინეთ!

შეშინებული მოწაფეები პირქვე დაემხვნენ, ხოლო როცა თვალი გაახილეს, ვეღარავინ დაინახეს, გარდა იესოსი. უფალმა წამოაყენა ისინი და ანუგეშა.

მთიდან ჩამოსვლის შემდეგ იესომ უბრძანა მოციქულებს — ის, რაც თაბორის მთაზე იხილეს, მხოლოდ მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ეუწყებინათ ხალხისთვის, რაც მათ გააკეთეს კიდეც...

შევთხოვოთ უფალს, რომ ზეციურმა ნათელმა გაალღოს და გაათბოს ცოდვებისგან გაქვავებული ჩვენი გულები. მოციქულთა მსგავსად, ამ დღეს მაინც „ავიდეთ" ქრისტეს წმინდა ეკლესიაში, როგორც თაბორის მთაზე, რათა თითოეულ ჩვენგანში მოხდეს ის სულიერი ფერისცვალება, ურომლისოდაც სასუფეველს ვერ დავიმკვიდრებთ.

# ზოგი რვეულის მავნებელია...

## (მშობლების საყურადღებოდ)



შედარებით უფროსი ასაკის თაობას ემახსოვრება, საბჭოთა პერიოდში როგორ არჩევდნენ ქართულ და რუსეთის, უფრო სწორედ კი, მოსკოვის სასკოლო რვეულებს (მაშინ ასე უწოდებდნენ). „მოსკოვის რვეულების" პატრონს, განსაკუთრებით მოჰქონდა თავი. მერე და მერე, საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, მოსკოვისას ვინ ჩივის, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, ქართული რვეულიც სანთლით საძებარი გახდა. თავის დროზე, თურქეთის ბუმი რომ ატყდა, თუ რამ ხარისხიანი გაგვაჩნდა, ჩვენ თვითონ მიგვქონდა ტრაპიზონისა და სტამბოლის ბაზრებზე გასაყიდად. მას აქეთ, რაც ყველაფერი გავყიდეთ, პირიქით, ყველაფერი თურქეთიდან შემოგვაქვს. ოღონდ, თუ რამე უხარისხოა — კვერცხებით დაწყებული და ელემენტარული სასკოლო რვეულებით დამთავრებული. წერილის დაწერაც სწორედ ამ უკანასკნელმა განაპირობა. სასწავლო წლის მოახლოებასთან დაკავშირებით აგარაკზე მყოფმა ნათესავმა მთხოვა, ბავშვებისთვის სასკოლო რვეულები მეყიდა — ჩამოსვლას გვიან ვაპირებ და მერე ბაზრობებზე სადღა ვირბინოო. თადარიგი კი ნაადრევად დავიჭირე, მაგრამ ბაზრობებსა თუ მაღაზიებში სახელმძღვანელოებისა და სასკოლო ინვენტარის შესაძენად ფუსფუსი უკვე მომატებულიყო. რა თქმა უნდა, „ამ სფეროშიც" ძირითადად, თურქული ნაწარმი იყიდება — თუ შეიძლება ნაწარმი ერქვას მოვალეობის მოხდის მიზნით დამზადებულ ჩანთას, საწერ-კალამს ან სახაზავს. სამაგიეროდ, ძალიან იაფი ღირს... ასევე შედარებით იაფი ღირს თურქული წარმოების რვეულებიც, მაგრამ რად გინდა — ზოგს ურჩხული ახატია, ზოგსაც მოტოციკლეტზე გადამჯდარი ქალი. სწავლა კი არა, ბავშვმა რომ ყოველდღე ამათ უყუროს, რაც იცის, ისიც დაავიწყდება. კიდევ კარგი, ჯერჯერობით, სასკოლო სახელმძღვანელოებს მაინც არ ბეჭდავენ თურქეთში... იქვე, ჩემს გვერდით დახლთან, შუახნის მამაკაცი იდგა და რვეულებს ათვალიერებდა. შევატყვე, ჩემს დღეში იყო, მაგრამ როგორც ჩანს, საკითხს უფრო „სიღრმისეულად" უდგებოდა — რვეულს ფურცლავდა და გავლებულ ხაზებს გულდასმით ათვალიერებდა. ჩანდა, პროფესიონალი იყო და ამ საქმეში აშკარად ჩემზე მეტიც იცოდა. არც შევმცდარვარ — **ვალერი ლობჟანიძე** 30 წელზე მეტია, რაც პოლიგრაფიული ტექნოლოგიების ინჟინერია. შორიდან მოვუარე, — ადრე რვეულები როგორ იბეჭდებოდა-მეთქი.

— ქაღალდისგან დამზადებულ ყველა პროდუქციას თავისი წესი და მეთოდი აქვს — გაზეთი იქნება, შესაფუთი მასალა თუ ელემენტარული სასკოლო რვეული. ამ უკანასკნელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, რადგან რვეულთან ბავშვს ყოველდღიურად უწევს შეხება. ამიტომაც გაზეთივით მისი დაბეჭდვა დაუშვებელია. საბჭოთა პერიოდში ყველანაირ პოლიგრაფიულ პროდუქციას თავისი სტანდარტი, ე.წ. „გოსტი" ჰქონდა. სამწუხაროდ, ისე ვთქვით უარი ყველაფერ ძველზე, რომ ახლით შეცვლაზე არც გვიფიქრია. საერთოდ, ბეჭდვის ათასნაირი მეთოდი არსებობს — ოფსეტური, ღრმა, მაღალი... სასკოლო რვეულებს რაც შეეხება, ამასთან დაკავშირებით სპეციალური ნორმატიული აქტები არსებობდა, რომელიც განსაზღვრავდა, რომ რვეული მხოლოდ წყლის მელნის საღებავით უნდა დაიბეჭდოს. ეს აქტი საკმაოდ მრავალრიცხოვანი კომისიის მიერ იყო შემუშავებული, რომელშიც პოლიგრაფისტებთან ერთად მედიცინის სფეროში დაკავებული მეცნიერები, ბაქტერიოლოგები და თქვენ წარმოიდგინეთ, პედაგოგებიც კი მუშაობდნენ. წყლის მელნის საღებავით ბეჭდვას სპეციალური მანქანა-დანადგარები სჭირდება. ეს მეთოდი იმიტომ შეარჩიეს, რომ წყალი, როგორც გამხსნელი ისე გამოიყენება, შემდეგ კი შრება და რჩება მელანი, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა პიგმენტია. სხვა შემთხვევაში, ოფსეტურად ბეჭდავენ, როგორც ეს თურქულ რვეულებს ეტყობა და საბეჭდ საღებავად და გამხსნელად შედარებით იაფფასიანი ქიმიური ნივთიერებებია გამოყენებული, რაც ადამიანის ორგანიზმისთვის მავნეა.

**— მით უმეტეს, თუ ამ შემთხვევაში მომხმარებელი ბავშვია...**

— რასაკვირველია. ამ ამბავს ხომ დიდი ახსნა და დაკვირვება არ სჭირდება. სასკოლო რვეულთან ბავშვს ყოველდღიური შეხება აქვს, რვეულსაც ხშირად ფურცლავს და მერე იმ ხელსაც უფრო ხშირად იდებს პირში, ვიდრე მოზრდილი ადამიანი. ერთ და ორ დღეში არა, მაგრამ დროთა განმავლობაში, თავის მავნე ზეგავლენას ბავშვის ორგანიზმზე ეს მაინც გამოაჩენს...

**— კი მაგრამ, შეიძლება როგორმე გავარჩიოთ წყლის მელნით დაბეჭდილი რვეული დანარჩენი, ვთქვათ, ოფსეტური წესით დაბეჭდილისგან?**

— რა გითხრა... მე კი ვარჩევ ძალიან ადვილად, მაგრამ ჩვეულებრივ მყიდველს რომ არ გაუჭირდეს, გეტყვი, რომ ახლა ბევრი სხვადასხვა სახის რვეული დავათვალიერე და თურქული ყველა ოფსეტურად არის ნაბეჭდი... სხვებს რაც შეეხება, არის ოფსეტურად დაბეჭდილებიც და სტანდარტული წყლის მელნითაც. მათი გარჩევა ყველაზე ადვილად ხაზების ფერით შეიძლება — ოფსეტურად დაბეჭდილში ხაზები მოცისფროა და ოდნავ უფრო მსხვილია, მელნით დაბეჭდილში კი ისინი ნამდვილი სასკოლო მელნისფერია და შედარებით წმინდა.

...ლოგიკურია, რომ პოლიგრაფიაში ასეთი ექსკურსის შემდეგ თურქული რვეულის ყიდვა გადავიფიქრე და რუსულს დავუწყე ძებნა — ქართულის იმედი არც მქონდა, მაგრამ დახლის მეპატრონესთან გასაუბრებით ამ საქმიდან კიდევ ბევრი ნიუანსები შევიტყვე:

— სასკოლო რვეულებს ბოლო დროს საქართველოშიც ბეჭდავს რამდენიმე საწარმო. წელს კი როგორც ჩანს, რომელიღაც აქაურმა ფირმამ საკმაოდ დიდი პარტია დაბეჭდა, ჩვენთანაც მოაქვთ ხოლმე ჩასაბარებლად, ხარისხით თურქულს ნამდვილად სჯობია — თან, როგორც ამბობენ, რომელიღაც ტრადიციული მეთოდით იბეჭდება. მაგრამ ყველა მუშტარს ახსნას ხომ არ დავუწყებ, რომელი სჯობია და რატომ...

რასაკვირველია, ქართული რვეულები ვიყიდე — რაც არ უნდა იყოს, ქართულია, მით უმეტეს, რომ ეკოლოგიურიც აღმოჩნდა და თან როგორც ბოლოს გაირკვა, თურქულზე ძვირიც არ ღირდა. ალბათ, ღირს დაფიქრება — თუ მაღალი ხარისხის წარმოება ქართველებსაც შეგვიძლია, რატომ ვიწამლავთ თავს უცხოეთიდან შემოტანილი უვარგისი პროდუქციით, ან გასაღების ბაზრად რატომ ვიწოდებით...

***დაჩი გრძელიშვილი***

# თბილისური მოზაიკა

## რალში ოთხი თბილისელი მონაწილეობს

საქართველოში მიმდინარეობს ისრაელის საელჩოს ხელშეწყობით გამართული კონკურსი-რალი სახელწოდებით „უდაბნოს დედოფალი", რომელშიც „ჯიპის" მარკის ავტომანქანებით 42 ისრაელის მოქალაქე მანდილოსანი მონაწილეობს. რალი დავითგარეჯის უდაბნოდან დაიწყო და კავკასიის ქედის მიმართულებით გაგრძელდა. რალის მონაწილენი ერთი კვირის მანძილზე საველე პირობებში იცხოვრებენ. საქართველოს ურთულეს ტრასებზე გამარჯვებული 19 აგვისტოს გამოვლინდება. საინტერესოა, რომ ეს ქალბატონები ამ ასპარეზობაში მონაწილეობისთვის ისრაელში მოწყობილ კონკურსში შეირჩნენ. ამგვარი კონკურსი შარშან ეთიოპიაშიც გაიმართა, რომლის გამარჯვებული საქართველოში გამართულ ასპარეზობაშიც მონაწილეობს. კონკურსანტ მანდილოსანთაგან ოთხი თბილისში დაბადებულ-გაზრდილია! რალს ფართოდ აშუქებს ისრაელის მედია, რომელიც საზოგადოებას იმავდროულად აცნობს საქართველოს ისტორიას და ქართულ-ებრაული ურთიერთობის ტრადიციებსა და ფაქტებს!

## „ვესტერნი" რუსთაველზე

შაბათს, დღისით-მზისით, რუსთაველის პროსპექტზე გამვლელები წმინდა წყლის „ვესტერნული" სიუჟეტის თვითმხილველნი გახდნენ. მელიქ-აზარიანცის სახლისკენ რამდენიმე შეიარაღებულ ბანდიტს პოლიცია მისდევდა გახურებული ორმხრივი სროლის თანხლებით. ბანდიტები რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ოქროულობის მაღაზიას დაეცნენ, თანამშრომლები იატაკზე დააწვინეს და მაღაზია გაძარცვეს. შემთხვევა უმალ გახდა ცნობილი პროსპექტზე მყოფ პოლიციის პატრულისთვის, რომელიც დაედევნა მძარცველებს. დაიჭრა ერთი პოლიციელი (მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება). ერთი ბანდიტი დააკავეს. მიმდინარეობს გამოძიება და პოლიცია გაქცეულ ორ ბანდიტსაც ეძებს უკვე! რაღაც სასწაულით, ხალხმრავალ პროსპექტზე მომხდარი სროლისას არც ერთი გამვლელი არ დაშავებულა!

## „მოგზაური" ხვლიკი

ჩუღურეთში ერთ-ერთმა დიასახლისმა ჭურჭლის რეცხვის დროს ონკანიდან სასმელ წყალს გამოყოლილი პატარა... ხვლიკი აღმოაჩინა(!) შეშფოთებულმა დიასახლისმა უმალ მიმართა შესაბამის სამსახურებს, თუმცა რეაგირება არავის მოუხდენია. წყალკანალის წარმომადგენლები კი ირწმუნებიან, რომ ონკანის წვრილ მილში პატარა ხვლიკი ასეთ „მოგზაურობას" ვერ შეძლებდა და იგი აუცილებლად სადმე გაიჭედებოდა და მოკვდებოდაო...

# „პუტანკების სტაიანკა", „საყვარელი" სიდედრის სილა და...



სულაც არ ვაპირებ მნიშვნელოვან პრობლემაზე — პროსტიტუციაზე საუბარს, თუმცა, სტატიის მთავარი გმირები ჩვენი დედაქალაქის ცენტრალური ქუჩების „დამპყრობლები" — მეძავები არიან, რომლებიც თურმე არაერთი დარბაისელი მამაკაცის „უბედურების" მიზეზი გამხდარან... აბა, წარმოიდგინეთ, რა დაემართება ცოლიან მამაკაცს, რომელიც საღამოს, ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე, შარაგზაზე ასვეტილ მეძავს ზედ ფეხებთან დაუმუხრუჭებს მანქანას, უბრალოდ რაღაცას ჰკითხავს და წასვლას რომ დააპირებს, სწორედ მაშინ გააწნავს სილას „საყვარელი" სიდედრი. ეს ყველაფერი ერთი ჩვეულებრივი გამოკითხვის დროს შევიტყვე. გადავწყვიტე, თბილისელი მამაკაცების აზრი გამეგო და მათ ერთადერთი კითხვით მივმართე — რა ასოციაციას იწვევენ თქვენში თბილისის ცენტრალურ ქუჩებში დღისით-მზისით გამოფენილი მეძავები?

**კოტე** (45 წლის): — სიდედრს მახსენებენ, „საყვარელ" სიდედრს, რომლის წყალობითაც კინაღამ ოჯახი დამენგრა. შარშან, ზუსტად ეს დრო იყო, გამსახურდიას გამზირზე მივდიოდი მანქანით; ფანასკერტელზე უნდა ავსულიყავი, მაგრამ აღარ მახსოვდა, ბახტრიონის ქუჩის ზემოთ იყო თუ არა. უცებ მანქანა დავამუხრუჭე და იქვე მდგომ ქალს, რომელიც თურმე ბოზი ყოფილა, ვკითხე, აქედან ფანასკერტელზე ავალ თუ არა-მეთქი? გამიღიმა და მიპასუხა — უჩემოდ ვერა, ჩემთან ერთად კი სულ ფრენით ახვალო. ჩემდა ჭირად, მის გამოწვევას ავყევი და საუბარი გაგვიგრძელდა. აქეთ მეხვეწებოდა, მე კი უარზე ვიყავი. წასვლა რომ დავაპირე, სწორედ მაშინ ვიგრძენი სახეში საშინელი დარტყმა. დღესაც არ ვიცი, იქ რა ჯანდაბა უნდოდა ჩემს სიდედრს... მეტი აღარ გამახსენოთ. მეუღლე 6 თვის მერე ძლივს შევირიგე.

**ზვიადი** (32 წლის): — უჰ, მაგათი დედა... პოლიციასთან არიან შეკრულები. რა გამიკეთა ერთმა, იცით? წინ გადამიხტა, კინაღამ დავეჯახე. მანქანა გავაჩერე და ვუყვირე. უცებ, თვალის დახამხამებაში დამადგა თავზე პოლიცია — აქ გაჩერება არ შეიძლებაო და ჯარიმა გადამახდევინა. მაგასთან რომ დრო გამეტარებინა, უფრო იაფი დამიჯდებოდა, ვიდრე ის ჯარიმა (იცინის).

**ლუკა** (30 წლის): — მაგარი ბანძები არიან. წაიყვანონ, შერეკონ სადმე ყველანი ერთად და თუ ვინმეს მაგათი ნახვა მოუნდება, იქ მიადგეს. ჩემი ბიჭი 7 წლისაა, მასთან ერთად თამარ მეფის გამზირზე ვერ გამივლია მანქანით. კითხვებით ტვინს მიბურღავს — მამიკო, რატომ დგანან ბოზები ქუჩაში, ან არ სცივათ ან არ სცხელათ? მამიკო, რატომ ჰქვიათ ბოზებს პრასტიტუტკები და პუტანკები? მამიკო, სახლი არა აქვთ, სულ ქუჩაში რომ დგანანო და ა.შ. კაცი არ გამოჩნდა ისეთი, რომ ამ პრობლემის მოგვარებას საშველი დაადგეს.

**ბექა** (19 წლის): — ამას წინათ მანქანით მივდიოდი საქმეზე. ჩემმა ცოლმა დამირეკა, სადღაც მიყვანა მთხოვა. მე ვუთხარი, გამსახურდიას გამზირზე „ელექტრონიკასთან" დამელოდე, გზის მეორე მხარეს-მეთქი. რომ შევხვდი, გადარეული დამხვდა — რა უბედურებაა, შევწუხდი, შენმა ძმაკაცებმა გამოიარეს და მკითხეს, აქ რა გინდაო? ვუპასუხე, ბექას ველოდები-მეთქი. იმათ მითხრეს, სხვა ადგილზე დაელოდეო. მეუღლე ჩემგან ითხოვდა ახსნა-განმარტებას. პასუხი კი თავად მეგობრებისგან მივიღე — თურმე „პუტანკების სტაიანკაზე" დამიყენებია ჩემი ცოლი. რა უბედურებაა, გამსახურდიას გამზირზეც ბოზები უნდა იდგნენ? თამარ მეფის გამზირი ხომ რა ხანია აიღეს...

P.S. მართლაც რა უბედურებაა, ტრანსპორტის მოლოდინში, ქუჩაში თამამად ვეღარ დავმდგარვართ.

***ეკა ლომიძე***

**მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ შეიარაღებული კონფლიქტის განახლება დაუშვებლად მიიჩნია და გულდამშვიდებული დაბრუნდა კოდორიდან, პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი მორიგ შეტაკებას არ გამორიცხავს, რაც საფუძველს მოკლებული სულაც არ არის. რუსეთს ერთი სული აქვს, როდის მიიტაცებს ხახაში გაჩხერილ სტრატეგიულ ობიექტს — ერთ დროს სასწაულად გადარჩენილ კოდორის ხეობას. ფაქტია, რომ აფხაზეთის დაბრუნების პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს და პარტიზანებშიც თანდათან ქრება ბრძოლის სურვილი. ბევრმა მათგანმა ხელიც ჩაიქნია. სახეზეა პარტიზანებს შორის არსებული განხეთქილებაც, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩრდილში იყო მოქცეული. პარტიზანული შენაერთის შტაბის უფროსი ანდრო გაჩეჩილაძე თავის თავს უკვე ყოფილ უფროსს უწოდებს და საერთოდ დაკარგული აქვს იმედი, რომ საჭიროების შემთხვევაში მისი ბიჭები კიდევ აიღებენ ხელში იარაღს. სწორედ ის ესაუბრა „კვირის პალიტრას“ დღემდე უცნობ დეტალებზე.**



# — თორმეტი წელი ომში გავატარე და, თურმე ქალმა უნდა მასწავლოს, როგორ უნდა ვიომო...

## ინტერვიუ პარტიზანთან, ცნობილი მოვლენების უცნობ დეტალებზე...

**— ბატონო ანდრო, გასულ კვირას კოდორის ხეობა ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. არადა, შეიარაღებულმა აფხაზურმა რაზმებმა სწორედ მაშინ გახსნეს ცეცხლი, როდესაც ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ჭუბურხინჯში მოლაპარაკება მიდიოდა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ, რა მოხდა სინამდვილეში?**

— მარუხის უღელტეხილზე შეტაკება პირველი შემთხვევა არ არის. ჯერ კიდევ შარშან, აგვისტოს თვეში მოხდა ამგვარი ფაქტი ჩვენს მესაზღვრეებსა და ე.წ. აფხაზურ დესანტს (სინამდვილეში რუსები იყვნენ გადმოსული) შორის. ალბათ, გახსოვთ, ერთი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა. მერე ჩვენი სპეცრაზმი ჩავიდა სიტუაციის დასარეგულირებლად. დღესაც იგივე განმეორდა... უფრო ზუსტად, დესანტის გადმოსხმა მარუხის უღელტეხილთან მოხდა, უკონტროლო ტერიტორიაზე. რაც შეეხება ჩხალთას, ჩხალთასთან მერე ამოვიდნენ. გაითვალისწინეთ, რომ ცოტა ხნის წინ რუსებმა სამშვიდობო ჯარის ასეული გადმოსხეს — ჩხალთის გაკონტროლება გვინდაო, ახლა კი აფხაზები შემოუშვეს. ეს არის, ჩემი აზრით, წინასაომარი მზადება რუსეთის მხრიდან. თვითონ აფხაზეთი იმ რეალურ ძალად არ მიმაჩნია, რომ ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევა შეეძლოს. შეიძლება რადიკალური მოგეჩვენოთ ჩემი განცხადება, მაგრამ მე სამხედრო კაცი ვარ და ძალიან კარგად მესმის, რომ რეალურად აფხაზეთის მშვიდობიანი დაბრუნება გამორიცხულია. არც ერთი იდიოტი არ დაგიბრუნებს თავისი ნებით იმას, რაც ძალით აქვს წართმეული... ეს მოლაპარაკებები გაიწელება უსასრულოდ, ზოგჯერ ჩაიშლება, ზოგი იმას იტყვის, ზოგი ამას... სასამართლო რომ გაჭიანურდება ხოლმე და ვერაფერი გადაწყდება, ასე მოხდება. რატომ, იცით? საკითხი სხვაგვარად უნდა დავსვათ — ანუ ვის აძლევს ხელს დღეს მშვიდობა აფხაზეთში?! იმას, ვინც ამით სარგებლობს. ზუგდიდის ბაზარი ყველაზე იაფია, იმიტომ, რომ კონტრაბანდა შემოდის აფხაზეთიდან. სიგარეტის 90%-ს ვინ აკონტროლებს, თუ იცით?! ვინც ღამით ხვდება ენგურის გადასასვლელთან... ზუგდიდში მანქანის გატაცება წესად იქცა. მეორე დილით, მანქანა უკვე გალში და ოჩამჩირეშია. ვის შეუძლია ამის გაკეთება?! ვისაც ფორმა აცვია და ვინც სიტუაციას აკონტროლებს, იმავე პოლიციას, თუნდაც ზოგიერთ პარტიზანს.

**— სხვათა შორის, ჩემი ინფორმაციით, პარტიზანებს შორის არის დაპირისპირება.**

— პარტიზანებს შორის კი არ არის დაპირისპირება, უბრალოდ, არიან პარტიზანები და არიან ისინი, ვინც პარტიზანობას იბრალებენ.

**— ვის გულისხმობთ, ვინ იბრალებს?**

— მაგალითად, მე არსად შემხვედრია სამუშიას არც ერთი მეომარი. იმავე შენგელიას რომ ჰკითხოთ (ისე, ამბობენ, შენგელიასაც ბევრი ცოდვები აქვსო — კორუფციას აბრალებენ, კონტრაბანდას...), მის ხალხსაც არ უნახავს თვალით სამუშიას „პარტიზანები“! ან თვითონ სამუშია ვინ არის, რას წარმოადგენს ეს „თეთრი ლეგიონი“! ან ეს ხალხი, რომელიც ყოველდღე იქ არის... გინდა კაკულიას ჰკითხეთ, ან ვისაც გინდათ, კაციშვილმა არ იცის... რამდენჯერმე შევსწრებივარ, ტელევიზორს რომ ვუყურებდით, როგორ აფურთხებდნენ პარტიზანები ტელევიზორს, სამუშიაზე რომ მიდიოდა საუბარი.

**— ეი. სამუშია თვითმარქვია პარტიზანია?**

— თვითმარქვია არ არის. ვერავინ აიღებს ამდენს თავის თავზე, თუ მის უკან ვიღაც არ დგას. ჩემი გამოცდილებით (მოგეხსენებათ, ადრე თავდაცვის სამინისტროში, დაზვერვაში ვმუშაობდი, ვიყავი თანამდებობის პირიც), სამუშია უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელია.

**— რაში სჭირდება უშიშროებას ისეთი წარმომადგენელი, რომელიც არაფერს აკეთებს?**

— არა, როგორ არ აკეთებს. არის საჭირო ფიგურა, რომელთანაც ვიღაც უცოდინარი ან მართლა მიამიტი მივა, ისიც რაღაცას ეტყვის. ან, ვთქვათ, დასჭირდათ ფულის გათეთრება...

**— გინდათ თქვათ, რომ უშიშროების სამინისტროს დასჭირდება ფულის გათეთრება?**

— ღრმად კი შევიჭერი, მაგრამ ნებისმიერ წარმოებას, რომელიც დღეს საქართველოში მუშაობს, აკონტროლებს შსს ან უშიშროება. ყველასთან წილშია. უბედურ პოლიციელებს კი არ ვგულისხმობ — ქუჩაში რომ დგანან, თვეობით, წლობით რომ არ მიუღიათ ხელფასი და იძულებულნი არიან ხალხი გაყვლიფონ, ვგულისხმობ თანამდებობის პირებს.

**— ანუ ეს პარტიზანები, რომლებიც სინამდვილეში არ იბრძვიან, დაკავებულნი არიან კონტრაბანდული ბიზნესით?**

— რა თქმა უნდა. თუმცა მე მაგათ პარტიზანებს ვერ ვუწოდებ. რა შემოდის და როგორ შემოდის, მე ენგურზე არ ვზივარ და არ ვიცი, მაგრამ, მაგალითად, ძალიან ბევრი დევნილი მაგით ინახავს თავს, სოხუმამდეც კი ჩადიან, იქ ყიდულობენ რაღაცას და მიუხედავად იმისა, რომ აქ მცირე შემოსავალია, ამათაც არ აცლიან ლუკმაპურის შოვნას — პატარ-პატარა დაჯგუფებები ენგურთან ხვდებიან ქალებს და წილს ართმევენ. ზონებიც კი გაყოფილი აქვთ. მაგალითად, ვინც რუხის ხიდის მაღლა მუშაობს, ის არ ჩავა ოტობაიაში და ა.შ.

**— როდესაც პარტიზანული ბრძოლა ან რომელიმე ოპერაცია მიმდინარეობს, მაშინ სად არის ეს ხალხი?**

— მაგალითად, შარშან, დათო შენგელიას პარტიზანებიდან ჩემთან ექვსი კაცი იყო. დანარჩენები სად იყვნენ, არ ვიცი.

**— რადგან სიტყვამ მოიტანა, ამ ცოტა ხნის წინ გახმაურდა დაკავებულ იარაღთან დაკავშირებით კანონიერი ქურდის შაქრო კალაშოვის და უშიშროების მაიორის სიმონ მჭედლიძის გვარები. თუმცა დათო შენგელია აცხადებს, რომ იარაღი მისია და ის პარტიზანებისთვის იყო განკუთვნილი. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— მე შემიძლია გითხრათ, რომ საერთოდ, რა იარაღიც გამოგვიგზავნა შარშან შენგელიამ, არც ერთმა არ ივარგა. მე იმას კი არ ვამბობ, რომ შენგელიამ ეს განგებ გააკეთა, უბრალოდ, იყიდა და გამოუსადეგარი აღმოჩნდა. 100 ლარად რომ იყიდი ავტომატს, ივარგებს? რაც შეეხება აღნიშნულ შემთხვევას, ძალიან კარგად ვიცი, რას წარმოადგენს ის რაკეტები, რომელიც დაკავებული იქნა: დაახლოებით მეტრი და ოცი სანტიმეტრი აქვს სიგრძე, 25 კგ-იანი მართვადი რაკეტაა, ტანკს აპობს შუაზე. იმდენად დახვეწილია, ძალიან უცოდინარი უნდა იყო, რომ მიზანს ააცდინო. მაგრამ ისმის კითხვა, რაში სჭირდებოდა შენგელიას ეს იარაღი? გალის რაიონში, იგივე ოჩამჩირეში, ვერც გამოიყენებდა და არც გამოიყენებდა. იქ მძიმე ტექნიკა არ არის. შენგელია ვერ დამარწმუნებს, რომ, ვთქვათ, ამ იარაღს ოჩამჩირეში გადაიტანდა და იქ დაარტყამდა მძიმე ტექნიკას. აფხაზეთში არსად დადის ტანკები.

**— ანუ გამორიცხავთ, რომ ეს იარაღი შენგელიასი იყო?**

— არა, კი არ გამოვრიცხავ, უბრალოდ, კითხვას ვსვამ — რად უნდოდა შენგელიას იარაღი, რომელსაც ვერ გამოიყენებდა?! პარტიზანს ეს იარაღი არ სჭირდება... ნადარეიშვილი-შენგელია, შენგელია-ნადარეიშვილი ერთი და იგივეა. დაკავებულები არიან თხილის, სიგარეტისა და ბენზინის ბიზნესით.

**— თქვენი, შენგელიას და სამუშიას ურთიერთობა როგორია?**

— სამუშიას საერთოდ არ ვიცნობ, ხომ გითხარით, შენგელიასთან კი შარშან, კოდორის ხეობაში მომხდარი ფაქტის შემდეგ გამოვხატე ჩემი პრეტენზიები. ძალიან ცუდად დავშორდით.

**— რაზე იდავეთ?**

— მან არ შეასრულა ის პირობა, რაც პარტიზანული შენაერთის შტაბს მისცა.

**— რას შეჰპირდა?**

— მომარაგებას — ხალხით, იარაღით და ა.შ. ის, რაც მოიტანა, ზღვაში წვეთი იყო.

**— თვითონ რა გიპასუხათ?**

— უარი არც არასოდეს უთქვამს. კი, ხვალ, ზეგ, კი, ვმუშაობთ — აი, ასე გვპასუხობდა. ვფიქრობ, რომ მოგვატყუა.

**— რა ინტერესი ჰქონდა?**

— ამ პერიოდს დაემთხვა 11 სექტემბერი და ძალიან შეშინდა ხალხი, მაშინ ხომ ტერორისტებად გამოაცხადეს ყველა და დავრჩით მარტო.

**— მოდით, ისევ კოდორს დავუბრუნდეთ. აი, ახლა განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით თქვენ, პარტიზანებს რა პოზიცია გიკავიათ?**

— იცით, ის ენთუზიაზმი, რომელიც შარშან აგვისტო-სექტემბერში იყო, აღარ არსებობს. არა მგონია, წელს ვინმე შეცდეს და წავიდეს საბრძოლველად. მეც რომ ვეხვეწო ჩემს ბიჭებს, წამოდით-მეთქი, არც ერთი არ წამოვა. რატომ, იცით? დღეს საქართველოში ადამიანი აღარ არსებობს, ვისაც ვენდობით. შარშან თვე-ნახევარი ვიყურყუტეთ, მაინც ჩავედით, მაინც დავარტყით; ძალიან დიდი მსხვერპლიც იყო, მაგრამ რა?!

**— სხვათა შორის, ამ ცნობილი გადასვლის დეტალებზე აღარსად უსაუბრიათ. იქნებ გვითხრათ, რა მოხდა სინამდვილეში — ამბობდნენ, რომ ჩეჩნები გეხმარებოდნენ, სოხუმთან იბრძოდით, მერე ეს ჩეჩნები გაქრნენ და ყველაფერი მიჩუმდა...**

— ვინ დაგეგმა ეს ოპერაცია, ამას რა გეტყვით, მაგრამ დამიჯერეთ, რომ მთავრობის დაგეგმილი არ იყო. თავიდან ბოლომდე, სულ სამმა კაცმა იცოდა სრული ინფორმაცია. არც კვიციანმა იცოდა. ერთი გელაევი იყო, მეორე მე და მესამე — ვინც ყველაზე ჩახედული გახლდათ და ვისაც მოუვიდა აზრად.

**— საუბარი იყო, რომ კახა თარგამაძემ დაგეგმა...**

— ღმერთმა დამიფაროს! არც „საშიშროებასთან“, არც უშიშროებასთან კავშირი არ მაქვს... ერთი სიტყვით, დაგეგმილი იყო, რომ ერთ კვირაში უნდა მოთავებულიყო ყველაფერი.

**— ახლა არ მითხრათ, რომ ერთ კვირაში უნდა დაგებრუნებინათ აფხაზეთი...**

— არა. ოპტიმისტები კი ვართ, მაგრამ რეალისტებიც. ჩვენ უნდა აგვეღო წებელდა და მერე — ტყვარჩელი. სოხუმის აღება არაფერს არ გვაძლევდა. სოხუმი უნდა დაბომბილიყო, გაგრაც, გუდაუთაც, მაგრამ ძირითადი აქცენტი იყო წებელდაზე. წებელდა სტრატეგიულად ისეთი პლაცდარმია, რომ მაგის აღების შემდეგ ვერავინ ველარ გამოგვაგდებდა იქიდან. ერთი გზა არის. 10 კგ ასაფეთქებელი ჩამოზვავდებოდა და ჩაიკეტებოდა ეს გზა. რჩებოდა პატარ-პატარა ბილიკები, რომელსაც გავაკონტროლებდით.

*(დასასრული იხ. გვ. 10)*

# თელასის მაღალჩინოსნის ბურუსით მოცულ საქმეში „ეფ-ბი-აი“ ჩაერთვება

გასულ კვირას საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს „თელასის“ ფინანსური მენეჯერი ნიკა ლომინაძე. სავარაუდოდ, მას „მაკაროვის“ ტიპის იარაღიდან თავის არეში ჰქონდა ნასროლი ერთი ტყვია. უცნობია მკვლელობის მოტივი, თუმცა გამოძიება გამორიცხავს ძარცვის ვერსიას, რადგან ბინიდან არაფერი წაუღიათ. სამართალდამცველები ამ მკვლელობას უფრო დალუპულის საქმიანობას უკავშირებენ, თუმცა, დღესდღეობით, რაიმე კონკრეტულ ვერსიაზე ან დეტალებზე საუბარი არ შეუძლიათ. შსს-მ 20 ათასი ლარი დააწესა იმისთვის, ვინც მკვლელობის შესახებ ინფორმაციას მიაწოდებს. ამ დღეებში ძიებაში ჩაერთვება „ეფ-ბი-აიც“.

ჯერჯერობით ცნობილია, რომ გასული კვირის ორშაბათს ნიკა ლომინაძე მეგობართან ერთად რესტორანში წავიდა სავახშმოდ. უკან დაბრუნებისას „ოპელის“ ტიპის მანქანა ავტოსადგომზე დააყენა. იმ ღამეს ბინაში მარტო იმყოფებოდა, რადგან ცოლ-შვილი აგარაკზე ჰყავდა გაგზავნილი. საბედისწერო დღეს მეუღლემ რამდენჯერმე დაურეკა როგორც მობილურზე, ისე ბინის ტელეფონზე. არავის უპასუხია. შემდეგ იგი თბილისში მცხოვრებ ნიკა ლომინაძის სიძეს დაუკავშირდა და სთხოვა, გაერკვია, რა ხდებოდა. ბინაში მისულ სიძეს შესასვლელი კარი ღია დაუხვდა, ოთახში კი საზარელი სურათი გადაეშალა თვალწინ — ნიკა ლომინაძის ცხედარი სკოტჩით ხელ-ფეხშეკრული და თავზე ზეწარგადაფარებული ეგდო.

ვაკე-საბურთალოს პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრა. ჩვენი ინფორმაციით, ტყვიის გულას გარდა, ნივთმტკიცების სახით აღებულია თითის ანაბეჭდიც. საბოლოო პასუხს ამ დღეებში ექსპერტიზა დაადგენს. თუმცა გამოძიება ამაზე კომენტარს არ აკეთებს. რაც შეეხება მკვლელობის ვერსიას, ლომინაძის თანამშრომლები მას პატიოსან ადამიანად ახასიათებენ. თუ თანამშრომლების სიტყვებს ვენდობით, ის მართლაც პატიოსნად მუშაობდა, შეიძლება ითქვას, რომ სხვებს ფულს არ „აკეთებინებდა“ და ამიტომ თავიდან მოიშორეს. ისე კი, თუ ამ ვერსიას დავეყრდნობით, იგნასიო ირიბარენს ეს ნაკლებად ეხება, უფრო ქვედა ინსტანციები, შედარებით დაბალი თანამდებობის პირები უნდა ვიგულისხმოთ. აქვე უნდა ითქვას, რომ სამართლადამცველებისთვის „თელასის“ კომერციულ დირექტორს, კამილ აივაზოვს არ დაუმალავს, ნიკა ლომინაძე ბოლო ერთი კვირის განმავლობაში გულჩათხრობილი დადიოდაო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კვირიდან „ეფ-ბი-აიც“ შეუდგება მუშაობას, გამოძიების ეფექტურობა საეჭვოა, თუნდაც იმიტომ, რომ მკვლელობის ადგილი არ დალუქულა და იქ რაიმე ანალიზის გაკეთება თუ ექსპერტიზის ჩატარება საკმაოდ ძნელი იქნება. პრინციპში, ეს არ ითქმის ნიკა ლომინაძის სამუშაო ოთახზე, რომელიც მკვლელობის გახმაურებისთანავე გამოძიებამ დალუქა. თუმცა, თუ მკვლელი თავად „თელასიდან“ არის, არ არის გამორიცხული, მას ლომინაძის სამუშაო ოთახის გასაღებიც ჰქონოდა და გარკვეული დოკუმენტაცია თავის სასარგებლოდ შეეცვალა.

გასული კვირის ბოლოს ნიკა ლომინაძის ცხედარი მისმა ოჯახმა ოზურგეთში, საგვარეულო ეკლესიაში გადაასვენა. „სამსახურის გამო მოგვიკლეს შვილი“, — აცხადებენ გარდაცვლილის მშობლები, თუმცა ვერც მათ მიაწოდეს გამოძიებას რაიმე ხელჩასაჭიდი დეტალი. მისი სირთულიდან გამომდინარე, საქმე ვაკე-საბურთალოს პროკურატურიდან ქალაქის პროკურატურას გადაეცა. „კვირის პალიტრა“ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურის გამომძიებელს, **ზვიად უზნაძეს** ესაუბრა.

**— ბატონო ზვიად, გამოირიცხა ძარცვის ვერსია?**

— ჩემი აზრით, ეს მკვლელობა მის სამსახურს უკავშირდება.

**— ის მუშაობდა როგორც „კვარციტში“, ასევე „თელასში“. უფრო საით მიდის კვალი?**

— ამის თქმა რთულია, მაგრამ „კვარციტში“ ორი წლის წინ მუშაობდა, თუ რამე პრობლემა იყო, ორი წლის წინ უნდა ყოფილიყო. უფრო — „თელასისკენ“. ის ფინანსური მენეჯერი იყო და დიდ თანხებთან ჰქონდა შეხება.

**— გავრცელდა ასეთი ინფორმაცია, რომ „თელასში“ მისი კაბინეტიდან რაღაც ფინანსური დოკუმენტაცია დაიკარგა.**

— ჩვენი მხრიდან რაიმეს თქმა ნაადრევია, ჯერ შემოწმება უნდა ჩატარდეს. ამ დღეებში „ეფ-ბი-აიც“ ჩაერთვება გამოძიებაში. ჯერჯერობით კი თქვენი ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.

**— სახლიდან თუ დაიკარგა რაიმე საბუთი?**

— არა, ყველა საბუთი ადგილზე გახლდათ, არც რაიმე მნიშვნელოვანი თანხა ან ფასეულობა დაკარგულა.

**— თუმცა ითქვა, რომ მისი სამუშაო უჯრა არეული იყო...**

— კი, მაგრამ მსუბუქად. რაიმე დანაკარგი, კიდევ ვიმეორებ, არ არის.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს იგნასიო ირიბარენის დასაშინებლად იყო გაკეთებული?**

— არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა.

**— თვლით, რომ მკვლელობა ბურუსით არის მოცული და მისი გახსნა საკმაოდ რთულია?**

— შეიძლება ითქვას, კი.

*მარინა მამისაშვილი*

# რკინიგზა სასამართლოს სერიოზულ ბრალდებებს უყენებს

## — პრინციპის საქმეა, თორემ ამ სადავოდ გახდილ თანხას სულ ვაჩუქებთ ჩხაიძეს...



საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, **აკაკი ჩხაიძესა** და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შორის ურთიერთობა დღითი დღე იძაბება. სიტუაციამ კულმინაციას მას შემდეგ მიაღწია, როცა რკინიგზის დეპარტამენტის სარჩელი, რამდენიმე მილიონ ლართან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა და საქმე ხელახალ ძიებაში დააბრუნა. ამ გადაწყვეტილებით განრისხებულმა ჩხაიძემ თავის ყოვლისშემძლე მფარველ პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს, ოფიციალური წერილით მიმართა.

გთავაზობთ ნაწყვეტებს აღნიშნული წერილიდან: „დღეს, როდესაც თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით და ძალისხმევით მიმდინარეობს კორუფციასთან შეურიგებელი ბრძოლა, ცხადია, უკანონობისადმი ყოველგვარი ხელშეწყობა, მით უმეტეს, თუ ეს ეხება სახელმწიფო სახსრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გასხვისებას, ხოლო ხელშემწყობია ისეთი განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილი უწყება, როგორიცაა საქართველოს უზენაესი სასამართლო, უნდა იქნეს მიჩნეული საგანგებო მოვლენად... საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (თავმჯდომარე მ. წაქვაძე) სხვა მეტად საეჭვო პირთა საამებლად გააუქმა აჭარის უმაღლესი სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა აჭარის უმაღლეს სასამართლოს, რითაც აშკარად შეუწყო ხელი დაინტერესებულ, საეჭვო პირებს, რათა თავი დააღწიონ ჩვენთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას“ (სტილი დაცულია).

ამ წერილის საპასუხოდ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ **მურმან წაქვაძემ**, ბატონ ლადო ჭანტურიასთან შეთანხმებით, არანაკლებ ძლიერი სვლა გააკეთა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ხათუნა ჩარკვიანის თქმით, „მურმან წაქვაძემ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და გაუგზავნა შესაბამისი მასალები იმის თაობაზე, რომ რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მას ფიზიკური ანგარიშგასწორებით დაემუქრა; ამასთან ერთად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აკაკი ჩხაიძის კომპრომატი მიაწოდა შესაბამის ორგანოებს“. როგორც რკინიგზის დეპარტამენტში შევიტყვეთ, პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე ჩხაიძის მუქარის მიმართ არ აღუძრავს. დამამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო საქმე შეწყდა.




იმის გასაგებად, თუ რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს დიდჩინოსნები, რკინიგზის დეპარტამენტს ვეწვიეთ. აკაკი ჩხაიძის თანაშემწემ, ლევან სულაძემ, ჩხაიძის დანაბარები გადმოგვცა, — დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსი გიორგი ნადარეიშვილი ყველაფერს აგიხსნით და მისი მონათხრობი ჩემს ნათქვამად მიიჩნიეთო. სხვა რა გზა გვქონდა. ამასაც არ ველოდით, რადგან უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები ერთმანეთთან დაპირისპირებას ჟურნალისტებს და საზოგადოებას უმალავენ, ურჩევნიათ, ჩუმად მოაგვარონ პრობლემები.

**გიორგი ნადარეიშვილი**: „2000 წლის 31 დეკემბერს საქართველოს რკინიგზასა და კომპანია „ალეგრანტრანს ლიმიტედს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების თაობაზე. რკინიგზამ ივალდებულა საქართველოს რკინიგზით შემოსული ნავთობპროდუქტების, ძირითადად ნედლი ნავთობით დატვირთული ვაგონ-ცისტერნების, აზერბაიჯანის საზღვრიდან ბათუმში ჩატანა და „ალეგრანტრანს ლიმიტედისათვის“ გადაცემა. სხვა საკითხებთან ერთად „ალეგრანტრანს ლიმიტედმა“ იკისრა პასუხისმგებლობა, ისე მოეწესრიგებინა საქართველოში ტვირთის შემოზიდვა, რომ ვაგონები არ მომცდარიყო. ამ მიზნით, ტვირთის გამომგზავნისგან (მასთანაც ჰქონდა გაფორმებული სათანადო ხელშეკრულება) შეეძლო მოეთხოვა მხოლოდ იმ რაოდენობის ნედლი ნავთობის გამოგზავნა, რომლის მოთავსებაც ნავთობის ტერმინალში შეიძლებოდა. „ალეგრანტრანს ლიმიტედმა“ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, არ მიიღო სათანადო ზომები — ტერმინალის გადატვირთვის შემთხვევაში, ტვირთგამომგზავნებისათვის ეცნობებინა, რომ დროებით შეეჩერებინათ ნავთობპროდუქტების გამოგზავნა. ამან გამოიწვია 3 ათასი ნავთობპროდუქტით დატვირთული ვაგონ-ცისტერნის საქართველოს რკინიგზის სხვადასხვა სადგურში თვეობით და მეტი ხნითაც მოცდენა.

**— ხომ შეგეძლოთ, ამის თაობაზე გაგეფრთხილებინათ ტვირთის გამომგზავნი კომპანია, ან საერთოდ არ მიგეღოთ ნავთობი ადრე გამოგზავნილი ცისტერნების დაცლამდე?**

— გაფრთხილება ჩვენ არ გვევალება. ეს უნდა გაეკეთებინა „ალეგრანტრანს ლიმიტედს“. „ტვირთის საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ“ შეთანხმების სამსახურებრივი ინსტრუქციის შესაბამისად, საქართველოს რკინიგზას უფლება არ ჰქონდა ტერმინალში თავისუფალი ადგილის უქონლობის მოტივით უარი ეთქვა ტრანზიტული ტვირთის მიღებაზე; უარის შემთხვევაში, მას დაეკისრებოდა დიდი საჯარიმო სანქციები. საქართველოს რკინიგზა ვალდებულია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თითოეული ცისტერნისთვის ჯარიმის სახით გადაიხადოს 7 შვეცარიული ფრანკი. თუ ვაგონი მოცდა 16-დან 30 დღემდე, მაშინ ჯარიმა სამმაგდება, ხოლო 30 დღის ზემოთ — ათმაგდება. სწორედ „ალეგრანტრანს ლიმიტედის“ უპასუხისმგებლობის გამო დაგვაჯარიმეს 6.5 მლნ ლარით იმ ქვეყნების რკინიგზებმა, რომელთა ვაგონებიც მოცდა. საქართველოს რკინიგზამ უკვე გადაიხადა 3 მლნ-მდე ლარი. ეს კატასტროფულად აუარესებს საქართველოს რკინიგზის საფინანსო ეკონომიკურ მდგომარეობას. ამიტომ სარჩელით მივმართეთ სასამართლოს, დაეკისრებინა „ალეგრანტრანს ლიმიტედისათვის“ ჩვენი ზარალის ანაზღაურება.

**— ვინ არის კომპანია „ალეგრანტრანს ლიმიტედის“ მფლობელი?**

— ნავთობის ტერმინალიც და „ალეგრანტრანს ლიმიტედიც“ ასლან აბაშიძის კუთვნილებაა. უფრო სწორად, აბაშიძე ამ კომპანიის წილს ფლობს. დანარჩენი მეწილენი, როგორც ამბობენ, მოსკოველი კანონიერი ქურდები არიან. როცა ბათუმში, სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ, რკინიგზის კომერციულმა დირექტორმა თემურ ტვილდიანმა მითხრა, — ვისაც ჩვენ ვუჩივით, ის კომპანია ასლან აბაშიძისა ყოფილა და აქ ამ საქმეს აჭარაში არავინ მოგვაგებინებსო. დავამშვიდე, — რადგან კომპანია აჭარაშია რეგისტრირებული, წესით, პირველად სარჩელი აქ უნდა შევიტანოთ. თუ გაგვამტყუნეს, შემდეგ გავასაჩივრებთ თბილისში-მეთქი. აჭარის უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრებს განაჩენის გამოტანამდე უკითხავთ აბაშიძისთვის, — როგორ მოვიქცეთო. მას უპასუხია, — სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანეთ. ეს რკინიგზა საქართველოსია და ჩვენც ხომ საქართველო ვართო. მოკლედ, აჭარის უზენაესმა სასამართლომ „ალეგრანტრანს ლიმიტედს“ 6.5 მლნ-ის საქართველოს რკინიგზის სასარგებლოდ გადახდა დააკისრა. შემდეგ კომპანიამ ეს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. მოხდა გასაოცარი ფაქტი. ჯერ თითქმის ორი თვე გაჭიანურდა სასამართლო პროცესი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვალერი ხრუსტალმა მითხრა, — მართალია, სამოქალაქო დავები მე მეკუთვნის, მაგრამ ეს საკითხი ლადო ჭანტურიას გარეშე არ გადაწყდება, ის კი თბილისში არ არისო. როგორც იქნა, ჩამოვიდა ჭანტურია და დაიწყო სასამართლო პროცესი მურმან წაქვაძის თავმჯდომარეობით. აჭარის უზენაესი სასამართლოს დადგენილება გაუქმდა და ხელმეორედ განსახილველად უკან დააბრუნეს.

**— იქნებ სასამართლოს ჰქონდა ამის საფუძველი? ან რატომ ფიქრობთ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ წაქვაძე აიძულა, უკანონო გადაწყვეტილება გამოეტანა?**

— თქვენ კარგად არ იცნობთ ლადო ჭანტურიას. ცნობილია, რომ მან მოსამართლის საგამოცდო ტესტები სეიფიდან მოიპარა და ერთი აწ გარდაცვლილი მაღალჩინოსნის სიძეს მისცა. ის კი თითო ტესტს ხუთი ათას დოლარად ყიდდა...

აჭარის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, აკაკი ჩხაიძეს კომპანია „ალეგრანტრანს ლიმიტედმა“ ერთი საქმის მომკვარახჭინებელი მიუგზავნა. ურჩიეს, ჩუმად ყოფილიყო, საჯარიმო სანქციის თანხის გადახდა კომპანიისათვის არ მოეთხოვა და ის საქართველოს რკინიგზას დაეფარა. ბატონმა აკაკიმ მითხრა, — მომკვარახჭინებელი კაბინეტიდან კინწისკვრით გავაგდეო. ცხადია, იგი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ხელცარიელი არ მივიდოდა და ალბათ მისი თანხმობის შემთხვევაში 1.5 მლნ ლარსაც უფეშქაშებდა. ალბათ ჩხაიძის მიერ გამოგდებული შუამავალი უზენაეს სასამართლოში მივიდა და იქ „იჩალიჩა“.

**— თქვენ საკმაოდ სერიოზულ ბრალდებებს უყენებთ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს...**

— ვერ ვიტყვი და ვერ დავამტკიცებ, აიღო თუ არა ქრთამი ჭანტურიამ. შეიძლება ეს საქმე ვიღაცის ხათრითაც გააკეთა, მაგრამ ვიღაცის ხათრით უკანონობის ჩადენა შეიძლება? აჭარის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებაზე სამოტივაციო ნაწილს თვითონ ლადო ჭანტურია ორი კვირა წერდა. ეს გახლავთ აბსურდულობის ნიმუში.

**— ბატონო გიორგი, თქვენ ბრძანეთ, „ალეგრანტრანს ლიმიტედის“ მფლობელები შავი სამყაროს წარმომადგენლები არიანო. კერძოდ ვინ?**

— ზუსტად არ ვიცი. მოსკოველ ქურდებს ასახელებენ. ერთი გვარად რუსეცკია, მეორე — გუსინი. უნდა გითხრათ, რომ ხელშეკრულება „ალეგრანტრანს ლიმიტედთან“ შპს „საქართველოს რკინიგზას“ კანონის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით აქვს დადებული, სადაც მხარეების უფლება-მოვალეობები მკაფიოდ არის აღნიშნული. ნებისმიერი მოსამართლე იტყვის, რომ ჩვენ მართლები ვართ.

ბატონი გიორგისგან ისიც გავიგეთ, თუ როგორ ხვდება კონტრაბანდული ბენზინი აზერბაიჯანიდან საქართველოში. საქართველოსკენ მომავალი ნედლი ნავთობით დატვირთული ეშელონის ზოგიერთ ვაგონ-ცისტერნაში აზერბაიჯანული წარმოების უმაღლესი ხარისხის ბენზინი ასხია. საზღვარზე ეშელონს არავინ ამოწმებს. ბათუმამდე იგი ათეულობით ქალაქს გაივლის და საიდანაც შეკვეთა ექნება, კონტრაბანდული ბენზინით გალიცლიცებული ვაგონ-ცისტერნა იმ სადგურზე ჩაიხსნება, მის მაგივრად ეშელონს ცარიელ ცისტერნას ჩაუბამენ. ისიც შევიტყვეთ, რომ კონტრაბანდული ბენზინის ცისტერნები ეშელონის ბოლოში არის მოქცეული, რომ კონტრაბანდისტებს მის მოსახსნელად ბევრი წვალება არ დასჭირდეთ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ხათუნა ჩარკვიანის განცხადებით: „ჩვენთვის, უზენაესი სასამართლოსთვის, რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელების მიერ წამოყენებული ბრალდებები ახალი არ არის. ასეთი განცხადებები ნიშნავს, რომ ხდება ზეწოლა სასამართლოზე, უფრო სწორად, ცდილობენ ზეწოლა განახორციელონ უხეში ფორმებით. რკინიგზის ხელმძღვანელობას და სხვებს სურთ უზენაესი სასამართლო ჯიბის, მათი ნება-სურვილის აღმსრულებელ ორგანოდ გადააქციონ, რასაც ვერ ეღირსებიან. მათი საქმე განხილვის პროცესშია და ამიტომ ნაჩქარევი დასკვნები არ უნდა გააკეთონ ბატონმა ჩხაიძემ და მისმა თანაშემწეებმა, რომლებიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ დეზინფორმაციას და ცილისმწამებლურ განცხადებებს აკეთებენ.“

„კვირის პალიტრა“ ტელეფონით ბათუმში დაუკავშირდა „ალეგრანტრანს ლიმიტედის“ ხელმძღვანელობას აღნიშნულ სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით კომენტარის მისაღებად. პასუხისმგებელნი ადგილზე არ აღმოჩნდნენ, ხოლო ვინც ჩვენს სატელეფონო ზარს გამოეპასუხა, ვინაობა არ გაგვიმხილა. მხოლოდ ეს გვითხრა: „ჩვენი კომპანია რომ არ არსებობდეს, შპს „საქართველოს რკინიგზა“ ერთი გაჭირვებული საწარმო იქნებოდა ან შეიძლება საერთოდ არც ყოფილიყო. სწორედ ჩვენთან თანამშრომლობით იღებს ათეულობით მილიონ დოლარს. ერთი ვაგონ-ცისტერნის აზერბაიჯანის საზღვრიდან ბათუმამდე ჩატანაში საშუალოდ 300 დოლარს ვუხდით. წლის განმავლობაში ეს თანხა თითქმის ას მილიონამდე აღწევს. ნორმალურმა კაცმა რაღაც 3 მილიონი დოლარისთვის ჩვენთან ურთიერთობა არ უნდა გაიფუჭოს. პრინციპის საქმეა, თორემ ამ სადავოდ გახდილ თანხას სულ ვაჩუქებდით ჩხაიძეს, რომელიც ამტკიცებს, ვაგონების მოცდენისთვის სხვა ქვეყნების რკინიგზებმა ჯარიმების გადახდა დამაკისრესო. კუდი აქვთ რკინიგზის ხელმძღვანელებს ერთმანეთზე გადაბმული და რა ცნობასაც უნდათ, იმას გაუგზავნიან ერთმანეთს“.

როგორც რკინიგზის დეპარტამენტში შევიტყვეთ, ვაგონების მოცდენა „ალეგრანტრანს ლიმიტედის“ და სხვა კომპანიების მიერ, გრძელდება და ახალი საჯარიმო სანქციების მოლოდინში რკინიგზის დეპარტამენტი ახალ სარჩელს ამზადებს. ისიც შევიტყვეთ, რომ „ალეგრანტრანს ლიმიტედს“ თითქმის ნახევარ მილიონ ლარზე მეტი საჯარიმო სანქცია დაუფარავს და ვაგონების მოცდენისათვის მთელი ჯარიმის გადახდასაც აპირებდა, მაგრამ რა მოხდა რკინიგზის დეპარტამენტსა და კომპანიის ხელმძღვანელებს შორის და რატომ თქვა ცივი უარი კომპანიამ ჯარიმების გადახდის გაგრძელებაზე, სამწუხაროდ, ვერ შევიტყვეთ, არადა ძაღლის თავი სწორედ იქ უნდა იყოს დამარხული.




სტატიას საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის აკაკი ჩხაიძის პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილი წერილის ფრაგმენტით დავამთავრებთ: „საქართველოს რკინიგზის განკარგვაში არსებული ქონების 100%-ის მესაკუთრე სახელმწიფოა. ყოველი უყაირათოდ დახარჯული ან არასწორად გადახდილი თანხა უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ჩვენს საფინანსო მდგომარეობაზე, ისე სახელმწიფო ბიუჯეტზე. ეს აღმაშფოთებელი ფაქტი იმიტომ მოვიტანე თქვენამდე, რომ მოუთმენლად მიგვაჩნია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამგვარი დამოკიდებულება საქმისადმი, როდესაც მავანთა ინტერესებიდან გამომდინარე, შეგნებულად ზარალდება სახელმწიფოს ბიუჯეტი და როდესაც მსგავსი შემთხვევები ერთეული არ არის. ბატონო პრეზიდენტო, საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით მეეჭვება, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეძლოს შეასრულოს თქვენი გასული წლის 17 ოქტომბერს გაკეთებული განცხადება — „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო აპარატის, უწინარესად მოსამართლეთა კორპუსის უმთავრესი ამოცანაა“ (სტილი დაცულია).

***ზვიად ჩაკვეტაძე***

> როგორ ხვდება კონტრაბანდული ბენზინი აზერბაიჯანიდან საქართველოში. საქართველოსკენ მომავალი ნედლი ნავთობით დატვირთული ეშელონის ზოგიერთ ვაგონ-ცისტერნაში აზერბაიჯანული წარმოების უმაღლესი ხარისხის ბენზინი ასხია. საზღვარზე ეშელონს არავინ ამოწმებს. ბათუმამდე იგი ათეულობით ქალაქს გაივლის და საიდანაც შეკვეთა ექნება, კონტრაბანდული ბენზინით გალიცლიცებული ვაგონ-ცისტერნა იმ სადგურზე ჩაიხსნება.

> — ვერ ვიტყვი და ვერ დავამტკიცებ, აიღო თუ არა ქრთამი ჭანტურიამ. შეიძლება ეს საქმე ვიღაცის ხათრითაც გააკეთა, მაგრამ ვიღაცის ხათრით უკანონობის ჩადენა შეიძლება? აჭარის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებაზე სამოტივაციო ნაწილს თვითონ ლადო ჭანტურია ორი კვირა წერდა. ეს გახლავთ აბსურდულობის ნიმუში.

# „ნაციონალების“ ძველი და ახალი სახეები

## — შავიშვილის დატვირთვა ჩვენს საარჩევნო სურათზე ყოფნით ამოიწურა...

*„ნაციონალური მოძრაობის“ დაშლასთან დაკავშირებით ატეხილ ხმაურს სააკაშვილი კონტრმოქმედებით პასუხობს და ჟურნალისტების დასანახად სულ უფრო ხშირად ახდენს თანაგუნდელთა სრული შემადგენლობის დემონსტრირებას.*

*„ნაციონალებიდან“ რეზო შავიშვილის წასვლის შემდეგ ითქვა, სააკაშვილის პოლიტიკურ გაერთიანებას რომან გოცირიძეც შეელევაო. ამბობდნენ, „მთავარ ნაციონალთან“ ურთიერთობებში პრობლემები ბერძენიშვილებსაც აქვთ და არც ზვიად ძიძიგურს მოსდის ზედმეტად აქტიური ლიდერი თვალშიო. მაგრამ, ჯერჯერობით, შავიშვილის გზას არავინ დასდგომია, შესაბამისად, სააკაშვილის მოძრაობაც ჯერ არ დაშლილა...*

*ორგანიზაციის დაშლა რას მიქვიაო, — იუცხოვა სააკაშვილმა და გასულ კვირას ნაციონალების ახალი შენაძენით მოიწონა თავი...*

**დავით ბერძენიშვილი**: შევარდნაძის ხელისუფლებას, კანცელარიას სურს შექმნას აჟიოტაჟი — თითქოს სააკაშვილი მარტო რჩება, გაკოტრდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატიული ფრონტი“ იყო ქიმერა, რომელმაც მეტეორივით ჩაიქროლა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. ცდილობენ ჭორების აგორებას, თითქოს ვიღაცამ ორგანიზაცია დატოვა. არ მგონია, ამ ხმების გავრცელებით მარტო კანცელარია იყოს დაინტერესებული. ზოგიერთ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც აქამდე უფრო იმედიანად უყურებდა თავის მომავალს, შესაძლოა აშინებს ჩვენი პოლიტიკური ბლოკის სიძლიერე. თავს შევიკავებდი კონკრეტული გვარების დასახელებისგან, მაგრამ ამგვარი ეჭვის საფუძველი მაქვს.

— **ალბათ ინფორმაცია შავიშვილისა და გოცირიძის მეგობრობიდან გამომდინარე გავრცელდა.**

— რეზო, ფაქტობრივად, არ მონაწილეობდა საარჩევნო კამპანიაში, მისი დატვირთვა ამ პროცესში მხოლოდ სურათზე ყოფნითა და ჩვენი განცხადებებით ამოიწურა, რომ რეზო შავიშვილი ჩვენთან არის. მის ჩვენთან ყოფნას პასიური ფორმა ჰქონდა.

— **მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გაბათილების შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობა მკვეთრ ქმედებაზე გადავა.**

— თუ ხელისუფლება იმდენად უგუნური აღმოჩნდება, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული ოქმის მიუხედავად მაინც დააპირებს თვეობით გაწელოს საკრებულოს ამუშავება, მაშინ ბუნებრივია, გამოვიყენებთ ჩვენს შესაძლებლობებს და საჭიროების შემთხვევაში არ მოვერიდებით მასობრივ აქციებსაც. არ ვუსურვებდი ხელისუფლებას კიდევ ერთხელ გამოსცადოს თავი. შარშან, ნოემბრის დასაწყისში, შევარდნაძე იძულებული გახდა ერთი წკიპურტით დამშვიდობებოდა თარგამაძეს და მთელ მთავრობას. ახლა წკიპურტი აღარ იქნება.

*მართალია, სააკაშვილს შავიშვილთან დამშვიდობება მოუხდა, მაგრამ უმალ მოძებნა ალტერნატივა.* ***ლალი მოროშკინა*** *თავის ბედს „ნაციონალურ მოძრაობას“ უკავშირებს.*

— ამ ეტაპზე ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ აპირებს თანამშრომლობას, იმიტომ, რომ არც ერთ პარტიას არ გამოუთქვამს სურვილი, ყურადღება მიექცია არაქართველი მოსახლეობისთვის. საქართველოში ერთი მილიონი არაქართველი ცხოვრობს. მათ ორმაგად უჭირთ დღეს საქართველოში — მატერიალურად და მორალურად.

ძალიან მინდა ვებრძოლო რუსეთთან სავიზო რეჟიმს, რომელიც ორივე ქვეყნის ხელისუფლების ინტერესშია.

მნიშვნელოვანია პრესის საკითხიც. ბოლო დროს, აზერბაიჯანული და განსაკუთრებით, სომხური პრესა, ძალიან უარყოფითად არის განწყობილი საქართველოსადმი.

— **სომხურ პრესაში გაჩნდა პრეტენზიები საქართველოს ისტორიული ძეგლების სომხურ წარმოშობაზე...**

— ეს არის ის პრობლემა, რომელიც ზედაპირზე ამოტივტივდა, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც არ ჩანს. ვიცი, რომ ზოგიერთ იქაურ ჟურნალისტს (და არა პოლიტიკოსს)(!) პრეტენზიები აქვს მიწებზე, გარკვეულ ტერიტორიებზე. ეს ყველაფერი დიდი პოლიტიკური თამაშის პატარ-პატარა ნაწილებია. თუ ამ საკითხებს დღეს არ მიექცა ყურადღება, ხვალ ვეღარ მოვერევით.

***იზო რეკაძე***



# „დავთმობთ ყველაფერს, თუკი არ იქნება ბუნტი...“

შავ კატას ბნელ ოთახში ვერ დაიჭერ, მაგრამ მუქ ქსოვილზე თეთრი ძაფით ნაკერს იოლად შეამჩნევ. ქართულ ეკონომიკაში მორიგი აფერა გათამაშდა. „ვილაცის“ გამო „თბილგაზს“ და „აზოტს“ რუსებს ფეშქაშად ვაძლევთ. ეს მაშინ, როცა „აზოტი“ შემოსავლების სიმცირეს ნამდვილად არ უჩივის და არც „თბილგაზია“ უპოვარი ლატაკი (მარტო წელს ქალაქის და ცენტრალური ბიუჯეტიდან „თბილგაზს“ 33 მლნ ლარი გადაერიცხა) მიუხედავად ამისა, დღეს ფაქტის წინაშე ვართ — „დამწუხრებული“ მთავრობა თავში ხელის ცემით ეთხოვება „აზოტსა“ და „თბილგაზს“.

ამ შემთხვევაში ეკონომიკური ინტერესის მიღმა შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს პოლიტიკური მიზნები. ერთ წელიწადში არჩევნებია. უშუქო და უგაზო ზამთარს მოსახლეობა ხელისუფლებას რომ გადააყოლებს, ეს მთავრობაში მშვენივრად იციან. ამიტომ ერთ თბილ და განათებულ ზამთარში (შესაბამისად კი ერთი წლით სავარძლებში ნებივრობაში) ხელისუფლება „თბილგაზს“ და „აზოტს“ თმობს.

**გიორგი ბარამიძე**: ხელისუფლების არგუმენტებით — საქართველოს დაუგროვდა „იტერას“ ვალი (ეს არის ძირითადად „თბილგაზის“ ვალი) და ამიტომ მას „თბილგაზი“ უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს. ეს პროცესი იურიდიულად რომ გაამართლონ, საუბრობენ ერთობლივ საწარმოზე, რომელიც, რა თქმა უნდა, სრული ფიქცია იქნება, რადგან საკონტროლო პაკეტის 51%-ს რუსული კომპანია ფლობს და ბუნებრივია, სიტუაციის მმართველი ის იქნება. გარდა ამისა, იმ ვალებს, რომლებიც დაგროვდა, შესაძლოა მომგებიანი ქარხანა „აზოტიც“ მიაყოლონ. ამ საწარმოს პროდუქციის — სასუქის გასაღების პრობლემა არ აქვს და თუ „აზოტს“ ვალები აქვს, მხოლოდ და მხოლოდ მისი ხელმძღვანელების გამო, რომლებიც საკუთარ ინტერესებზე ზრუნავდნენ. „აზოტში“ საკმაოდ სერიოზული კლანები იყვნენ მოკალათებული, მათ შორის, შევარდნაძის ოჯახთან დაახლოებული ხალხიც.

— **„იტერა“ რუსულ სპეცსამსახურებთან დაახლოებულ ორგანიზაციად მიგაჩნიათ?**

— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია (ბუნებრივია, ვერ გეტყვით, საიდან), რომ ამ ორგანიზაციის უკან რუსული სპეცსამსახურები მოიაზრება. ერთი რამ შემიძლია ვთქვა — „იტერა“ ასრულებს რუსეთის ხელისუფლების დაკვეთებს, მას გამოიყენებენ საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლისთვის.

— **რა პირობებში მომზადდა კონტრაქტი?**

— „იტერასთან“ კონტრაქტზე მუშაობა გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. პარლამენტი არ არის საქმის კურსში, რა ხდება. ეკონომიკური პროფილის არც ერთ კომიტეტს და არც უშიშროების კომიტეტს ეს საკითხი არ განუხილავს. სწორედ უშიშროების კომიტეტი უნდა ჩაერთოს ამ საქმეში. ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტის გადაცემა ხდება რუსულ კომპანიაზე იმ დღეებში, როცა საქართველო რუსეთის მიერ უკვე მერამდენედ იბომბება და განიცდის პერმანენტულ აგრესიას.

ცხადია, საკითხის გამოძიება ამ ხელისუფლებას ხელს არ აძლევს. ბუნებრივია, მის ინტერესში არ არის უმაღლესი რანგის ჩინოსანთა მიზნების გამომჟღავნება და არც ერთი ამჟამინდელი სამართალდამცავი ორგანო არ მისცემს მათ პასუხისგებაში. ამ საქმეს მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აეხდება ფარდა.

**რომან გოცირიძე**, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი:

— საქართველო „იტერასთვის“ „თბილგაზის“ გადაცემით სტრატეგიულ ინტერესებს თმობს. ეს არის იმის ნიშანი, რომ ხელისუფლება იმდენად დასუსტდა, „იტერას“ მიერ მიყენებულმა დარტყმამ, ნოკაუტში ჩააგდო.

არაერთი მაგალითი გვაქვს („მადნეული“, ფერო, ჭიათურმანგანუმი), როცა უცხოელები, სინამდვილეში კი მთავრობის მიერ რეკომენდებული ინვესტორები, გამოწურავდნენ ლიმონივით ჩვენს ქვეყანას და გადმოგვიგდებდნენ უკან.

— **ამ საკითხთან დაკავშირებით ახსენებენ პრეზიდენტის გარემოცვის და კანცელარიის ინტერესებს...**

— ჩვენთან წესად იქცა, როცა პრეზიდენტი რამეს იტყვის, იქ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება არავის აქვს. ამიტომ შეიძლება კულუარებში „იტერას“ თემა არავის მოსწონდეს, მაგრამ ოფიციალურად მთავრობის სხდომაზე დიდი ზარზეიმით აცხადებენ — ეს არის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაო. თითქოს ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მხოლოდ პრეზიდენტისგან მოდის. ჭეშმარიტება მხოლოდ ღმერთმა იცის, ზეცაში. გადაწყვეტილება მრავალნაირი შეიძლება იყოს. არ არსებობს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, ისევე, როგორც არ შეიძლება არსებობდეს ერთადერთი და შეუცვლელი მმართველი ქვეყნისთვის.

ის დათმობა, რაზეც ხელისუფლება მიდის, არის საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაზე ზრუნვა. ბუნებრივია, ამას პოლიტიკური მოტივებიც უკავშირდება — შუქი და გაზი თუ გამოირთვება, ხალხი ქუჩაში გამოვა, რაც ხელისუფლებას შეუქმნის საფრთხეს. ამათი მოტივი მარტივია — დავთმობთ ყველაფერს, თუკი არ იქნება ბუნტი.

***იზო რეკაძე***

# „იეღოველთა მოძრაობის დაჩაგვრა-არდაჩაგვრაზეა დამოკიდებული სახელმწიფო ინტერესები“

კასპის რაიონის მიმდებარე სოფლებში გურამ შარაძის ვოიაჟის მიზეზი ადგილობრივი მცხოვრების, ვინმე უშანგი ბუნტურის ოჯახში დაგეგმილი იეღოველთა კონგრესი გახდა. კონგრესი პარასკევს უნდა შემდგარიყო, მაგრამ წინა დღით ბუნტურის ოჯახში უცნობი პირები შეცვივდნენ და იეღოველთა კონგრესისთვის განკუთვნილი ატრიბუტიკა — სცენის, სკამების, მოსანათლი აუზისა და სპეციალური ლიტერატურის ჩათვლით, პირწმინდად დაამსხვრიეს და დაწვეს. აღნიშნულმა ფაქტმა ამერიკის საელჩოს აღშფოთება და კასპის რაიონის პოლიციის მობილიზება გამოიწვია. კასპის პოლიციის უფროსი, **რამაზ გოგიაშვილი** პოლიციის როლს კონგრესის ჩაშლაში უარყოფს:

— რაიონში სამართალდამცველთა მობილიზება მხოლოდ იმ მიზეზით მოხდა, რომ კვლავ რაიმე ექსცესებს არ ჰქონოდა ადგილი. სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ იეღოველებს მხოლოდ სიტყვიერად ვურჩიეთ, რომ ამჯერად კონგრესის ჩატარებისგან თავი შეეკავებინათ, რადგან მორიგი ინციდენტისგან ყოფილიყვნენ დაზღვეულნი.

— **კონგრესისთვის მოწყობილი ეზო-კარის დარბევა ადგილობრივ მცხოვრებთაგან მოხდა?**

— მომხდარზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და ამჟამად ძიება მიმდინარეობს. ჩემი პირველადი ინფორმაციით, დარბევაში ადგილობრივი მცხოვრებნი არ მონაწილეობდნენ.

... კასპის რაიონში არცთუ ბევრი იეღოველი ცხოვრობს. როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბარში გავარკვიეთ, ათასკომლიან სოფელში მაქსიმუმ, 10-20 ოჯახი თუ იქნება. მაგრამ შიგადაშიგ გამართულ კონგრესებზე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოდიან ხოლმე და მაშინ სოფელში თავს 2000-მდე იეღოველი იყრის, რაც ადგილობრივ მოსახლეობას აღიზიანებს, რადგან იეღოველები აქტიურ აგიტაციას ეწევიან. თუმცა ეს კონფრონტაციის მიზეზი მაინც არ ხდება — იეღოველთა განცხადებით, სოფელში მათ არავინ ავიწროვებს. კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში (აქედან არის წარმოშობით ივანე ჯავახიშვილი) ორი წლის წინ, გიორგობა ღამეს უცნობებმა სოფლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დაარბიეს, ხატები დაამსხვრიეს და დაწვეს. მაშინ დანაშაული იეღოველებს ბრალდებოდათ, თუმცა გამოძიება დღემდე მიმდინარეობს და ჯერაც არაფერი გამოკვეთილა.

გურამ შარაძემ კასპის ახლომახლო სოფლები შემოიარა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. ჯერჯერობით saganga... საგანგაშო სიტუაცია არ არის, მაგრამ ხალხი რაიონში იეღოველთა მოძალებით მაინც გაღიზიანებულია. გაღიზიანებას გამოთქვამდნენ სოფელში ამერიკის საელჩოს მიერ დამკვირვებელთა გამოგზავნის გამოც, რომელთაც იეღოველთა კონგრესის უსაფრთხოდ ჩატარებისთვის უნდა ედევნებინათ თვალყური. როგორც აღვნიშნეთ, კონგრესი მაინც ჩაიშალა, რასაც მოკლე ხანში ამერიკის ელჩის, რიჩარდ მაილსის მომდევნო განცხადება მოჰყვა. იგი სინანულს გამოთქვამდა იეღოველთა კონგრესის ჩაშლის გამო და ხელისუფლებას ქმედითი ღონისძიებების გატარებას სთხოვდა. გურამ შარაძის აზრით, რიჩარდ მაილსის მცდარი პოლიტიკის ერთადერთი შედეგი ის იქნება, რომ უბრალო ხალხს ამერიკა შესძულდება, რადგან მისი სახით საკუთარი კულტურისა და მრავალსაუკუნოვანი რელიგიის მტერს დაინახავენ. ძნელი სათქმელია, რამდენად არის დამოკიდებული ორი ქვეყნის ურთიერთობა კასპის ერთ სოფელში იეღოველთა კონგრესის ჩატარება-არჩატარებაზე, ან ელჩის განცხადებაზე. მაგრამ ერთი კი ფაქტია — მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კეთილდღეობისთვის შეერთებულ შტატებს ასეულობით მილიონი დოლარი აქვს დახარჯული, უბრალო სოფლის ხალხს მცდარი პოლიტიკა გაგონილიც არ ჰქონდა, არამცთუ მაილსის გვარი და თანამდებობა. სამაგიეროდ, აუგად მოიხსენიებდნენ ზოგადად ამერიკელებს და ამერიკას, მათთვის თავს მოხვეული უცხო რელიგიისა და წესჩვეულებების გამო. არასერიოზულია, ვინმემ იეღოველებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის კავშირზე ილაპარაკოს, მაგრამ ხალხს ამას ძნელად აუხსნი — კაცმა რომ თქვას, არც აინტერესებთ...

უკანასკნელ პერიოდში რელიგიის პრობლემა საკმაოდ მწვავე და აქტუალური გახდა — საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არატრადიციულმა რელიგიებმა პოსტსაბჭოთა სივრცე ცარიელ ბაზრად აღიქვეს და თავისი წილი ბიზნეს-სეგმენტის ასათვისებლად აქტიური ქმედება დაიწყეს. ხალხს კი, რომელსაც 70 წლის მანძილზე სიტყვა ღმერთის ხსენებასაც კი უკრძალავდნენ, აშკარად ჰქონდა დაფარულზე მეტის შეცნობის სურვილი. სოკოებივით გამრავლებულ ნაირფერ რელიგიებს მათი უფლებათა დამცველი ათასნაირი არასამთავრობო ორგანიზაცია მოჰყვა, რადგან ესეც ერთგვარი ბიზნესია და თანაც ზემოთ ნახსენები ბიზნესის განუყოფელი ნაწილი — იქ, სადაც ცხიმიან ღვეზელს ყიდიან, ხელსახოცის გაყიდვა ძალიან სარფიანია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ორგანიზაციები კონფრონტაციის მიზეზების კვლევასა და მათ აღმოფხვრაზე ნაკლებად ზრუნავენ. სამაგიეროდ, დეტალურად აღინუსხება, თუ ვინ სად და რამდენი იეღოველი სცემა. ზოგჯერ, სული წასძლევთ ხოლმე და რაპორტებს რასისტულ ჩაგვრაზეც წერენ — ჩვენთან განსხვავებული კანის ფერი ეგზოტიკად ითვლება, მის დაჩაგვრაზე რომ არაფერი ვთქვათ. სამაგიეროდ, იმ ქვეყნებში, საიდანაც გრანტები მოედინება, რასიზმი ძალიან აქტუალური პრობლემაა და სასურველია, გრანტისთვის წარდგენილ პროექტში ერთი-ორგან მაინც ახსენო... საერთოდ, საინტერესოა, რატომ მახვილდება ყურადღება მაინცდამაინც იეღოველთა მოძრაობის გამო გამოწვეულ დაპირისპირებაზე — საქართველოში ხომ სხვა რელიგიური უმცირესობებიც მრავლად არის. რელიგიის საკითხებში კავკასიის ექსპერტს, ქალბატონ **ლელა ჯეჯელავას** ამ პრობლემაზე საკუთარი მოსაზრებები აქვს:




— ადამიანის უფლებათა დაცვა ბევრად უფრო დიდი და მრავლისმომცველი ფენომენია, ვიდრე რომელიღაც კონკრეტული რელიგიური უმცირესობის უფლებების დაცვა. ჩვენი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველოს მოქალაქეთა უფლებები, მისი აღმსარებლობის, პოლიტიკური მრწამსისა და ეთნიკური წარმომავლობისა, უპირობოდ იყოს დაცული. მე ვთვლი, რომ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო, ჩვენ, ყველანი, დაუცველები ვართ. მიუხედავად ამისა, ჩვენთან ადამიანის უფლებათა დაცვას და დარღვევას ევროპული სტანდარტების მიხედვით განიხილავენ. ევროპაში ხომ გაცილებით უკეთესი სოციალური პირობებია. როდესაც ჩვენ მსგავსი შესაძლებლობები გვექნება, ამ სტანდარტებით მერე ვილაპარაკოთ. სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია საზოგადოების გაღიზიანება, რომლის ყველა ელემენტარული, სასიცოცხლო უფლებაც კი დარღვეულია და ყოველდღე ეუბნებიან, რომ საქართველოში რომელიღაც რელიგიური უმცირესობის უფლებები ირღვევა. ჩვენი საზოგადოება ხომ ისედაც ზედმეტად დაყოფილი და გათითოკაცებულია — ამაზე ჯერ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ, შემდეგ სამოქალაქო ომმა იმოქმედა. პოლიტიკური დაპირისპირებები დღესაც მრავლად არის. ასეთ პირობებში, იეღოველთა და ბასილის მომხრეთა კატათაგვობანას აჟიტირება მდგომარეობას ერთიორად დაამძიმებს.

— **მაგრამ ამ შემთხვევაში ტელეკომპანიები მოვლენას შოუს სახით უფრო ყიდიან...**

— საქმეც ამაშია — ზოგიერთი ტელეკომპანია ამ დროს ფრთხილად უნდა იყოს, შოუსთან ერთად სახელმწიფო ინტერესებიც არ გაყიდოს. საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ იეღოველთა პრობლემა მსოფლიოსთვის არახალია. კანადაში და ევროპის ბევრ სახელმწიფოში მათთან დაპირისპირება თავის დროზე სისხლის ღვრამდეც კი მივიდა. დღესაც, თუ სტრასბურგის სასამართლოს ქრონიკას გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ პროცენტულად, დავა სხვადასხვა სახელმწიფოსთან სწორედ იეღოველებს აქვთ. მაგრამ ამ ქვეყნებში იეღოველებთან, ისევე როგორც სხვა რელიგიურ უმცირესობებთან დავას სახელმწიფო ინტერესები არეგულირებს. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ჯერ სახელმწიფო ინტერესებს ადგენენ და მერე უსადაგებენ სხვა დანარჩენს, თუნდაც ტრადიციულ თუ არატრადიციულ რელიგიას. ჩვენთან, რატომღაც პირიქით ხდება — იეღოველთა მოძრაობის დაჩაგვრა-არდაჩაგვრაზეა დამოკიდებული სახელმწიფო ინტერესები — ანუ, ვინ რა დახმარებას გამოგვიყოფს.

— **ჩემი აზრით, ამას უფრო სხვა სახელი ჰქვია, ვიდრე სახელმწიფო ინტერესები...**

— ასეც არის. მაგრამ ამა თუ იმ მოვლენის არსის გამოკვლევაზე ბევრად უფრო ადვილი ამ მოვლენის აღრიცხვა და ცოტა გაზვიადებაა. ხომ უნდა დავფიქრდეთ, რომ მოვა დრო და საქართველოში ნომერი პირველი პრობლემა თავის რჩენა აღარ იქნება — მაშინ, რას ვეტყვით ჩვენს შვილებს, რომ ათი, თხუთმეტი წლის წინ საქართველოში საშინელი რასიზმი მძვინვარებდა — რაც ბუნებაში არასოდეს ყოფილა?

ქალბატონ ლელასთან საუბრის გაგრძელება კიდევ დიდხანს შეიძლებოდა, ვფიქრობთ, დასკვნის გამოტანა ზემონათქვამიდანაც შეიძლება — ამერიკაშიც და ევროპაშიც ნებისმიერი მოქმედების განმსაზღვრელი სახელმწიფო ინტერესებია, ოღონდ არა მეზობელი სახელმწიფოს ინტერესები...

***დაჩი გრძელიშვილი***

# „თარგამაძე და შევარდნაძე ამ პროვოკაციაზე მიდიოდნენ და თევზაძემ არ ქნა“

*2000 წელს, როცა პრეზიდენტმა „მხედრიონელთა“ ლიდერი და მამამარჩენალი ციხიდან გამოაშვებინა, თავისუფლებაბოძებულმა ჯაბა იოსელიანმა ძველი მეომრები შემოიკრიბა და „მხედრიონის“ რეანიმაციას შეუდგა. უხმაუროდ არ ჩაუვლია იოსელიანის სვანეთში სტუმრობასაც. მაშინვე ამბობდნენ, რომ „დოქტორ ჯაბას“ სვანურ ვოიაჟს მთის სიყვარულის გარდა სხვა, ქვენა მიზნებიც ედო საფუძვლად. რამდენიმე ხანში ნამდვილი მიზანიც დასახელდა — იოსელიანმა სვანეთში 500-კაციანი რაზმი შექმნაო! მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... საინტერესოა, დღეს, როცა კოდორს ასე ძალიან გაუჭირდა, სად არიან და ვის მითითებებს ასრულებენ ერთ დროს იოსელიანის გარშემო შემოკრებილი ძველი თუ ახალი მეომრები. ამ კითხვებით „კვირის პალიტრამ“ თავად* ***ჯაბა იოსელიანს*** *მიმართა.*



— სად უნდა წავიდე, კაცო? ეგენი ყველანი გაიქცევიან, მე ისევ აქ დავრჩები...

— ის რაზმი ახლა კოდორშია, ეს 500-ვე კაცი სულ ადგილობრივი მოსახლე იყო. თავიდან „მხედრიონი“ დავარქვით, მაგრამ მერე პოლიტიკური კუდები გამოაბეს და სახელწოდება „მონადირედ“ გადავაკეთეთ. არის მცირე ნაწილიც ძველი მხედრიონელებისა... ყველა შეიარაღებულია.

**— ის რაზმი დღეს თქვენი მითითებებით მოქმედებს თუ ხელისუფლების წარმომადგენელთა დავალებებს ასრულებს?**

— რაზმი დღესდღეობით ემზარ კვიციანს ემორჩილება.. ის ახლაა ხელისუფლების წარმომადგენელი, თორემ თავის დროზე თვითონაც „მხედრიონელი“ გახლდათ, მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელი იყო აფხაზეთში.. „მხედრიონი“, როგორც სამხედრო ორგანიზაცია, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, ახლა, უკვე პოლიტიკურ პარტიად ჩამოვყალიბდით. თუ საჭირო გახდება, ეს ნაომარი ბიჭები ისევ წავლენ და იბრძოლებენ, მაგრამ... კოდორის ხეობა პროვოკაციების ბუდედ იქცა. აქამდე ჩვენ ვაწყობდით იქ პროვოკაციებს, ახლა — რუსები... პანკისშიც იგივე სიტუაციაა.

**— რუსები, გასაგებია, მაგრამ ქართული მხარე რა პროვოკაციებს აწყობდა?**

— რა და, ჩვენ არ ვიყავით, გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში კოდორში გელაევის ხალხი, ჩეჩნები და არაბები რომ შევიყვანეთ? ეს პროვოკაცია კი არა, ნამდვილი ავანტიურა იყო. მაშინ ძალიან დიდ ომს გადავრჩით და, სხვათა შორის, ეს დავით თევზაძის უდიდესი დამსახურებაა. კახა თარგამაძე და ედუარდ შევარდნაძე კი ამ პროვოკაციაზე მიდიოდნენ... მთელი გეგმა იყო შემუშავებული, მაგრამ თევზაძემ არ ქნა.

**— რაში მდგომარეობდა შევარდნაძე-თარგამაძის გეგმა?**

— ჩეჩნები და არაბები შევიდოდნენ აფხაზეთში, ჩვენ გალიდან შევიდოდით, ხოლო პარტიზანებს ტყვარჩელი უნდა აეღოთ და... ვაშა, აფხაზეთს დავიბრუნებდით! ჩავედი კოდორში და თევზაძეს ვუთხარი — დათო, რას აკეთებთ, ომს იწყებთ-მეთქი? — რა ვქნა, ჯაბა, ისინი აპირებენ, მაგრამ მე ამაში არ ჩავერევიო. გაიგეთ? ფაქტობრივად, ომს იწყებდნენ! ჩეჩნებს ჩვენი ჩათრევა უნდოდათ, ეს ჩვენი ხელისუფლება კი ამ დროს იჯდა და ლობიოს ჭამდა. აბა, 700 კაცით აფხაზეთის დაბრუნება, როცა მათ რუსეთი უჭერდა მხარს, სასაცილო არ იყო? თარგამაძეს გმირის როლის თამაში უნდოდა, მაგრამ შევარდნაძესაც რაღაც ეჭვი გაუჩნდა. ამიტომ, როცა თევზაძემ წინააღმდეგობა გაუწია, მაინცდამაინც აღარ მიაწვა. ხომ წარმოგიდგენიათ? — შევარდნაძეს და თარგამაძეს ჩეჩნების ხელით უნდოდათ აფხაზეთის დაბრუნება. მეტი საქმე არ ჰქონდათ ჩეჩნებს? სულ მაგაზე ოცნებობდნენ, აფხაზეთი ჩვენთვის ლანგრით მოერთმიათ. ეს წმინდა წყლის ავანტიურა იყო.

**— დღეს ბევრს დაობენ იმაზე, როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი — ომით თუ მშვიდობით. თქვენ ერთხელ უკვე იომეთ და სამშვიდობო პროცესშიც იყავით ჩართული. რომელი გზაა უფრო რეალური?**

— ომით იმ შემთხვევაში დავიბრუნებთ, თუ რუსეთი არ ჩაერევა, მაგრამ ეს გამორიცხულია. რაც შეეხება მშვიდობიან მოლაპარაკებებს, თავისი რესურსები ჯერ კიდევ 1995 წელს ამოწურა. აფხაზებთან საუბარს აზრი არ აქვს, ამიტომაც პირდაპირ რუსებს უნდა მოველაპარაკოთ. რა გგონიათ, რუსებს რომ ეტყვი, წადი, წაეთრიეო, მართლა წავლენ და წაეთრევიან? ერთი სარდაფის გამო ძმა ძმას კლავს და ამხელა ქვეყანას იმიტომ დაგითმობენ, რომ ნოდარ ნათაძე გამოდის და წაეთრიეთო — ამბობს? წაეთრიე არა, — ტოლმა! ახლა შევარდნაძემ არა მხოლოდ რუსებთან, ჩეჩნებთან და არაბულ ქვეყნებთან დაგვაპირისპირა. გუშინ რომ იმ საზღვრის დამრღვევ ჩეჩნებს ვითომ გული მოუგო, ხვალ გაყიდის. ნახავთ, ცოტა ხანში რას უზამს მათ შევარდნაძე. ადრე ხომ ამბობდა, გელაევი ჭკვიანი და განათლებული კაციაო? ამ ჭკვიან და განათლებულ გელაევს ხვალ დაიჭერს და რუსებს ჩააბარებს, იმიტომ რომ მეტი გზა არ ექნება. ძალიან ცუდი რამეები მოხდება. მე კიდევ ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ყველაფერს არ ვამბობ — მერე იტყვიან, აი, ის რომ ამბობდა, იმიტომ მოხდაო.

**— მაინც რა იცით ასეთი, ბატონო ჯაბა, ჩვენც გვითხარით, რომ ზომები მივიღოთ.**

— რა მოხდება და ტერორისტული აქტები დაიწყება. აქ ეს საქმე მუქთაა. თუ ისრაელში ამისათვის კამიკაძეა საჭირო, აქ ვინმეს 500 დოლარს მისცემ და აგიფეთქებს, მაგალითად, — ელიავას ბაზრობას... მორჩა, დამთავრებულია საქმე... აი, გითხარით, მაგრამ... მარტო თქმა არ შველის. აგერ, ახლა ვითომ რაღაც წვრთნა რომ მიმდინარეობს, სინამდვილეში იცით, რა ხდება? — ამერიკელების სამხედრო ბაზა კეთდება. გაგიგიათ, კაცო? ჯერ ერთი ბაზა ვერ მოგვიწყვეტია თავიდან და მეორე ქვეყნის ბაზები თუ რაღაც ჯანდაბები გვინდა? სხვათა შორის, ძალიან სერიოზული განცხადება გააკეთა შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე, როცა ნადარეიშვილი დატუქსა — მე თქვენზე უკეთ ვიცი, ომი როდის უნდა დავიწყოო და 1998 წლის გალის მოვლენები გაიხსენა — იმ ამბავს ჩვენი სისხლი და 15 მილიონი დოლარი შეეწირაო. კი მაგრამ, რა შუაშია აქ ნადარეიშვილი? კაცი თვითონ მთავარსარდალი იყო და ახლა უნდა, რომ ყველაფერი ნადარეიშვილს გადააბრალოს.

**— ნადარეიშვილი უცოდველია ამ ყველაფერში?**

— რაღაც შეცდომები მასაც მოსდის, მაგრამ შევარდნაძე ხომ პრეზიდენტი და მთავარსარდალია? რა, ნადარეიშვილმა გასცა მაშინ ბრძანება, გალში შევიდეთო? ძალიან კარგად მახსოვს, გალის ტრაგედიამდე ორი დღით ადრე, შევარდნაძემ პირდაპირ განაცხადა რადიოინტერვიუში — აფხაზები უნდა შეეჩვიონ იმ აზრს, რომ ჩვენი პარტიზანები ადრე თუ გვიან თავიანთ სახლებში დაბრუნდებიან და თუ გონს არ მოეგებიან, ჩვენ იქ ძალით შევალთო. მეორე დღეს მარულა გამართეს და ომი წამოიწყეს. რა შუაში იყო იქ ნადარეიშვილი, მაგრამ ვიღაცისთვის ხომ უნდა გადაებრალებინა? ცკ-ში მეტს კი არაფერს აკეთებდნენ.

**— პანკისში სპეცოპერაციის ჩატარების პერსპექტივას როგორ უყურებთ?**

— თუკი ნამდვილ ოპერაციას ჩაატარებენ და შეიარაღებულ ხალხს განაიარაღებენ, კი ბატონო, მაგრამ თუ მარტო პოსტებს ჩაამწკრივებენ შარაგზაზე, რა აზრი აქვს? ცოტა ხანში ის მესაზღვრე ქრთამის აღებას დაიწყებს და ყველას გაატარ-გამოატარებს. იტყვის, მაინც მიდი-მოდიან და რაღა მე უნდა ვიდგე აქ ვირივითო.

**— ბატონო ჯაბა, იქ დაბომბვებზეა საუბარი...**

— კაი ნუ გავაწყალეთ ახლა გული ამდენი წუწუნით! ისინი იმ ხეობებს ბომბავენ, სადაც ჩეჩნები მოძრაობენ და ეს სრულებით ბუნებრივია — თავიანთ საზღვრებს იცავენ. შეიძლება ერთი-ორი კილომეტრი შეეშალოთ, მაგრამ იქ მოსახლეობა არ არის.

**— თავის დროზე „მხედრიონი“ რეგისტრაციაში არ გაატარეს. შეიძლება, რომ იგივე განმეორდეს?**

— გამორიცხული არ არის, კიდევ რაღაც „იხიმანდრონ“, მაგრამ... იცით, ეგენი, ბოლოს და ბოლოს, იმას მოიმკიან, რომ თუ ნორმალური პოლიტიკური მოღვაწეობის საშუალებას არ მოგვცემენ, ძალისმიერ მეთოდებს მივმართავთ და მერე რაც მოხდება, საკუთარ თავს დააბრალონ.

**— ეს საკმაოდ სერიოზული განცხადებაა, იმუქრებით?**

— არა, რატომ ვიმუქრებით? თუკი კანონიერი გზით მუშაობის საშუალებას არ მოგვცემენ, აბა, სხვა რა დაგვრჩენია?

**— ე.ი. შეიძლება ისევ იარაღს მოჰკიდოთ ხელი?**

— ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები... საერთოდ, ხალხს, რომელიც გაუსაძლის მდგომარეობაშია, უფლება აქვს, თავისი ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდეს. თავის დროზე ჩვენ იმიტომ წავაგეთ ყველაფერი, რომ ძალაუფლება არ გვქონდა. არადა, არჩევნების დროს თავისუფლად შემეძლო, პარლამენტში 50-100 მხედრიონელი მაინც შემეყვანა, მაგრამ... მივქარე, შევცდი... ეს რომ გამეკეთებინა, უკვე მე მომცემდნენ ხმას და არა შევარდნაძეს, ქვეყნის ცხოვრებაც სხვაგვარად წავიდოდა. ჩვენ თავიდან მოგვიშორეს, ციხეებში ჩაგვყარეს და თვითონ ფულები იშოვეს. ქურდები და მამაძაღლები არიან... ჩვენ რომ ვყოფილიყავით, მაგდენს ვერ იბაირამებდნენ...

**— ისე, „მხედრიონზეც“ არანაკლებს ამბობდნენ...**

— რას ამბობდნენ? ჩვენთან ვიღაცამ თუ ძროხა მოიპარა, მერე რა? წაიყვანე და შეაგდე ციხეში. ამათ რომ მთელი ბანკი გაქურდეს, ეგ არაფერი?

**— ამას წინათ კიდევ რამდენიმე მხედრიონელი გამოუშვეს ციხიდან... შესაბამისად, ხელისუფლების კრიმინალიზაციასა და „მხედრიონიზაციაზე“ ალაპარაკდნენ...**

— კრიმინალები ესენი არიან... სად ძროხის მოპარვა და სად კიდევ 15 მილიონის... რაც შეეხება „მხედრიონიზაციას“, ეს ძალიანაც კარგი იქნება. ამ მოპარულ ქონებას უკან მოვატანინებთ და ხალხს დავურიგებთ, ნეიტრალიტეტს გამოვაცხადებთ, რუსეთს შევურიგდებით, ამ წურბელა გუბერნატორებს მოვხსნით და საერთოდ... ახალ ცხოვრებას დავიწყებთ. ყველა დიდ მექრთამეს ციხეში შევაბუნძულებთ... ახლა სააკაშვილი და ჟვანია რომ გამოხტნენ და ხელისუფლების დემონტაჟი უნდა განვახორციელოთო, — გაჰყვირიან, მე ამას 7 წლის წინ ვამბობდი. ეს სიტყვაც — დემონტაჟი — პირველად მე ვახსენე. კი მაგრამ, შე მამაცხონებულო, მონტაჟი რომ ხდებოდა და ამ მონტაჟს ხელს უწყობდი, ახლა გაგახსენდა დემონტაჟი? ეს ჟურნალისტებიც მოდიან და — ანეკდოტი მოგვიყევი და სიყვარულზე გველაპარაკეო, — მეუბნებიან. პოლიტიკა აღარავის აინტერესებს.

**— ალბათ იმიტომ, რომ თქვენი ადრინდელი განცხადებები და კურიოზები ანეკდოტებად ვრცელდებოდა ხალხში.**

— ჰო, მაშინ ჯერ კიდევ გვქონდა საქმე საანეკდოტოდ და სახუმაროდ...

**— ახლა რატომღაც თქვენი „ბაბოჩკა“ გამახსენდა, რომელიც ერთ დროს ყველას პირზე ეკერა...**

— რა ვიცი, კაცო, რა იყო აქ გასაგიჟებელი? პარლამენტის პირველი სხდომა იყო. წინა დღით სოხუმიდან ჩამოვედი გაუპარსავი, ჭუჭყიანი... ცოტა დამაგვიანდა, მაგრამ პირველ სხდომას ხომ არ გავაცდენდი? წავედი, დავიბანე, გავიპარსე, გამოვიპრანჭე და მივედი, როგორც დღესასწაულზე. ეტყობა, ზოგმა მერე მეტი სალაპარაკო ვეღარ მოძებნა.

**— რა მაგის პასუხია და დასასვენებლად არსად მიდიხართ?**

— რა ვიცი, აბა, აზრზე არ ვარ, სად წავიდე... მაინც ვერ ვისვენებ, ყველგან ხალხი მესევა და გასაქანს არ მაძლევენ. რამდენი წამლეს ხალხი ჩემს წინააღმდეგ და ჩემი თავი მაინც ვერ შეაჯავრეს. საზღვარგარეთ არ მიშვებენ. აგერ, ამას წინათ საფრანგეთში მივდიოდი და ფეხი არ გამადგმევინეს, რუსეთში იყო და აეროპორტში დამაპატიმრეს... თან მიზეზსაც არ მეუბნებიან. ვერაფერი გავიგე.

**— ხომ არ ეშინიათ, რომ იქიდან აღარ დაბრუნდებით?**

— რისი ეშინიათ, კაცო, აქ უფრო საშიში არა ვარ, ვიდრე იქა? მერე კიდევ, სად უნდა წავიდე, რას ლაპარაკობთ? ეგენი ყველანი გაიქცევიან მალე და მე ისევ აქ დავრჩები.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

## სამხედრო თემაზე

# აფხაზები თავს იზღვევენ

### კოდორის ხეობის ქართული სოფლები სეპარატისტებს მოსვენებას არ აძლევს

კოდორის ხეობის თავზე გამართულმა ერთდღიანმა ომმა ბევრი საგონებელში ჩააგდო — ეს რეგიონი ფაქტობრივად მოწყვეტილია თბილისს, რაც ძალზე აძნელებს ზუსტი ინფორმაციის მოპოვებას იმაზე, რაც იქ ხდება.

13 აგვისტოს კი მდ. ადანგისა და მარუხის რაიონებიდან 100-მდე აფხაზმა (სხვა მონაცემებით — 60-მდე) სცადა კოდორის ხეობის ზედა ზონაში, ანუ ჯერ კიდევ ქართული იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე შემოჭრა.

ჭუბურხინჯში სასწრაფოდ გამართულ ოთხმხრივ — ქართული, აფხაზური, გაეროსა და რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ — მოლაპარაკებაზე მიღწეული იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო დანაყოფების დაშორიშორების შესახებ. ამის თაობაზე ყველამ იცის, მაგრამ გაურკვეველი რჩება თავად აფხაზების მოქმედების ტაქტიკა და ჩანაფიქრი, რადგან 60-100 კაცით, მათაც კარგად მოეხსენებათ, რომ კოდორის ხეობის ზემო ზონაში მდებარე ქართულ სოფლებს და მათ დამცველ სვანებს ბევრს ვერაფერს ავნებდნენ.

აფხაზების ტაქტიკურ ჩანაფიქრზე თავისი მოსაზრება გააჩნია საქართველოს პრეზიდენტის — სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსს გენერალ-მაიორ **გივი იუკურიძეს**:

— 12-13 აგვისტოს აფხაზებმა ჯგუფებად დაიწყეს გადმონაცვლება კოდორის ხეობის ზემო ზონისკენ. მათი მიზანი იყო, უკეთესად გაეკონტროლებინათ ის ბილიკები, რომლებითაც, როგორც სავარაუდოდ სეპარატისტები თვლიან, შეიძლება აფხაზეთის შუაგულში შეუმჩნევლად შეღწევა. აფხაზებს ეშინიათ, რომ ქართველი პარტიზანები გამოიყენებენ ამ ბილიკებს.

ჩვენი მხრიდან მხოლოდ ერთს დავუმატებთ — შარშან, შემოდგომაზე კოდორის ხეობაში გამოჩენილმა ქართველმა პარტიზანებმა და ჩეჩენმა მებრძოლებმა სწორედ ეს ბილიკები გამოიყენეს, რომ გვერდი აევლოთ ლათაში განთავსებული რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ საგუშაგოსთვის და თითქმის სოხუმამდე ჩასულიყვნენ.

ამ მწარე გამოცდილების შემდეგ, აფხაზები და რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ (ჩვენი მონაცემებით, სწორედ მათი საინჟინრო ჯგუფის, რომელიც შვეულმფრენით გადასხეს ამ მიდამოებში, მიერ უნდა იყოს დანაღმული ეს ადგილები) ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ქართველებმა კვლავ არ ისარგებლონ ამ ბილიკებით.

P.S. როგორც ამბობენ, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული ამჟამად საქართველოს გარეთ, კუნძულ კვიპროსზე უნდა ისვენებდეს, რაც ალბათ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ კოდორის ხეობაში ყველაფერი დაწყნარდა და ახალ შემოტევებს არ უნდა ველოდოთ.

# სამხედრო აღჭურვილობა ამერიკელებმა საიდუმლოდ ჩამოიტანეს

„კვირის პალიტრამ“ კარგა ხნის წინათ ამცნო მკითხველს იმის შესახებ, რომ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში ამერიკელები აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალების პირველი პარტიის ჩამოსატანად ემზადებოდნენ.



ასეთი აღჭურვილობა ჩამოგვივიდა ამერიკიდან

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამერიკული მხარე და ის ფირმები, რომლებიც ამ ოპერაციას ახორციელებენ, ძალზე ასაიდუმლოებენ ყველა დეტალს, რასაც შეიძლება თავისებური გამართლებაც ჰქონდეს — „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ჩაშლა ბევრ პრობლემას გაუჩენს არა მარტო საქართველოს, არამედ ამერიკასაც.

ჩვენი ინფორმაციით, ჩამოტანილი აღჭურვილობა შეიცავს ერთი ბატალიონის — 400 მებრძოლის — სრულ კომპლექტს, ამდენივე მუზარადსა და 70-მდე ჯავშანჟილეტს.

მებრძოლის სრულ კომპლექტში 60 დასახელების ნივთია. მათ შორისაა — ოთხი სახის კაშნე (მათ შორის შალის, საწვიმარი და თოვლისთვის), ორი წყვილი სამხედრო ჩექმა, ქურთუკები, კომუფლირებული ტანსაცმელი, რამდენიმენაირი ქვედა საცვალი, სხვადასხვა სახის ქუდი, ჩანთები, ქვაბების, კოვზების, ჩანგლებისა და დანების კომპლექტები, ფარანი, კომპასი და ათასი სხვა წვრილმანი.

საგულისხმოა, რომ ამერიკული მხარე ქართველ მეომრებს სწორედ 7,62 მმ კალიბრის АКМ და СВД (იგი ПКМ ტყვიამფრქვევსაც ერგება) ვაზნები შეუძინა, მათ შორის ფუჭიც, რაც ვარჯიშისთვის აუცილებელია.

ამერიკელებმა არც რამდენიმე ტიპის საკვამლე ხელყუმბარებისა და სასიგნალო ნაღმების გამოგზავნა დაივიწყეს. ამ დამხმარე სახის იარაღს დღემდე ქართულ არმიაში არც ისე დიდი ყურადღება ექცეოდა, არადა სასიგნალო საშუალებები აუცილებელ საბრძოლო მოქმედებებში საკუთარი დანაყოფის სამართავად, ხოლო საკვამლე ხელყუმბარებისგან შექმნილი კვამლის ღრუბელი — საუკეთესო შესანიღბ საშუალებას წარმოადგენდა.

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა ქართული დანაყოფების ღამის პირობებში საბრძოლო მოქმედებების სწავლებას ითვალისწინებს, ამიტომაც ამერიკელები გამანათებელ და ადგილმდებარეობის მომნიშვნელ მაშხალებსაც აგზავნიან.

მაგრამ კვლავ გაურკვეველი რჩება იმ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის სახელმწიფოებრივი კუთვნილება, რომელიც თბილისში მოხვდება — იგი ან ჩეხური ან კიდევ რუმინული იქნება.

ამერიკელები ჩამოტანილი აღჭურვილობის პირველ პარტიას თბილისთან ახლოს ინახავენ (მის ზუსტ ადგილსამყოფელს შეგნებულად არ დავასახელებთ) და განსაკუთრებულად იცავენ, რადგან არც დივერსიულ აქტს გამორიცხავენ.




# არმია პანკისთან მანევრებს იწყებს

**ადგილობრივი უხუცესები ჯარს პანკისის ხეობაში იწვევენ. ხომ არ განმეორდება 1992 წლის 14 აგვისტო?!**

გასულ კვირას თავდაცვის სამინისტრომ თავისი პირველი დანაყოფები გაგზავნა პანკისის ხეობის ახლოს სამხედრო ბანაკის მოსაწყობად.

როგორც მთავარ სამხედრო უწყებაში აცხადებენ, ამ ხეობასთან გაიმართება მორიგი სამეთაურო-საშტაბო სწავლება „კახეთი-2002“. ამ კოდური სახელწოდებით თავდაცვის სამინისტრო გასულ წლებშიც მართავდა სამხედრო მანევრებს აღმოსავლეთ საქართველოში, თუმცა არასოდეს ასე ახლოს არ ყოფილა უკვე ყბადაღებულ პანკისის ხეობასთან.

უფრო მეტიც, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ „კახეთი-2002“-ის ერთ-ერთმა ფაზამ შეიძლება უშუალოდ პანკისის ხეობაც კი მოიცვას.

„კახეთი-2002“-ის გამართვის ოფიციალურ მიზეზად შემდეგ გარემოებას ასახელებენ — „წვრთნისა და აღჭურვის“ ამერიკული პროგრამის მეორე ფაზის კურსდამთავრებულ ქართველ ოფიცრებს სჭირდებათ პრაქტიკულად გამოიყენონ ის თეორიული ცოდნა, რაც მათ ამერიკელმა ინსტრუქტორებმა ასწავლესო.

მაგრამ თუკი ღრმად დავუკვირდებით, „კახეთი-2002“-ის დაწყების საბაბი შეიძლება უფრო პოლიტიკური ხასიათისა იყოს, მით უმეტეს, როგორც კულუარული წყაროებიდან გახდა ცნობილი, ახალი სწავლების დაწყება თავდაცვის მინისტრ თევზაძეს სულაც არ სურდა. ეს გასაგებიცაა, რადგან მინისტრ თევზაძის, ისევე როგორც მისი გუნდის შემდგომი კარიერა პირდაპირ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად წარმატებით განხორციელდება „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა. ამიტომაც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას თავიდან არ სურდა ისედაც მწირი რესურსების დახარჯვა და ახალი სწავლების წამოწყება.

უშუალოდ პანკისის ხეობასთან სწავლების დაწყებას უფრო პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს.

მეზობელ რუსეთში უკვე თავისუფლად ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა ძალებით მოახდენენ პანკისში დესანტირებას. ამასთან დაკავშირებით, აჯობებდა, ხეობაში რუსული დესანტის გამოჩენამდე იქ ქართული სამხედრო დანაყოფები განთავსებულიყო. მით უმეტეს, რომ რამდენიმე დღის წინ პანკისელმა უხუცესებმა მოითხოვეს ხეობაში ქართული ჯარის ჩაყენება.

ერთი შეხედვით, ეს საუკეთესო მიზეზია, რომ ამ ხეობაში, ბოლოს და ბოლოს, დაიწყოს ქართული იურისდიქციის აღდგენა, თუმცა ასევე იზრდება რისკი ათი წლის წინანდელი შეცდომის გამეორებისა.

1992 წლის 14 აგვისტოს ქართული სამხედრო დანაყოფები ტანკებითა და ქვემეხებით მიადგნენ სოხუმს. მოიმიზეზეს აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო მაგისტრალის დაცვა. საბოლოოდ კი, რა მწარე შედეგიც მივიღეთ, კარგად ვიცით.

„კვირის პალიტრის“ ექსკლუზიური მონაცემებით, „კახეთი-2002“-ში მნიშვნელოვანი რაოდენობის (საქართველოს მასშტაბებით) მძიმე საბრძოლო ტექნიკა და საარტილერიო სისტემა მიიღებს მონაწილეობას. ამ რიცხვის დაზუსტებისგან თავს შევიკავებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ოპერატიული სახის ინფორმაციაა და სულაც არ გვსურს ჩვენი გაზეთის საშუალებით შეიტყონ რუსმა სამხედროებმა თუ პანკისის ხეობაში ჯერ კიდევ დარჩენილმა შეიარაღებულმა ჩეჩნებმა, რამდენი ქართული ტანკი თუ ჰაუბიცა მიუახლოვდება ხეობას.

გარკვეული შეშფოთების საბაბს იძლევა შემდეგი გარემოება — რამდენად სწორი იქნება ხეობაში თავდაცვის სამინისტროს მძიმე ტექნიკის გამოჩენა, თუნდაც სამეთაურო-საშტაბო სწავლების ჩატარების მიზნით და ხომ არ გამოიწვევს ეს ათი წლის წინანდელი ტრაგედიის განმეორების საშიშროებას?

თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, „კახეთი-2002“-ში დაახლოებით 600 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, ეს რიცხვი და თავად სწავლების ვადაც შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

გასათვალისწინებელია ის ნიუანსიც, რომ დაუკომპლექტებელი ბატალიონების ფონზე თავდაცვის სამინისტრო იძულებული იქნა სწავლებაში მონაწილე პირადი შემადგენლობა (ძირითადად ჯარისკაცები და სერჟანტები) საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან — ქუთაისის, გომბორის, გორის, ვაზიანის სამხედრო ნაწილებიდან მოეკრიბა, რის გამოც საბრძოლო ამოცანის შესრულებისას ძალზე გართულდება მათი ურთიერთშეწყობილი მოქმედება.

თუ პანკისის ხეობის შიგნით მართლაც დაფუძნდა რომელიმე ქართული სამხედრო დანაყოფი (შინაგანი ჯარების ანდა თავდაცვის სამინისტროსი) ეს, ერთი მხრივ, გააიოლებს მთელი ხეობის ჩვენივე ძალებით გაკონტროლებას, მაგრამ დარჩება საშიშროება, რომ რაიმე პროვოკაციას შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება მოჰყვეს.

საქართველოს ხელისუფლებას მართებს ათასჯერ მეტი წინდახედულება, რათა ცხინვალისა და აფხაზეთის მაგვარი ტრაგიკული შედეგი პანკისშიც არ მივიღოთ. ნუგეშად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის ცნობები, რომ შეიარაღებულმა ჩეჩნებმა და არაბებმა დატოვეს (ან ტოვებენ) პანკისის ხეობა.

P.S. თითქოს თავდაცვის სამინისტროს პანკისისკენ „გალაშქრებას“ ელოდაო, გააქტიურდა შსს-ც. მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა კობა ნარჩემაშვილმა თელავში გამართულ საგანგებო თათბირზე შინაგანი ჯარების დანაყოფებს დაუსახა ამოცანა პანკისის ხეობის შიგნით საგუშაგოების გახსნის შესახებ. ჯერჯერობით უცნობია ამ გადაჯგუფების ზუსტი თარიღი, მაგრამ ნათელია, რომ ამ საგუშაგოებმა ხელი უნდა შეუწყონ უშუალოდ ხეობაში ანტიკრიმინალისტური ოპერაციის დაწყებას. თავის მხრივ უსათუოდ უშიშროების სამინისტროც გააგრძელებს უცხო ქვეყნის საეჭვო პირების დაკავების პროცესს, რომლებიც მერამდენე წელია თავს აფარებენ ხეობას.

გასაკვირი, მხოლოდ თავდაცვის მინისტრის გასული კვირის ორჭოფული გამონათქვამი რჩება — თუ საჭირო გახდება, არმია პანკისის ხეობაშიც ჩაატარებს მანევრებსო. არადა, უშიშროების საბჭოს, როგორც ირკვევა, ასეთი ამოცანა არ დაუსახავს თავდაცვის სამინისტროსთვის. ხანდახან რჩება ისეთი შთაბეჭდილება რომ ძალოვანი და სამხედრო უწყებები ერთმანეთს ერთგვარად ეჯიბრებიან ქულების ჩაწერაში.

ფაქტი კი ერთია — ქართველი ძალოვნები მხოლოდ მას შემდეგ მოვიდნენ გულზე, რაც პანკისის ხეობა შეიარაღებული ჩეჩნებისა და არაბების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დატოვა.

# რუსეთის თავდაცვის მინისტრი თითოეულ მოცემულ ვაზნას გვაყვედრებს



საქართველოს მოთხოვნას, საბჭოთა კავშირის შეიარაღებიდან საკუთარი წილის მიღებაზე, აქტიურად გამოეხმაურა რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი.

იგი არასდროს გამოირჩეოდა საქართველოსადმი დიდი სიყვარულით, მაგრამ მისმა გაანჩხლებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. მან კაკალ-კაკალ დაგვითვალა მთელი ის შეიარაღება და აღჭურვილობა, რაც კი ოდესმე ქართულ არმიას მოსკოვიდან მიუღია.

რუსი მინისტრი თვლის, რომ 1992-1995 წლებში, საქართველოში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზებიდან ქართულ მხარეს გადაეცა 12 შვეულმფრენი, 350-ზე მეტი ჯავშანტექნიკა, 3 ათასზე მეტი ავტომობილი, საჰაერო თავდაცვის 15 კომპლექსი, საველე არტილერიის 400 სისტემა, 49 ნაღმსატყორცნი, 47 ათასზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვია-წამლის 230 პირობითი ვაგონი. ასევე ქართველებს რუსეთმა გადასცა 80 სამხედრო ქალაქი, სამხედრო-საზღვაო ბაზა ფოთში და სხვ.

ეს ნუსხა მართლაც რომ შთამბეჭდავია და შეიძლება ამ საქმეში ნაკლებად გარკვეულმა მკითხველმა იკითხოს — თუ მართლა ამდენი იარაღი მოგვცეს რუსებმა,



რაღას ვემდურით კრემლს, ამით ხომ აფხაზეთს თავისუფლად ავიღებდითო.

სინამდვილეში კი ეს ციფრები ძალიან გაბერილია, მარტო ცეცხლსასროლი იარაღი 2-3-ჯერ ნაკლები მივიღეთ. უბრალოდ, მოსკოვი სარგებლობს ჩვენივე დაუდევრობითა და წინდაუხედაობით — იარაღის გადმოცემის პროცესს თითქმის ყოველთვის თან ახლდა გაუგებრობები და უწესრიგობა, არ ხდებოდა ყველაფრის ზუსტად აღრიცხვა და დათვლა. ამას შეიძლება ზოგიერთი იმდროინდელი მაღალჩინოსანი ქართველი სამხედრო (როგორც დღეს ჩანს) განგებაც აკეთებდა, რათა შემდგომში „მოტეხილი“ იარაღისა და, განსაკუთრებით, ტყვია-წამლის მთელი პარტიების გაყიდვის შესაძლებლობა მისცემოდა. მაგალითად ერთი ფაქტიც კმარა — ახალციხის დივიზიის გადმოცემისას მისი ერთ-ერთი დიდი საწყობი ორი დღე-ღამის განმავლობაში თითქმის უპატრონოდ იყო მიტოვებული და ვისაც ფორმისმაგვარი ეცვა, სატვირთო ავტომობილებით ეზიდებოდა იქიდან ტყვია-წამალს, ყოველგვარი ზუსტი აღრიცხვის გარეშე.

სწორედ ეს გარემოება აძლევს საშუალებას მინისტრ ივანოვს, რომ იმაზე 3-4-ჯერ მეტი მოგვაწეროს, ვიდრე სინამდვილეში მივიღეთ. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება — გადმოცემული იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის დიდი ნაწილი ან გაუმართავი იყო, ან კიდევ სამშობლოში დაბრუნების წინ რუსი სამხედროები საგანგებოდ აფუჭებდნენ. რაც ამდენ ბარბაროსობას გადაურჩა, მათ გამოუცდელმა ქართველმა სამხედროებმა მოუღეს ბოლო.

„კვირის პალიტრა“ ეცდება, მოიპოვოს სრული და რეალობასთან მეტ-ნაკლებად მიახლოებული ნუსხა (აბსოლუტური სიზუსტე უზარმაზარ და მრავალწლიან საგანგებო საგამომძიებლო მოქმედებას მოითხოვს) იმ იარაღის, საბრძოლო ტექნიკისა და აღჭურვილობისა, რაც მართლაც დაგვრჩა საბჭოთა არმიისგან.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### თბილისს „მირაჟები“ კვლავ გადაუფრენენ

თვე-ნახევარში თბილისის თავზე კვლავ გამოჩნდებიან ის ფრანგული სამხედრო თვითმფრინავები, რომლებმაც საქართველოს ცა ერთხელ უკვე გადასერეს აღმოსავლეთის მიმართულებით.

2001 წლის 16 დეკემბერს საფრანგეთმა ავღანეთში დაწყებული ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში, თავისი დროებითი სამხედრო-საჰაერო ბაზა შექმნა ყირგიზეთის აეროპორტ „მანასში“. იქ 6 მრავალფუნქციონირებადი MIRAGE-2000D საბრძოლო თვითმფრინავი, ორი C-135FR ტიპის საჰაერო ტანკერი და 400 კაცი განთავსდა. ისინი სისტემატურად მონაწილეობდნენ ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციებში.

ოქტომბერში ფრანგების შემადგენლობა როტაციას მოახდენს და მათ მაგივრად „მანასში“ ნიდერლანდების F-16 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავები ჩაფრინდებიან,



ჰოლანდიურმა F-16-ებმა გზად საქართველოს საჰაერო სივრცე უნდა გაიარონ

რომელთაც ჰოლანდიელი, ნორვეგიელი და დანიელი სამხედროები მოემსახურებიან.

ეტყობა, ოქტომბერში საქართველოს ცაში ევროპელების სამხედრო თვითმფრინავების „ტევა“ არ იქნება, რადგან ძირითადი საჰაერო მარშრუტი ევროპიდან შუა აზიამდე, სწორედ ჩვენი ქვეყნის თავზე გადის.

ისე, შეიძლება ამ დროს ჩვენს ცაში ერთგვარი „საჰაერო ატრაქციონიც“ გაიმართოს, თუკი რუსულმა ბომბდამშენებმა, მოიერიშეებმა და დამრტყმელმა შვეულმფრენებმა გააგრძელეს ქართული მიწის დაბომბვა — ერთდროულად ქართულ ცაში რამდენიმე ქვეყნის საბრძოლო აპარატი იფრენს — რით ჩამოუვარდება ლე ბურჟეს თუ ფარნბოროს პოპულარულ ავიაშოუებს?!

### პენტაგონი ფილი პინებზე ანტიტერორისტულ ოპერაციას იწყებს, პანკისში...

ფილიპინელმა სამხედროებმა და პენტაგონის წარმომადგენლებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ოქტომბრიდან ამ ქვეყანაში დაიწყება ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციის მეორე ფაზა. პირველი ფაზა, ისევე როგორც საქართველოში მიმდინარე „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა, ითვალისწინებდა ამერიკული კომანდოსის მიერ ფილიპინების ელიტარული სამხედრო ნაწილების მომზადებას.

ოქტომბერში დაგეგმილი ანტიტერორისტული ოპერაციის მეორე ფაზაში მონაწილეობას მიიღებს 4 ათასამდე ფილიპინელი სამხედრო და 400 ამერიკელი სპეცრაზმელი, აგრეთვე ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენები — მობილური ჯგუფების ჯუნგლებში გადასასხმელად. მათი ამოცანაა ჯუნგლებს შეფარებული ისლამური მოძრაობის „აბუ-საიაფის“ საველე ბანაკების პოვნა და განადგურება.

საინტერესოა, ხომ არ ავლებს ერთგვარ პარალელს პენტაგონი ფილიპინებსა და საქართველოს შორის (სხვა თუ არაფერი, ორივე პროგრამა ამერიკელებმა ერთდროულად დაიწყეს ფილიპინებზეც და ჩვენთანაც) და ხომ არ ველოდოთ, რომ ორიოდე თვეში პანკისშიც იგივე მოხდება?

### საქართველოს განახლებული „ძალით“ დაბომბავენ?!

მალე ქართულ მიწას ეტყობა, ახალი ძალით დაატყდება რუსული ბომბები. არა, რუსებს არ განუახლებიათ არც ბომბდამშენების პარკი და არც ბომბების სახეობები. უბრალოდ, შეცვალეს მე-4 საჰაერო არმიის ხელმძღვანელობა; სწორედ იმ არმიისა, რომლის შტაბი როსტოვშია და რომელშიც შემავალი საავიაციო პოლკების Су-25-ები და Су-24М-ები ბომბავდნენ საქართველოს.

მე-4 საჰაერო არმიის ყოფილი სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ ზელინი დააწინაურეს და რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაციის უფროსად დანიშნეს (ეტყობა, საქართველოს საჰაერო სივრცეში შეტევითი ოპერაციების უდანაკარგოდ შესრულების გამო). მე-4 არმიის ახალი სარდალი კი გენერალ-მაიორი ვლადიმირ გორბასი გახდა. ახალ სამსახურში თავის გამოჩენის მიზნით, იგი ალბათ ეცდება, უფრო ინტენსიურად დაბომბოს საქართველოს მიწა.



**ჩემი რესპონდენტი პროფესიონალი ჯიბგირი, ქურდი და ყაჩაღია. წამალზეც (ნარკოტიკებზე) დიდხანს „იჯდა“, ცხადია, არც ციხე-კოლონიებში „დასვენება“ დაჰკლებია. მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მიხვდა, რომ ბოროტების გზას ადგა და ყველაფერს თავი დაანება. ვინაობის გამხელა არ ისურვა, სამაგიეროდ, დიდი სინანულით, გულახდილად მიამბო თავს გადამხდარი ამბები. ახლახან მას 75 წელი შეუსრულდა.**

# „უკან ტყვია არ მოგვაყოლა ამ გაზლინძილმა?“

## „მეზობელო კარისაო“

ვიცოდი, კარს არ გაგვიღებდნენ, არადა ერთი ზედმეტი ჩქამი და, ზიმნა, მიხაკო ხახიაშვილის ცოლი, ისეთ კივილს ატეხდა, ნახევარი დაბა ფეხზე დადგებოდა. ქართველები და ებრაელები გვერდიგვერდ ვცხოვრობდით, მაგრამ მიხაკოს სახლში არასდროს შემიხედავს. ან ვინ შემახედებდა — ყველამ იცოდა, პატარაობიდანვე რომ ბაცაცა ვიყავი. სამაგიეროდ, მიხაკოს ბიძაშვილს, აბრაშკა ხახიაშვილს, ყველა „მობრძანდი, შენი ჭირიმეთი“ ეგებებოდა. არადა ქვის გამციებელი იყო, მაგრამ მისი საქმიანობა ჯერჯერობით არ გახმაურებულიყო...

ეს საქმეც აბრაშკამ მოგვცა.

ომი ახალი დამთავრებული იყო და გამოცარიელებულ მაღაზიებში უბრალო საათსაც ვერ იშოვიდა კაცი. ჰოდა, მიხაკოს ჯალაბიც მარტო საათებით ვაჭრობდა. წავიდოდა მიხაკო კვირაში ორჯერ მოსკოვს, იყიდდა იქ მაშინდელ „პობედა“-საათებს, შემოიკრავდა ტანზე რამდენიმე ათეულს და წამოვიდოდა. შინ მისვლამდე, გზაშივე აედევნებოდნენ კლიენტები. ზიმნა ერთ-ორ საათში დაიცლიდა ხელს და ქმარს ააჩქარებდა — ხვალვე უკან გაბრუნდი, ახალი პარტიის ჩამოსატანადო.

ხალხს ფული უჭირდა და ზიმნაც არ ამბობდა უარს, როცა ოცდაათმანეთიან საათში რამდენიმე ასეულ მანეთად ღირებულ ბებიის დანატოვარ ნივთს სთავაზობდნენ — იცოდა ოქროსა და ძვირფასი თვლების ფასი.

აბრაშკამ გვითხრა, ოღონდ მე ნუ შემიყვანთ მაგათ სახლში საყაჩაღოდ და, კაცურ სიტყვას გაძლევთ, ხუთ კილო ოქროსა და ბრილიანტს მაინც გამოიტანთ. თუ ნაკლები იქნა, ჩემს წილზე უარს ვიტყვიო.

ჩვენსავით ნიღაბაფარებული აბრაშკა სახლის მოშორებით იდგა და გვარიგებდა:

— ე, კედელზე აყუდებულ შეშას ხო უყურებთ — ერთი-ორი ცალი ფანჯრისკენ გადმოიტანეთ და შენ აცოცდი ზედ, ჯემალა (ამ სახელის გარდა, დანარჩენის გვარ-სახელი ნამდვილია, — ***ვ.გ.***), ტანმჩატე ხარ. სარკმელი ღიაა. გადაყოფ ხელს, ურდულს იპოვი, წყნარად გააღებ ფანჯარას, ოთახში გადაძვრები და ბუდუსა და სიმონას დაელოდები. მაგ ოთახში არავინაა, მეორე ოთახში სძინავთ ზიმნასა და ბავშვებს. გოგო მშიშარაა და ხმას ვერ ამოიღებს, მაგრამ პატარა ბიჭს უფრთხილდით, თუ დაყვირება მოგასწროთ, ვერაფრით გააჩერებთ. დედაიმათი კი, შენ თვითონ მოგეხსენება, რა აშარიცაა. მოკლედ, ბიჭსაც და დედასაც ენა-პირს თუ არ დაუდუმებთ, შავ დღეში ჩაცვივდებით. მიდით, ნუღარ აგვიანებთ. ამ საღამოს ჩვენებური პასექის დღესასწაული დაიწყო და მაცას აცხობდა ჩემი რძალი. ყალიაც ჰქონდა ცეცხლზე შემოდგმული. არ მოგშივდებათ. შესაძლებელია დილამდე მოგიწიოთ „მუშაობა“, ძვირფასეულობა ისეთ ადგილზე ექნებათ დამალული, ადვილად ვერ მიაგნებთ. ფული არც ეძებოთ. ჩვენებს არ უყვართ ფულის შინ გაჩერება. ფული საბრუნავი საშუალებაა, მაგრამ როდის შეიგნებთ ამას ქართველები. ამ საღამოს სინაგოგაში ზიმნას დედამთილის ნაჩუქარი ბეჭედი ეკეთა. ძვირფასია, მაგრამ კაცურად გთხოვთ, არ წააძროთ. ისედაც არაფერი დაუშავოთ...

— დალოცვილო, მეტი რა უნდა დაუშავდეს, მთელი სარჩო-საბადებელი უნდა წავართვათ. შენც ბიძაშვილი ხარ, რაღა, — ჩაიბურტყუნა ბუდუ კირკიტაძემ და სიმონა გაფრინდაშვილს ისე გადახედა, თითქოს მისგან თანხმობას ელისო (ორივე დახოცეს მომდევნო წლებში, აბრაშკა ხახიაშვილი კი შარშანწინ გარდაიცვალა ისრაელში).

ესენი კი უბღვერდნენ, მაგრამ აბრაშკასაც რა ექნა, მისი ბიძაშვილი ოქრო-ვერცხლში ცურავდა, თვითონ კი მთელი ქონება ტანზე ემოსა. ებრაელად არ უნდა გაჩენილიყო. ვაჭრობისა არა გაეგებოდა რა და არც ოჯახის ბიზნესის — (უკაცრავად, მაშინ სპეკულაცია ერქვა ამას), გარიგებაში არ მონაწილეობდა, არც ოჯახი უნაწილებდა რამეს. ისე კი, აზრიანი ბიჭი იყო. ამ საღამოსაც ისეთი ალიბი გაიკეთა, წყალი არ გაუვიდოდა. სამი საათი იდგა სინაგოგაში და რაბინის თუ ხახამის (ეს თვითონაც არ იცოდა) ქადაგებას ისმენდა. დიდად არ ეპიტნავებოდა, მაგრამ იცოდა, ზემოთ სხვა ქალებთან ერთად მისი რძალიც იდგა. გრძნობდა, ზიმნა მის ზურგს ხედავდა და მეტი არაფერი აინტერესებდა.

...ყველაფერი ზუსტად ისე გავაკეთე, როგორც აბრაშკამ მიკარნახა. მე, ბუდუ და სიმონა სახლში შევედით. კარის ღრიჭოში მეორე ოთახიდან სინათლე გამოდიოდა. კარი ნელა გავაღეთ და დედა-შვილის საძინებელში შევედით. ზიმნას ასე, ათი წლის ბიჭი ეწვა გვერდით, მეორე საწოლზე ცოტა უფრო მოჩიტულ გოგონას ეძინა. ნავთის ლამპა იატაკზე ისე იდგა, რომ შუქს მძინარენი არ შეეწუხებინა. ოთახში გულის მომკვლელი სიღარიბე იყო. წამით შევყოყმანდი — აქ ოქროს რა უნდა-მეთქი, მაგრამ ვიცოდი, როგორ სარფიანად ვაჭრობდა ეს ოჯახი. მიხაკო ახლაც მოსკოვში იყო წასული, ცოლ-შვილი კი...

სიმონას ვანიშნე, ზიმნა და ბიჭი შეკარი-მეთქი. მანაც ორთავეს ისე წააფარა საბანი, ვერც ერთი ვერ გამოძვრებოდა. ვიდრე იყვირებდა, ზიმნას ხელსახოცით ავუკარი პირი. ბავშვი კი შეგვეცოდა და სიმონა ხელით უჭერდა პირს, რომ არ ეყვირა. შიგადაშიგ სუნთქვის საშუალებასაც აძლევდა, მაგრამ ვატყობდი, ძლივს იმორჩილებდა. გოგომაც გაიღვიძა. შიშით მართლა ენა ჩაუვარდა და ვიგრძენი, რომ მისგან გართულებები არ მოგველოდა.

ბუდუს ვეებერთელა ნაგანი ეჭირა ხელში და გარედან საფრთხის შემთხვევაში, მზად იყო, სასხლეტი გამოეკრა.

ოთახის ჩხრეკა დავიწყე. ყველაფერი გადმოვაგორე, კარადის უჯრები გადმოვყარე. მაგიდების ქვეშაც ვიკირკიმალე. არც ფქვილის ტომრები და მურაბის ქილები დამიტოვებია უყურადღებოდ. მერე მეორე ოთახი გადავაქოთე. შენც არ მომიკვდე, რას ეძებ, რა დაგიკარგავს. იმ ბეჭდის მეტი, რომელიც ზიმნას ხელზე ეკეთა, ფასეული არაფერი ჩანდა. ისე გავმწარდი, აბრაშკა რომ აქ ყოფილიყო, ცხვირ-პირს დავალეწავდი. ვერ მოვითმინე და ბუდუს ვუყვირე, — ასე იასაულივით რომ დამდგარხარ, ხელი გაანძრიე-მეთქი. რაღა დარჩა გასაჩხრეკიო, — მომახალა. სახურავზე მივუთითე. ავიდა ბუდუ

**ბუდუსკენ რომ შევბრუნდი, განცვიფრებისგან ენა მუცელში ჩამივარდა. ბუდუს ფეხებთან დაძენძილი საწვიმრის საიდუმლო ჯიბეებიდან გადმოცვენილი ოქროს ბეჭდები გაფანტულიყო. ამის დანახვა იყო და, პატარა ბიჭმა, რომელსაც გაჭირვებით აკავებდა სიმონა, თავი დაიძვრინა, ლოგინიდან გადმოხტა და ისეთი კივილი ატეხა, ძარღვებში სისხლი გამეყინა.**

აივნიდან სახურავზე ფარნით ხელში. მაგრამ, ეტყობა, ვერ მოზომა, ფეხი ქვემოდან აკრულ თხელ ლამფას დააბიჯა და ჭერის ფიცრებთან ერთად ქვასავით დაენარცხა იატაკს. თუ რამ ნაგავი იყო სხვენზე, სულ თავზე დაგვეყარა. ბუდუმ წამოდგომა დააპირა, მაგრამ ისე იყო დარეტიანებული, გაუჭირდა. წამოსადგომად მისდა უნებურად კედელზე დაკიდებულ ძველ საწვიმარს სტაცა ხელი. საწვიმარი ლურსმანს მოწყდა და ძირს დავარდნისას ისეთი მკვეთრი ხმა გამოსცა, თავი ვეღარ შევიკავე და ვუყვირე, — რა მოგივიდა, რას დაგვანგრიე ეს სახლი თავზე-მეთქი. მაგრამ ბუდუსკენ რომ შევბრუნდი, განცვიფრებისგან ენა მუცელში ჩამივარდა. ბუდუს ფეხებთან დაძენძილი საწვიმრის საიდუმლო ჯიბეებიდან გადმოცვენილი ოქროს ბეჭდები გაფანტულიყო. ამის დანახვა იყო და, პატარა ბიჭმა, რომელსაც გაჭირვებით აკავებდა სიმონა, თავი დაიძვრინა, ლოგინიდან გადმოხტა და ისეთი კივილი ატეხა, ძარღვებში სისხლი გამეყინა. ფაცხაფუცხით ავკრიფეთ ოქროები. ბიჭის დაწყნარებას აზრი აღარ ჰქონდა, ისედაც უკვე მთელმა უბანმა გაიგო. ისევ ფანჯარას ვეცით. წინ სიმონა და ბუდუ გარბოდნენ. სიბნელეში, სახეზე ნიღაბჩამოფარებულებს, გვიჭირდა გზის გაგნება. მანქანა ქვემოთ, მდინარის პირას გველოდა. მაგრამ იქამდე მიღწევა არ გინდოდა? როგორც იქნა, გავცდით ამ დაწყევლილ უბანს, აგერაგერ ჩემი სახლის წინ უნდა გავირბინოთ, რომელშიც უკვე აღარავინ ცხოვრობდა. უცებ ზურგს უკან თოფმა არ იქუხა?! მარჯვენა ფეხზე თითქოს ცელი გადამისვეს. თუმცა მაინც მემორჩილება და კვლავ გავრბივარ. როგორც იქნა, გავაღწიეთ. მერე გავიგე, ჩემს ალალ ბიძაშვილს უსვრია. დიდი სიამაყით მიყვებოდა ამის შესახებ, — ყაჩაღი იქვე გავაგორე, მაგრამ მისიანებმა ზურგზე მოიგდეს და წაათრიეს. უთუოდ მოჭრიდნენ ფეხს, რადგან თოფი „კარტეჩით“ მქონდა დატენილიო. მე კი, მწყრის ორი ცალი საფანტი თავისი ხელით ამომიღო იმ დილით ბუდუმ და ისე გავიარე, არც მიკოჭლია.

მერე ჩემი ოქროებით კისლოვოდსკში ჩავედი, ვიფიქრე, ვითამაშებ, მოვიგებ და ქონებას გავიორმაგებ-მეთქი, მაგრამ ყველაფერი წავაგე და ცარიელ-ტარიელი დავბრუნდი უკან. ხომ გაგიგონია, ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო.

## ბალი... სამურაბედ

ისევ ჯიბგირობას დავუბრუნდი. მაშინ მატარებლით მგზავრობდა მდიდარიც და ღარიბიც. ამიტომაც, თუ სადმე რამე იყო მოსაპარავი, პირველ რიგში მატარებელში. მატარებლით მგზავრობდა ხოლმე ჩვენი მეზობელი ხაველას ვაჟი რეზიკო. ფეხსაცმლით ვაჭრობდნენ ხაველა და მისი ვაჟი. ერთხელ გაქურდეს რეზიკო მატარებელში, მეორედ, მესამედ... ქალბატონი ხაველა კარს მომადგა — ოღონდ რეზიკოს ნუ შეეხებიან და ერთ კაი საქმეს მოგცემთო და... მომცა: მეზობელ ქალაქში იქაური პურკომბინატის დირექტორს, ვინმე ვალიკო ლაბუჩიძეს, დიდი ფული აქვს, ძალიან წუწურაქი კაციაო. ხაველა თავისი საქონლით მდიდრებთან შინ დადიოდა. ზუსტად იცოდა, სად ინახავდა ეს კაცი ფულს და მიახლოებითი თანხაც კი დაასახელა. მე რომ მიყურებ, კი ხედავ, რაცა ვარ. არც მაშინ გახლდი ყარამან ყანთელი. სულ მეშინოდა, ვინმემ ქვეშ არ მომიქციოს-მეთქი. ხაველას რეზიკოს ხელშეუხებლობის პირობა მივეცი და ვკითხე, — ეს მეპურე რამხელა კაცია, ხომ ვერ მომერევა-მეთქი. დაახლოებით შენი ტანისა იქნება, დაგენაცვლე, შენ ის რას დაგაკლებსო. ამით გათამამებულმა იმ ღამესვე მივაკითხე ბატონ ვალიკოს. ხაველას გაფრთხილებული ვყავდი, — კარს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგიღებს, თუ ეტყვი, პურის ქარხნიდან გამომგზავნეს, რაღაც გაუფუჭდათ და ცხობა შეჩერებულიაო. ასეც მოვიქეცი. მივაკაკუნე და შევძახე — ქარხანაში ავარიაა-მეთქი. იმწამსვე გამომძახა, — არ წახვიდე, წესიერად მითხარი, რა მოხდაო და კარი გამიღო. ვხედავ, მთისოდენა, ნამძინარევი კაცი ნიფხავ-პერანგის ამარა დგას შესასავლელში და შარვალს ეძებს. კიდევ კარგი, იმ წამში ზურგით იდგა, თორემ შეიძლება უკანვე გამოვქცეულიყავი. მხდალი რომ არ ყოფილიყო, კინწისკვრით გამოგვყრიდა სამივეს. მგონი, არ გითხარი, რომ აბრაშკა და ერთი ზესტაფონელი ძმაკაცი, მეტსახელად „კარტოხა“ მახლდნენ თან, ისე, ყოველი შემთხვევისათვის. როგორც იქნა, გამახსენდა, რომ ხელში პისტოლეტი მეჭირა. გამბედაობა მივიკრიბე, ლულა ფერდში ვატაკე და ვუბრძანე, — სამი კაცი ვართ. კარტში ას-ასი მანეთი წავაგეთ და არ გვინდა ფუფლოში გადავვარდეთ. გვასესხე და გაგისტუმრებთ-მეთქი. ერთბაშად აცახცახდა. ამის შემხედვარემ ამოვისუნთქე. უფრო გავგულადდი — ჩქარა-მეთქი და ისევ ვატაკე პისტოლეტის ლულა. შემოსასვლელში ჩაშენებული კარადის ზედა თაროდან (ზუსტად ისე, როგორც ხაველამ მითხრა) გამოიღო ფული, გადმომითვალა, თან ნამუსზე შემაგდო, — ხომ ხედავ, ხელს გიმართავთ, ოღონდ ჩქარა უნდა დამიბრუნოთ ვალიო. მაშინ კი გავცოფდი, — შენი ვალი და შენი დედაც-მეთქი და ჯერ ის წავართვი, რაც ხელში დაიტოვა. შემდეგ თაროზე შევხტი და სულ ოცდახუთმანეთიანებისა და ხუთთუმნიანების დასტები გადმოვალაგე. გულმა მითხრა, უფრო ღრმად მოქექეო. აბა, ამოვიდა და ამოვიდა — ორასი ათასის სამპროცენტიანი ობლიგაცია. ეს კი ოქროს უდრიდა. რადგან ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ბანკი ანაღდებდა და თანაც მომგებიანი იყო. ეს იმ დროსათვის დიდი ფული იყო. სხვა აღარაფერი გვიძებნია, კარი გამოვიხურე და კიბეზე დავეშვით. უკან ტყვია არ მოგვაყოლა ამ გაზლინძილმა? თურმე კარს უკან ეკიდა თოფი, რომელზეც ქალის ხალათი იყო ჩამოფარებული. კიდევ კარგი, ამაცილა. მაგრამ იმდენად კი შემაშინა, რომ ორჯერ საპასუხოდ ვესროლე. დავაღირეთ თავი და რკინიგზის სადგურისაკენ გავიქეცით. იქ კი ერთი ორმეტრიანი ოსი მილიციელი ჰყავდათ. სროლის ხმა რომ გაუგონია, წინ გადაგვიდგა იარაღით ხელში და ბრმად გვესროლა. მეც ასევე ბრმად ვისროლე და ფეხით გადავლახეთ ყვირილა. მეორე ნაპირზე მანქანიანი მეგობარი მეგულებოდა. თანამგზავრებს დავემშვიდობე, ჩემი ნადავლი გავშალე, იარაღიც ზედ დავადე, ზემოდან გაზეთები გადავაფარე და მერე ბალი დავაყარე. არ გამივლია კილომეტრი და ავტოინსპექტორი სერგო ჯუღელი მაჩერებს, მერე მანქანაში იყურება — აქ რა ხდებაო, — თან მუხლები მიკანკალებს, თან ბალს ვთავაზობ, — ინებეთ, ბატონო სერგო, სამურაბედ მინდა, ოჯახმა დამაბარა-მეთქი. გადავრჩი, მაგრამ მოგვიანებით მაინც დაგვიჭირეს მე და კარტოხა სხვადასხვა საქმეზე. ერთმანეთს ქუთაისის ციხეში შევხვდით, ჩვენი საკნები ერთმანეთს უყურებდა. ხელით დამიწერა (პატიმრების ანბანით) — ის საქმე ჩემს კისერზე ავიღეო.

მერე კარტოხაც მოკლეს და მეც შევეშვი იმ უბედურებას. გახსენებაც არ მინდა, მაგრამ რომ ვერც ვივიწყებ?

***ვაჟა გაგაშელი***

# — თორმეტი წელი ომში გავატარე და, თურმე ქალმა უნდა მასწავლოს, როგორ უნდა ვიომო...

***(დასაწყისი იხ. გვ. 5)***

წებელდა არ შედის არც სამშვიდობო ჯარების, არც რუსეთის, არც „იუნესკოს“ დაცვის ზონაში. მისი დაკავების შემდეგ ღია ეთერში გამოვაცხადებდით, რომ აჯანყდა ადგილობრივი მოსახლეობა და დახმარებას სთხოვს ყველა ქართველსა და არაქართველს. მაგრამ რა, ერთი კვირის მაგივრად თვე-ნახევარი ჩაგვკეტეს. ჩვენმა ხელისუფლებამ არ მოგვცა გასვლის საშუალება.

— **რატომ?**

— მაგათ მაშინ გაიგეს, რომ ჩვენ უკვე ენგურის წყალსაცავთან ვიყავით დაბანაკებულები, ჭორები გავრცელდა — ჩეჩნები შემოვიდნენო. დაიწყო ჟურნალისტების აქეთ-იქით მისვლა-მოსვლა, მონახეს ის მძღოლი, რომელმაც გადაგვიყვანა, იმანაც მართლა გაგვყიდა და თქვა. ამის მერე დაიწყო გაუთავებელი მოლაპარაკებები. თვითონ თარგამაძე იქ არ ყოფილა, მაგრამ ჩამოვიდა ჯარების სარდალი, შერვაშიძე. პირადად ვესაუბრე. გვეუბნებოდნენ, რომ თურმე, ჩეჩნებთან შევიკარით და მოღალატეები ვყოფილვართ.

— **გელაევი თქვენთან იყო?**

— გელაევიც ჩამოვიდა. ოთხასკაციანი ჯგუფი იყო. ეს თემა გაუთავებლად მუსირებს. რატომღაც, ბასაევმა თავისი „გალავარეზები“ რომ ჩამოიყვანა და გაგრა თუ სხვა ქალაქები რომ დაგვაკარგვინეს, მაშინ რუსები ჩეჩნებს ბანდიტებად არ აცხადებდნენ, მაგრამ როდესაც ჩვენს მხარეს დაიწყეს ბრძოლა აფხაზეთის წინააღმდეგ, მაშინ გახდნენ ბანდიტები.

— **თქვენ თქვით, რომ ეს ოპერაცია სამმა კაცმა დაგეგმა. საიდან მოგივიდათ ეს აზრი და როგორ დაუკავშირდით გელაევს?**

— ძალიან უბრალოდ. დახმარების იდეა, პრინციპში, თვითონ გელაევის ხალხისგან მოდიოდა, თვითონ მათ შემოგვთავაზეს.

— **ანუ მართალია, რომ აფხაზეთიდან რუსეთში უნდოდათ გადასვლა?**

— კი, ამაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ გელაევთან გვქონდა საუბარი და თვითონ ძალიან კარგად იცოდა, რომ იქიდან რუსეთში ის ვერ გადავიდოდა. თუმცა მიზანი კი იყო, სოჭით უნდოდათ გასვლა. არარეალური იყო, რადგან დაიწყებოდა თუ არა ბრძოლა, რუსები აუცილებლად გამოიყენებდნენ ამ მომენტს და გამოიყენეს კიდეც. თუმცა, რუსეთსაც კი არ სჯეროდა, რომ ამხელა ჩეჩნური რაზმის გადაყვანა შეიძლებოდა ერთ ღამეში. ამას მაშინ მიხვდნენ, როცა რუსები წებელდის დაბომბვას აპირებდნენ. ავდრიანი ღამე ამოვარჩიეთ და ჭუბერის უღელტეხილზე გადავიყვანეთ. ტყეს შეეფარნენ.

— **რატომ უნდოდათ ჩეჩნებს სოჭის მხარეს გადასვლა?**

— რომ გასულიყვნენ ლესელიძეზე, დიდ ზიანს მიაყენებდნენ რუსებს. ძალიან კარგად გაწვრთნილი ძალა იყო. სხვათა შორის, გელაევის ხალხი აღფრთოვანებული იყო ხევსურებით.

— **მოდით, დავუბრუნდეთ იმ ეპიზოდს, ხელისუფლებამ რომ დაგაკავათ...**

— ბრძოლა მაინც გაგრძელდა, სოხუმთან შეტაკება მაინც მოხდა, მაგრამ არა ისე, როგორც ვგეგმავდით — იქ უკვე დაგვხვდა ძალა. შიშველ მთასთან მსხვერპლიც იყო. აფხაზებმა ტერიტორიის დანაღმვა მოასწრეს. ამის მერე დავქსაქსეთ ეს ჯგუფები და როგორ გამოვიდნენ და რანაირად მოხდა მათი პანკისში დაბრუნება, ამას აღარ გეტყვით.

— **გელაევი როგორ წავიდა?**

— ამასაც ვერ გავამხელ.

— **დღევანდელი გადასახედიდან ფიქრობთ თუ არა, რომ ეს თქვენი შეცდომა იყო?**

— რა ვიცი, მაინც ოპტიმისტურად ვიყავით განწყობილები. ჩვენს სასარგებლოდ რომ განვითარებულიყო მოვლენები, კოდორში სამშვიდობო ჯარი რომ დგას, მაგას ფუნქცია ექნებოდა დაკარგული.

— **როგორ დავიჯეროთ, რომ ჩეჩნების ოთხასკაციანი ჯგუფი გადაიყვანეთ და შსს-მ არაფერი იცოდა?**

— ეგენი თავის თავში არიან დარწმუნებულები, თორემ მაგათ მოტყუებას არაფერი უნდა. რატომ, იცით? ეგენი მეომრები არ არიან. მიეჩვივნენ, რომ მთვრალებს დაიჭერენ, ვიღაცას ნარკოტიკს ჩაუდებენ, ფულს გამოსძალავენ და აი, ეს არის მაგათი საქმე... ჩვენ ბილიკებით გამოვედით.

— **ბატონო ანდრო, ოფიციოზი აცხადებს, რომ ამჟამად კოდორში შეტაკებას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა ხმა გავრცელდა, რომ იყო. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?**

— ვიცი, რომ არ იყო. არ არის გამორიცხული, ჩხალთასთან აფხაზების გაყვანა გაუჭირდეთ. მოგეხსენებათ, რუსები და აფხაზები დღემდე ცდილობენ, რომ კოდორის, მთლიანად დალის ხეობაში სამშვიდობოები ჩადგნენ და გააკონტროლონ ეს ტერიტორია. ქართული მხარე წინააღმდეგია და ამიტომ არის ახლა ეს კონფლიქტი... ახლა ამერიკელები ჩამოგვიყვანეს ომის სასწავლად, თურმე ქალმა უნდა მასწავლოს, როგორ უნდა ვიომო, როცა თორმეტი წელი ომში გავატარე.

***მარინა მამისაშვილი***

# ჩვენებური ზღვა და ჩვენებურები...

**ამბები ღია ცის ქვეშ დარჩენილი ინგა გრიგოლიასი, კალოშებიანი „წოპესი“, პოსეიდონთან სტუმრად მყოფი გელა ჩარკვიანისა და კიდევ ბევრი სხვა**

*სანამ აჭარაში მოგზაურობის შესახებ წერას შევუდგებოდი, ერთხელ კიდევ დამიდგა თვალწინ სარფში, გონიოში, ბათუმსა და ქობულეთში მოკამკამე ლურჯი ზღვა და ნოსტალგიამოძალეობულს ძალიან გამიჭირდა თხრობის დაწყება. თუმცა, აკვიატებულმა სიმღერამ — „ბათუმს ქათქათას“ თავისი გაიტანა და მოგონებები ტალღებივით აიშალნენ.*

*მართლაც სუფთა და ქათქათა ბათუმში საკურორტო სეზონისთვის დამახასიათებელი ხვატი და ცეცხლი გიზგიზებს. მომეტებული სიძვირის გამო ყველაფერს „ცეცხლი უკიდია“, თუმცა, ეს ტრადიციული მოვლენა სრულებით ვერ უშლის ხელს დამსვენებელთა სიჭარბეს და ქალაქი 24-საათიანი მოგუგუნე რიტმით ცხოვრობს. აჭარლები კი, მიუხედავად ამისა, მაინც ჩივიან — მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილმა ურეკში დასასვენებელი კომპლექსი შეიძინა და ჩვენს სასტუმროებთან შედარებით დაბალი ფასები დაადო, დამსვენებლები აჭარაში აღარ მოდიან და უფრო ურეკს მიეძალნენო. მე, როგორც „თვითმხილველი“, ნამდვილად ვერ დავეთანხმები მათ. აჭარაში რიგითი ქართველების გარდა, ცნობილი ქართველების სიმრავლეც შეიმჩნევა, რომლებიც უფრო ქობულეთს ეტანებიან. თანაც, გულმოდგინედ ცდილობენ ცნობისმოყვარე თვალის და მით უფრო ჟურნალისტებისგან შორს ყოფნას, მაგრამ ამაოდ — ჩემს ფოტოობიექტივში მაინც მოხვდა რამდენიმე მათგანი. ამაზე მოგვიანებით, მანამდე კი ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაციები ალბათ სწორედ მათ დააინტერესებთ, ვინც ჯერ კიდევ ემზადება ზღვაზე წასასვლელად: გონიოში, ბათუმში, ჩაქვსა და ქობულეთში სასტუმროებსა და კოტეჯებში საცხოვრებელი ფასები ერთ კაცზე 40ჯ-დან 100ჯ-მდე მერყეობს. ეს მათთვის, ვისაც სრული კომფორტი და დამოუკიდებლობა უყვარს, ან კიდევ, ვინც აქტიურად ცდილობს, დაემალოს ცნობისმოყვარე თვალს. მათ კი, ვინც იაფ ღამის გასათევს ეძებს, ბათუმში 7 ლარიდან 15ჯ-მდე ფასად შეუძლია ბინის შოვნა. რაღა თქმა უნდა, ფასები ბათუმის უბნების შესაბამისად იცვლება. სასტუმროების პატრონები კონსპირაციულად იცავენ სტუმრების ვინაობას. და თუ მაინც ვინმე შეეცდება მათ სტუმრებს სათვალთვალოდ ჩაუსაფრდეს, პლაჟიდან მიაბრძანებენ. თუნდაც ერთი „უბრალო“ ბრალდებით — თქვენ აქ მობილურის მოსაპარად ხართ მოსულიო...*

*მოკლედ, ბედნიერ დასვენებას გისურვებთ. კარგი განწყობის შექმნაში კი „კვირის პალიტრა“, როგორც ყოველთვის, ახლაც დაგეხმარებათ. აქვე გაფრთხილებთ, ზღვაზე წასვლამდე კარგად დაფიქრდით: თუ საბალეტო ხელოვნების მოყვარულები ბრძანდებით და სურვილი გაქვთ, მსოფლიო ბალეტის რომელიმე ვარსკვლავის სიახლოვეს დაისვენოთ, გირჩევთ, გონიოს პლაჟზე ინებივროთ, სადაც სანკტ-პეტერბურგის მარიინის თეატრის პრიმა-ბალერინის, ირმა ნიორაძის გვერდით აღმოჩნდებით და ძალიან თუ მოინდომებთ, შეიძლება მასთან სამახსოვრო ფოტოს გადაღებასაც გამოჰკრათ ხელი. ირმა სოფელ კვარიათში ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობს. შარშან ბალერინა ჩაქვში ისვენებდა. მშვენიერი ქალბატონი, რომელსაც თავისუფლად შეუძლია დაისვენოს მსოფლიოს ნებისმიერ ძვირად ღირებულ კურორტზე, საქართველოში დასვენებას არჩევს, მოძალებული ნოსტალგიის გამო. „სულ შორს ვარ ჩემი სამშობლოსგან, რომელიც ყოველთვის მძაფრად ცოცხლობს ჩემს მეხსიერებაში. ამიტომაც მინდა, ეს დღეები გამოვიყენო და საქართველოში ჩამოვიდე, იქ, სადაც ვარ მასპინძელი და არა სტუმარი. თანაც, მინდა ჩემი პატარა ვაჟის, ილიკოს მეხსიერებაშიც ჩაიბეჭდოს საქართველო, მისი რატომღაც ძალიან ლურჯი „შავი“ ზღვა, — მითხრა ირმამ, რომელიც სურათის გადაღებაზე არ დამთანხმდა, თუმცა, მისი პატარა ილიკო სიამოვნებით პოზიორობდა. გონიოდან ბათუმში დაბრუნებულს შემატყობინეს, ინგა გრიგოლია ჩამოსულა და თავშესაფრის გარეშე დარჩენილი გაფაციცებით დაეძებს ბინასო.*

**(გაგრძელება იხ გვ. 22)**

# „მონადირე“ წლის ჰიტად იქცა



აგვისტოს ხვატისგან გათანგულმა ლუდის მოყვარულებმა, მონადირეებმა, შოუმენებმა, მელომანებმა და ჟურნალისტებმა ორიოდ დღის წინ კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიყარეს თავი. იტყვით, რა კავშირშიაო ეს ყველაფერი ერთმანეთთან, მაგრამ... სწორედაც რომ კავშირშია...

17 აგვისტოს საქართველოში ოფიციალურად გაიხსნა ნადირობის სეზონი. კომპანია „ყაზბეგმა“ სწორედ ამ დღეს დაამთხვია რამდენიმე თვის წინ წარმოებაში გაშვებული ლუდის, „მონადირის“ პრეზენტაცია. სხვათა შორის, ამ დღეს კიდევ ბევრი სხვა „დამთხვევაც“ მოხდა. ახალი ლუდის გარდა ერთი კარგი სიმღერის პრეზენტაციაც შედგა. ტბაზე მოტივტივე ბორანზე მღეროდნენ „მწვანე ოთახი“ და „სპილოდ“ წოდებული რომა რცხილაძე.

*მასპინძელი გახლდათ* ***გიორგი თოფაძე*** *— გოგი თოფაძის ვაჟი, კომპანია „ყაზბეგის“ მარკეტინგის ჯგუფის ხელმძღვანელი:*

— საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია 400 ათასი მონადირე, ერთი მაგდენი კიდევ ბრაკონიერია. საერთოდ, ნადირობა ნარკოტიკივითაა — ერთხელ თუ ინადირე, მერე მორჩა, „წასულია“ შენი საქმე. ამიტომაც გადავწყვიტეთ გამოგვეშვა ლუდი „მონადირე“ და ჩვენი მონადირეების წინაშე ხარკი მოგვეხადა. ჩვენთან, კომპანიაშიც ძალიან ბევრი მონადირეა. ერთი ჯგუფი ვართ და სანადიროდ სულ ერთად დავდივართ. ასეა, ზოგი მარკებს აგროვებს, ზოგი — საათებს. ჩვენ „ლუდს“ ვუშვებთ. ეს აქცია ალბათ ტრადიციად იქცევა.

— **ბატონი გოგი როგორი მონადირეა?**

— ძალიან კარგი, საკმაოდ გამოცდილიც. დიდი ხანია, ნადირობს და ერთ-ერთ წარმატებულ მონადირედ ითვლება.

— **ამბობენ, რომ შენც კარგი მონადირე ხარ...**

— არ ვიცი, კარგი მონადირე ვარ თუ ცუდი, მაგრამ საკმაოდ დიდი ხანია ვნადირობ.

— **როგორია ლუდი „მონადირე“?**

— მე მგონი, ყველა ჩვენი ლუდი კარგია, უბრალოდ, გემოვნების ამბავია, ვის რა მოსწონს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ლუდი „მონადირე“ ამ წლის ჰიტი გახდა. რასაც ველოდით, იმაზე უკეთესი შედეგი მივიღეთ.

***ლადო გაწერელია*** *— „ყაზბეგის“ მარკეტინგის მთავარი მენეჯერი:*

— საერთოდ, „ყაზბეგისთვის“ ასეთი სახის შეხვედრები უცხო არ გახლავთ, მაგრამ ეს აქცია ლუდ „მონადირესა“ და ქართველ მონადირეებს მივუძღვენით. თანაც, გვინდოდა, რომ იმ ხალხისთვის, ვინც ქალაქიდან გასვლა ვერ მოახერხა, ერთი თბილი და სასიამოვნო საღამო გვეჩუქებინა. პარალელურად, შედგა იმ პროექტის პირველი ტური, რომელიც ერთობლივად გააკეთეს „ყაზბეგმა“, „მწვანე ოთახმა“, რომა რცხილაძემ, გიორგი გურგულიამ და კოტე ყუბანეიშვილმა. ამ ადამიანებმა მოგვმართეს ინიციატივით, რომ შექმნილიყო სიმღერა ლუდზე. რა თქმა უნდა, დავთანხმდით და არაჩვეულებრივი სიმღერა გამოვიდა... კიდევ ერთი რამის თქმა მსურს — გვინდა მთელი ჟურნალისტთა კორპუსი დაგპატიჟოთ რუსთავში, ჩვენს ქარხანაში, რათა თქვენი თვალით ნახოთ ის ნატურალური პროდუქტი (ატამი, ჟოლო, ალუბალი, მსხალი და ა.შ.), რითიც „ცივი“ ჩაი“ მზადდება.

არანაკლები „ლუდომანი“ აღმოჩნდა **რომა რცხილაძე**, რომელმაც „მწვანე ოთახთან“ ერთად უმღერა ლუდ „მონადირესა“ და დამსწრე საზოგადოებას:

— ეს არის ძალიან მაგარი სიმღერა, მოისმენთ და დარწმუნდებით. სიმღერას ჰქვია „ნებადართული“ და მართლა არაჩვეულებრივი გამოვიდა. მალე კლიპის გადაღებასაც ვაპირებთ. ჩემი აზრით, ლუდი საუკეთესო საურთიერთობო სასმელია და მზად ვარ ხშირ-ხშირად ვუმღერო.

აქციას ესწრებოდნენ უხუცესი მონადირეები — სერგო ყიფიანი და ნიკოლოზ გავრილოვი, რომლებიც უკვე 40-50 წელია, ნადირობენ და საკმაოდ წარმატებითაც. ზოგიერთებმა ჩვეულებას ვერ უღალატეს და სეზონის გახსნისთანავე ტყეში გაიჭრნენ სანადიროდ.

მართალია, აჩი ფურცელაძეს სანადირო კი არა, უბრალო თოფიც არ სჭერია ხელში, მაგრამ საღამოს წაყვანა მაინც მას ანდეს. აქციას არ ესწრებოდა თავად გოგი თოფაძე, რომელიც გერმანიაში მივლინებით იმყოფებოდა, თუმცა შორეული გერმანიიდან უთვლიდა სალამს ლუდომანებსაც, მელომანებსაც და, რაღა თქმა უნდა, მონადირეებსაც.

***ნინო ნიშნიანიძე*** R

# „არავინ ამბობს, ქართველი ფრანგს დაემსგავსოო“



**რითი აოცებს ქართული მედია უცხოელებს?!**

*მართალია, ქართველებს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საქმე „შავად“ გვაქვს, მაგრამ ევროსაბჭოს შეფასებით, საქართველო სამართლებრივად ყველაზე განვითარებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის — ასეთი მომხიბვლელი ინფორმაციით რამდენიმე დღის წინ ბრიუსელიდან თბილისში დაბრუნდა სახელისუფლო დელეგაცია. როგორც „კვირის პალიტრის“ რესპონდენტი ამბობს, ევროსაბჭოში იმაზე მეტი იციან ჩვენს საზოგადოებაზე, მედიაზე, ხელისუფლებასა და „ენჯეოებზეც“, ვიდრე ჩვენ გვგონია. ვესაუბრებით იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს* ***ნათია სულავას****.*

— შეხვედრა ძალზე საინტერესო და დამაფიქრებელი იყო. სამართლებრივი განვითარების თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში საქართველომ ყველაზე საამაყო შეფასება მიიღო. როგორც გაირკვა, ისინი საოცრად ზუსტ მონიტორინგს აწარმოებენ ყველა იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესზე, რაც საქართველოში მიმდინარეობს. ანალიზის საფუძველზე კი, სამომავლო პროცესების უზუსტესი პროგნოზირებაც შეუძლიათ. ისინი ბრწყინვალედ ერკვევიან ჩვენს შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაშიც; აქვთ თავიანთი მოსაზრებები. თუმცა ოფიციალური საუბრისას ნაკლებად აფიშირებენ ამას. მათ აქვთ კონტაქტი არა მარტო ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან, სამართალდამცავ სისტემასთან, ინტელიგენციასთან და მესამე სექტორთან, არამედ ნებისმიერ ქუჩის კუთხეში მჯდარ მათხოვართანაც კი. უცხოელები ცდილობენ ყველა წყარო გამოიყენონ ზუსტი ინფორმაციის მისაღებად.

— **მაგრამ ბევრი პოლიტიკოსი თუ ინტელიგენციის წარმომადგენელი ამბობს, რომ სამართლებრივი რეფორმების პროცესში იკარგება ქართული ტრადიცია.**

— ევროსაბჭო გვირჩევს, რომ შევინარჩუნოთ თავისუფლება და ინდივიდუალობა, მაგრამ აქ ვეჩეხებით მკაცრ რეალობას. რაკი საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვენი სამართლებრივი რეფორმებისთვის იღებენ თანხებს, იძლევიან რეკომენდაციებს და აწარმოებენ მონიტორინგს, შესაბამისად, აქვთ მოთხოვნებიც. ფული — ეს არის ერთადერთი, რის გამოც ჩვენ შეიძლება თავისი წესები გვიკარნახოს სპონსორმა ორგანიზაციამ. თუმცა, მე ისევ ვიმეორებ, არც ერთ უცხოელს არ გამოუმჟღავნებია სურვილი იმისა, რომ ქართველი აუცილებლად დაემსგავსოს ფრანგს ან გერმანელს... შენს კულტურას არავინ ხელყოფს. სამწუხაროდ, პირიქით ხდება — ზოგჯერ ჩვენივე მოქალაქეები ხელყოფენ კულტურის ძეგლებს პირადი გამორჩენის მიზნით.

— **თავის დროზე ევროსაბჭომ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თაობაზე ძალიან მკაცრი შეფასება გააკეთა. რა ითქვა კულუარებში პოსტ-ფაქტუმ?**

— ისინი გულწრფელად ამბობენ, სასიამოვნოა, რომ თქვენთან ადამიანის უფლებებზე საუბარს ტაბუ არ ადევს, საზოგადოება და პრესა ღიად მსჯელობენ ამაზე. ზოგ ქვეყანაში ამისთვისაც ვერ მიუღწევიათო. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, ადამიანის უფლებების დარღვევის უამრავი ფაქტი ფიქსირდება, არანაკლებ სერიოზულიც. უბრალოდ, საქმე ის გახლავთ რომ ჩვენთან ადამიანის უფლებები ცოტა არასწორად ესმით. თავისუფლება თავგასულობასთან არ უნდა ასოცირდებოდეს. თუმცა, იგივე უცხოელები, ამ მათთვის გაუგებარ, ქართულ თავისუფლებას ასე ხსნიან: სოციალური უფლებების დარღვევა (რაც ყოველ ნაბიჯზე თვალში საცემია) იწვევს პიროვნების ღირსების დაკნინებას. უფსკრული, რომელიც საქმეში არსებობს სოციალურად ძლიერ და დაუცველ ფენებს შორის, იწვევს საზოგადოების რღვევას, დაპირისპირებას. ეს ორი ფენა კი, სხვათა შორის, ერთნაირად „თავისუფალი“ ან თავგასულია. შემდეგ ამას მოჰყვება კრიმინალური ვითარების გამწვავება, დანაშაულებათა ზრდა და ა.შ.

— **რაც შეეხება ქართულ პრესას... როგორია ევროსაბჭოს შეფასება?**

— ჩვენ გვქონდა შეხვედრა ევროსაბჭოს იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც დაკვირვებას აწარმოებენ ჩვენს პრესაზე. ისინი ამბობენ, რომ მედია ძალიან პოპულარულია ხალხში და ანგარიშს უწევენ. აქვე, ხაზი გაესვა ცილისწამების მომენტებს პრესაში, რის მოგვარებასაც ხელს უშლის საკანონმდებლო „თეთრი ლაქები“. ბოლომდე გარკვეული არ არის, არათუ ცილისწამებისათვის გათვალისწინებული სამართლებრივი პასუხისმგებლობა, არამედ თვით ცილისწამების ცნებაც — რისი თქმის ან დაბეჭდვის უფლება აქვს ჟურნალისტს და რისი — არა!

არ შეიძლება ვიღაცამ ვიღაცას კორუმპირებული ეძახოს და მერე განაცხადოს — ჩემი თავისუფალი აზრი გამოვთქვიო. ქართული მედიის ამ სერიოზულ ნაკლს უცხოელები კარგად ამჩნევენ და უკვირთ კიდეც, რომ თვით მედიაც, მკაცრად არ მოითხოვს სრულყოფილი კანონის დროულად მიღებას. სხვათა შორის, აღნიშნავენ ჟურნალისტის ჩაცმის, რბილად რომ ვთქვათ, თავისუფალ სტილსაც.

— **რა ხდება ამ მხრივ განვითარებულ ქვეყნებში? ესეც კანონითაა დარეგულირებული თუ იქ შინაგან წესებს ემორჩილებიან?**

— ერთიც და მეორეც. მაგალითად, იტალიაში პრეზიდენტთან ნებისმიერი სახის შეხვედრისას კანონით მკაცრად არის რეგლამენტირებული ქცევის და ჩაცმის ნორმები. ქალს უნდა ეცვას კაბა ზუსტად მუხლამდე, არც მის ზემოთ, არც ქვემოთ. ამას მოჰყვება თმის ვარცხნილობის, მაკიაჟის სისადავე და ა.შ. თუ ვინმე დაარღვევს ეტიკეტს, ის შეხვედრაზე თუ პრესკონფერენციაზე არ დაიშვება. განვითარებულ ქვეყნებში თვლიან, რომ ჩაცმა გამოხატავს დამოკიდებულებებს იმ წრესთან, ვისთანაც მიდიხარ. უპატივცემულობას კი არც ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი არ აპატიებს ჟურნალისტს, რაც უნდა პოპულარული იყოს იგი.

— **ქალბატონო ნათია, თქვენ იტალიაში წლების მანძილზე სამართლის კურსს გადიოდით და პარალელურად, ურთიერთობა გქონდათ ქართულ და იტალიურ პრესასთან, სად უფრო მკაცრი ცენზია ასაკზე, ინფორმაციაზე და ა.შ.**

— იტალიაში ასაკობრივი ცენზი უმკაცრესია, იმდენად რამდენადაც ეს გაზეთის თუ ტელევიზიის იმიჯთან პირდაპირ კავშირშია. იქ ჯერ სტაჟიორად მუშაობ. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ამორჩეულ დარგს ღრმად შეისწავლი, როცა ამ დარგზე რამდენიმე სერიოზულ პუბლიკაციას მოამზადებ, გეძლევა ჟურნალისტის სტატუსი. 20-25 წლის ახალგაზრდა ვერ და არ დაწერს პოლიტიკურ ანალიზს, რეპორტაჟი — შეიძლება. იტალიის უხუცესი ჟურნალისტი ინდრა მონტონილი ორი წლის წინ გარდაიცვალა. იგი 96 წლის ასაკში სრულიად ნათელი გონებით წერდა. მონტონილი იტალიელებს ძალიან უყვარდათ და პენსიაში არ გაუშვიათ. მას ყოველდღიური პოლიტიკური რუბრიკა ჰქონდა „კორიერე დე ლა სერაში“, ყველაზე გავლენიან გაზეთში. სხვათა შორის, იქ პრესაში მუშაობა უფრო პრესტიჟულია. ისევე, როგორც აქ, პრესა იქაც მეტოქეობს ტელევიზისათან. ისიც აღსანიშნავია, რომ იტალიაში რეგიონალური პრესა უფრო აინტერესებთ და იყიდება, ვიდრე ნაციონალური. რაც შეეხება სათაურებს, იტალიურ პრესაში სათაური და სტატია ბევრად ახლოსაა ერთმანეთთან, ვიდრე ჩვენთან. იქ არ არის სიტყვათა თამაში, ყვითელი სათაურის ძიება და ა.შ. ჩვენი ფულით, იტალიაში გაზეთი 90-80 თეთრი ღირს, გვერდების მოცულობა კი 100-მდე ადის.

— **თუ ყოფილა შემთხვევა, რომ მედიის ინფორმაციას საკადრო ან საკანონმდებლო ცვლილება გამოეწვიოს?**

— 1992 წელს იყო ასეთი გახმაურებული შემთხვევა: მაფიოზებმა მოკლეს ორი მოსამართლე. პრესისა და გამოძიების შედეგად კვალი მივიდა სოციალისტების პოლიტიკურ ლიდერთან — კრაკსთან, რომელსაც ბოლონია „გაწითლებული“ ჰყავდა. საბოლოოდ, კრაკსი მაროკოში გარდაიცვალა, ქვეყნიდან დევნილი. ასევე, იტალიურმა პრესამ აღმოაჩინა საიდუმლო ინფორმაციების გამტანი პიროვნება. ეჭვმიტანილი იყო იტალიის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ა.შ. პრესამ გაახმაურა ეს ამბები და შედეგად, უამრავი ადამიანი მოხსნეს სამსახურიდან, ბევრი პასუხისგებაში მისცეს, რამდენიმემ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ალბათ დაგაინტერესდებათ ის პრიზებიც, რომლითაც პრესა ამა თუ იმ ჩინოსანს აჯილდოებს. იტალიაში არის ტელეგადაცემა, სადაც აჩვენებენ თუ როგორ რეაგირებს ესა თუ ის პოლიტიკოსი თუ მაღლჩინოსანი ჟურნალისტის „სუსხიან“ კითხვებზე. თვის ბოლოს ყველაზე გაბრაზებულ პერსონას გადასცემენ ოქროს ტაპირს (ტაპირი აფრიკული ცხოველია). ზოგი ძალიან მტკივნეულად იღებს ამას, ზოგი — ხუმრობს. ეს პრიზი იტალიაში საკმაოდ არასასურველად ითვლება.

— **დაბოლოს, მინდა გკითხოთ საზოგადოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემაზე: თქვენს სამსახურს მიმართავენ ექსტრადიციის საკითხებზე. რამდენი ქართველი პატიმარია დღეს საზღვარგარეთის ციხეებში?**

— რუსეთიდან ამის სტატისტიკას არ გვაწვდიან, სხვადასხვა ქვეყანაში კი სხვადასხვა მონაცემებია: საფრანგეთში, მაგალითად 60 ქართველი იხდის სასჯელს, გერმანიაში — ბევრად მეტი, საერთოდ კი, ზუსტი ციფრი არ არსებობს. ბევრი დაპატიმრებული არ რეკავს ახლობლებთან და არ ატყობინებს მის მდგომარეობას.

— **რამდენად რთულია ექსტრადიციის პროცესი? თუ უკავშირდება ის რაიმე თანხებს?**

— არანაირ თანხებს არ უკავშირდება, გარდა ეტაპირებისა, რომელშიც შედის ტრანსპორტის ხარჯები, ბადრაგი და ა.შ. რაც შეეხება ექსტრადიციის პროცესის ხანგრძლივობას, ის შეიძლება ერთ წლამდეც გაჭიანურდეს. გააჩნია დანაშაულის ხარისხს, მიყენებულ ზარალს და ა.შ. ზოგი ქვეყნიდან პატიმრის გადმოყვანა ადვილად ხორციელდება, ზოგი ქვეყნიდან კი ბევრად რთულია.

***ქეთი ბერეკაშვილი***

# „რვა წლის წინ წავედი და იმ დღიდან შგანში... აღარ დავბრუნებულვარ...“

***ეს წერილი, იმედია, ბევრს დააფიქრებს, იქნებ ზოგიერთი გზასაცდენილისათვის შვებად იქცეს ჩვენი გმირის ისტორია, ვინ იცის... ჩემი რესპონდენტი წარსულში კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი, ხუთჯერ ნასამართლევი კაცია, რომელიც დღეს ქრისტეს გზას შესდგომია.***

***მთაწმინდელი ჯიმა შაკაია ამჟამად უკვე მორჩილი ანდრია გახლავთ და მორჩილებას ახალქალაქის რაიონში — ფოკაში გადის. მისი ეს გულწრფელი საგაზეთო აღსარება ალბათ ბევრს ჩაახედებს საკუთარ სულში და ამქვეყნიურ ცხოვრებას ოდნავ სხვა კუთხიდან დაანახვებს.***

მორჩილ ანდრიას წმინდა სამების მშენებარე ტაძარში შევხვდი. ცხადია, იოლი არ იყო ინტერვიუზე დათანხმება... ინტერვიუს ჩაწერაზე კურთხევა წმინდა სამების ლავრის წინამძღვარმა მამა ექვთიმემ მოგვცა, რისთვისაც უდიდეს მადლობას მოვახსენებთ.

**მორჩილი ანდრია**: — დავიბადე და გავიზარდე მთაწმინდაზე... დავამთავრე 47-ე საშუალო სკოლა, ინსტიტუტშიც ჩავაბარე, მაგრამ მალევე დავრწმუნდი, ცხოვრება ისე არ იყო მოწყობილი, როგორც მინდოდა... ბევრი რამ ჩემთვის მიუღებელი იყო და შესაბამისად პროტესტის გრძნობას ბადებდა... დრო იყო არეულდარეული, ან მილიციას უნდა შეკვროდი, ან სხვა ცხოვრებით გეცხოვრა. დიდი ჩხუბისთავი ვიყავი და იქნებ ამიტომ მილიციამ თავიდანვე დიდი „ყურადღება“ მომაქცია... მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი შსს-ს მაღალჩინოსანი იყო, სისტემა იყო ისეთი, რომ თუ „ურჩობას“ არ მოიშლიდი, ყველა შენი მტერი ხდებოდა...

**— ისე, ცოტა უცნაურია, მილიციელის შვილმა ასეთი გზა რომ აირჩიეთ...**

— მამაჩემი ნაღდი კომუნისტი იყო, მაიორის წოდება ჰქონდა. ოჯახში მე და ჩემი და საკმაოდ მკაცრად ვიზრდებოდით. ჩემი პირველივე „შეჯახება“ მილიციასთან მისთვის უდიდეს ტრავმად იქცა. მეორედ რომ დამიჭირეს, გამწარებულმა მამაჩემმა თავისივე ნებით თადარიგში გადადგომის განცხადება დაწერა. იმ დღიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე, ჩემთვის ხმა აღარ გაუცია. მხოლოდ სიკვდილის წინ, რამდენიმე დღით ადრე, ლოგინად ჩავარდნილმა შემირიგა...

**— რის გამო ჩხუბობდით ხოლმე?**

— არაფერი ისეთი, შეხლა-შემოხლა გოგოს გულისთვის თუ მოგვივიდოდა... ჩხუბისა და ხულიგნობის გამო მოვხვდი პირველად ციხეში — ქუჩაში სამ კაცთან შევლაპარაკდი, მომერივნენ, მცემეს, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს ცხვირი გავუტეხე. დამიჭირეს; ციხეს რაც შეეხება, იქ ყვავილების კრეფას არავის ასწავლიან და იქიდან გამოსწორებული არავინ გამოდის... პირველ სასჯელს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ა.შ. იარაღის ტარებისთვისაც ვიჯექი... დროსთან ერთად სასჯელის ვადა თანდათან მატულობდა... მილიციასაც თავისი გეგმა ჰქონდა. ჰოდა, ნასამართლევის ციხეში ხელახლა დაბრუნება უფრო ადვილი იყო და ამიტომ გარეთ გამოსული გასაოცარი სისწრაფით უკან ვბრუნდებოდი. მოგვიანებით მილიციამ ტაქტიკა შეცვალა და ახალ მეთოდს მიმართა — ნარკოტიკების და დანის



> დედა რომ ცოცხალი გყავს და დედინაცვალს დაუწყებ ძებნას, სწორედ ისე მომივიდა... შემდეგ, როცა უძღები შვილი ამა ქვეყნისა გონს მოვეგე, საპატრიარქოს, კერძოდ მეუფე დანიელს დახმარებისთვის მივმართე. მომისმინა, სინოდმა განიხილა ჩემი საკითხი და მაპატიეს... გული იმაზე მწყდება, რომ ამ ცხოვრებისკენ გვიან შემოვბრუნდი...

ჩადება დაიწყეს ჯიბეში. „კონტინგენტი“ შერჩეული ჰყავდათ, იმისდა მიხედვით, ვინ რისი გადამხდელი იყო. მეც დამიჭირეს, ნარკოტიკი ჩამიდეს და 5 წელი მოვიხადე; ვაღიარებ, ნარკოტიკი უცხო არ იყო ჩემთვის, მაგრამ იმ მომენტში ნამდვილად არ მქონია... 1988 წელს გავთავისუფლდი და ეს იყო ჩემი ბოლო სასჯელი...

**— მთელი ცხოვრება ციხეში გაატარეთ, შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა...**

— ჯერ კიდევ ციხეში ხშირად ვუფიქრდებოდი ჩემს განვლილ გზას... საკანში ყველანაირი ლიტერატურა ხვდებოდა, მათ შორის ბუდისტური, კრიშნაიდური, მაგრამ არა — ბიბლია... აღმოსავლური რელიგიებით ბევრი ინტერესდებოდა, ოთხკედელშუა გამომწყვდეული, ძალაუნებურად ყველაფერს კითხულობ. ციხიდან რომ გამოვედი, მოვინათლე... რამდენიმე მეგობრის წყალობით, რომლებიც ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდნენ, აზროვნება სხვაგვარად ჩამომიყალიბდა. ერთხელ, რუსთაველზე მოვდივარ და ვხედავ, ბიბლია იყიდება. მეც ვიყიდე. კითხვა დავიწყე. ერთ დღესაც, ჩემმა უბნელმა, მესხეთ-ჯავახეთის ერთ-ერთი ეკლესიის წინამძღვარმა გამოიარა და ვუთხარი — მამაო, კი მოვინათლე, მაგრამ აღსარება არ მითქვამს და ნაზიარები არა ვარმეთქი. მან მიპასუხა — ახლა დიდი მარხვა იწყება, თუ გინდა, ჩემს მონასტერში წამოდი, იქ იყავი ეს 48 დღე, რაღაც-რაღაცებში გაერკვევი და მერე გაზიარებო. უბნელ ბიჭებს დავემშვიდობე, მარხვა რომ დამთავრდება, ჩამოვალ-მეთქი და გავყევი.

იმ დღიდან, 8 წელი გავიდა და ჩემს უბანში როგორც საერო პირი, აღარ დავბრუნებულვარ...

**— ციხიდან გამოსული ავტორიტეტები საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დიდი პატივისცემით სარგებლობენ... ამიტომ უფრო ლოგიკური იქნებოდა, ისევ ძველ გზას გაჰყოლოდით...**

— გეთანხმებით. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მეტი თავისუფლება მოგვეცა. მიტინგებისა და არეულობების გამო მილიცია ჩვენთვის ვეღარ იცლიდა... ერთს მივადექი ფულის „შესაწერად“, ჩემი ახლობლის ნათესავი აღმოჩნდა, მეორემ ისეთი ადამიანები დამისახელა, რომელთანაც ცოტა ხნის წინ ვტრიალებდი და ამიტომ მათ ნამდვილად ვერ გადავახტებოდი, მესამემ — თქვენ შესახებ ბევრი მსმენიაო, ქებადიდებით ამავსო. ერთი სიტყვით, მივხვდი, ჩემგან რეკეტიორი არ გამოვიდოდა და შევეშვი... ციხეში ბევრს ფიქრობ, გარეთ გამოსული კი ხვდები, რომ შენმა მატარებელმა ჩაიარა; ურთიერთობები და ის გზები, რაც ძველ ნაცნობ-მეგობრებთან გაკავშირებდა, დაკარგულია და ყველაფრის ახლიდან დაწყება გიწევს... სამწუხაროდ გვიან, მაგრამ მაინც დავინახე, რომ ერთადერთი სწორი გზა არის ქრისტეს გზა... კარგი სიტყვა გვაქვს ქართველებს — „წუთისოფელი“ და მართლაც წუთისოფელია ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება. თუკი დარწმუნდები, რომ მარადიული ცხოვრება არსებობს, უნდა მოემზადო იმ ცხოვრებისთვის; სწორედ ამან განაპირობა ჩემი შემობრუნება.

**— ამ გზაზე თქვენი შედგომა ხომ არ იყო ერთგვარი გაქცევა სამყაროდან და ეკლესიისთვის თავის შეფარება?**

— გაქცევა შეიძლება იყო, თუმცა მთლად ვერ დაგეთანხმებით... თბილისში რომ ატყდა ძმათამკვლელი ომი, სისხლიანი ანგარიშსწორებები, ბევრი ჩემი ახლობელიც მონაწილეობდა, ბევრმა ავტომატით დაიწყო სირბილი. ზოგმა ისეთი საქციელი ჩაიდინა, ვერანაირ გამართლებას რომ ვერ მოუძებნი; რომ მეგონა, ეს ადამიანი სუფთაა და ამას არ გააკეთებს-მეთქი, სწორედ მან იკადრა უკადრებელი; გავოგნდი და ძალიან მომინდა თბილისს გავრიდებოდი...

აქ ძალით არავის მოვუყვანივარ. ჩემი ნებით მოვედი... ალბათ ჩემი განვლილი ცხოვრება წინაპირობა იყო იმისა, რომ აქ მოვსულიყავი...

**— როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას ახლობლები და ის ადამიანები, ვისთან ერთადაც „საქმეზე“ დადიოდით?**

— დადებითად... ახალი წასული ვიყავი ფოკაში, როდესაც სუფრაზე ჩამოვარდნილა ჩემზე საუბარი და ერთ „წონიანს“, თუმცა ჩემთვის უბრალოდ ნაცნობს უთქვამს: მაგას ყველგან მისასვლელი პირი აქვსო... ძველი ნაცნობებიდან ბევრი მაკითხავს, ზოგმა აღსარება თქვა, ზოგი ეზიარა კიდეც... ვერ ვიტყვი, მათთვის მაგალითი გავხდი-მეთქი, მაგრამ ვხედავ, რომ ჩემმა ნაბიჯმა მათზე დადებითად იმოქმედა...

**— მოზარდი თაობის გარკვეულ ნაწილს ქუჩის ცხოვრება იზიდავს და კრიმინალური ავტორიტეტების ზეგავლენითა თუ მიმბაძველობით ცდილობენ „შავ სამყაროში“ საკუთარი თავის დამკვიდრებას.**

— მე ვერ მივცემ ჩემს თავს იმის უფლებას, რომ ვინმეს რამე ვურჩიო და მოვუწოდო, ყველა კაცი თავის ბედს თვითონ ჭედავს... დღეს თუ ვინმე ხულიგნობს და იპარავს, მოვა დრო და თავად დაფიქრდება ამაზე... ჩვენს სარწმუნოებას საინტერესო ისტორია აქვს, სადაც არის მაგალითები, როცა წარსულში ყაჩაღები ან მეძავები შემდეგ წმინდანებად აღიარეს, დღეს მათ პატივისცემით მოვიხსენიებთ და თაყვანს ვცემთ... მე რომ კიდევ მყავდეს შვილი (2000 წელს ვაკეში, ერთ-ერთ კაფესთან ვაჟი მოუკლეს, რომელიც თავის მეგობარს გადაეფარა — მ.ხ.), პირველ რიგში მას, შემდეგ მის თანატოლებს ვეტყოდი, რომ ერთადერთი სწორი გზა, ქრისტეს გზაა, ყველა ახალგაზრდას თავისუფალ არჩევანს ვუსურვებდი, რადგან ყველამ თავისი საზომით უნდა იაროს... თუმცა დღეს ცოტა რთულია დამოუკიდებლად არჩევანის გაკეთება... ბევრი რამ შეიცვალა, სიდუხჭირე მრავალი ცუდი აზრის გაჩენას უწყობს ხელს, იბადება ბოროტება, ქურდობისკენ მიდრეკილება... სამწუხაროდ, ყველა ორიენტირებულია მატერიალური კეთილდღეობისკენ და ბევრს ჰგონია, რომ კარგი მანქანა, სასახლე და ფუფუნებით ცხოვრება ბედნიერებაა... როდესაც ამ „კარგ ცხოვრებას“ ვერ აღწევენ, ჩნდება შური, ბოლმა, გაუტანლობა, რაც ჩემს ახალგაზრდობაში თითქმის არ ხდებოდა... ჯიბეში სამი მანეთი გვედო თუ ათი, თანაბრად გვიხაროდა... დღეს კი ეს ყოველივე წაიშალა, ადამიანები გაუცხოვდნენ, აღარ არის ერთმანეთის გატანა, მეგობრობა. დრო ყველაფერს დაწურავს და გადააფასებს. ბევრის გადატანა მოუწევს ამ თაობას... ამიტომ, ღმერთს ვთხოვ, გაძლება მისცეს ჩვენს ხალხს და გამოიყვანოს ამ მძიმე, დეპრესიული მდგომარეობიდან...

**— დღევანდელი გადასახედიდან რას ნანობთ ყველაზე მეტად?**

— ძალიან განვიცდი იმ ფაქტს, რომ როდესაც 1997 წელს ბერების ერთი ჯგუფი განუდგა საქართველოს ეკლესიას, მაშინ მეც ჩემს წინამძღვართან ერთად მათ რიცხვში აღმოვჩნდი... დედა რომ ცოცხალი გყავს და დედინაცვალს დაუწყებ ძებნას, სწორედ ისე მომივიდა... შემდეგ, როცა უძღები შვილი ამა ქვეყნისა გონს მოვეგე, საპატრიარქოს, კერძოდ მეუფე დანიელს დახმარებისთვის მივმართე. მომისმინა, სინოდმა განიხილა ჩემი საკითხი და მაპატიეს... საერთოდ, ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ ამ ცხოვრებისკენ გვიან შემოვბრუნდი...

**— როგორ პარალელს გაავლებდით დღევანდელ თქვენს ცხოვრებასა და წარსულს შორის?**

— ქუჩას სხვა წესები აქვს, საკმაოდ რთული გზა გაქვს გასავლელი, რომ ლიდერად გაღიარონ. საერთოდ, ცხოვრებაში აქტიური უნდა იყო, თუ გინდა, რომ რამეს მიაღწიო. აქ კიდევ, პირიქით — ბევრი ლაპარაკი შენს უარყოფით თვისებად ითვლება, აქ დუმილი ოქროა... იქ ვინმე რომ რამეს დაგიშავებს, არ უნდა აპატიო, თუ აპატიებ, უმეტეს შემთხვევაში, არასწორად აღიქვამს შენს სულგრძელობას, აქ კი, ყველაფერი პატიებასა და შენდობაზეა აგებული... მოკლედ, იქ ეშმაკს სცემ თაყვანს, აქ კიდევ — ღმერთს. აი, ეს განსხვავებაა... მე ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ამ გზაზე შემაყენა, რაც იმედს მაძლევს, რომ უფალი ჩემს წარსულ ცოდვებს შემინდობს და მაპატიებს.

*მამუკა ხუციშვილი*






## რას გვეცყვი, მამაო?

**— როგორ უნდა მოვეკიდოთ ს.ნ. ლაზარევის წიგნს „კარმის დიაგნოსტიკა“? შეიძლება თუ არა ამ წიგნის მითითებებით ვიხელმძღვანელოთ?**

— მართლმადიდებელი ეკლესიის შეხედულებით, ეს არის ოკულტური, ანტიქრისტიანული სწავლება, ფსიქიკისთვის ძალზე სახიფათო და საზიანო.

**— ჩემს გოგონას აწუხებს თვალები. მაინტერესებს, დამრთავენ თუ არა ნებას, სიონის ეკლესიაში დასვენებული წმინდა ნინოს ჯვარზე დახვეული თმა რომ მოვუსვა ბავშვს თვალებზე?**

— წმინდა ნინოს ჯვრის გამობრძანება ორგზის ხდება წელიწადში სიონის საკათედრო ტაძარში — ერთხელ წმინდანის ხსენების დღეს, 27 იანვარს და მეორედ — საქართველოში წმინდანის შემოსვლის აღნიშვნის დღეს, 1 ივნისს. თუ სხვა დროს გენებებათ რწმენით მიახლება ამ სიწმინდესთან, ნებართვისთვის უნდა მიმართოთ საკათედრო ტაძრის წინამძღვარს — პროტოპრესვიტერს.

**— სხვადასხვა ტელეარხზე მიმდინარეობს ასტროლოგიური პროგნოზების დემონსტრირება. როგორ უნდა ეკიდებოდეს ქრისტიანი ამ გადაცემებს და თვით „ასტროლოგიას“?**

— ასტროლოგია მართლმადიდებელმა ქრისტიანმა უნდა აღიქვას ცრუმეცნიერების დონეზე. მაგრამ ამ განმარტებამ არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოსდა ადამიანსა და კოსმოსს შორის არ იყოს კავშირი. რა თქმა უნდა, პლანეტები, ვარსკვლავები, მზე — ყოველივე მოქმედებს ადამიანზე და ეს მოქმედება კიდეც უნდა შეისწავლებოდეს მეცნიერულად, მაგრამ არ შეიძლება იგი საფუძვლად დავუდოთ რაიმე წინასწარმეტყველებას.

თუმცა ზოგჯერ, ასტროლოგიის ქვეშ გულისხმობენ ხოლმე ისეთ სამეცნიერო დისციპლინებს, რომლებიც ასტრონომიური კვლევის საგანს წარმოადგენენ (მაგ. ასტროფიზიკა, კოსმოლოგია) და მათ მიმართ ეკლესიას არავითარი სადავო და საკამათო არა აქვს.

**— რატომ ითვლება აზარტული თამაშები ცოდვად?**

— აზარტული თამაშები საკმაოდ მძიმე ცოდვაა, რადგან მის გზაზე შემდგარი ადამიანი კარგავს უმთავრეს საუნჯეს — რაც არის მისი ნების თავისუფლება და ემონება აზარტის ვნებას. როგორც წესი, თამაშის შემდეგ მოგებული მხოლოდ ბოროტი ძალაა, რომელიც ადამიანს სულიერად და მატერიალურად აბანკროტებს.

**— უნდა ვემთხვიოთ თუ არა ზიარების შემდეგ ბარძიმს და მოძღვარს ხელზე?**

— ზიარების შემდეგ ბარძიმზე მთხვევა ადგილობრივი ტრადიციაა. ხოლო იმ მიზეზის გამო, რომ უხერხული მოძრაობის შემთხვევაში არის საშიშროება სიწმინდის დაღვრისა, ხელზე მთხვევა არასგზით არ შეიძლება!

**— ჩემი შვილი კარგად სწავლობდა სკოლაში. ადვილად მოეწყო ინსტიტუტში. მაგრამ იქ შეგვექმნა პრობლემები: აღარც სწავლა სურს, აღარც ტოლებთან ურთიერთობა, ჩაკეტილია საკუთარ თავში და ვერ გამოგვყავს ამ გაურკვეველი მდგომარეობიდან. როგორ უნდა დავეხმაროთ?**

— თქვენ უნდა მიმართოთ გამოცდილ ფსიქოლოგს (რომელიც, ცხადია, თავის პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს ქრისტიანული, ზნეობრივი პრინციპებით).

**— რატომ არ შეიძლება ბანაობა კვირაობით ან დღესასწაულებზე? ჩვენ ხომ გვიხდება ტრანსპორტით სიარული, მეტადრე ზაფხულში იოლად ვოფლიანდებით, ვჭუჭყიანდებით...**

— ეკლესიაში არ არსებობს აკრძალვები ბანაობისა თუ ტანის არდაბანის თვალსაზრისით. იგულისხმება, რომ მორწმუნე ადამიანი კვირადღეს და დღესასწაულებს ტაძარში უნდა ატარებდეს და შეძლებისდაგვარად, არ უნდა დაიტვირთოს სხვა საქმეებით. მაგრამ, თუ გავიხსენებთ ადამიანთა ყოფითი ცხოვრების ვითარებას ახლო წარსულში, ოდითგანვე ბანაობა დაკავშირებული იყო გარკვეულ სირთულეებთან (წყლის გაცხელება, ჭურჭლის მომზადება, ვარცლში დახვავებული სარეცხის პრობლემა). ამიტომაც კვირაში ერთხელ, საგანგებოდ ჰქონდათ ხოლმე განსაზღვრული ბანაობის დღე, რომელიც არ უნდა დამთხვეოდა ქრისტიანულ დღესასწაულებს, როდესაც ქრისტიანი განემზადება ტაძარში წასასვლელად და მომეტებულად ლოცულობს...

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# — ის სიტყვები არ აპატია შევარდნაძემ გიას...

## ვიღაც ვერტმფრენით ადევნებდა თვალყურს ჩემი შვილის მკვლელობას

*„ახალი იერემია ჩაქრობათ ერის გალვიძებული სინდისისათვის. დიდი მენოზის კედელთან ეგდო მისი საშინლად დასახიჩრებული და დასახიჩრებული გვამი. ამოდენა ქალაქში კაცი არ აღმოჩნდა მისი მშველელი. მაყურებელი კი — რამდენიც გნებავთ — წყვრზე-წყვრი.*

*ყვრო მეტიც: არაფერი ნამოგცდეთო, ერთმანეთს აფრთხილებდნენ. მიცვალებულს თვალები ღიად დარჩენოდა. მაყურებელთაგან ერთმა მადლიანმა ჩამოუსვა სახეზე ხელი და ჯერ ისევ თბილი თვალები ადვილად დაემორჩილა უცხო კაცის თითებს. ოდნავ დამცინავი ღიმილი კვლავინდებურად იხატებოდა მის გასისხლიანებულ სახეზე. ეს საზარელი კაც-კვლა იმ ერთადერთი მღვიძარე კაცის ნამოქმედარი იყო. აკი დაემუქრა კიდეც — „შენიანები მოგკლავენო შენ...“*

— „ახალი იერემიას გოდება“ გიორგი ჭანტურიამ 1985 წლის აპრილში, სუკის იზოლატორში დაწერა სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე. თავისი მკვლელობის სცენა გიამ სიცოცხლეშივე აღწერა. იცოდა, როგორ და როდის გაშორდებოდა ამ „წუთის სოფელს“. იცოდა, ვერ მოასწრებდა, არ დააცდიდნენ და ამიტომაც თქვა: „მე მწამს მისი, ვინც შემდგომ მოვა და იქმს იმას, რაც მე ვერ შევძელი...“

7 წლის შემდეგ შვილის მკვლელობის დეტალებსა და ჩვენთვის საინტერესო სხვა საკითხებზე გიორგი ჭანტურიას დედა, ქალბატონი **ლილი მარჯანიშვილი** გვესაუბრება. იქვე საკიდზე გიას სისხლიანი ტანსაცმელია.

— 3 დეკემბერს პირველად ჩაიცვა ეს ჟაკეტი. დღეს განსაკუთრებით ლამაზი უნდა ვიყოო, — მითხრა, მაგრამ ასე დამწვარი და დაგლეჯილი მომიტანეს. შარვალი ნახეთ... რამდენი ტყვია უნდა ესროლათ, რომ ასე დაცხრილულიყო?! კაშნეც ერთიანად დაგლეჯილია. ყელშიც ესროლეს ჩემს ბიჭს. ასე როგორ გამწირეს... ახლობლები ტანსაცმელს არ მაჩვენებდნენ. ცელოფანით მოიტანეს. მკითხეს — სად შევინახოთო, რომ გავხსენი, გადავირიე.

**— რამდენი ტყვია მოხვდა გიას?**

— საცერივით იყო დაცხრილული. თურმე რომ დაუნახავს თავდამსხმელები, მიმხვდარა — ყველას ჩაგვხოცავენო და მანქანიდან გადასულა. სადარბაზოში უნდოდა შესწრება, მაგრამ რომ არ გაქცეულიყო, ფეხებში დაუშინეს ტყვიები. იმდენი ესროლეს, ტერფები მოსწყდა და მერე, მიცვალებულს, ბინტებით მიამაგრეს ფეხებზე. რომ დაცემულა, ვილაც ქალი მივარდნილა, — ვაიმე, შვილოო. გია ჯერ ისევ გონზე ყოფილა, მე ვგონებივარ. თვალი გაუხელია. უცნობი მანდილოსნის დანახვაზე უთქვამს, — გმადლობ, უფალოო. ჩემით ვასკვნი, ალბათ ასე იმიტომ თქვა, მე რომ არ დავინახე ისეთ დღეში.

**— როგორი ბავშვი იყო?**

— ცელქი და საოცრად გონიერი. 28 წლის ვიყავი, გია რომ მეყოლა (წელს, ცხრამეტ აგვისტოს, 42 წელი შეუსრულდებოდა). ისეთი მოუსვენარი იყო, აკვანში ვერ ვაჩერებდი. ერთხელ აკვანი გადააბრუნა და იმის მერე საწოლში მეწვინა. ვერც საბნის დაფარებას იტანდა.

5 წლის იყო, როცა ლიზიკო ქავთარაძესთან მივიყვანე რუსულში სამეცადინოდ. ლიზიკო ჩვენი მეზობელი იყო, განათლებული და უჭკვიანესი ქალი, 28 წელი გადასახლებაში ნამყოფი. უკვირდა, რუსული იმდენად არ აინტერესებს, საქართველოს ისტორიაზე, კომუნისტებზე მეკითხება. სულ მეძიება, რატომ დაგიჭირესო. კი ვიფიქრე, ლიზიკო ამდენი წელი გადასახლებული იყო, ბავშვიც „ისე“ არ გამიზარდოს-მეთქი და გამართლდა ჩემი შიში. მეც წამომცდებოდა ხოლმე რაღაც — მერე, მერეო, — ჩამეკითხებოდა უმალ...

**— რა წამოგცდებოდათ ხოლმე?**

— მჟავანაძის დროს, ბათუმში, სტუდენტებს

> იცით, როგორ გალანძღა გიამ შევარდნაძე დსთ-ში შესვლის გამო?! აქედან დაურეკა. მდივანმა არ დააკავშირა. გიამ მკაცრად უთხრა, ვიცი, მანდ არის, დამალაპარაკეთო. როცა შევარდნაძემ ყურმილი აიღო, გიამ ყვირილით მიახალა, — ეგ არის შენი პირობა, ჩვენ ხომ სხვანაირად მოვილაპარაკეთო... და გალანძღა.

ანტიკომუნისტური ორგანიზაცია გვქონდა. ეროვნული იდეები არ გვასვენებდა. ვილაცამ „სუკში“ დაგვაბეზღა, ღამით მოვიდნენ ჩემს წასაყვანად, მაგრამ მამაჩემი ორგანოს თანამშრომელი იყო (თავის დროზე „კგბ“-ში მუშაობდა, იმ დროს კი ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი იყო) და ამან გადამარჩინა. ერთი საყვედური არ უთქვამს მამას ჩემთვის. ეს ამბავი შვილს მოვუყევი.

გია №1 სკოლაში სწავლობდა. მე-7 კლასში იყო, უშიშროებამ რომ შეამჩნია. მისი დაწერილი მოთხრობა სუკში მოხვდა და ამის შემდეგ თვალთვალი დაუწყეს. სკოლაში კომისია რომ მიდიოდა, მასწავლებლები ეხვეწებოდნენ, — რამე არ წამოგცდესო.

„კგბ“-ში პირველად რომ წაიყვანეს, მე-8 კლასში იყო. დილით, ალიონზე 7 კაცი დაგვადგა შინ, — რად გინდა, ბიჭო, ეს პოლიტიკაო. მერე მე მომიბრუნდნენ — დაველაპარაკებითო და წაიყვანეს. თან წიგნებიც გააყოლეს ხელს. გიას ტყუილი არ უყვარდა და მერე მიყვებოდა, — წაკითხული მქონდა 37-ში რასაც უშვრებოდნენ ხალხს, სუკელებს რომ მივყავდი, შემეშინდა, და მოვხედე სახლს, მეგონა, ველარ დავბრუნდებოდიო.

გია ალექსი ინაურის კაბინეტში შეუყვანიათ. რა იყო, ბიჭო, ასე რატომ იქცევიო — უკითხავს უშიშროების უფროსს. გიას კედელზე გაკრული რუკა დაუნახავს და ინაურისთვის ჯოხი უთხოვია. რა იყო, ხომ არ უნდა მცემოო, — გაკვირვებულა ინაური და ჯოხი მიუწოდებია. გია რუკასთან მისულა და საქართველოს ისტორია გაუხსენებია — რანი ვიყავით და



რანი ვართ. ის ტერიტორიები მოუხაზავს, რომელიც უწინ ჩვენ გვეკუთვნოდა. მგონი, მაშინ მოეწონა ინაურს გია და იმ დღესვე გამოუშვა. იმის შემდეგაც არაერთხელ დაინდო. როცა ჩემს შვილს იჭერდნენ, ყოველთვის ინაურთან მივდიოდი.

ერთხელაც დაიჭირეს, მივედი უშიშროებაში, მაგრამ მითხრეს, — ინაური მოსკოვშიაო. მაინც არ წამოვედი. უცებ დავინახე, მოსახვევში შავი მანქანა გაჩერდა. ინაური სათადარიგო გასასვლელიდან გავიდა. ის იყო, უნდა ჩამჯდარიყო მანქანაში, რომ შემნიშნა. მიცნო და მითხრა, — „ბერეგიტე ეტოგო პარნია, ონ ოდორიონნი მალჩიკ“... იმედი მომეცა. იმ ლამეს გია 2 საათზე მოიყვანეს შინ.

ზუსტად არ მახსოვს, რომელი წელი იყო. ბრეჟნევი ეწვია საქართველოს. მის ჩამოსვლამდე სახლში მოგვაკითხეს უშიშროების თანამშრომლებმა. მოითხოვეს, გია საავადმყოფოში დააწვინეთო. მიმართვაც მოიტანეს (ბავშვობაში გიას ალერგიული ბრონქიალური ასთმა ჰქონდა), ხელს მთავარი სამხედრო კომისარი, გენერალი შარაშენიძე აწერდა. სამხედრო ჰოსპიტალში ითხოვდნენ მის დაწვენას. გიამ იუარა, რატომ არ უნდა ვიყო ქალაქში, ბრეჟნევი რაში მესაქმებაო. ვეხვეწე, ძლივს დავიყოლიე და წავედით ჰოსპიტალში. რუსმა ექიმებმა გასინჯეს. შევიტყვე, მათთან დარეკილი ჰქონდათ უკვე. მთავარმა ექიმმა გულდასმით გასინჯა, მაგრამ უცებ განაცხადა: „ჩტო ეტო ტაკოე, მალჩიკ ზდაროვ კაკ ბიკ, ატპუსტიტე ეგო“. უკან გამოგვიშვეს, ეტყობა, აცნობეს სადაც ჯერ არს... სახლთან ნაცნობი „კაგებეშნიკი“ გველოდა — ორი დღე შინ იჯექი, არსად გახვიდეო. ბრეჟნევის გამგზავრებამდე შინაპატიმრობა ჰქონდა მისჯილი.



— ასე დამწვარი და დაგლეჯილი მომიტანეს გიას ტანსაცმელი...

**— როგორც ვიცი, უშიშროებაში გიას იძულებით ვიზიტებს გადასახლება მოჰყვა.**

— ვერაგულად გადამისახლეს შვილი. დედამთილი მომიკვდა და ხონში ვიყავით მე და ოთარი, მაშინ მოსულან და წაუყვანიათ. 1983 წლის ივლისი იყო. გია ჯერ ორთაჭალის ციხეში ჰყავდათ. გიას ჩანაწერებში ციხის ეპიზოდიც არის: *„ცხე, აქ შენობა დიდია, რუხი, საზარელი, რკინის გისოსებით, ხანდახან ხელებსაც რომ ვერ გამოაცვევ. სეირნობა თვეში ერთხელ რამდენიმე წუთით. მცველები ფრთხილად არიან: არ გაფრინდეს ვინმე... ზოგ პატიმარს აწინაურებენ. თუ კარგად მოვვის საკანს... ყველაზე ურჩები აგურების სათრევად მიჰყავთ.*

*რეჟიმის კიდევ ერთი დამრღვევი შემოჰყავთ. პატიმრები მას არ იცნობენ და ამიტომ გამოკითხვას უწყებენ. შემდეგ მეზობელ საკნებს გასძახებენ, თუ იცით, ეს კაცი ვინ არისო და, თუ რამე ცუდი შეიტყვეს ახალმოსულზე, „შესთავაზებენ“, ეს საკანი დატოვეო. თუ ახალმოსული ადამიანი ადმინისტრაციაზე „მუშაობს“, მაბეზღარაა, მას მხოლოდ ერთი — პედერასტების ანუ „ჩამვებულების“ საკანი მიიღებს. სხვაგან კი მას სცემენ, აგინებენ და ზანაში ჩადენილი ყოველი ცოდვისთვის პასუხს აგებინებენ. ზოგჯერ ადმინისტრაცია გაჯიუტდება და პატიმარი არ გაჰყავთ პედერასტთა საკანში. ასეთ შემთხვევაში საკანში მყოფნი მაბეზღარას ხელში ზასრ საგანს (სამართებლის ნატეხს) აძლევენ და უბრძანებენ, ვენები გადაიჭრას... მხოლოდ ვენების გადაჭრის შემდეგ გადაჰყავთ მაბეზღარა „ჩამვებულთა“ საკანში და ყველაფერი უცებ მშვიდდება... საკარიმო იზოლატორში ძალიან ცივა. ყველაზე თბილი №4 საკანია, პატიმრები მას „ტაშკენტს“ ეძახიან. განა გაიგებს კაცი, რომელიც აქ არ მჯდარა, რა არის ბედნიერება. ბედნიერება თურმე ჩაი და კანფეტია, კარის ხვრელში „შემოპარებული“ სიგარეტი „პამირიც“ (უფრო მეტზე ლაპარაკი აღარ ღირს, ეს უკვე „ვარდისფერი ოცნებაა“)...*

1983 წლის ნოემბრის ბოლოს გია კიროვო-ჩერპეცკში გადაასახლეს. თავის დროზე იქ დეკაბრისტები იხდიდნენ სასჯელს. ჩემი ქმარი მოვატყუე, ხონში მივდივარ-მეთქი და გიას სანახავად წავედი. მოსკოვს არ ვიყავი გაცილებული და მიკვირს, იქ როგორ გავბედე წასვლა. კიროვო-ჩერპეცკში რომ ჩავედი, ვიკითხე, — შვილს როგორ ვნახავ-მეთქი. ერთი ხიდი მაჩვენეს, აქ ყოველდღე გადაჰყავთ პატიმრებიო. საღამო იყო (5 საათზე იქ უკვე ბნელდება), ხიდთან დაველოდე პატიმრების კოლონას. იქაურობა პროჟექტორებით გაეჩახჩახებინათ, რომ არავინ გაქცეულიყო. უცებ დაიძახეს, „იდუტ, იდუტ“-ო. დავინახე — პატიმრები მორბოდნენ. ერთი კოლონის ბოლოს შავგვრემანი ბიჭი შევნიშნე, — კავკასიელად მივიჩნიე და დავუძახე — ჭანტურიას თუ იცნობ, დედამისი ვარ-მეთქი. თავი არ მოუბრუნებია, რუსულად მიპასუხა, „კტო ეგო ნე ზნაეტ, ონ ვ სედმომ ოტრიადე“. პატიმრებმა ერთმანეთს გადასცეს ეს ამბავი. უცებ გიას ხმა გავიგონე — „დედი, შენა ხარ?“ გადავირიე მის დანახვაზე, გამხდარი იყო, თურმე შიმშილობდა. პატიმრებთან ზოგჯერ კვირაობით რჩებოდნენ მნახველები. რაკი გია „საშიში პიროვნება“ იყო, ერთი დღე და ლამე მოგვცეს შეხვედრისთვის. ოთახში რომ შეგვიყვანეს, გიამ კედელზე მანიშნა, აქ მოსასმენი აპარატურაა ჩამონტაჟებულიო. ის იქ სხვებივით არ მუშაობდა, პატივს სცემდნენ. 1985 წელს საქართველოში გადმოიყვანეს. ვფიქრობ, ეს ინაურის მონდომებით მოხდა, ზაფხულის ბოლოს კი გაათავისუფლეს.

**— ოჯახი როდის შექმნა?**

— პირველი ცოლი გადასახლებამდე შეირთო. ლიკა ლამაზი გოგო იყო, შვილიც ეყოლათ, მაგრამ ვერ ააწყვეს ურთიერთობა, მალე გაიყარნენ. ეტყობა, ვილაცამ რაღაც უთხრა და გიამ იეჭვიანა. ეს იყო მათი განქორწინების მიზეზი... მერე ირინა გაიცნო, მისი საგაზეთო წერილი მოსწონებია. ეს გოგონა რა კარგად მსჯელობს, მოძებნეთო, — უთქვამს მეგობრებისთვის. ამის შემდეგ გაიცნეს კიდეც. ერთ საქმეს აკეთებდნენ, შეუყვარდათ ერთმანეთი და დაქორწინდნენ. ირინა ერთგული და გონიერი ქალია.

**— ერთხანს გია შევარდნაძის მომხრე იყო...**

— ეტყობა, შევარდნაძე თვალყურს ადევნებდა. გია საზღვარგარეთ მიფრინავდა. მოსკოვში რომ ჩავიდა, შევარდნაძემ შეუთვალა, — შენთან შეხვედრა მინდაო. ულაპარაკიათ. მაშინ უკითხავს შევარდნაძეს, საქართველოში რომ ჩამოვიდე, შენი პარტია მხარს დამიჭერსო? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის კურსი დასავლეთისკენ იქნებაო, — უთქვამს გიას. შევარდნაძეს თანხმობა მიუცია, — სხვანაირად არც მიფიქრიაო. ამიტომაც იყო, რომ გია და ირინა მხარს უჭერდნენ. იცით, როგორ მახარა, — შევარდნაძე ჩამოდისო. ვაი, დედამეთქი, შევიცხადე. არა, დედი, ის ახლა სხვანაირად წაიყვანს საქმეს. ჩვენ ვილაპარაკეთო... გია მართალი კაცი იყო და დაუჯერა.

**— დაპირისპირება რატომ მოხდა?**

— იმიტომ, რომ შევარდნაძემ თავის ნათქვამს გადაუხვია. თუ გახსოვთ, ერთი წელი მართლა შეიკავა თავი, გიასთანაც კარგად იყო, ხშირად ურეკავდა, თან დაჰყავდა, მერე კი მოკლა... იცით, როგორ გალანძღა გიამ შევარდნაძე დსთ-ში შესვლის გამო?! აქედან დაურეკა. მდივანმა არ დააკავშირა. გიამ მკაცრად უთხრა, ვიცი, მანდ არის, დამალაპარაკეთო. როცა შევარდნაძემ ყურმილი აიღო, გიამ ყვირილით მიახალა, — ეგ არის შენი პირობა, ჩვენ ხომ სხვანაირად მოვილაპარაკეთო... და გალანძღა. ის სიტყვები არ აპატია შევარდნაძემ.

**— გიას, ალბათ, აფრთხილებდნენ, საშიშროება რომ ელოდა.**

— ეუბნებოდნენ, — მაგ კაცს ნუ ენდობიო. ვერ დაარწმუნეს, — ცუდს რატომ გამიკეთებსო, უკვირდა...

**— ამბობენ, იგორ გიორგაძესაც უნდოდა მისი გაფრთხილებაო.**

— იგორ გიორგაძე სიმპათიით იყო გიას მიმართ განწყობილი. მერე რაღაცები ითქვა... იგორი გიას არაფრით არ მოკლავდა. მისი ცოლი ჩემი ამხანაგი იყო, ერთად ვმუშაობდით...

**— ხაჩიშვილი?**

— ოჰ, ხაჩიშვილი არ გამახსენოთ. ალყაში მოაქციეს ჩემი შვილი და ეზოდან გასვლის საშუალება არ მისცეს. სროლა რომ დაიწყეს, ფანჯრისკენ წავედი, მაგრამ ოთარმა არ მიმიშვა... დიდხანს ისმოდა სროლის ხმა. ვთქვი, — კიდევ კარგი, გიამ გაასწრო-მეთქი. ეს რომ დამენახა, მე-15 სართულიდან გადავვარდებოდი. სროლის დროს ჩვენს სახლს ვერტმფრენი დასტრიალებდა თავს, ისე ახლოს, რომ ჭალები ქანაობდა. ახლა ვხვდები, ეტყობა, ვილაც თვალყურს ადევნებდა ჩემი შვილის მკვლელობას.

**— რატომ მოკლეს გია?**

— შვილები ჰყავს (ყოვლად უცოდინარი შვილები!) და იმათ უნდა გააგრძელებინოს ქვეყნის მართვა. რა შვილი მომიკლა, და...

**— გიას დაკრძალვაზე მოვიდა პრეზიდენტი?**

— მკვლელობის დღეს ეზოში მოსულა. მე ქაშუეთში ვნახე, პანაშვიდზე. განაცხადა, — უცხოეთში მივფრინავდი და მოვბრუნდი, ეს ამბავი რომ გავიგეო. დილიდან საღამომდე იქ იდგა. ხელში ანთებული კელაპტარი ეჭირა, რომ ჩაიწვებოდა, ახალს აწვდიდნენ. მშვიდად, აუღელვებლად იდგა.

მიუხედავად იმისა, საშინლად გამწარებული ვიყავი, ერთი ბიჭის საქციელი მომხვდა თვალში. გულამოსკვნილი ტიროდა. ვიკითხე, ვინ არის-მეთქი. მოიყვანეს ჩემთან და თავისი ვინაობა გამახსენა — ერთხელ ლამით სროლის ხმა გაისმა ჩვენს ეზოში, ვილაცას ესვრიანო, თქვა გიამ და ფოსტლებით დაეშვა კიბეზე. მეგობრები წამლის გამო შეკამათებულიყვნენ. ერთს იარაღი ეჭირა ხელში, ის იყო, უნდა მოეკლა ამხანაგი, რომ გიამ უკნიდან მოხვია ხელი და იარაღი გააგდებინა. ის ბიჭი გიამ სახლში ამოიყვანა, ყავა მომადუღებინა. დილამდე ილაპარაკეს... ვისაც გიამ იარაღი გააგდებინა, სწორედ ის ყმაწვილი ტიროდა გიას პანაშვიდზე.

დაფეთებული დედა ვიყავი, გიას შემდეგ შვილი აღარ გავაჩინე, ვფიქრობდი, პირველი შვილის სიყვარულს გამიყოფს-მეთქი. არადა, გია ენამოჩლექით მთხოვდა პატარაობისას, — დედი, გააჩინე შვილი და მე თვითონ ვუწნებ და ვუწნებო (აკვანს დავურწევო). რომ დამეჯერებინა, ასე უიმედოდ არ ვიქნებოდი. ჩემი ერთადერთი ნუგეში გიას ვაჟია — გიორგი. უკვე 22 წლისაა. ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს. აპირებს ჩამოსვლას, მაგრამ ძალიან მეშინია, მამის ხასიათი აქვს და ვკანკალებ — არავინ მომიკლას.

კიდევ კარგი, გიას გენი ისევ გრძელდება. მისი სიტყვები მახსენდება ხშირად — *„მე ვიყავი, ვარ და ვიქნები. რამდენმა და რამდენჯერ დამიპირა სიკვდილი, მაგრამ კვლავ ცოცხალი ვარ. რა იციან უგუნურთ, თუ უკვდავების წყალი მაქვს შესმული...“*

**იზო რიკაძე**

# როგორ გავწმინდოთ პანკისის ხეობა?

რუსეთი საქართველოს ადანაშაულებს იმაში, რომ მას არ შეუძლია და არ უნდა პანკისის ხეობის პრობლემის მოგვარება, საქართველო კი რუსეთს მის შინაურ საქმეებში ჩარევას და რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტში ჩათრევის მცდელობას სწამებს. ამ რთულ სიტუაციას კომენტარს უკეთებს რუსეთის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის საბჭოს პრეზიდენტი **სერგეი კარაგანოვი:**

— სიტუაცია მართლაც ჩიხშია და ეს უპირველესად იმის ბრალია, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა ვერ აკონტროლებს საკუთარი ტერიტორიის უმეტეს ნაწილს. ერთი ხანობა, ის იძულებული შეიქნა, შიდაპოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად ჩეჩენი ბოევიკების დახმარებითაც ესარგებლა. ახლა თბილისში მიხვდნენ, რომ ამ საქმეს შველა უნდა, მაგრამ არა რუსეთთან ერთად.

— **რამ გამოიწვია რუსეთის ხელმძღვანელობის მიმართ ასეთი უსიამოვნო განწყობა?**

— საქართველოს ხელისუფალნი თავს იმცირებენ. მათ უნდათ ამერიკელები ყურით შეითრიონ თავისთან, მაგრამ რუსეთი ამას არ მოითმენს.

საჭიროა ყველამ იცოდეს, რომ საქმე გვაქვს დაცემის ზღვარზე მდგარ სახელმწიფოსთან, ჩვენ კი დაინტერესებულნი ვართ, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, არსებობდეს. სწორედ მის სასიკეთოდ ვცდილობთ პანკისიდან ბოევიკების განდევნას. რუსეთმა ეს საკითხი გაეროშიც უნდა დააყენოს, რათა განხორციელდეს არა ცალმხრივი, არამედ საერთაშორისო ოპერაცია. იმ შემთხვევაში მივმართავთ შეზღუდულ ღონისძიებებს ბოევიკების გამოსადევნად, თუ დავინახავთ, რომ ქართული ხელმძღვანელობა ხელს უწყობს ბოევიკების პარპაშს და უარს ამბობს მათ განდევნაზე.

— **თქვენ გგონიათ, რომ სიტუაცია ჩეჩნეთში მოწესრიგებულია?**

— სანამ არ გადაიკეტება იარაღის მოწოდების ყველა გზა და ბოევიკების მიმოსვლა — პრობლემა, რასაკვირველია, იქნება. რაც შეეხება პანკისის ხეობაში მყოფ ლტოლვილებს, ჩვენ იქ არავინ შეგვიდევნია, ისინი თვითონ გაიქცნენ.

— **ტერორიზმის ბუდის ამოძირკვის მაგიერ აშშ შევარდნაძეს ემხრობა. ეს ორმაგი სტანდარტი ხომ არ არის?**

— დიახ, მაგრამ ისინი მაინც მტკიცედ არ დგანან საქართველოს პოზიციაზე. ამბობენ, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა აუცილებელიაო, ჩვენც იმავე აზრისა ვართ. მე მგონია, რომ ჩვენ შევძლებთ ამერიკელებთან მოლაპარაკებას, მით უმეტეს, რომ საქართველოს სუვერენიტეტის შელახვას არ ვაპირებთ.



— **რუსეთსაც ხომ გააჩნია ორმაგი სტანდარტები, მაგალითად, კოდორის ხეობასთან დაკავშირებით, ჩვენ ხომ აფხაზეთს ვემხრობით?**

— ჯერ ერთი, ჩვენ საქართველოს ერთიანობის საკითხი კითხვის ქვეშ არასოდეს დაგვისვამს, მეორეც — აფხაზები, ჩეჩნებისაგან განსხვავებით, არ ცდილობენ მეზობელი ტერიტორიების დაპყრობას, საკუთარის შესანარჩუნებლად იბრძვიან. შეჭრა ხდება არა ქართულ ტერიტორიაზე, არამედ პირიქით — აფხაზურზე. ჩვენ იქ სტატუს-კვოს ვიცავთ. ჩეჩნეთში ტერორისტული ომი მიდის, აფხაზეთში შედარებით სიწყნარეა, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხანდახან ე.წ. ქართველი პარტიზანები გამოყოფენ თავს. სხვა საქმეა, რომ მდგომარეობა ძალზე რთულია — საქართველოს რიგი რეგიონებისა ფაქტობრივად უკვე დამოუკიდებელია. აფხაზები ამაზე დაუფარავად ლაპარაკობენ, სხვები კი ჩუმად აკეთებენ საქმეს...

— **რა ელის საქართველოს, შევარდნაძე ხომ უკვდავი არ არის......**

— მე ქართველი ხალხის მაგივრად ვერაფერს გადავწყვეტ, მან ისედაც ბევრი ზიანი მიაყენა თავის თავს. ყოფილი სსრკ-ის ყველაზე მდიდარი რესპუბლიკიდან ყველაზე ღარიბ ქვეყნად იქცა და ამაში დამნაშავე თავად ხალხია. ჯერჯერობით გამოსავალს ვერ ვხედავ, ხელისუფლების შეცვლის პირობებშიც კი. სახელმწიფო დასუსტებულია, სპეციალისტები და ინტელექტუალები ქვეყანას ტოვებენ. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ, რომ რუსეთი დაინტერესებულია ქართული სახელმწიფოებრიობის სტაბილურობით. რუსეთს დაშლილი საქართველო უსიამოვნებების მეტს არაფერს მოუტანს.

საქართველოს გულისათვის ამერიკას არ წავეჩხუბებით.

განცხადებები, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შესაძლო სამხედრო მოქმედებების შესახებ, უნდა გააკეთოს მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრმა ან თავად პრეზიდენტმა.

***ნეზავისიმაია №166***

# ჯორჯია 2-ის ფერდობებზე



**პუტინს ტერორიზმთან ბრძოლა საქართველოს ტერიტორიაზე სურს. შევარდნაძეს იმედი აქვს, რომ ამერიკელები ამას არ დაუშვებენ. ამერიკელები კი (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ფილიპ რიკერი) ალბათ შევარდნაძეს რუსეთს ჩააბარებენ.**

რუსეთსა და საქართველოს შორის კვლავ გრძელდება სიტყვიერი და ნერვების ომი. ორივე მხარეს თავისი მიზნები აქვს. მოსკოვის მთავარი სტრატეგიული მიზანია, თბილისზე გავლენის შენარჩუნება — საქართველო რომ დაკარგოს, მაშინ ამიერკავკასიაში თავისი მთავარი მოკავშირისგან, სომხეთისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდება. თანაც ცნობილია, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას თვალი ამერიკისკენ უჭირავს. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა: „ქართველი ხალხი რუსეთის მიმართ კეთილად არის განწყობილი, დარწმუნებული ვარ, რომ იგივე გრძნობა აქვს რუს ხალხსაც. ეს კარგი ნიადაგია რფ-სა და საქართველოს შორის ფართომასშტაბიანი ურთიერთობის დასამყარებლად“.

პრეზიდენტმა გარკვევით მიანიშნა, რომ ახლანდელი საქართველოს ხელმძღვანელობა, რუსეთისადმი მეგობრულად არ არის განწყობილი და არც მოსკოვი ცდილობს თბილისთან ურთიერთობის მოგვარებას. არც შევარდნაძის რეჟიმის დამხობა აძლევს ხელს მოსკოვს — იცის, რომ ამას დასავლეთი არ დაუშვებს, მაგრამ ეცდება, აიძულოს შევარდნაძე, მოსკოვისკენ აიღოს გეზი.

პანკისის ხეობაში რუსი სამხედროების ყოფნა აუცილებელია არა მარტო ჩეჩნების მიმოსვლის აღსაკვეთად, არამედ შევარდნაძის მოსკოვისკენ შესაბრუნებლად. პანკისის ახლანდელი სიტუაცია იდეალურია ჯარების შესაყვანად. იგი მოსკოვისათვის ამიერკავკასიაში პოლიტიკური თამაშის მთავარი კოზირია. ვისი გავლენის ქვეშ მოექცევა საქართველო — აი უპირველესი საკითხი. რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების დასასრული ბევრად იქნება დამოკიდებული მესამე, უხილავი მოთამაშის პოზიციაზე. მოსკოვში ამას ხვდებიან.

ჯერჯერობით, აშშ უფრო თბილისისკენ იხრება, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მორიგი სერიოზული პრობლემის განხილვისას (მაგალითად, ერაყზე დარტყმა) მოსკოვმა და ვაშინგტონმა, ადვილი შესაძლებელია, ურთიერთმომგებიანი მოლაპარაკება აწარმოონ, გაითვალისწინონ ყველა წვრილმანი, მაგალითად, ისეთი მდგომარეობა, როგორიც პანკისშია და კომპლექსურ მოლაპარაკებებამდე მივიდნენ. მაშინ პანკისის ხეობა და მთელი საქართველო დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში გასაცვლელი კარტი აღმოჩნდება.

***ვლასტი №31***

# „ედელვაისი“ – შპრიცით თავში

***მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს რუსეთის მესაზღვრეების ბრძოლას გელაევის ბანდასთან რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, რომელიც თითქმის ათას კილომეტრზეა გადაჭიმული. ყველაზე სახიფათოა ჩეჩნეთის მონაკვეთი — 82 კმ.***



**ამ კადრმა მსოფლიოს მასმედია განაცვიფრა. რუსმა ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ ეს ჩვეულებრივი ფანდია მოწინააღმდეგის დასაფრთხობად — ამის გამკეთებელი რას არ იკისრებსო!**

— რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვარი, კლასიკური გაგებით, არ არსებობს, — ამბობს რფ-ის ჩრდილო კავკასიის სასაზღვრო სამსახურის რეგიონალური სამმართველოს შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი პუტოვი, — აქ თითქმის 10 წელია ვდგავართ და საზღვარი დღემდე არ არის დემარკირებული. როგორც სსრკ-ის დროს იყო ადმინისტრაციულ საზღვრად, ასევე დარჩა. ამ ბრძოლაში 8 რუსი მესაზღვრე დაიღუპა, რამდენიმე ბანდიტმა კი საქართველოში მოასწრო გაქცევა.

მესაზღვრეები აღიარებენ, რომ ჩეჩენი ბოევიკები ჩინებულად არიან მომზადებულნი. საკუთარი თვალებით ნახეს, საქართველოს საზღვრის გადალახვისას როგორ მიათრევდა 30-კაციანი ჯგუფი თითქმის ნახევარ ტონა ტვირთს. გამოცდილი ალპინისტებივით იქცეოდნენ: კლდიდან თოკებით თვალისდახამხამებაში ეშვებოდნენ, ხოლო $75^0$-იან კედლებზე ჯიხვებივით არბოდნენ, თან ქვემოთ მესაზღვრეებს ესროდნენ.

ჩეჩნები ვირტუოზულად ისვრიან „შაითანტრუბიდანო“, — გაკვირვებული ამბობს ერთ-ერთი მეთაური მაქსიმ პრიხოდკო, — ყუმბარმტყორცნი თეძოზე აქვთ მიბჯენილი. „ალაჰ აქბარს“ რომ დასჭექენ, ვეღარაფერი აკავებთ. თავის ჯგუფს „ედელვაისი“ დაარქვეს — ლამაზი მთის ყვავილის სახელი. თანაც „პიჟონები“ არიან — 1000-დოლარიანი ტანსაცმელი აცვიათ. ზურგჩანთებში კი, საბრძოლო კონსპექტებს ქალის სუნამოს სურნელი ასდის. ცივი იარაღიდან — შუა საუკუნეების ნახევარმეტრიან დანებს — ტასაკებს და ესპანურ „ჯუნგლების მეფეს“ ამჯობინებენ.

## შპრიცები თავში

რუს მესაზღვრეებს ხელში ჩაუვარდათ გაქცეულ ჩეჩენთა ზურგჩანთები, სადაც ენერგეტიკული საკვების ნაკრები იდო: ქიშმიში, გარგარის ჩირი, შოკოლადი „ალენკა“, ყალი (გამომშრალი ძროხის ხორცი), ბულიონის კუბიკი „მაგი“. უბის წიგნაკში კი კვების სადღეღამისო რეცეპტი უწერიათ — 6 „სნიკერსი“ და 1 ლ წყალი. პირად აფთიაქში — ნარკოტიკი, დაწყებული ჰეროინით, ხაშხაშით გათავებული. ტკივილგამაყუჩებელი — პრომედოლი, ნუბაინი. შიშისა და აგრესიის დამთრგუნავი პრეპარატები.

ნაალაფარი ვიდეომასალის ერთმა სიუჟეტმა რუსი ოფიცრებიც კი განაცვიფრა — კადრშია მიწაზე მჯდომი ბოევიკი, რომელსაც თავში ორი შპრიცი აქვს ჩარჭობილი, მესამე კი ზურგში. უფს-ის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამ სახით მეომარ-თვითმკვლელს გამბედაობისათვის ფსიქოთერაპიული საშუალებები შეჰყავს ორგანიზმში.

***იზვესტია №142***

# იომებს თუ არა რუსეთი საქართველოსთან?



## ფული და ნავთობი, აი, რა არის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ნამდვილი მიზეზი

— ამიტომაც შეიქნა აჟიოტაჟი პანკისის ხეობის გარშემო. სავარაუდოა, რომ აგვისტოს ბოლოს, ან სექტემბრის პირველ რიცხვებში, პანკისის ხეობიდან გადმოსული ბოევიკები გააქტიურდებიან. საპასუხოდ, რუსეთი დამოუკიდებლად ან ქართველებთან ერთად პანკისის ხეობის წმენდას დაიწყებს. აშშ, რომელიც დაკავებული იქნება ტერორისტული აქტების წლისთავის აღნიშვნით, მკვეთრად ვერ გაილაშქრებს რუსეთის ანტიტერორისტული ოპერაციების წინააღმდეგ.

თითქმის ამავე დროს, საქართველოს ტერიტორიიდან დაიწყება უცნობი ფორმირებების გალაშქრება აფხაზეთის წინააღმდეგ. აფხაზეთის შეიარაღებული ძალები მძლავრ წინააღმდეგობას გაუწევენ მათ, განდევნიან თავისი ტერიტორიიდან, გაქცეულთა დევნით გატაცებულები საქართველოს ტერიტორიაზე გადავლენ და აქ მათ რუსეთის მშვიდობისმყოფელები შეაჩერებენ. ამის შემდეგ საქართველოში მასობრივი გამოსვლები დაიწყება — შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით. განსაკუთრებით იაქტიურებენ პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური მოძრაობები. შესაძლებელია, პროცესები კომუნისტებმა მართონ. ამ მასობრივ სახალხო მოძრაობაში ნამდვილად არ ჩაერევიან ამერიკელები, ყოველ შემთხვევაში, სამხედრო ძალით მაინც. რუსეთი თავის მიზანს იმ შემთხვევაშიც მიაღწევს, თუ შევარდნაძე ხელისუფლების სათავეში დარჩება; ინვესტორები, რომლებიც ნავთობგაყვანილობის პროექტებს აფინანსებენ, დაფიქრდებიან, ღირს კი უზარმაზარი თანხის ჩადება „ტრუბაში“, რომელიც ასეთი არასტაბილური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადის. ამით რუსეთი დროს მაინც მოიგებს.

თუ საქართველოს პრორუსულად ორიენტირებული მთავრობა ეყოლება, რუსეთისთვის მოგება გაორმაგდება: „ტრუბის პრობლემის“ გადაწყვეტის გარდა, აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის პერსპექტივაც გაჩნდება. აუღიარებელმა რესპუბლიკამ შეიძლება მიიღოს ფართო ავტონომია, თანაც რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილი სუვერენული საქართველოს შემადგენლობაში დარჩეს. აფხაზეთის ხელმძღვანელობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების (აფხაზეთში რუსული ჯარების ყოფნის გარანტიით) ასეთი ვარიანტის წინააღმდეგი ალბათ არ იქნება.

არის „ტრუბები“, რომლებიც კასპიისა და შუააზიურ საბადოებს რუსეთის ნავთობშემავსებ პორტებთან და რუსეთისვე გაზგაყვანილობის სისტემასთან აკავშირებს. მაგრამ არის პროექტები, რომლებიც რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით, საქართველოს ტერიტორიაზე გადის: ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი; გაზის ტრანსკასპიური პროექტი თურქმენეთი-კასპია-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი. რუსეთი აზერბაიჯანს ეტყობა ვერაფერს მოუხერხებს — იქ საზღვარგარეთული კორპორაციების მძლავრი გავლენაა. მაგრამ აი, საქართველოსთან ჯერ კიდევ შესაძლებელია ჭიდილი. მიზანი მარტივია: თუ საქართველო რუსეთის მოკავშირე გახდება — პოლიტიკურ აზრს კარგავს რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით მილების მშენებლობა — ქვეყანა, რომელიც „ტრუბას“ აკონტროლებს, ყოველთვის შეძლებს ზემოქმედება იქონიოს იმ ქვეყანაზე, ვისი ნედლეულიც ამ „ტრუბით“ მიედინება. არის კიდევ ეკონომიკური ასპექტიც: ნახშირწყალბადის მომპოვებელმა ქვეყნებმა ტრანზიტისათვის ცოტა ფული როდი უნდა გაიღონ, ხოლო ნავთობისა და გაზის კონკურენტი საექსპორტო დერეფნების შექმნა რუსეთისთვის მომგებიანი არ გახლავთ.

ჩეჩნეთის კონფლიქტის მთავარი მიზეზის — ნოვოროსიისკის ნავთობგაყვანილობის უსაფრთხოება — თითქოსდა უკვე მოგვარებულია. სამაგიეროდ, ახლა ახალი საექსპორტო „ტრუბების“ პროექტების გარშემო იხლართება ინტრიგები.

დღეისათვის ძალთა განაწილება კი ასეთია: აშშ თავისი მოკავშირეებით დაინტერესებულია იმ მილგაყვანილობებით, რომელიც შუა აზიიდან, რუსეთის გვერდის ავლით, კასპიის გავლით მიდის თურქეთში.

რუსეთი დაინტერესებულია ნავთობის ტრანზიტმა მის ტერიტორიაზე გაიაროს. საქართველო ორ ცეცხლშუა აღმოჩნდა.

საქართველოსა და აშშ-ის დაახლოების საწინააღმდეგოდ, რუსეთმა გადაწყვიტა საქართველოს კომპრომეტირება და მის ხელმძღვანელობას ტერორისტებთან კავშირი დააბრალა. ჩეჩენი ტერორისტები საამისოდ იდეალური ვარიანტია

***მოვლენების ასეთ სცენარს გვთავაზობენ პოლიტიკური მიმომხილველები ევგენი ანისიმოვი, პეტრ ლეზინი***

***კომსომოლსკაია პრავდა №145***

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის
**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**
გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:
1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა, 4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ისტორია და რელიგიის ისტორია,
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
11. ფიზიკა და მათემატიკა, 12. ქიმია და ბიოლოგია,
13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.
**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**
საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2 (ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

CMYK

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები ბრძნობენ

**ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ** უფროსი ძმა ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობს.

— ირაკლი, შენ ვიოლინოზე მიგიყვან, ორივეს ფორტეპიანო რად გინდათ? — ეუბნება დედა.

— როგორ? — პასუხობს განაწყენებული ბავშვი, — ზაზა იჯდეს და მე ფეხზე ვიდგე?

***

გივი პაპას 3 შვილიშვილი ჰყავს.

— პაპი, ხომ მიყიდი ლამაზ კაბას? — ეკითხება **5 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲘᲜᲘ**.

— კი, შვილო, გიყიდი...

— მე ხო ლამაზ ბურთსა და ბოტასებს მიყიდი? — ახლა **3 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲘᲕᲘᲙᲝ** შეევედრა.

— კი, შვილო, შენც გიყიდი...

— პაპა, შენ რა შევარდნაძესავით ყველას ყველაფერსა ჰპირდები და არავის არაფერს არ უსრულებ? — ჩაურთო **6 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲔᲗᲘᲛ**.

***

**ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲒᲘᲕᲘᲙᲝ** უმცროს ძმას „აწვდის ინფორმაციას“ დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ: „იცი, ლევანიკო, ჯერ დაიბადნენ დინოზავრები, შემდეგ — თევზები, მერე ხეები, მერე — ადამიანები და გავიდნენ ხეებზე“.

***

**ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲕᲐᲨᲐᲛ** დაინახა დახლზე დაწყობილი ვაშლ-ატამა და გახარებულმა წამოიყვირა:

— დედა, შეხედე, ატამი გაუპარსავთ!

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ოთხფეხია ტანად დიდი, რქებიანი, წყნარი, მშვიდია. იგი თავის მზრუნველ პატრონს აძლევს კარაქს, ყველს და მაწონს“.

III





იპოვე იმ დუმფარების ორეულები, რომლებზეც ბაყაყები სხედან

## ᲘᲞᲝᲕᲔ 9 ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ



IV



რომელს არა ჰყავს ორეული?

I



რომელი ცხოველების ნაწილებისგან შედგება ეს არსება?



დაეხმარე თევზს ბადიდან გამოსვლაში

V

## ანა, გამოიცანი

**1. ამ გამოთქმებიდან რომელი ნიშნავს: „გამოუვალ, სახიფათო მდგომარეობაშია“?**

ა) ცეცხლზე ნავთს უსხამს; ბ) ცეცხლს ეთამაშება; გ) ორ ცეცხლს შუაა; დ) გულზე ცეცხლი ეკიდება;

**2. რას ნიშნავს „შუბლი გახსნა“?**

ა) რაღაც გაახსენდა; ბ) გაიღიმა; გ) თავის ტკივილმა გაუარა; დ) თვალთ გაუნათდა;

**3. რისი სონატა დაწერა ბეთჰოვენმა?**

ა) მზის; ბ) მთვარის; გ) ვარსკვლავების; დ) თოვლის.

**4. როგორ ადამიანზეა ნათქვამი: „მედღეხვალიე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო“?**

ა) ზარმაცზე; ბ) გამრჯეზე; გ) ერთგულზე; დ) უცოდინარზე.



VI სურათის ზოგიერთი ნაწილის გადაადგილებით მიიღე ყვავილი

II

## რებუსი



## კროსვორდი

| ქვედა ყბის წინ წამოწეული ნაწილი | ქართ. ანბანის პირველი ასო | მუსიკ. ბგერის გრაფიკ. გამოსახულ. | თავბრუ ანუ ... | ნაპირი | „... მწამს, ბოლო მაკვირვებს“ | უპატრონო, ოხერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მამაკაცის სახელი | კლავიშებიანი ინსტრუმენტი | სასვენი ნიშანი | ტყავის გუდა ღვინისთვის | დანაკლისი, ზარალი, ნაკლებობა | ცეცხლის „შვილი“ | |

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალდო-სალადო“

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 31-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ლომი და მოყმე (კეთილი ბოლოთი)

კინორეჟისორი **რევაზ ჩხეიძე** იხსენებს:

— 2001 წლის აღდგომაა, სალოცავების მოლოცვის შემდგომ, ჩემი სამი წლის შვილიშვილის, ნინოს თხოვნა გავითვალისწინე და ცირკს ვეწვიეთ (რა თქმა უნდა, გოგონამ ბებიაც თან წამოიყვანა). აფიშა იუწყებოდა, რომ საგასტროლოდ იმყოფებოდა მოსკოვის ცირკის სახელგანთქმული ჯგუფი და მაყურებელი ლომების ატრაქციონსაც იხილავდა!

პირველი განყოფილების დასრულების შემდგომ, რომელიც, ჩვეულებისამებრ, აკრობატების, ჟონგლიორებისა და ჯამბაზების ხელოვნებას დაეთმო, შესვენება გამოცხადდა და მომსახურე პერსონალმა რკინის უზარმაზარი გისოსების შემოტანა და დამონტაჟება დაიწყო. ნინიკოს ცნობისმოყვარე კითხვაზე, თუ რას აკეთებდნენ ძიები, ვუპასუხე, სცენაზე ცხოველთა მეფე, ლომი უნდა გამოიყვანონ და რკინის ღობესაც იმიტომ ავლებენ, ჩვენი უსაფრთხოება რომ დაიცვან. გოგონამ გაოცებით რომ შემომხედა, დავუმატე, ლომი ძალიან საშიშია-მეთქი.

მალე კონფერანსიემ გვამცნო, რომ რუსეთის დამსახურებული არტისტი სკვირსკი და მისი მეუღლე ლომების ატრაქციონს წარმოადგენდნენ და მაყურებელს კატეგორიულად გვეკრძალებოდა არა მარტო აქეთ-იქით სიარული, არამედ... ზედმეტი მოძრაობაც. ამ განცხადებამ, ბუნებრივია, ატმოსფერო დაძაბა, მაგრამ წარმოდგენა მაინც ცირკისთვის დამახასიათებელ საზეიმო ვითარებაში დაიწყო. განწყობას აძლიერებდა არაჩვეულებრივი მუსიკა კინოფილმიდან „ცირკი“. ნომერი ნომერს ცვლიდა, ლომები მშვენივრად ასრულებდნენ „როლებს“, რა თქმა უნდა, იყო დაუმორჩილებლობის მომენტებიც, მაგრამ მწვრთნელების მათრახის ტყლაშუნი ყველაფერს არეგულირებდა. ნინიკო დაინტერესდა, ხომ არ შეჭამდნენ ლომები მათრახიან ძიას? მე ვუხსნიდი, რომ ეს შეუძლებელია, თუ ლომი ადამიანის სიკეთეს იგრძნობს, თავს



ჩემი ცხოვრების ყველაზე გაბედული მომენტი!

არასოდეს დაესხმის და ა.შ.

ამ დროს სცენიდან ისმის სკვირსკის ხმა: „როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, დარბაზში იმყოფება კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე. მას შეუძლია შემოვიდეს გალიაში, თუკი ამის სურვილი აქვს!“

ეს ისეთი მოულოდნელი იყო, სიმართლე გითხრათ, გავშეშდი! ვგრძნობდი გარინდული დარბაზის ერთ დიდ თვალს, რომელიც მე მომშტერებოდა და პასუხს ელოდა... დიდხანს არ მიყოყმანია, თან ნინიკოს აღტაცებულმა მზერამ „გამამხნევა“ და თანხმობა განვაცხადე (როცა შემდგომ ამ ნაბიჯს ვაანალიზებდი, აღმოვაჩინე, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მთავარი როლი თავმოყვარეობამ და შვილიშვილის სიხარულმა ითამაშა); სამარცხვინოდ ჩავთვალე, უარი მეთქვა გალიაში შესვლაზე და ამდენი ხალხის თანდასწრებით შიში გამემჟღავნებინა. დიახ, დავთანხმდი, რამაც დარბაზში ტაში და... მღელვარება გამოიწვია.

სკვირსკიმ, ახლა უკვე გალიიდან, საზეიმოდ წარმადგინა მაყურებლის წინაშე და გამბედაობა შემიქო. პასუხად უფრო ძლიერი ტაში გაისმა. ცირკის მსახიობის მანერით ორივე გაშლილი ხელი მაღლა ავწიე და გავიცინე კიდეც. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არ მეცინებოდა. მწვრთნელმა მომაწოდა მათრახი და გრძელი ჯოხი (რკინისწვერიანი), რომლითაც, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ლომებს ჩხვლეტდნენ.

... ახლა სკვირსკის მაგივრად მე ვიქნევდი მათრახს, ვუმარჯვებდი ჯოხს და თქვენ წარმოიდგინეთ, მეფე-ლომები ამყვნენ, ისევე როგორც თავიანთ „მწვრთნელს“, რასაც დიდი აპლოდისმენტები მოჰყვა...

ამ წარმატების შემდეგ სკვირსკიმ ლომებთან მარტო დარჩენა შემომთავაზა! ისევ თავმოწონების გრძნობამ იმძლავრა (თან ათას ხმაში ჩემი ნინიკოს ბედნიერი კისკისი და შეძახილი ჩამესმოდა — ყოჩაღ, ბაბუ!) და ისევ დავთანხმდი. ვიდრე დამტოვებდნენ, ცოლ-ქმარმა კონსულტაცია ჩამიტარა, არ უნდა გავნძრეულიყავი და თუ მაინც რაიმე საშიშროებას ვიგრძნობდი, რკინისწვერიანი ჯოხი გამომეყენებინა, ამასობაში კი თავადაც მომეშველებოდნენ.

...ის რამდენიმე წუთი ლომების პირისპირ — წინ გაშვერილი ჯოხიანი ხელით, გაქვავებული სხეულით და შიშდავიწყებული გულით — ალბათ მართლა იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე გაბედული მომენტი!

რამდენიმე წუთი ლამის საუკუნედ იქცა! როგორც იქნა, სკვირსკი დაბრუნდა. მან ისევ მიმართა მაყურებელს და ისევ ჩემს გმირობასა და მამაცობაზე მიუთითა — ამჯერად დარბაზი ლამის ჩამოინგრა! გალიის სიღრმიდან მომესმა ხმა — რევაზ დავითის ძევ, შემობრუნდით, თუ შეიძლება!

სკვირსკის მეუღლემ ფოტოაპარატი „პოლაროიდი“ გააჩხაკუნა და იქვე გაჩნდა უნიკალური ფოტო, რომლითაც ძალიან ვამაყობ.

დარბაზში დაბრუნებულს გარს მაყურებელთა დიდი ტალღა მეხვია — მილოცავდნენ, ხელს მართმევდნენ, ავტოგრაფს მთხოვდნენ... ნინიკო სიხარულით მეცხრე ცაზე იყო!

ასე იქცა ლომების ატრაქციონი ჩემი და ჩემი ნინიკოს ზეიმად და ასე გამარჯვებულები დავბრუნდით შინ.

ნინო დღესაც აღფრთოვანებითა და ათასგვარი ინტერპრეტაციით ჰყვება ბაბუის საოცარ თავგადასავალს ცირკში.

***ნათელა თუთისანი***

# ღია წერილი ნოდარ დუმბაძეს

— ნოდარა, ძამა, სანამ აი წერილი სულეთამდე მოაღწევს, ალბათ უთვალავი სააქაოს სტუმარი წეიკითხავს და გამცინებს: — აი ვინცხა ბიკენტიე მუჯირია, გააბდლებულა, საცოდავი, თვარა, რამდონი ხანია ნოდარიე დუმბაძე მოკტაო.

ამფერ ირონიას თუ გაცინვას ქი ვარ შეგუებული, მარა, იმაში მაინც ვარ დარწმუნებული, რომე შენ, ბებიაშენი ოლღა, ილიკო და ილარიონი არასოდეს მოკტებით...

სანამ დედამიწის ზურგს მზის სხივი ათბობს, შენი „მზეც“ იბრწყინებს და „მზიანი ღამეც“ იბდღვიალებს.

14 ივლისი შენი ამქვეყნად მოვლენისა და ქართული იუმორის ერთხელ და სამუდამოდ გაბრწყინების დღეა. იმ ჯანმრთელი იუმორისა, რომელსაც მხოლოდ გაცინების კარა, ღვარღვალა კურცხალით ატირების უნარიც რომ შესწევს. რა იყო, მაინც, სა გქონდა მაგდონი იუმორი მანამდე დამწყვდეული, ყველა ერთად რომ გადმოაფრქვიე?!

კაცი, რომელიც „მარადისობის კანონს“ დაწერს ცეკას მდივნის დაუკითხავად, თვითონაც იმ მარადისობის ნაწილია და აკი შერჩი კიდეც მას!

ამ წერილის გამოგზავნა და დაბადების დღის მოლოცვა 14 ივლისს მინდოდა, მარა, ვერ მოვასწარი. რა ვქნა? — ერთ თვეს რომ სოფელში ვარ, ორ თვეს თბილისში ვაგდივარ. ვსპეკულანტობ. დეზერტირების ბაზარზე საქონელს ვყიდულობ და ვაკეში ვყიდი. ახლა ამას ბიზნესს უძახიან. სოფლის მეურნეობასაც ქე მივსდევ მარა, შაქარსა და საპონს ხომ ვერ მოვიწევ ყანაში? ვერც ლეღვის ფოთლებით შევმოსავ ცოლ-შვილს. ცოლს მით უმეტეს, იმფერი გასუქდა პურით და ტკბილი ჩაის სმით, რომე ფოთოლი კარა, ლეღვის ბუჩქიც ვერ დოუფარავს სხეულს. ამ გადასახადებმა თლა მოგვიღო ბოლო. ბაღნების წიგნებს და რვეულ-კალამ-ფანქარს უამრავი ფული სჭირია (რას ჩამოთვლი კაცი ყორფელს). ხოდა, ქე ვარ ასე გაბმული ჩოხატაური-თბილისის გზაზე.

რავა სულით და გულით გინდოდა, ძამა, ციხის სახურავზე „თეთრი ბაირაღის“ აფრიალებას და სამართლიანობას მოსწრებოდი, მარა... მაგას ჩვენი და დღეს დაბადებული თაობა კარა, ბარეორი თაობა ვერ მოესწრება ჩვენთან.

ჩვენი ციხეები ისეა გადატენილი, „პარაშასთან“ დასაჯდომი ადგილიც აღარ დარჩა. რას იზამდენ? — დასაჭირავ კაცს „ენ ტურში“ ხომ არ გოუშობდენ? — სკოლებისა და საბავშვო ბაღების აშენებას შეეშვენ და ციხეებს აშენებენ. იმფერი კომფორტული ციხე ოუშენებიათ, გამოსვლა აღარ მოუნდება თურმე კაცს. ღმერთმა ააშენოთ — რა ჯობია კაი ციხეს?!

ლანა გეხსომება შენ, ალბათ, — ღოღობერიძე, ელჩად გუუშვა შევარდნაძემ, მარა რათ გინდა... ახლა მაგის წყალობით, სტალინის მიერ 1944 წელს მესხეთიდან გასახლებული თურქებს შემოგვისახლებენ პაწა ხანში თურმე... სადაა ძამა, მესხეთში მაგდონი ადგილი? — თვითონ ძლივს ეტევიან მესხები. მაგენის შემოსახლებას და კიდო რაცხა-რაცხეებს ემსახურება „თავისუფლების ინსტიტუტი“... მე იგენს „ნამუსიდან თავისუფლების ინსტიტუტი“ შევარქვი. რეიზა თუ იცი? ხალხი რომ უცხოტომელების შემოსახლებაზე თანხმობას განაცხადებს და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლ სექტებს მხარს დაუჭერს დოლარების გულიზა, მაგფერებს ნამუსი აქვენ?!

ამ აბდაუბდა ლაპარაკ-ლაპარაკში ლამის მთავარი გამავიწყდა. საბჭოთა კავშირი დეიშალა, ძამა, მარა რუსმა ვერ მეიშალა რუსობა. აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვენ. იმფერი ომი „გეითამაშენ“ ჩვენს ერთხელ და სამუდამოდ დასაშინებლად რომე, დედა შვილს ვერ ეიყვანდა. 30000 კაცის სიცოცხლე შეიწირეს... ქვა ქვაზე არ დატიენ რუსებმა. იმასაც ქე ლაპარაკობენ, რომე, ედუარდ შევარდნაძემ პრეზიდენტის სკამში გაცვალა საქართველოს ტერიტორიის მესამედიო, მარა რას გეიგებ კაცი?



ვიცი, გაგეხარდება, ძამა, რავარც ჰუმანურ კაცს, სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, 14-ლარიანი პენსიით შეუცვალეს ხალხს, მარა, ამფერი „ჰუმანური“ კანონის შემოღებამ გაცილებით მეტი სიცოცხლე შეიწირა. აპა რა იქნება? — 14 ლარს რომ დუუნიშნავ ადამიანს და მასაც ვერ გეიმეტებ 3-4 თვეში ერთხელ, რა გადაარჩენს იმ ხალხს?!

ჩვენი სოფლის ნახევარი შიმშილობს... შაქროია ღელეყვას ბაზარში უნდოდა თავის გაყრა, მარა გადაარჩინეს, მელენტია გარდაფხაძემ მეზობლისგან ნასესხები ნავთი გადეისხა ტანზე და კიდევ კარგი, მივუსწარით, ბიკენტი ბურკაძეს, კაკოია ართილაყვას და დანიელა ყუბანეიშვილს წნევამ დაართყათ. აბიბო ჩხარტიშვილს, დამიანა ბურძგლას და სავლე პაიჭაძეს ინფარქტმა დაუტკლიცა გულები. კალისტო შევარდნაძემ ჯავრისგან გააფრინა — გააბდლებულია საცოდავი, სამოცდათხუთმეტი წლის ცოლს უჩივა თურმე: „ჯიბიდან ფულს მართუმ და საყვარელს აჭმევო“. ფული კარა, ჯიბეც არა აქ იმ გაჭირვებულს და ვერ ხდება მადგონს. გერონტიე ტრაპაიძის ცოლი შუშანა წნევამ გეიქნია და ლოგინათ ჩავარდა.

მამიდაჩემი გეხსომება, ოლიმპიადა, შენ რომ მოფერებით „სპარტაკიადას“ უძახდი, — პენსიის რიგში იდგა ორ დღეს და მესამე დღეს წნევამ გეიქნია იგიც. ექიმიზა გეიქცა თურმე ვინცხა, მარა ექიმს უთქვამს: — ფული თუ არ გაქვენ, არ წამოვალო და კინაღამ მოკტა საცოდავი...

10 წელზე მეტია ნოდარა, ძამა, რაც საქართველო და ქართველი ხალხი თავისუფალია: საბჭოთა კავშირის ტყვეობიდან, ფინანსებიდან, სინდის-ნამუსიდან და ზნეობიდან. ხომ გახსოვს ბაბუაშენი რომ გიჩიოდა: „კაცს რომ შუბლის ძარღვი გაუწყდება, მისი საქმე წასულიაო“. გაუწყდა კარა, თლა მომსპარი აქვს იგი ძარღვი საზოგადოების დიდ ნაწილს. შენ რომ შენი კლასელი რვაი წლის თალიკოს ჭიპის ქვემოთ ხალის დანახვა განცვიფრებდა, ახლა 8-დან 68 წლამდე თითქმის ყველა ქალს უჩანა ჭიპიც, წელიც, მკერდიც და უწინ რომ სასირცხოდ იყო მიჩნეული, ის ნაწილებიც... შენ რომ ინგას ბოზობა გიკვირდა, ახლა იმდონი ინგა, ნანა, მანანა, მარინა თუ ვინცხა ოხრებია გაბოზებული, რომ იცოდე, სირცხვილით დეიწვოდი. საცოდავი მურტალო რომ გამოაჭენე ქურდობისა და ნარკომანიის გულობიზა, ახლა ვერ დეითვლი, იმდენი ქურდი და ნარკომანია. უბედურება იგია, რომე, აი ბოზები, ქურდები და ნარკომანები ზედა ეშელონებიდან მოდიან და მოდიან... ფაქტიურად იგენისაა ცხოვრება, იგენის ხელშია ქვეყნის მთელი სიმდიდრე. აი ამბავი ყველამ ვიცით, მარა, რომელი სულელი ამეიღებს ხმას? — ან სახლში მოკლავენ, ან ავარიას მუუწყობენ, ან დეიჭირავენ და პოლიციის სამმართველოს ზედა სართულიდან გადაახტუნებენ.



შენ რომ კუკარაჩას ეფერებოდი და უბნის პატრონად რომ მიგაჩნდა, იგი კუკარაჩა, მხოლოდ შენს ნაწარმოებს შემორჩა. კი, რა თქმა უნდა? — ადრეც ქე იყვნენ მილიციის თანამშრომლები მექრთამეები (ახლა კორუმპირებულს უძახიან იგენს), ნარკოტიკების გამსაღებლები, ქურდები და ა.შ., მარა, რაც ახლა ხდება, კატასტროფაა ნამდვილი. კაცი რომ პოლიციაში გასამდიდრებლად შევა, იგი პოლიციაც დაღუპულია და სახელმწიფოც. თუმცა, ჩვენს „სახელმწიფოს“ დაქცევა არ უწერია, იმიზა რომე, აი სახელმწიფო არაა. შევარდნაძემაც ქე აღიარა: „აგი ქვეყანა არააო“. ახლა უნდებიენ, რომე ულატაკეს ქვეყნად გვაღიარონ...

„ჩვენი ბოშების“ დარდი ნუ გექნება, ნოდარა, შესანიშნავად გრძნობენ თავს. ყანას რომ საშინელი სარეველა მოედება, ისე არიენ მოდებული თბილისის ქუჩებს. ვერც ფეხით გეიარ ქუჩაში და ვერც მანქანით. ზურგში ბაღანამოკიდებული ბაღნები ლამის მანქანებს შუუძვრნენ ქვეშ, ოღონდ ფული გამოსძალონ ვინცხას. ჯგუფ-ჯგუფად დაწანწალობენ მთელ თბილისში. ვინაა პატრონი?! რუსთაველზე ვერ გეიარ კაცი გულგრილად, იმდონი მათხოვარია. ქალი თუ გახსოვს მათხოვარი საქართველოში, კაცობას გაფიცებ? — ახლა იმდონია, ვერ წარმეიდგენ. ზოგი დგანა, ზოგი ჯდანა, ზოგიერთები ქეც წვანან პირდაპირ ტროტუარზე. რას იზამ? — როცა ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, ყორიფელს უნდა მოელოდე კაცი!

არადა, პრეზიდენტიც გვყავს, პარლამენტიც და მთავრობაც, მარა, რათ გინდა? — იგინი ყველა მის-მის ოჯახებზე ზრუნავენ. მეტი უბედურება რა გინდა? ყველა დარგის მინისტრი და სამინისტრო არსებობს, მარა თვითონ დარგია მომსპარი და მოსოდომგომორებული. მაი კარა, იგი მაინტერესებს, პარლამენტს რომ 250 დუუსაქმებელი წევრი ყავს, რისთვის უნდებიენ. მაგდონი ადამიანი სოფლის მეურნეობაში რომ დაესაქმებინათ, მის-მის ოჯახებს არჩენდნენ ქე მაინც. მაგენისა და სამინისტროების რჩენას უნდება მთელი ჩვენი ბიუჯეტი. რაში უხდიან ხელფასს, ვერ გევიგე! პარლამენტარების ტრაბახმა მოუღო ხალხს ბოლო: „გუშღამ ამდონი და ამდონი კანონი მივიღეთო, დღეს და ხვალ კიდო მეტს მივიღებთო... ვის რა სიკტილათ უნდა მაგენის კანონები, პური და შაქარი ენატრება ხალხს, კუჭი რომ ამეივსონ რაცხანაირად. ნოდარა, მე ხომ პოლიტიკაში ბეცი ვარ, გადამიხადონ ფული და, ბაღნებს ვფიცავარ, იმფერ კონსტიტუციას დავწერ, ხალხს და ქვეყანას რომ სჭირია. მაგენმა თავიანთ ოჯახებს და ყოფა-ცხოვრებას მიხედონ.

ნამეტანი დაგღალე, ძამა... დანარჩენს, მაქანა რომ მუალ, მაშვინ მოგიყობი. ერთი ინფარქტი ფეხზე გადევიტანე, მეორე ლოგინში და მესამეს ველოდები პაწა ხანში. აი, ჩემი წერილი თუ ჩუუარდა ხელში ვინმეს, უფრო მალე გამომისტუმრებენ და მაქანა ვიჭუკჭუკოთ. რა გვექნება საქმე მეტი?!

P.S. ნოდარა, ძამა, შენ დიდი ხნის წასული ხარ და შეიძლება აღარც გახსოვარ. მე შენი კლასელი და თანასოფლელი ბიკენტი ვარ, მუჯირი. დანიელა ყუბანეიშვილთან, ომარია ლღონტთან და ლადიკო სურგულაძესთან ერთად რომ ვიჯექი ბოლო მერხზე.

გუშღამ ყანას ვთოხნიდი და შენი „ხაზარულა“ გამახსენდა, ბებიამ მისი მოჭრა რომ დაგავალა და შენ ვარი რომ უთხარი, ცოდვაა, ცოცხალია და რაფერ მოვჭრაო. ნეტავ შენს თვალებს, რომ ვერ ხედავ, რა ხდება საქართველოს ტყეებში, პირწმინდად ჭრიან აი ეშმაკზე სულმიყიდული ნაძირალები და თურქეთში მიაქვენ. სადღაა ტყე? — პაწა ხანში ბუჩქსაც კი არ დატიებენ, რომ დეიმალოს კაცი. სამი დღის წინ გოდოუხადეთ ორმოცი საცოდავ კაპიტო სიკინჭილაძეს (აცხონა მისი სული ღმერთმა). იგი რომ მოკტა, არც კუბოს საყიდელი ფული აღმოაჩნდა სოფელში ვინმეს და არც ფიცარი. მისივე ნალია დავშალეთ და იმით გუუკეთა კუბო გერონტია ტრაპაიძემ — ააშენოს მისი ოჯახი ღმერთმა.

ერთი სიტყვით, მოჭრილი გვაქვს თავი...

ახლა კარგად იყავი, ჩემო ნოდარა. მალე შეხვედრამდე.

ძმური სიყვარულით და ნახვის ნატვრით, შენი ბიკენტი მუჯირი.

***წერილი „მეიძია“***
***ნიკოლოზ იოსებიძემ***

DURA LEX SED LEX

# სასამართლო

ყოველთვიური ჩანართი N14 19.08.2002

საქართველოს კონსტიტუციამ მოქალაქის წინასწარი დაკავების ვადად 72 საათი განსაზღვრა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პოლიცია და პროკურატურა ხშირად არად დაგიდევენ კონსტიტუციურ ნორმებს და მოკვლევა-გამოძიების წარმოებისთვის საკუთარ უწყებებს განუსაზღვრელ ვადას უწესებენ. არადა, კანონმა მკაცრად განსაზღვრა, რომ 72 საათიდან 48 საათი საგამოძიებო სამუშაოების ჩატარების ვადაა, რომლის ამოწურვამდე ეჭვმიტანილს ბრალდება უნდა წაეყენოს, ხოლო დარჩენილი 24 საათი სასამართლოზე მოდის. ამ პერიოდში გამომძიებელმა, პროკურორმა, მომკვლევმა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით უნდა მიმართონ. სამწუხაროა, მაგრამ სტატისტიკა ცხადყოფს, რომ არარეფორმირებულ პოლიციასა და პროკურატურას ამ კონსტიტუციური ნორმის დარღვევაში არცთუ იშვიათად სასამართლოც უბამს მხარს და წინასწარი დაკავების 72-საათიანი ვადის დარღვევის შემთხვევაში, იმ უკანონობას აკანონებს, რომელიც გამოძიებიდან და მოკვლევიდან მომდინარეობს. ამის დასტურად ის მონაცემებიც (2001 წლის იანვრი-მაისი) გამოდგება, რომელიც იუსტიციის სამინისტროს სასჯელთაღსრულების დეპარტამენტმა მოამზადა. დაპატიმრების ყველაზე მეტი ბრძანება, 72-საათიანი ვადის დარღვევის პირობებში, მიღებული აქვს გარდაბნის სასამართლოს (სულ 33 შემთხვევა), მეორე ადგილზეა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო (17 შემთხვევა), მესამეზე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო (16 შემთხვევა).

# 72 საათი

# კონსტიტუციიდან სასამართლომდე



გვანცა ლიპარტელიანი

**ეკა ბესელია, ადვოკატი:**

– ყოველდღიურ პრაქტიკაში ამ ვადების აბსოლუტურად უკანონო მანიპულირება ხდება. ასეთი დარღვევები იმდენად ხშირია, რომ უკვე გარკვეულ ნორმად და ჩვევადაც კი დამკვიდრდა. როგორც წესი, პირველ 48 საათში გამოძიებამ დაკავებულს ბრალი უნდა წაუყენოს. თუ ბრალის წაყენება დროში ვერ ესწრება, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. მაგრამ, პრობლემა ის არის, რომ სწორედ ამ ეტაპზე ხდება მთელი რიგი საპროცესო ნორმების დარღვევა. კერძოდ, საპროცესო კოდექსში არის ერთი მნიშვნელოვანი დათქმა, რომ ეჭვმიტანილად ცნობა უნდა მოხდეს დაკავებიდან 12 საათის შემდეგ, მაგრამ თვით დაკავების მომენტი ოქმში როგორც წესი, გაყალბებულია. მოქალაქის დაკავების ვადა უნდა აითვალოს არა პოლიციის ორგანოში მიყვანის მომენტიდან, არამედ მისი ფაქტობრივი დაკავებიდან. საპროცესო კოდექსში არის მუხლი, რომელიც პრაქტიკულად არც ამუშავებულა. ამ მუხლის მიხედვით, დაკავების ოქმში უნდა ჩაიწეროს, თუ სად დააკავეს და როდის მიიყვანეს ესა თუ ის მოქალაქე პოლიციაში. პრაქტიკაში კი სხვაგვარად ხდება: სამწუხაროა, მაგრამ დაკავების ვადის ათვლა ყოველთვის ადამიანის პოლიციაში მიყვანის შემდეგ ხდება. ასევე არ ხდება დადგენილებაში ეჭვმიტანილად ცნობის ვადის მითითებაც, შესაბამისად, გაუგებარია მოხდა თუ არა სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ეჭვმიტანილად ცნობისას, 12-საათიანი ვადის დაცვა. ამ ვადის დარღვევა კი დადგენილების გაუქმებას განაპირობებს.

რაც შეეხება 48 საათს, როგორც წესი, გამოძიება ამ ვადაში ვერ ეტევა და ბრალის წაყენება ყოველთვის ვადის დარღვევით ხდება. პირის ბრალდებულად ცნობის საათი და ვადა არც ბრალის წარდგენის ოქმშია მითითებული. პრაქტიკაში არსებულ მაგალითების საფუძველზე, საათების გამოთვლა შეუძლებელია, რადგან დღე და რიცხვი მართალია მითითებულია, მაგრამ აქ პრობლემა საათებშია. კანონმდებელი პირდაპირ ამბობს, რომ 72-საათიან პერიოდში ხდება დროის წუთებით და არა დღეებით გამოთვლა. იმის გათვალისწინებით, რომ მოკვლევა ვადებს არ უთითებს, გამოთვლის ალბათობა ძალიან მცირეა.

ერთია, რასაც პოლიცია, გამოძიება და პროკურატურა აკეთებენ, მაგრამ მეორეა, რომ ამ პროცესში ჩართულია ის ორგანო, რომელიც რევიზიის წესით უნდა ამოწმებდეს ყველა ამ მასალას ანუ სასამართლო. განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა რაიონულ სასამართლოებში, სადაც ვადის დარღვევას ყურადღებას არ აქცევენ. საინტერესოა ისიც, თუ როგორ გასცემენ მოსამართლეები დაპატიმრების ბრძანებას: მათ ხშირად საქმის მასალებიც კი არა აქვთ და თუ აქვთ, ის აკინძული არ არის, რაც ასევე კანონის სერიოზული დარღვევაა. ყველა ასეთ საქმეს დეტალურად რომ გადახედოთ, აღმოჩნდება, რომ დაახლოებით საქმეთა დიდი პროცენტი 72-საათიანი ვადის დარღვევითაა წარმოებული. გამოდის, რომ ისინი აგრძელებენ იმ უკანონობის დაკანონებას, რაც მოკვლევიდან და გამოძიებიდან იღებს სათავეს. პასუხისმგებლობის გაცილებით მეტი ტვირთი სასამართლოზე მოდის, რადგან ეს ის ორგანოა, რომელსაც არ აქვს უფლება დააკანონოს აღნიშნული უკანონო ქმედებები.

(დასასრული მე-18 გვერდზე)

სასამართლო დარბაზებში

## „სოლიდარობა“ საჯაროობას ითხოვს

თინათინ დვალიშვილი

საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალმა პროფკავშირულმა გაერთიანება „სოლიდარობამ“ ქუთაისის საფინანსო განყოფილებისგან თითქოსდა უწყინარი ინფორმაცია მოითხოვა: ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ქუთაისის რომელი სკოლა გარემონტდა 2001 წელს, რა რაოდენობით თანხა დაიხარჯა და რა სახსრებიდან მოხდა რემონტისთვის თანხის გამოყოფა.

ქუთაისის საფინანსო განყოფილებამ ეს ინფორმაცია „სახელმწიფო საიდუმლოდ“ გამოაცხადა და დაინტერესებული მხარე ოფიციალური უარის თქმის ღირსადაც არ გახადა. მაშინ ადმინისტრაციული კოდექსით „შეიარაღებული“ „სოლიდარობა“ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიადგა და საჭირო ინფორმაციის სასამართლოს მეშვეობით გამოთხოვას შეეცადა.

საფინანსო განყოფილების იურისტმა სასამართლო პროცესზე საჯარო ინფორმაციის დაფარვა იმით გაამართლა, რომ მას „სოლიდარობის“ მიზნები მოეჩვენა „არამიზნობრივად“. კერძოდ, მასწავლებელთა პროფკავშირებს ამ ინფორმაციის საფუძველზე ბიუჯეტისა და სკოლის დირექტორთა საქმიანობის მონიტორინგი განეზრახა, ეს „გულუბრყვილო“ იურისტის აზრით, საქართველოს კონტროლის პალატის პრეროგატივა ყოფილა და არა — მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირების.

როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი მანანა ღურჭუმელიძე აცხადებს, სასამართლოში მათი სარჩელის შეტანა არც რამდენიმე „პრესტიჟული“ სკოლის დირექტორს გახარებია, რომელთაც მორიგებაზე წასვლაც კი შეუთავაზებიათ „სოლიდარობისთვის“.

მოსამართლე მურთაზ მეშველიანმა საქმე მოსარჩლის სასარგებლოდ გადაწყვიტა და ქუთაისში სასამართლოს მეშვეობით საჯარო ინფორმაციის მოპოვების პრეცედენტიც შექმნა.

## მესაზღვრე ბინის საზღვარზე

თეა ხოფერია

1999 წლის 12 ივლისს საქართველოს სასაზღვრო ძალების სასაზღვრო რაზმ „ახალციხეს“ რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარის ყოფილი საუწყებო ბინები და მთელი სამხედრო დასახლება გადაეცა. ბინები სასაზღვრო რაზმ „ახალციხის“ სამხედრო მოსამსახურეებზე გადანაწილდა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ბინა, რომელიც კაპიტან ბალახაშვილს ერგო, თვითნებურად ჰქონდა დაკავებული რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარის ყოფილი მოსამსახურის მეუღლეს ფ. ქავთარაძეს.

კაპიტანმა ბალახაშვილმა კუთვნილი ბინის მისაღებად ახალციხის რაიონის სასამართლოს სარჩელით მიმართა. შეგებებული სარჩელი მოპასუხე ქავთარაძემაც შეიტანა. მისი თქმით, ის რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის ყოფილ სამხედრო მოსამსახურე გ. ბაღდოშვილთან და ეს ბინაც სწორედ ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ქალბატონი ბაღდოშვილის პრეტენზიები არ გაითვალისწინა და კაპიტან ბალახაშვილს ბინა კიდევ ერთხელ დაუკანონა. თუმცა, მოპასუხემ ეს გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და აღნიშნული ბინის პრივატიზაცია ითხოვა. საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ქავთარაძის ჩივილი გაითვალისწინა და სააპელაციო საჩივარი დაუკმაყოფილა.

ბოლო ინსტანცია, რომელიც აღნიშნული ბინის მესაკუთრის ვინაობის გა[illegible]კვევას შეეცადა, უზენაესი სასამართლო იყო. უზენაესის საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ საოლქო სასამართლოს არასწორად ჰქონდა განმარტებული საბინაო კოდექსის 57-ე მუხლი. რადგანაც ბინაში შესახლების ერთადერთი საფუძველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ორდერია, მოპასუხეს და მის ყოფილ მეუღლეს კი სადავო ბინის ორდერი არ გააჩნდათ. ამდენად, საკასაციო პალატამ აღნიშნული ბინა კაპიტან ბალახაშვილს დაუკანონა.

# ორჯერ გამოძიებული უზენაესმა კვლავ პროკურატურას დაუბრუნა

მეგი ცანავა

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თბილისში, 1995 წელს მომხდარი გახმაურებული ყაჩაღური თავდასხმისა და მკვლელობის შესახებ პროკურატურის მიერ შეკრებილი მასალების დამატებითი გამოძიება მოითხოვა. საქმე ლოტკინის დასახლებაში მცხოვრები ლაშხიების ოჯახის დაყაჩაღებასა და ამ ოჯახის უფროსის – ზურაბ ლაშხიას მკვლელობას ეხება.

1995 წლის 12 თებერვალს, საღამოს 11 საათზე, მაშინ, როცა შინ ოჯახის ყველა წევრი – ცოლქმარი და ორი არასრულწლოვანი შვილი – იმყოფებოდა, ლაშხიებს ავტომატებით შეიარაღებული ყაჩაღები დაესხნენ თავს. ერთ-ერთ თავდამსხმელს ზურაბ ლაშხიამ წინააღმდეგობა გაუწია და შესასვლელი კარი ჩაუკეტა. თავდამსხმელმა მას პირდაპირ დაკეტილ კარში გაუხსნა ცეცხლი ავტომატიდან. კარის მეორე მხარეს იმ დროს ზურაბ ლაშხიასთან ერთად მისი ცოლ-შვილიც იდგა. ამ უკანასკნელთ ტყვიები ასცდათ, თავად ოჯახის უფროსი კი სასიკვდილოდ დაიჭრა და მაშინვე გარდაიცვალა.

როდესაც ბოროტმოქმედებმა გარდაცვლილი ლაშხია დაინახეს, მაშინვე წასვლა გადაწყვიტეს.

პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში გარდაცვლილის შვილი, დათო ლაშხია აღნიშნავს: *„კართან ავტომატიანი უცნობი იდგა... უცებ გასროლის ხმა გაისმა. გავიგონე, რომ ვიღაცამ დაუძახა – ზვიად, წავედითო."*

ჩადენილი დანაშაულისთვის პოლიციამ იმავე წელს ვინმე ანზორ არუთინიანი და თენგიზ (ზვიად) გელაშვილი დააკავა. პროკურატურამ მათ ბრალი ლაშხიების დაყაჩაღებასა და იქ მომხდარ მკვლელობაში დასდო, თბილისის საქალაქო სასამართლომ კი აღნიშნული ბრალდებები დაადასტურა. ასათიანს – 13 წლით, ხოლო გელაშვილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

1999 წელს მოულოდნელი განცხადება გააკეთა გენერალურმა პროკურატურამ. მათი განცხადებით, ლაშხიების ოჯახზე თავდასხმა და ზურაბ ლაშხიას მკვლელობა „ლოტკინის საძმოს" წევრებმა – კობა კობახიძემ, ბონდო ბუცინაშვილმა და ჯამბულ ჩოლოიანმა აღიარეს. მათი აღიარებითი ჩვენებები საქმის მასალებში მართლაც დევს. გენერალურმა პროკურატურამ გამოძიებაც ჩაატარა და სამივე მათგანს ყაჩაღობის (მათ შორის, კობახიძეს ლაშხიას მკვლელობის) მუხლი მიუყენა. არუთინიანის და გელაშვილის შემთხვევაში კი გამომძიებლებმა განაცხადეს, რომ შეცდომა დაუშვეს.

საქმე განსახილველად უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნა. ბუცინაშვილმა, ჩოლოიანმა და კობახიძემ პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებები სასამართლო კოლეგიის წინაშე უარყვეს. მათი განცხადებით, ეს ჩვენებები მათ პროკურატურის თანამშრომლებმა, კერძოდ კი, გამომძიებელმა ზირაქიშვილმა ძალით დააწერინა.

რაც შეეხება დაზარალებულებს, მათ უზენაეს სასამართლოშიც გაიმეორეს, რომ ერთ-ერთმა თავდამსხმელმა მეორეს მიმართა: „ზვიად, წავედით". ამ სახელით კი თენგიზ გელაშვილს მიმართავდნენ.

ამ დეტალის გარდა, სასამართლო კოლეგიის აზრით, საქმის მასალებში ბევრი სხვა მნიშვნელოვანი უზუსტობაა, გამოძიება არასრულადაა წარმოებული და არ არის ჩატარებული აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები. იმის გამო, რომ საგამოძიებო დეფიციტის შევსება სასამართლო პროცესზე ვერ მოხერხდებოდა, დამატებითი გამოძიებისთვის კოლეგიამ საქმე კვლავ პროკურატურას დაუბრუნა.

# 72 საათი კონსტიტუციიდან სასამართლომდე

(დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე)

ხშირია საუბრები დროის დეფიციტზე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ 72-საათიანი ვადა სრულიად ოპტიმალური და საკმარისია. თუმცა, ჩვენში გამოძიება მტკიცებულებების შეგროვებას პირის დაკავების შემდეგ იწყებს. არადა, პირიქით უნდა ხდებოდეს: ჯერ უნდა მოიპოვო მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ დააკავო ეჭვმიტანილი, ცხადია, იმ შემთხვევების გარდა, როცა პირს დანაშაულის ფაქტზე წაასწრებენ. ამიტომაცაა, რომ არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, პოლიციას ხშირად ექმნება პრობლემები. საპროცესო კანონმდებლობაში არსებობს ეჭვმიტანილად ცნობის ერთთვიანი ვადა. აღნიშნული ერთი თვის განმავლობაში შესაძლებელია, მოიპოვო მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ დააკავო პირი და ბრალი წარუდგინო მას. გამოძიებას და მოკვლევას ეს დრო იმიტომ არ ჰყოფნის, რომ 48 საათის მანძილზე ისინი მხოლოდ საკუთარი ფიზიკური მონაცემების "დემონსტრირებას" და აღიარებითი ჩვენების იძულების წესით მიღებას უნდებიან. ამასობაში, გადის ეს 48 საათი და როდესაც დაკავებული მოსულიერდება, მას 5-ე საპყრობილეში გადაიყვანენ. ის იქ უკვე უარყოფს იძულებით დაწერილ ჩვენებას და საქმეც უხერხემლოდ რჩება.



როდესაც სასამართლო გასცემს ბრძანებას და პირი ბრალდებულად ცხადდება, ამის შემდეგ მისი დროებითი დაკავების იზოლატორში გაჩერება არ შეიძლება. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მისი საგამოძიებო იზოლატორში ანუ საპყრობილეში გადაყვანა, რაც პრაქტიკულად არასდროს ხერხდება. ამ შემთხვევაშიც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვადებს, რადგან სწორედ დაკავების იზოლატორში აქვს ადგილი დაკავებულებზე ზეწოლისა და მისი წამების ფაქტებს. პროკურატურა, რომელიც ზედამხედველია კანონიერების დაცვაზე და სწორედ მის დაქვემდებარებაშია დროებითი დაკავების საკანი, ე.წ. „კაპეზე" – რეაგირებას უნდა ახდენდეს მსგავს დარღვევებზე. ხოლო თითოეული ასეთი დარღვევის შემთხვევაში, უნდა დააყენოს ადმინისტრაციის დასჯის საკითხი, რაც, შესაბამისად, მსგავს კანონდარღვევებს შეამცირებს.

***თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ ამ საკითხზე მსჯელობას და ექსპერტთა მოსაზრებებს გავაცნობთ მკითხველს.***

## სასამართლო დარბაზში

### განაცდური პენსია სასამართლომ აანაზღაურა

იოსებ მამულაშვილი 1964 წლიდან სააქციო საზოგადოება „ელექტროშემდუღებელ" ქარხანაში ზეინკალ-მექანიკოსად მუშაობდა. 1986 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მან ტრავმა მიიღო. ექიმთა შრომითმა კომისიამ დაზარალებულს მესამე ჯგუფის ინვალიდობის ცნობა მისცა, რის საფუძველზეც მამულაშვილი 1993 წლამდე ღებულობდა პენსიას. 1993 წლიდან კი კუთვნილი პენსია მას ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და გაფრთხილების გარეშე შეუწყვიტეს. მამულაშვილმა კუთვნილის მისაღებად, განცხადებით „ელექტროშემდუღებელი" ქარხნის დირექტორს თამაზ მხეიძეს მიმართა. ბატონი იოსების ამ განცხადებას ქარხნის დირექტორი არ გამოხმაურებია.

მოგვიანებით, მამულაშვილმა კიდევ ერთი განცხადება დაწერა, ამჯერად უკვე კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს სახელზე. მოსამართლე თოდრიამ დააკმაყოფილა მისი პრეტენზიები და „ელექტროშემდუღებელ" ქარხანას მამულაშვილის სასარგებლოდ განაცდური პენსიის — 19.082 ლარისა და ყოველთვიურად 203 ლარის გადახდა დააკისრა.

### ანკესს ეკოპოლიცია „ამოჰყვა"

თამაზ მებურიშვილს მტკვარზე „სამკავიანი" ანკესით თევზაობა და ოთხი კილოგრამი „ხრამული" 100 ლარი დაუჯდა.

2001 წლის 4 იანვარს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აკრძალული თვითნაკეთი ანკესით ე.წ. „სამკავით" თევზაობისას თამაზ მებურიშვილს ეკოლოგიური პოლიციის თანამშრომლები დაადგნენ თავზე. პოლიციელებმა მეთევზეს „დანაშაულებრივი იარაღი" — „სამკავი" ჩამოართვეს და მის მიერ დაჭერილი ოთხი კილოგრამი „ხრამულიც" არ შეარჩინეს. მებურიშვილმა დანაშაული აღიარა და ამ გულწრფელმა აღიარებამ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მოსამართლეს ლელა კუბულიანსაც მოულბო გული. დამნაშავე მეთევზეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ასლარიანი ჯარიმა შეუფარდეს.

### „თანამეარყის" გაქურდვა

ერთ მშვენიერ დღეს ვაჟა ლუნაშვილმა ალკოჰოლური სასმლის მიღება გადაწყვიტა. მარტო ხომ არ დალევდა და ბოთლით ხელში ძველ ნაცნობს, ქრისტეფორე მურადოვს მიაკითხა. ეს უკანასკნელიც სიამოვნებით დათანხმდა პირის გასველებაზე. მოქეიფეებმა არყის ბოთლი მურადოვის სახლის სარდაფში დაცალეს. შეზარხოშებულ მურადოვს მალე ძილი მოერია და იქვე წამოწვა. ლუნაშვილმა, კი რომელიც ალკოჰოლის მიმართ უფრო ამტანი აღმოჩნდა, მურადოვს ჯიბეში ხელი ჩაუცურა და სახლის გასაღები ამოუღო. ავიდა მურადოვის ბინაში და თითქმის მთლიანად „გაასუფთავა". მტვერსასრუტი, აუდიომაგნიტოფონი „კომეტა", სამი საყვავილე „მადონა", ორი სავარძელი, ერთი სკამი, ჭიქები და სხვა წვრილმანი მურადოვის სახლიდან „ხელს გააყოლა". სასამართლო პროცესზე დანაშაულის ჩადენის მოტივად ლუნაშვილმა ეკონომიური სიდუხჭირე და უმუშევრობა დაასახელა. კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მოსამართლემ ჯალიაშვილმა ლუნაშვილს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

### შვილად აყვანა წესების გარეშე

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ძ.ვ-ს ბრალი შვილად აყვანის უკანონო გარიგებაში ედება. ორი ყრუ-მუნჯი შვილის დედამ, ძიძია ვოსკანოვამ შვილის აყვანა იმიტომ გადაწყვიტა, რომ მის ერთადერთ შვილიშვილს, რომელიც ლაპარაკობს, ვინმე ხმის გამცემი ჰყოლოდა ოჯახში.

ნაცნობების დახმარებით მან ლ.მ-ძე გაიცნო, რომელიც მეშვიდე შვილზე იყო ორსულად, მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ბავშვს ვერ დაიტოვებდა და ამიტომ გაშვილება გადაწყვიტა. მათ შორის დადებული სიტყვიერი გარიგების თანახმად, ვ-ს ორსულობის პერიოდში დედის ჯანმრთელობაზე უნდა ეზრუნა, ეკონომიურად დახმარებოდა მას, რის სანაცვლოდაც მ-ძე ბავშვს დაბადებისთანავე დაუთმობდა. ვ-მ ახალშობილი გოგონა ისე წაიყვანა სამშობიარო სახლიდან, რომ შვილად აყვანის შესახებ წერილობითი საბუთის გაფორმება არავის აზრადაც არ მოსვლია, რითაც უხეშად დაირღვა შვილად აყვანის წესი და რიგი. კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ გაითვალისწინა ძ.ვ-ს ოჯახური პირობები და სასჯელად მხოლოდ 200 ლარის გადახდა აკმარა.

### მეორედ აღადგინა

ბატონი ბერძენიშვილი დაკავებულ თანამდებობაზე კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ მეორედ აღადგინა.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ლ.ჭ-ის 2001 წლის 31 იანვრის ბრძანებით, ბერძენიშვილი მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

სარჩელში ბერძენიშვილმა მიუთითა, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე იგი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მუშაობდა, გათავისუფლების შესახებ კი მისთვის წინასწარ არავის უცნობებია. ადმინისტრაციამ ის ავადმყოფობის დროს გაათავისუფლა. თუმცა, ეს არ ყოფილა მისი სამსახურიდან პირველი დათხოვის შემთხვევა. მაშინაც ის თავის თანამდებობაზე კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ აღადგინა. ბერძენიშვილის ბედი ამჯერადაც კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ გადაწყვიტა.

მუზეუმის ადმინისტრაციამ ბერძენიშვილის გათავისუფლება სეკვესტრირებულ ბიუჯეტს დააბრალა, ასევე ატესტაციასა და სამეცნიერო შრომების გამოუქვეყნებლობას. თუმცა, სასამართლომ ეს არგუმენტები არ გაიზიარა.

## სასამართლო დარბაზებში

სოფო ბუკია

# „საშიში კისლოტა" ყალბი 50-თეთრიანებისთვის

საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მერაბ ჯოჯუამ ყალბი 50-თეთრიანების დამზადებას მიჰყო ხელი. ამ გზით გამდიდრების იდეა მას „ელიავას" ბაზრობაზე ახალგაცნობილმა ვინმე ვოვამ მიაწოდა, რომელმაც 50-თეთრიანი მონეტების ყალიბი ათ ლარად მიჰყიდა.

ჯოჯუას ბინის ჩხრეკისას პოლიციამ ხსენებული ყალიბი, ტყვია, სალებავი ფხვნილი, ორი ცალი ქლიბი, 17 ცალი თეთრი ფერის, ხოლო ერთი ცალი ყვითელი ფერის 50-თეთრიანი მონეტა, პოლიეთილენის ბოთლი ყვითელი ფერის სითხითა და წარწერით, „საშიშია კისლოტა", მეტალის სადნობი სათავსო და ხის ნაჭერზე გადაკრული ქსოვილი ამოიღო, ანუ ის მასალა, რაც ყალბი ქართული ეროვნული ვალუტის 50-თეთრიანი მონეტების დასამზადებლადაა საჭირო.

ჯოჯუას ბიზნესს ხელი კრწანისი-მთაწმინდის რაიონის პოლიციის მუშაკებმა შეუშალეს და ფულის მჭრელს საკუთარ სახლში მიაკვლიეს.

კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მოსამართლემ ფუხაშვილმა ჯოჯუას სამი წლით და ექვსი თვით დაპატიმრება მიუსაჯა, ჯადოსნური ყალიბის განადგურება კი შსს-ს საინფორმაციო ცენტრს დაევალა.

# გზააბნეული შვილი ქონებას „უბრუნდება"

კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში შეტანილი სარჩელით რ.ჟ-მ ბინიდან საკუთარი შვილის ნ.ჟ-ს გამოსახლება მოითხოვა.

1982 წელს ნ.ჟ.-ს გაურკვეველი პირისგან შეეძინა ქალიშვილი, რომელზეც დედამ უარი განაცხადა და მისი სამშობიაროში დატოვება გადაწყვიტა. ქალბატონი რ. და მისი მეუღლე ყველანაირად შეეცადნენ საკუთარი ქალიშვილის გადარწმუნებას, რაზეც შემდეგი პასუხი მიიღეს: თუ თქვენ გული გწყდებათ, შეგიძლიათ ბავშვი თავად წაიყვანოთო. ნ-ს მშობლებიც ზუსტად ასე მოიქცნენ და ახალშობილი შვილიშვილი აღსაზრდელად თავად წაიყვანეს. ბაბუამ შვილიშვილს საკუთარი გვარი მისცა და დაბადების მოწმობაში, ბავშვის მამად საკუთარი თავი მიუთითა. ბავშვის გაჩენის შემდეგ ნ.ჟ. სახლში არ დაბრუნებულა და შესაბამისად, არც ბავშვის აღზრდაში მიუღია მონაწილეობა, უფრო მეტიც, წლების მანძილზე შვილი არც უნახავს. ის ქირით სხვადასხვა ადგილზე ცხოვრობდა. მოგვიანებით გათხოვდა კიდეც და ორი ვაჟიშვილიც შეეძინა. ბაბუა მალე გარდაიცვალა, ბებია და შვილიშვილი კი ერთად ცხოვრობდნენ ოროთახიან ბინაში.

მამის გარდაცვალების შემდეგ ნ.ჟ. დედის სახლში არყოფნით სარგებლობდა, პერიოდულად მიდიოდა მამისეულ სახლში, საიდანაც სხვადასხვა ნივთი გაჰქონდა.

სასამართლოში შეტანილ სარჩელში ქალბატონმა რ.ჟ-მ მიუთითა, რომ შვილი ხშირად სცემდა კიდეც, ლანძღავდა და მოითხოვდა ქონების და ბინის მისთვის გადაცემას.

2000 წლის შემოდგომაზე ნ.ჟ. თავის ვაჟიშვილებთან ერთად ისევ შეიჭრა მშობლებისეულ ბინაში და მათ ქონებას დაეუფლა. შეურაცხყოფების გამო ქალბატონი რ.ჟ. იძულებული გახდა, საცხოვრებლად ნათესავებთან გადასულიყო. საკუთარ ბინაში დაბრუნების უფლება მას მხოლოდ კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ჯალიაშვილის გადაწყვეტილებით მიეცა.

# პირველად იყო კვერცხი, შემდეგ — პოლიციელი

სოფო ბუკია

პოლიციელად გახდომის სურვილმა ზაზა ალიმბერაშვილი 200 ლარით აზარალა, თუ არ გავითვალისწინებთ სხვა ხარჯებსა და ენერგიას, რომელიც მან „პოლიციელად გახდომის" არცთუ ისე მარტივ მიზანს არ დააშურა.

ყველაფერი ბატონი ზაზას ნათესავთან სტუმრობით დაიწყო. ნათესავი, შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთ-ერთი რაიონის დაცვის პოლიციის განყოფილებაში, კადრების უფროს ინსპექტორად მუშაობდა. მან ნათესავის მცირეწლოვანი შვილის ხელში პოლიციელის ცარიელი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა შენიშნა. ალიმბერაშვილმა ბავშვს სათამაშო გამოსტყუა და „ჩაიჯიბა". მერე არ დაიზარა და მშრალ ხიდზეც გავიდა, ბაზრობაზე პოლიციის კაპიტნის ჩინის დამადასტურებელი სამხრეებიც შეიძინა, თეთრ პერანგზე კარგად მოირგო, ფოტოსურათიც გადაიღო და ნათესავის ბავშვისთვის წართმეულ „სათამაშოში" საგულდაგულოდ ჩააკრა. საკუთარ სახელთან და გვართან ერთად თვითმარქვია პოლიციელმა საკუთარ თავს ჩინი და თანამდებობაც მიანიჭა. ნამდვილ პოლიციელობას ერთი ნაბიჯილა აშორებდა – და ეს ერთი ნაბიჯიც, არც მეტი, არც ნაკლები, შსს-ს ბეჭედი იყო. უბეჭდო პირადობის მოწმობას, აბა, ვინლა ენდობოდა? ალიმბერაშვილმა ეს პრობლემაც უპრობლემოდ მოაგვარა: იმავე ნათესავს მიადგა, ამჯერად სამსახურში, ცარიელ ფურცელზე მისგან მალულად ბეჭდის ნიმუშები მოათავსა და მოხარშული კვერცხის დახმარებით, ბეჭდის ასლი მოწმობაზე გადაიტანა.

„მონდომებულ პოლიციელს" ამდენი წვალება არ დაუფასდა, რადგან მოწმობით სარგებლობა დიდხანს არ დასცალდა. „მოხარშული კვერცხის ძალის მქონე" პოლიციელის მოწმობით მან კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში განსასჯელის სკამზე ამოყო თავი. დანაშაული აღიარა. მოსამართლე ლელა კუბულიანმა მას 200 ლარი ჯარიმის გადახდა დააკისრა.



## ადვოკატი გვირჩევს

რედაქციაში შემოსულ წერილებს პასუხობს ადვოკატი ზვიად კორძაძე:



„გარდამეცვალა მამა. სიტუაცია მას შემდეგ გართულდა, რაც უმცროსმა ძმამ პრეტენზია განაცხადა იმ ბინაზე, სადაც მამის გარდაცვალებამდე ოჯახის ოთხივე წევრი — მამა, დედა და ორი ძმა — ვცხოვრობდით. უფროსი ძმა პრეტენზიას აცხადებს მთელ ბინაზე. მამას ანდერძი არ დაუტოვებია და ამდენად სიტუაცია გაურკვეველია. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ჩვენი კუთვნილი ფართით უპრობლემოდ ვისარგებლოთ?"

ზ.ა.
თბილისი

„ეს დავა საკმაოდ მარტივი გადასაწყვეტია. პიროვნების გარდაცვალებისა და ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, მის მემკვიდრეებს შორის სამკვიდროსთან დაკავშირებული კონფლიქტები ხშირად იჩენს თავს. ასეთ შემთხვევაში, ოჯახის რომელიმე წევრს გარდაცვლილის ქონებიდან განსაკუთრებული წილი არ ეკუთვნის. აქაც ანალოგიური სიტუაციაა, ანუ ანდერძის არარსებობის პირობებში, არც ერთ ძმას არა აქვს ქონების უმეტესი წილის მიღების უფლება. გარდაცვლილის მიერ დატოვებული ქონება თანაბრად უნდა გაიყოს ორივე ძმაზე, განურჩევლად მათი უფროს-უმცროსობისა. თუ ერთ-ერთი ძმა ქონებაზე (ამ შემთხვევაში სახლზე) იტყვის უარს, მას კანონის თანახმად, ეკუთვნის შესაბამისი ფართის კომპენსაცია. თუ ოჯახში დედაც ცხოვრობს, ანუ გარდაცვლილის მეუღლე, ქონებიდან წილი მასაც აუცილებლად ეკუთვნის, ანუ ოჯახის წევრთა შესაბამისად, სამკვიდრო სამ თანაბარ ნაწილად უნდა გაიყოს. მაგრამ აქ არის რამდენიმე გარემოება: თუ, მაგალითად, სახლი, რომელზედაც ძმებს შორის მიმდინარეობს დავა, დედ-მამის თანასაკუთრება იყო, მაშინ ძმებზე მემკვიდრეობით მხოლოდ ქონების ნახევარი, ანუ მამის წილი გადადის, საიდანაც მესამედი როგორც დედას, ასევე ძმებსაც ეკუთვნით. დედის საკუთრებაში რჩება თავისი წილი, ანუ მთლიანი ქონების ნახევარი და იგი თავადვე განკარგავს მას. მაგრამ, თუკი ეს ქონება მხოლოდ მამის საკუთრება იყო, მაშინ იგი მთლიანად იყოფა სამ თანაბარ ნაწილად.

თუკი მეუღლე ცოცხალია და მას ორი შვილი ჰყავს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის ორი მუხლი. 1336-ე მუხლით, რომელიც შეეხება კანონისმიერ მემკვიდრეებს, პირველი რიგის მემკვიდრეებად გარდაცვლილის შვილები და მეუღლე ითვლებიან, ისინი თანაბარი რიგის მემკვიდრეები არიან. რაც შეეხება ქონებას, აქ მოქმედებს კოდექსის 1339-ე მუხლი: როდესაც თანასაკუთრებიდან მეუღლეს ეკუთვნის თავისი წილი, ხოლო ის შვილებთან ერთად ითვლება დარჩენილი ქონების პირველი რიგის მემკვიდრედ.

ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება, საკმაოდ დახვეწილია. ანდერძის დაწერის შემთხვევაში, გათვალისწინებულია მემკვიდრის უფლებები. თვით ანდერძის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მასში კონკრეტულად არის დაფიქსირებული, თუ ვის რა ქონება და რა უფლებები ენიჭება. მაგრამ, თუკი ანდერძი არ არსებობს, კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაშიც მკაფიოდ განსაზღვრავს მემკვიდრეების უფლებებს, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია სამოქალაქო კოდექსში და დაცულია კანონით.

თავად ანდერძი აუცილებლად უნდა იყოს წერილობითი სახის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას კანონის წინაშე იურიდიული ძალა არა აქვს. შესაძლებელია, ანდერძი დამოწმებული იყოს ნოტარიუსის მიერ, თუმცა ეს არ არის სავალდებულო. დასაშვებია ასევე ანდერძით მიღებულ ქონებაზე უარის თქმა, ან ჯერ მიღება და შემდეგ მისი გასხვისება. ამ მხრივ ჩვენს კანონმდებლობაში არანაირი ხარვეზი არ არსებობს.

# ყველა საქმეს ცოდნა უნდა

ლუდი ვის არ დაულევია? ნასვამი საჭეს ვინ არ მისჯდომია და ამისათვის საგზაო პოლიციას ვინ არ დაუჯარიმებია? — სამწუხაროა, მაგრამ საკმაოდ ბევრი პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი მძღოლი ცოდავს ამ თვალსაზრისით, თუმცა ბევრი ვერ დაიკვეხნის, რომ გადახდილი ჯარიმა, კანონიერი გზით, უკან მიუღია.

ადვოკატმა ირაკლი ჟღენტმა ეს შეძლო და ისანი-სამგორის სასამართლოს მეშვეობით ჯარიმის სახით, მის მიერ გადახდილი 150 ლარის უკან „მოტანა", თბილისის საგზაო პოლიციას დააკისრა.

საქმე ის გახლდათ, რომ 2001 წლის 27 სექტემბერს ირაკლი ჟღენტი საგზაო პოლიციის თანამშრომელმა რუსთაველის გამზირის პატრულირებისას გააჩერა და სიმთვრალეზე ტესტირების მიზნით ნარკოლოგიურ სამსახურში წარადგინა.

ნარკოლოგიურმა სამსახურმა, ამონასუნთქი აირის სინჯის ანალიზით, ი. ჟღენტს მსუბუქი ალკოჰოლური თრობა დაუდგინა, რის საფუძველზეც საგზაო პოლიციის თანამშრომელმა დ. მაჭარაშვილმა მას 150 ლარით დაჯარიმების დადგენილება გაუფორმა.

ი. ჟღენტმა ჯარიმა გადაიხადა, თუმცა მიიჩნია, რომ მის მიმართ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებს არ შეესაბამებოდა და ამ აქტის, ანუ დადგენილების გაბათილება მოითხოვა.

ი. ჟღენტმა სასამართლოში პოლიციელის მიერ მისი გაჩერების კანონიერება და ნარკოლოგიური სამსახურის მიერ სიმთვრალის დადგენის ფაქტის კომპეტენტურობაც გაასაჩივრა, თუმცა სასამართლომ სარჩელი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დარღვევის გამო დააკმაყოფილა. კერძოდ: საგზაო პოლიციამ ი. ჟღენტის დაჯარიმების შესახებ დადგენილების გამოტანისას, არ მიუთითა გასაჩივრების წესი, რითაც შეილახა დაჯარიმებული პირის უფლება. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნას და შესაბამისად სასამართლომ პოლიციის აღნიშნული დადგენილება ბათილად ცნო.



# ვაჟკაცის ტანსაცმლის ჩაცმის ნება

ამჟამად პარიჟსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში სასამართლოს მიერ ათ ქალს აქვს ნება მიცემული ვაჟკაცის ტანსაცმლის ჩაცმისა. მანამდე ეს ქალები შარვლის ჩაცმისთვის პოლიციას დაუპატიმრებია და ამ მამაც ქალებსაც სასამართლოში უჩივლიათ. მათ შორის ერთი პარიზელი მხატვარი ქალია, ერთი სტამბის პატრონის ქალი და რამდენიმე კიდევ სხვა, რომელთაც დაარწმუნეს მოსამართლე, ისეთ ხელობას ვადგავართ, რომ საჭიროა ვაჟკაცის ტანსაცმელი გვეცვასო. ამ ქალთა შორის არის ქალბატონი დელაფუა, სახელოვანი არქეოლოგი, რომელმაც იპოვნა დარიის ტაძრის ნანგრევები და ამისთვის ებოძა ორდენი საპატიო ლეგიონისა. ამ ქალსა მოსამართლემ დაავალა, იმავე თერძს შეაკერვინე შარვალი, რომელიც შენ ქმარს უკერავსო.

„ივერია“, №22, 1888 წელი



# ...საჩივარი თავის თავს მიართვა

მეტად სასაცილო ამბავი მომხდარა მურფისბოროში. ამ ადგილას ერთად-ერთი მოსამართლეა, ვილჰელმ ბონერი. ამ მოსამართლეს სიძე, სამუელ დარინგტონი, ძალიანა მტრობდა თურმე და ყოველსავე ღონისძიებას ხმარობდა, რომ როგორმე შეურცხყოფა მიეყენებინა და ამას გარდა დასცინოდა კიდეცა. შეურაცხყოფილმა სიმამარმა საჩივარი დაწერა თურმე და თავის თავსა, ვითარცა მოსამართლეს მიართვა. შემდეგ ბონერმა პოლიციელებს მოაყვანინა სიძე სასამართლოში. ერთს პოლიციელს მიანდო, რომ დროებით ჩემი მოვალეობა იკისრეო. მოსამართლედ გარდაქცეულმა პოლიციელმა დააფიცა თურმე ყველა მოწმეები, მათ შორის, თვითონ ბატონი ბონერიც. ფიცის შემდეგ ბონერმა თავისი ადგილი დაიჭირა, ალაპარაკა მოწმეები, დარწმუნდა, რომ სიძე მართლა დამნაშავე იყო, და გადაწყვიტა: ჩემმა სიძემ 10.000 მანეთი უნდა მომცეს შეურაცხყოფისთვისო. აფერუმ, მოსამართლევ, განა, მკითხველო!

„ივერია“, №10, 1888 წელი

# ანი უმზითვოს ვინღა მითხოვს



თბილისის მცხოვრებელმა ანნა პივნიცკაიამ მე-9 ნაწილის ბოქაულს ტირილით გამოუცხადა, რომ ვიღაც ბოროტ-მოქმედმა სახლითგან, როდესაც მე სახლში არ ვიყავი მომპარა ორი ბალიში, სამი კაბა და სხვა სამოსი, რომელსაც ვერ გეტყვით სირცხვილის გამოო. სულ 65 მანეთისაო. ანნა პივნიცკაიას ბოქაულთან უტირია, მაგ ნივთებს მზითვად ვაგროვებდი და ანი უმზითვოს ვინღა მითხოვსო... პოლიციას დაუჭერია ტფილისს მცხოვრები გრიგოლ კავალოვი. სასამართლო სხდომაზედ კავალოვი გამომტყდარა, მე წავიღე ყველაფერი გასათხოვარი და მყავს სახლში და უმზითვოდ ვერ ვათხოვებო. მოსამართლემ დამნაშავეს 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

„ივერია“, №37, 1888 წელი



# უჩივის – მაკოცაო...

ქ. ნიონსის (ამერიკაშია) ოლქის სასამართლოში საყურადღებო საქმე უნდა გაირჩეს ამ ახლო ხანებში. ეს საქმე კოცნას და კოცნის ღირებულებას შეეხება. ახალგაზრდა გათხოვილს ამერიკელს ქალსა, ჟენი ჰუკერს, საჩივარი შეუტანია ლიონისის შეძლებულ ვაჭარზე, გენრიხ ელმანზე; უჩივის — მაკოცაო, და 1.000 მანეთ ზარალსა სთხოვს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ელმანი ჰოკერთან სტუმრად მისულა და როცა ამ ლამაზის ქალის ქმარი მეორე ოთახში გასულა, მივარდნია ქალს და უკოცნია ლოყაში. ახალგაზრდა ქალი ისე გაუოცებია და შეურაცხყოფია ამ ვაჟბატონის უეცარ კოცნას, რომ მაშინვე ავად გამხდარა და სამი კვირა ლოგინი ულესია. ელმანი 200 მანეთს აძლევს ქალს და მის ქმარს ზარალის ფულსა და ამბობს, გროშს არ მოგცემ მეტსაო. ქალის თხოვნით სასამართლოში დაბარებულები არიან ექსპერტები, რომელთაც შემდეგი უნდა გაარკვიონ: შეიძლება თუ არა, რომ მანდილოსანი სხვის, უცხო კაცის კოცნის გამო ავად გახდეს და სამი კვირა ლოგინი ლესოს და ღირს თუ არა ჟენი ჰუკერის კოცნა 1.000 მანეთად?

„ივერია“, №10, 1888 წელი

მოამზადა სოფო ბუკიამ

მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

ALPE
ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14
ტელ.: 935841, 922914 ფაქსი: 920596
E-mail: alpeonline@gol.ge www.samartali.ge

*აზა დ. ახლა 38 წლისაა. იმერეთის ერთ მთიან სოფელში გაიზარდა, იმდენად ღარიბ ოჯახში, რომ საშუალო განათლებაც ვერ მიიღო, რადგან ამისათვის მეზობელ სოფელში უნდა ევლო და დაირცხვინა ჩაუცმელ-დაუხურავმა... 16 წლისა გათხოვდა. არც მეუღლის ოჯახი დახვდა შეძლებული და ახალგაზრდებმა ქუთაისს მიაშურეს. საავტომობილო ქარხანაში დაიწყეს მუშაობა. ერთი პატარა ოთახი მიიღეს, სადაც დღემდე ცხოვრობენ აზას მეუღლე და უმცროსი ვაჟი, რომელიც 12 წლისაა. 21 წლის ქალიშვილი და 17 წლის ვაჟი დედასთან ერთად თურქეთში ცხოვრობენ.*

**— აზა, თქვენი საქართველოში გამოჩენა ახლობლებისათვის სასწაულის ტოლფასად იქცა, რადგან ოთხი წელი არაფერი იცოდნენ.**



# „ჩემი ქალიშვილი მაინც მოხვდა საროსკიპოში... მეორე შვილს „რაფში“ გამიცვლიან“

— უსიყვარულოდ გავთხოვდი. ვიფიქრე, ქმრის ოჯახში მაინც მოვითქვამ სულს-მეთქი, მაგრამ იქაც სიღატაკე დამხვდა, ამან სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. თვითმკვლელობაც ვცადე. ნევროზი დამემართა. მცემდა მეუღლე. ქალიშვილზე ფეხმძიმობისას ისე მცემა, რომ ნაადრევი მშობიარობა დამეწყო. არავის ეგონა, თუ გადავრჩებოდით დედა-შვილი. ჩემმა ქმარმა ყველა უბედურებასთან ერთად სმასაც მიჰყო ხელი. ამასობაში მერაბიც დაიბადა (შუათანა ვაჟი). ორი პატარა ბავშვით სად უნდა გავქცეულიყავი?... მერე ქვეყანა მთლად აირია, ქარხანაც გაჩერდა. მეზობლის ქალმა თურქეთში დაიწყო სიარული და მეც გადავწყვიტე, წავყოლოდი. როგორც იქნა, ქმარიც დავითანხმე... წავედი იმედით სავსე, რომელიც უკვე საზღვარზე დამიმსხვრიეს, რადგან ბევრი რამ ჩამოგვართვეს. თურქეთშიც არ იყიდებოდა ყველაფერი. რომ შევატყვე, ვალები უფრო ჩამომყვებოდა საქართველოში, ვიდრე სიმდიდრე, თავის მოკვლა მომინდა. ატირებული დავდიოდი უცხო ქალაქის ქუჩებში, სასოწარკვეთილი და დამცირებული... როცა მანქანა გაჩერდა და თურქმა ცბიერად მიმიპატიჟა, ჩავჯექი...

იმ დღეს ჩემს სიცოცხლეში პირველად ვისადილე ნორმალურად. იმ კაცმა მთელი კვირა არ გამომიშვა. თურმე თავადაც მივლინებით ყოფილა იმ ქალაქში და სასტუმროში ცხოვრობდა.

**— ენობრივი ბარიერი არ გქონდათ?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ როგორღაც ვახერხებდი... ანდა, რა ლაპარაკი უნდოდა ჩვენს ურთიერთობას?! კარგად დასაჩუქრებული გამომიშვა.

**— შემდეგ რა მოხდა?**

— ფულის დანახვამ ისე გაახარა ჩემი ქმარი, რომ არც უკითხავს, როგორ და რა გზით ვიშოვე, არც მე მიგრძნია სინდისის ქენჯნა. მერე კი ყველაფერი იოლად აეწყო. სხეულით ბევრი ქართველი ქალი ვაჭრობს. რომ დაინახეს, არაფერზე ვამბობდი უარს, დამაკვალიანეს. თურქეთში სპეციალური საროსკიპო სახლებია, სადაც „დამწყებ“ ქალებს საკმაოდ იაფად ამუშავებენ. თავიდან მეც იქ მოვხვდი. ბევრს არ იძლეოდნენ, მაგრამ საქართველოში ხელფასად ის თანხა არც მოელანდებოდა ვინმეს. თან ვვაჭრობდი კიდეც — ნიღაბივით მჭირდებოდა ეს საქმიანობა, თორემ ვაჭრობაში ხეირი არასოდეს მინახავს.

ენა შევისწავლე, მეგობრები შევიძინე და მოხდა ისე, რომ ერთმა მდიდარმა კაცმა ცოლობა შემომთავაზა. არ მითქვამს უარი, რადგან ფული ჰქონდა. თან იმდენად ასაკოვანი იყო, იმას მომვლელი უფრო სჭირდებოდა და ჩემით კმაყოფილი იყო. ორი წლის განმავლობაში „ორქმრიანი“ ვიყავი, მერე ჩემმა ეფენდიმ გამომიცხადა: თუ გინდა, ჩემი ქონებიდან წილი მოგცე, საქართველოში აღარ წახვიდეო. არ ვიცოდი, რა მექნა, მაგრამ, ეტყობა, ყველაფერი ბედია. იმხანად საქართველოში ჩამოსულს ქმარმა ისევ მცემა... უმცროსი ბიჭი სოფელში იყო, დედამთილთან, იქ არ ჩამესვლებოდა. დავავლე ხელი უფროსებს და წავიყვანე თურქეთში. შვილებით რომ დამინახა, ჩემი თურქი ქმარიც გამიბრაზდა, არც იცოდა ამხელა შვილები თუ მყავდა. რაღას ვიზამდი, იძულებული გავხდი, მერაბი კაფეში მიმექირავებინა ხელის ბიჭად, ნინო კი... ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ მაინც მოხვდა საროსკიპოში...

**— ეს იოლად შესაგუებელი არ იქნებოდა თქვენთვის...**

— თუ დამიჯერებთ, მაშინაც თავის მოკვლას ვაპირებდი, მაგრამ ეტყობა, ყველაფერს ეგუება ადამიანი... თან, ასე იყო თუ ისე, მაინც დროზე მივეშველე შვილს. ჩემი ეფენდი ერთ წელიწადში გარდაიცვალა. ქონების დიდი ნაწილი თავის შვილებს უანდერძა, ცარიელი არც მე დამტოვა. მისი ნაჩუქარი ფულით კაფე ვიყიდეთ, სადაც ბარმენად მერაბი მუშაობს, ოფიციანტად — ნინო.

**— ახლობლებს რატომ არაფერი შეატყობინეთ?**

— მე არ მყავდა ახლობლები საქართველოში!.. ყველამ გამიმეტა... ახლაც არ იფიქროთ, რომელიმე ნათესავის სიყვარულმა ჩამომიყვანა ან სამშობლოს მონატრებამ — ჩემი უმცროსი შვილის დარდი არ მასვენებდა და მის წასაყვანად ჩამოვედი. ქმარს „რაფი“ ჩამოვუყვანე, რამდენიმე ათასი დოლარიც და იქნებ გამიცვალოს ბავშვში...

**— ცოტა უხერხული გარიგება ხომ არ არის, აზა?**

— ყოველ შემთხვევაში, ეს რეალობაა!..

*რაღა გვაქვს სათქმელი, ყველაფერი ეს მართლაც რეალობა და დღევანდელი საქართველოს ცხოვრების წესია. აზა და მისი ორი შვილი ოფიციალურ დოკუმენტაციაში უგზო-უკვლოდ დაკარგულებად არიან აღრიცხულნი... ეჭვიც არ მეპარება, რომ მალე 12 წლის გიორგიც „დაიკარგება“ — ალბათ დაუფიქრებლად გაცვლის „რაფში“ და რამდენიმე ათას დოლარში ღვიძლი მამა.*

**ინგა ჯაყელი**

# რჩევები დიასახლისთათვის



— სოკო რომ არ გაშავდეს, მარილიან და ცოტა ძმარგარეულ წყალში ჩააწყვეთ.

— უმაცივროდ ხორცი ერთი დღე-ღამე შეინახება, თუ ძმარში დასველებულ ტილოში გაახვევთ.

— კაფელის იატაკმა რომ იპრიალოს და ადვილად მოაშოროთ ლაქები, გარეცხეთ თვითნაკეთი შამპუნით, რომლის რეცეპტსაც გთავაზობთ:

ჩაყარეთ ქვაბში 1/2 ჩ/ჭ საპნის ფხვნილი, 1/4 საჭმელი სოდა და 1/2 მარილი. დაასხით 2 ჩ/ჭ წყალი და შედგით ცეცხლზე. ურიეთ მანამ, სანამ წყალში არ გაიხსნება ყველა ინგრედიენტი. გადმოდგით, გააგრილეთ და დაუმატეთ წიწვის ან ციტრუსის ეთეროვანი ზეთის რამდენიმე წვეთი. გულდასმით აურიეთ და ჩაასხით პლასტიკატის ან მინის ჭურჭელში და თავზე დაახურეთ. 1/2 ვედრო თბილ წყალს დაამატეთ 2-3 ს/კ თვითნაკეთი შამპუნი და... ახლა თქვენი კაფელის იატაკი არა მარტო იბრწყინებს, არამედ სასიამოვნო სუნსაც გამოსცემს.



# იყავით ფხიზლად!

როგორც მედიკოსებმა დაადგინეს, ყოველდღიურად ბეჭდების ტარება ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს: საქმე ის არის, რომ მანუალურ თერაპიასთან შეუთავსებელი, ქაოსური ზემოქმედება ხელისგულზე განლაგებულ წერტილებზე, ორგანიზმს მნიშვნელოვნად აზიანებს. მაგალითად, საჩვენებელ თითზე წამოცმული ბეჭედი ოსტეოქონდროზსა და რადიკულიტს იწვევს, შუათითზე — ათეროსკლეროზსა და ჰიპერტონიას, ნეკათითზე — კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, უსახელო თითზე კი 24 საათის განმავლობაში ნიშნობის ბეჭდის ტარება ენდოკრინულ სისტემას აზიანებს.

ამიტომ აუცილებელია თუნდაც ცოტა ხნით დაასვენოთ თითები მორთულობისაგან — ღამით მოიხსენით და ნურც ვიწრო ბეჭდებს იხმართ.

# ყვავილი... ინტერიერი... განწყობა...



ძნელად მოიძებნება დიასახლისი, რომელსაც ბინის ყვავილებით მორთვა არ უყვარდეს. მაგრამ მარტო გარეგნული სილამაზით და სურნელით როდი უნდა გვახალისებდეს ბუნების ეს მშვენება. ხშირად შესაფერის ადგილას მოთავსებული ერთი ყვავილიც კი ინტერიერს სრულიად ცვლის.

## საჭირო ადგილას — საჭირო ყვავილი

სასადილო მაგიდაზე თაიგულიანი ლარნაკი ისე უნდა დადგათ, რომ ადამიანებს ერთმანეთის ყურებაში ხელი არ შეუშალოს, ამიტომ აჯობებს, თუ ბრტყელ კომპოზიციას ან გამჭვირვალე ლარნაკში მოთავსებულ ერთ ყვავილს დადგამთ.

მოერიდეთ სასტუმრო ოთახის იებით მორთვას, რადგან თუ სტუმრებმა სიმღერა დააპირეს, ეს ყვავილი ცუდად იმოქმედებს სახმო სიმებზე.

აუცილებლად მოათავსეთ პატარა თაიგული ჰოლში — ეს კარგ გუნებაზე აყენებს სტუმარს.

სამზარეულოში ეფექტურად გამოიყურება მოწნულ კალათში ჩაწყობილი ყვავილები (რასაკვირველია, შიგ წყლიანი ქილა უნდა იყოს). ბაღის ყვავილების თაიგულის ფერები მოდის მიხედვით შეარჩიეთ. ახლა აქტუალურია წითლის ყველა ნაირსახეობა, ასევე კონტრასტული ფერები, მაგალითად, ყვითელი და ლურჯი. თვალში მოსახვედრია მინდვრისა და ბაღის ყვავილთა შეხამება. მაგალითად, თუ გვირილის პატარა თაიგულს ერთ ვარდს ან შროშანს დაუმატებთ, მერე მუარის ბაფთით შეკრავთ, XVII საუკუნის სტილის კომპოზიციას მიიღებთ და ა.შ.

წელს მოდაშია ყვავილებით მოხატული დიდი ფაიფურის ლარნაკები და თუ ლარნაკში ისეთივე ყვავილებს ჩააწყობთ, რაც ზედ ახატია და თან სადილის სერვიზსაც მიუსადაგებთ, თქვენნაირი მოდური და გემოვნებიანი დიასახლისი ძნელად მოსაძებნი იქნება.

ძალზე ეფექტურია მაღალ გამჭვირვალე ბოკალში ჩადებული ერთი ყვავილი.

იუმორის გრძნობისა და ორიგინალური ხედვის პატრონს შეუძლია ლარნაკად ძველი ჭილის ქუდი, ჩვილი ბავშვის ლამაზი ფეხსაცმელი, რეზინის ბურთი და სხვ. გამოიყენოს.

# გოგონებო, სწორდით... თქვენ გითვალთვალებენ...

## აბანოს ტრადიცია პლაჟზე

გახსოვთ, როგორ არჩევდნენ წინათ საპატარძლოს? მთელი ჯალაბობა შეიყრებოდა აბანოში და იწყებდნენ ქალიშვილის გარეგნობის ჭვრეტა-განხილვას. ეს ტრადიცია წარსულს ჩაბარდა და აბანოებს მხოლოდ ჰიგიენის დაცვის ობიექტის ფუნქცია შემორჩა. მართალია, აბანოში აღარავინ დადის „შხვართალა“ გოგოების საცქერლად, მაგრამ ძველისძველმა ტრადიციამ ახლა თურმე პლაჟზე გადაინაცვლა. რამდენიმე დღის წინ თავად გავხდი ამის მოწმე. ბათუმში თბილისელი მეგობარი ბიჭი შემხვდა. სწორედ მისი წყალობით გავიგე ეს ახალი ამბავი. „თავბედს ვიწყევლი, დედაჩემთან და დეიდაჩემთან ერთად რომ წამოვედი ზღვაზე. ცოტა ხანში გამაგიჟებენ. მაგათთან ერთად პლაჟზე გასვლა აღარ მინდა, გოგო აღარ დარჩათ შეუთვალიერებელი. ახლა სარფსა და გონიოში დადიან ქალების სათვალთვალოდ. წარმოიდგინე, ვწევარ ჩემთვის და სულ არ ვფიქრობ ქალზე, ან თუ ვფიქრობ, მხოლოდ იმაზე, ვინც მე მომწონს. ესენი კი მოსვენებას არ მაძლევენ, — ნიკა, ნახე, რა გოგოა. ოჰ, ოჰ, რა ფეხები, რა თეძო, რა მკერდი! უი, ჟუჟუნა, ისე, სახე არ უვარგა (ეუბნება დეიდაჩემს დედაჩემი). ნახე, რამხელა ცხვირი და ყურები აქვს. ოჰ, გადავედით შემდეგზეო. ასე ამოიღებენ მორიგ მსხვერპლს მიზანში და იწყება, მაგრამ რა იწყება — თავიანთი ჭკუით საცოლეს მირჩევენ. ისე, როგორც ჯიშიან ცხენებს არჩევენ მხედრები...“

ბევრი იწუწუნა ნიკამ და მითხრა, — ჩემი ძმაკაცებიც ჩემს დღეში არიან, ვინც კი დედა-დეიდა-მამიდასთან ერთად ჩამოვიდაო.

გადავწყვიტე, სწორედ დედა-დეიდა-მამიდებს დავკავშირებოდი და გამეგო, მართლა არჩევენ თუ არა პლაჟზე სარძლოებს.

**ლილი (დედა):** — ახლა გოგონები ისე იცვამენ, მათი გარეგნობის ზუსტად აღქმა არ გაგიჭირდება, მაგრამ პლაჟზე მაინც სულ სხვაა, თითქმის დედიშობილა გოგოს მყისვე შეამჩნევ, თუ რამე ნაკლი აქვს; მკითხავთ, მოეწონება თუ არა თქვენს შვილს თქვენი შერჩეული გოგონაო. მე რომ მომეწონება, ე.ი. კაი შესახედავია ის გოგო და ჩემს შვილს, თუ ბრმა არ არის, უნდა მოეწონოს, აბა, რა! თუ არ მოეწონება, ჯანდაბას, მოიყვანოს ვინმე მურთხი და დაისვას შინ!

**მარინე (მამიდა):** — ბათუმის პლაჟზე ნარინჯისფერი შეზლონგების და ქოლგების სექტორში გამოდიან კარგი გოგონები. მაგრამ რა, ეს ჩვენი შტერი ბიჭები სულ არ აქცევენ ყურადღებას, მთავარია, „ჯოკერი“ და „დურაკა“ ითამაშონ. სარფშიც მშვენიერი გოგონები იყვნენ პლაჟზე. ჩემს ძმისშვილს, ვისზეც ვუთხარი, კარგი გოგოა-მეთქი, ყველაზე მომახალა, — აქეთ მომაქციოს ყურადღება, ეგ „ნაშაა“, მამიდა, „ნაშაო“.



**ლუბა (დეიდა):** — მე რომ ასე მათვალიერებდნენ, მომეწონება თუ არა? რატომაც არა, თუ კარგი გარეგნობა მაქვს, რატომ არ უნდა მიყურონ? მე და ჩემმა ქმარმა პლაჟზე გავიცანით ერთმანეთი და იცით, როგორ? ის რომ პლაჟზე თავისნაირ მუტრუკებთან ერთად დომინოს ურახუნებდა, ამ დროს დედამისი (აცხონოს ღმერთმა!) ქალებს ათვალიერებდა და მე მოვეწონე; უთქვამს დიმიტრისთვის — დედა, შეხედე, რავა ქაფიდან ამოსულ აფროდიტესავით დგას ეს დალოცვილი. მიდი, მიხედე, იქნებ ბედს ეწიოო... ეწია კიდეც ბედს. მე და დიმიტრი 31 წელია ტკბილად და ბედნიერად ვცხოვრობთ.

*მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გასათხოვარი ქალის პოზიციიდან გულწრფელად გაფრთხილებთ: სანამ ზღვის სეზონია და სანამ პლაჟზე ნებივრობა გადაგიწყვეტიათ, კარგად ჩაიხედეთ სარკეში — ზღვის ნაპირზე სადედამთილოების არმია გელოდებათ, მოემზადეთ.*

**ეკა ლომიძე**

## ***



- თუ მამაკაცი მანქანიდან იმიტომ გადმოვიდა, რომ კარი გააღოს და ცოლს მიეხმაროს გადმოსვლაში, ან მანქანაა ახალი, ან ცოლი...
- თუ ქალი ამბობს, რომ აღარაფერი აქვს ჩასაცმელი, ე.ი. ახალი არაფერი აქვს.
- თუ კაცი ამბობს, რომ აღარაფერი აქვს ჩასაცმელი, ე.ი. სუფთა აღარა აქვს არაფერი.

# ჩვენებური ზღვა და ჩვენებურები...

## ამბები ღია ცის ქვეშ დარჩენილი ინგა გრიგოლიასი, კალოშებიანი „წოპესი“, პოსეიდონთან სტუმრად მყოფი გელა ჩარკვიანისა და კიდევ ბევრი სხვა

დასაწყისი იხ. გვ. 11

*ინგას სასწრაფოდ დავუკავშირდი და ცოტა ხანში პლაჟზე ე.წ. ნარინჯისფერ სექტორში (რომელსაც ბათუმელები „მარიაჟების“ სექტორს უწოდებენ, იმის გამო, რომ პლაჟის ამ ნაწილში ძირითადად თბილისელები იყრიან თავს — ე.ლ.) შევხვდით ერთმანეთს. ვისაუბრეთ კიდეც.*

— **დიდი ხნით ჩამოხვედი?**

— ალბათ 15 დღე დავისვენებ და მერე მუშაობას განვაგრძობ.

— **რომელ არხზე?**

— ამას ჯერ ვერ ვიტყვი.

— **ბათუმში ხმა გავარდა, ინგა ღია ცის ქვეშ დარჩა ჩემოდნებითო. დაუჯერებელია.**

— თბილისიდან დავრეკე ბათუმში და წინასწარ ვიზრუნე ბინაზე. მერე აქ ჩამოსვლამდე „ვმარიაჟობდი“, ბათუმში მაგარ სახლში ვიცხოვრებ-მეთქი, მაგრამ რა, — ჩამოვედი და ის ბინა გაქირავებული დამხვდა. მართლა გარეთ აღმოვჩნდი, თუმცა, ჩემოდნებს მოგვიანებით, საღამოს, დედაჩემი და ჩემი შვილი თბილისიდან ჩამოიტანენ. ახლა საკუთარი მხოლოდ საცურაო კოსტიუმი მაქვს თან. უკვე ბინაც ვიშოვე, ოღონდ ისეთი არა, როგორიც მინდოდა. თბილისში ყველას თავი გადავჭამე ჩემი „აჭარული“ აპარტამენტების ქებით და ახლა სადაც ვცხოვრობ, ეს ბინა რომ ნახონ, სიცილით მოკვდებიან.

**ოჰ, რამ შეგაშფოთათ, პოსეიდონს ვყავდი დაბარებული, რაღაც საქმეზე ვმსჯელობდით და ამიტომაც შემაგვიანდა-მეთქი. ამ ხუმრობით მათი შეშფოთება გავაქრე. თუმცა, მერე სულ თვალყურს მადევნებდნენ, შორს რომ არ შემეტოპა.**

— **შარშანაც ბათუმში იყავი. ზღვასთან ალბათ ბევრი მოგონება გაკავშირებს.**

— კურიოზული მოგონებები მაქვს. ჩამოვდივარ თუ არა, მაშინვე პლაჟზე გამოვრბივარ და მზეს ისე ვეფიცხები, თითქოს ის ერთადერთი დღე მქონდეს ზღვაზე დასარჩენად. ცხადია, ასეთ მდგომარეობაში შოკოლადისფერი ნამზეურის მაგივრად დამწვრობას ვიღებ და მერე, როცა ყველა ნებივრობს პლაჟზე, მე გრძელსახელოიან, სრულიად დახურულ ტანსაცმელში არაბი ქალივით გამოწყობილი მზეს ვემალები. ეჭვი მაქვს, რომ დღესაც იგივე დამემართება *(ბათუმში პლაჟზე ამ ფორმაში თურმე ბევრს უნახავს ინგა გრიგოლია და დღემდე არ იციან ნამდვილი მიზეზი, ვის ემალებოდა „ღამის მოამბის“ ბობოქარი წამყვანი, მზეს თუ აჭარაში დასასვენებლად მყოფ პოლიტიკოსებს. ბათუმში ჭორაობენ, შარშან ვიღაცას ინგას დახრჩობა უნდოდა და ამიტომაც პოპულარული ჟურნალისტი მკვლელის შიშით შენიღბული დადიოდაო — ე.ლ.).*

*ამჯერად ინგა გრიგოლია მზისგან დაწვადაფუფქვას გადაურჩა და კვლავაც საცურაო კოსტიუმით ნებივრობს ბათუმის პლაჟზე. მე კი მასთან შეხვედრის შემდეგ ქობულეთისაკენ გავეშურე. აქ ძირითად სამუშაო ადგილად სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია მექცა. სადაც პლაჟზე წამოწოლილ პარლამენტარ რომან გოცირიძეს დიდი ამბით ჩამოეფხატა თვალებზე ქუდი, რომ უამრავ დამსვენებელს შორის ინკოგნიტოდ დარჩენილიყო, მაგრამ ჩემს ფოტოფირზე მისთვისაც აღმოჩნდა ადგილი. ბატონი რომანი მისმა ცელქმა პატარა გოგონამ გაყიდა — ქალიშვილის მოუსვენრობით შეწუხებული მზრუნველი მამა ხმაზე მეცნო (რაღა დაგიმალოთ და დიდი ჩალიჩი დამჭირდა „მსხვერპლის“ გადასაღებად)...*

*სასტუმრო „ივერიიიდან“ გამოსული ცნობილი ქართველი მსახიობი გურამ საღარაძე სწრაფი ნაბიჯით გაუყვა ბილიკს და პლაჟზე საგულდაგულოდ მოკალათება რომ დააპირა, სწორედ მაშინ დავარღვიე მისი მყუდროება. ჩემს დანახვაზე გულიანად გაეცინა და მკითხა — აქაც მუშაობთ?*

— **პროფესია თავისას ითხოვს, ბატონო გურამ, თანაც ასეთ გარემოში მუშაობას რა სჯობს, ყველანი აქ ხართ, ტელეფონებით თქვენი ძებნა არ მიწევს, პლაჟზე ყველა შემიძლია გინახულოთ.**

— **ვისთან ერთად ჩამოხვედით?**

— შვილთან, მარინასთან და შვილიშვილ გიორგისთან ერთად. მართლაც ვისვენებ.

— **თქვენც „ივერიის“ ტრადიციული დამსვენებელი ხართ?**

— დიახ. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, უკვე ათი წელია აქ ჩამოვდივარ. წინათ აფხაზეთში, სინოპში ვისვენებდი, მაგრამ, სადღაა ახლა სინოპი, თავისი დიდებული პარკით. წავიდა, გაქრა, „ვითა სიზმარი ღამისა“.

**აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, უკვე ათი წელია აქ ჩამოვდივარ. წინათ აფხაზეთში, სინოპში ვისვენებდი, მაგრამ, სადღაა ახლა სინოპი, თავისი დიდებული პარკით.**

— **ამ ბოლო ხანს, თურქეთში დასვენება იქცა მოდად, თქვენც ხომ არ აპირებთ, თუნდაც ანტალიისკენ გეზის აღებას?**

— გაგონებაც არ მინდა ამის. როცა ძვირფასი ქობულეთი გვაქვს, სად უნდა წავიდე? აქ ძალიან კარგად ვერთობი, თუმცა, არა ისე, როგორც ეს „გიჟები“ — ჩემი შვილიდან დაწყებული — მზეზე რომ იხრუკებიან. ამას სიკეთის მოტანა არ შეუძლია.

— **მაშ რითი ერთობით?**

— ხან ნარდს ვთამაშობ, ხან პოკერს. აი, ახლა ჩემი არამსახიობი მეგობრები ჩამოვლენ და ვითამაშებთ პოკერს. სხვაგან წასვლის სურვილიც არა მაქვს.

*მზეს მიფიცხებული ბატონი გურამი იქვე დავტოვე და ყოველ ზაფხულს ტრადიციულად „ივერიის“ 1001-ე ნომერში მცხოვრები კოტე მახარაძის და სოფიკო ჭიაურელის სტუმარი გავხდი. ქობულეთში არაკებს ჰყვებიან ქალბატონი სოფიკოს ცურვის შესახებ. თურმე ისე მიაპობს ტალღებს, ბევრი ვაჟკაციც ვერ უდებს ტოლს. „გადაწყვეტილი მაქვს, აი, იმ პარაშუტით გავფრინდე და ზღვას ზევიდან გადავუქროლო“, — მითხრა ქალბატონმა სოფიკომ და ზღვაში კატერს გამობმულ პარაშუტს აივნიდან სიამოვნებით გააყოლა თვალი. იმ დროს ახალი ამოსული იყო პლაჟიდან, სადაც თურმე მისი პოვნა ძალიან ძნელია. ერთადერთი მიზეზის გამო — თითქმის სულ წყალშია. ბატონი კოტე კი ამ დროს ნომერში ზის და საინტერესო დეტექტივს კითხულობს. რატომ? თავად მოუსმინეთ:*

— გულის ოპერაციის შემდეგ ზღვაში ვეღარ ჩავდივარ, თორემ სოფიკოს ცურვა, ჩემს ოსტატობასთან, აბა, რა მოსატანი იქნებოდა. პლაჟზეც ვერ გავსულვარ, ეს ქვიშა ფეხებს მტკენს (ქალბატონი სოფიკო „კალოშების“ ყიდვას აპირებს მეუღლისთვის, ცხვირების გალამაზების ოსტატს, „წოპეს“ გაუზიარებია მისთვის „კალოშების“ სიკეთე — ქობულეთში საკუთარ აგარაკზე დასასვენებლად ჩასული „წოპე“ თურმე დიდი ხანია „კალოშებით“ დადის პლაჟზე. ეს ფეხსაცმელი თურმე „შლოპანცივით“ ფეხიდან არ გისხლტებათ ქვიშაზე).

**ჩამოვდივარ თუ არა, მაშინვე პლაჟზე გამოვრბივარ და მზეს ისე ვეფიცხები, თითქოს ის ერთადერთი დღე მქონდეს ზღვაზე დასარჩენად. ცხადია, ასეთ მდგომარეობაში შოკოლადისფერი ნამზეურის მაგივრად დამწვრობას ვიღებ და მერე, როცა ყველა ნებივრობს პლაჟზე, მე გრძელსახელოიან, სრულიად დახურულ ტანსაცმელში გამოწყობილი მზეს ვემალები**

— **როგორ ისვენებთ?**

— შესანიშნავად. სოფიკოს აქ არც სარეცხი მანქანა აქვს, არც ბაზარშია წასასვლელი და არც საჭმლის მომზადებაზე (საკმაოდ შეფერთხილი მახარაძე-ჭიაურელის წყვილი მოკრძალებულად ტრაპეზობს. კიტრი, პომიდორი, ყველი და დესერტად საზამთრო, აი მათი საჭმელი. დიდი-დიდი შეიძლება ერთი ატამიც დაამატოს მთელ ამ სანოვაგეს ბატონმა კოტემ. სწორედ ამგვარი დიეტის შედეგად დაუკლია 21 კილო.) არც სახლის დალაგებაზე ფიქრი უწევს. აქ წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე გამოაცხადა — მომეცით ნება, პლაჟზე დავწვე და ნამზეურით მოვიწონო თავიო. ახლა დაისვენებს, მერე კი გაბრიელ მარკესის მოთხრობის „სიყვარულის დიატრიბას“ მიხედვით თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ სპექტაკლში ითამაშებს.

— **თურმე ბათუმშიც ხშირად ისვენებთ.**

— როცა აქ ვარ, ორი დღით ბათუმსაც ვეწვევით ხოლმე, „ალიკი“ ჩემი მეგობრის, ალიკა ინწკირველის სასტუმროა, სადაც სიამოვნებით ვსტუმრობ (ამავე სასტუმროში ასევე სიამოვნებით ისვენებენ გივი ბერიკაშვილი, მურმან ჯინორია, ლელა წურწუმია და სხვებიც, თუმცა, ამჯერად არც ერთი მათგანი იქ არ დამხვდა — ე.ლ.). ბათუმთან უამრავი ლამაზი მოგონება მაკავშირებს. მაშინ, როდესაც მე და სოფიკო ჯერ კიდევ არ ვიყავით ცოლ-ქმარი, თეატრთან ერთად გასტროლებზე გახლდით ბათუმში. ჩვენი მეგობარი და მესაიდუმლე იყო ჩემი თანაკურსელი მზია მახვილაძე, თენგიზ აბულაძის მეუღლე. სარფში მივდიოდით ხოლმე საცურაოდ და მზია სულ თან გვახლდა, ვინმეს რომ არ ეკითხა, სოფიკო და კოტე სად წავიდნენ მარტოდმარტოო. ერთხელაც ნაპირზე ნებივრობდა, ჩვენ კი ძალიან შორს გავცურეთ. დიდი ხანი გავიდა. რომ აღარ გამოვჩნდით, მზიას უფიქრია, დაიკარგნენო და პანიკაში ჩავარდნილა. თურმე გეგმებს აწყობდა, რა ეთქვა თეატრის ხელმძღვანელობისთვის.

**„გადაწყვეტილი მაქვს, აი, იმ პარაშუტით გავფრინდე და ზღვას ზევიდან გადავუქროლო“, — მითხრა ქალბატონმა სოფიკომ და ზღვაში კატერს გამობმულ პარაშუტს აივნიდან სიამოვნებით გააყოლა თვალი.**

— **ალექსანდრე ჩივაძეც ყოფილა „ივერიაში“.**

— ჩვენ რომ ჩამოვედით, „ჩივა“ იმ დღეს წასულა.

*ბატონი კოტესა და ქალბატონი სოფიკოს აპარტამენტებიდან გამოსული, „ივერიის“ ეზოში ბატონი გელა ჩარკვიანის პირისპირ აღმოვჩნდი, რომელიც სიამოვნებით დამთანხმდა სურათის გადაღებაზე და შარშანდელი თავგადასავალიც გაიხსენა: „შარშან ძალიან შორს გავცურე, ზღვის ტალღებში ნებივრობისას სულ დამავიწყდა ნაპირი. ჩემმა ცოლ-შვილმა კი თურმე ნერვიულობა დაიწყო. ეგონათ, დავიკარგე. მაშველს რომ უხმობდნენ ჩემს საძებნად, სწორედ მაშინ გამოვჩნდი. გაოცებულები მიყურებდნენ — გელა, ამდენ ხანს სად იყავიო? ოჰ, რამ შეგაშფოთათ, ზღვის ღმერთ პოსეიდონს ვყავდი დაბარებული, რაღაც საქმეზე ვმსჯელობდით და ამიტომაც შემაგვიანდა-მეთქი. ამ ხუმრობით მათი შეშფოთება გავაქრე. თუმცა, მერე სულ თვალყურს მადევნებდნენ, შორს რომ არ შემეტოპა. წელს მაინც მოვახერხე შორს გასვლა, მაგრამ პოსეიდონამდე აღარ მივსულვარ“.*

*ღამდებოდა. გაფაციცებით ვიცქირებოდი აქეთ-იქით და ნაცნობ სახეებს ვეძებდი. „ივერიაში“ პოპულარული ქართველებიდან სხვა ვეღარავინ დავლანდე, არც გამკვირვებია. ბათუმში გამაფრთხილეს, პოლიტიკოსი ან ბიზნესმენი ქართველები ნაკლებად ისვენებენ საქართველოს საზღვაო კურორტებზეო და თუ მაინც გამოჩნდა აქ რომელიმე მათგანი, თვალს ძნელად მოკრავთ, დღისით ნომრებში გამოკეტილნი მზეს და ცნობისმოყვარეებს ერიდებიან და ღამით მთვარის სხივებზე იღებენ „ზაგარს“, თანაც ირწმუნებიან, რადიაციულ დასხივებას ნაკლებად მივიღებთო. ქობულეთიდან ის-ის იყო გამომასწრო ბორის წიფურიამ და „მაღალი-დაბალის“ წამყვანის ნახვა ვეღარ მოვახერხე, თუმცა, ქობულეთელების გადმოცემით, „ფორტუნას“ მამას მდინარეზე, ბაბუს ტბასთან მაგარი დრო უტარებია და კარგადაც მოულხენია. ქობულეთში მოუთმენლად ელოდებიან მომავალ ზაფხულს, როდესაც მათთან კვლავ ჩავა ბატონი ბორისი და გეგმებს აწყობენ, როგორ გაართონ „მრავალთა გამრთობი“, რომელიც მთვარისა და კოცონის შუქზე სიამოვნებით ილხენდა. მოგონებებს აჭარის სანაპიროებიდან აქ შევწყვეტ და შევეცდები შემდეგ ნომრებშიც გიამბოთ, ინკოგნიტო თუ საყოველთაოდ ცნობილ რესპონდენტებთან შეხვედრის შესახებ.*

***ეკა ლომიძე***

**პლაჟზე წამოწოლილ პარლამენტარ რომან გოცირიძეს დიდი ამბით ჩამოეფხატა თვალებზე ქუდი, რომ უამრავ დამსვენებელს შორის ინკოგნიტოდ დარჩენილიყო, მაგრამ ჩემს ფოტოფირზე მისთვისაც აღმოჩნდა ადგილი. ბატონი რომანი მისმა ცელქმა პატარა გოგონამ გაყიდა — ქალიშვილის მოუსვენრობით შეწუხებული მზრუნველი მამა ხმაზე მეცნო...**


ინგა გრიგოლია ბათუმის პლაჟზე, „მარიაჟების“ სექტორში


გელა ჩარკვიანი სტატიის ავტორთან ერთად


როცა ქობულეთი გვაქვს, სად უნდა წავიდე?


პატარა ილიკოს მეხსიერებაში ლურჯი „შავი“ ზღვა უნდა ჩაიბეჭდოს


იმ პარაშუტით უნდა გავფრინდე



„ინკოგნიტოდ“ დრჩენილი რომან გოცირიძე

## თარაზულად:

5

საცხოვრებელი სადგომი დაქანებული სახურავის ქვეშ

6

წმინდანი, რომლის აღსანიშნავ დღესასწაულს (24-აგვისტოს), დაემთხვა კათოლიკეების მიერ ჰუგენოტების ამოწყვეტა

9

კარდინალი, რომლის უშუალო შემწეობით დაარსდა საფრანგეთის აკადემია

10

კათოლიკური სამლოცველო

11

ხელების მისაბჯენი ადგილი

15

რ. ვაგნერის ოპერა, რომლის პრემიერაც შედგა 28.08.1850წ.

17

სააფთიაქო წონის ერთეული ძველად

18

დოლარის 1/100

19

ჭკვიანი ძუძუმწოვარი

20

ჯიში

24

1989 წლიდან სახელმწიფო მიანმა, მანამდე — ?

25

სახელი

26

ქალაქის დიდი და განიერი ქუჩა

29

„კახური „ბორჯომი“

32

ბაქანი ფერდობზე

33

გემის სახეობა

34

მოცემული სახეობისთვის დამახასიათებელი პიგმენტაციის არმქონე

35

ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი, 151 საგალობლით

## შვეულად:

1

ხილი, რომლის მირთმევა უზმოზე არ არის რეკომენდებული

2

შრომის მეგრული სიმღერა

3

მავნებელი

4
სევდიანი ლირიკული ლექსი

5

ნაწარმი



7

რაიმე საქმის სპეციალისტი

8

რწმენა ზებუნებრივი ძალებისა

12

ტკბილეულის დამზადების ოსტატი

13

უმაღლესი ხარისხის ქვანახშირი

14

საშუალო სასწავლებელი

16

წლების განმავლობაში რუსული სამგზავრო ფლოტის ფლაგმანის, „ადმირალ ნახიმოვის“ თავდაპირველი სახელწოდება

21

ინგლისის დედოფალი, რომლის სახელიც შემდგომში მთელი ეპოქის აღმნიშვნელი გახდა

22

დასავლეთ მელანეზიის აბორიგენი მცხოვრებელი, რომელიც ჩვენში ველურის სიმბოლოდაა ქცეული

23

კოლექტივი

27

მცენარე, რომლის მწნილსაც ჯონჯოლად ასაღებენ

28

ხეხილი ვარდისებრთა ოჯახისა

30

ხვლის მიმართულება

31

ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა“ №29 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. დაზვერვა; 6. ადმირალი; 9. გიბსონი; 10. გიტარა; 11. ილუზია; 15. კოლექტივი; 17. დრამა; 18. მეტრო; 19. ჯორჯაძე; 20. ვაგზალი; 24. ლიფტი; 25. ხმალი; 26. არტილერია; 29. აბზაცი; 32. კოლეჯი; 33. ლონდონი; 34. ინსბრუკი; 35. უტოპისტი.

**შვეულად:** 1. აგვისტო; 2. ავგია; 3. ედენი; 4. ორსული; 5. დირიჟორი; 7. იუპიტერი; 8. ასპექტი; 12. ტორეადორი; 13. თვითგორია; 14. იმპორტი; 16. რეკლამა; 21. მიცუბიში; 22. სულფიდი; 23. ბლეკჯეკი; 27. „უცნობი“; 28. პოეზია; 30. კონკა; 31. კნუტი.

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.*

**ვარ 45 წლის. კლიმაქსის პერიოდი ჯერ არ მქონია და ძალიან მეშინია მისი. მეგობარმა მირჩია, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო აბების სმით შეიძლება ცხოვრების ჩვეული რიტმის შენარჩუნება და კლიმაქსისაგან თავის დაღწევა 55 წლამდეც კი, მაგრამ მეეჭვება. გთხოვთ, გვიპასუხოთ, არსებობს თუ არა კლიმაქსის გადავადების ბუნებრივი საშუალება?**

***მანანა ლ.***

ჩასახვის საწინააღმდეგო აბების რეგულარული მიღებით მართლაც შეიძლება ხელოვნურად შენარჩუნებულ იქნას ორგანიზმში ჰორმონთა დონე და მენსტრუაციული ციკლი, რადგან ეს აბები ჰორმონული პრეპარატებია, მაგრამ ასეთი ქმედება არ გახლავთ გამართლებული, რადგან ამგვარად თქვენ შესაძლოა გაცილებით მეტი რამ დაკარგოთ, ვიდრე შეიძინოთ. როდესაც ქალს ჩასახვის საწინააღმდეგოდ გინეკოლოგი უნიშნავს მსგავს აბებს, იგი აუცილებლად ურჩევს პაციენტს, რომ პრეპარატი გარკვეული შესვენებებით მიიღოს და არა რეგულარულად.

რაც შეეხება კლიმაქსის დადგომას, შეუძლებელია მისი დაწყების ვადის ზუსტი განსაზღვრა. ქალებში იგი დაახლოებით 50-55 წლის ასაკში იწყება და მისი გადავადება ათწლეულობით არანაირი საშუალებით არ შეიძლება. თქვენ შეგიძლიათ უმტკივნეულოდ გადაიტანოთ ეს პერიოდი, თუ გაითვალისწინებთ შემდეგს: მისდიეთ ჯანსაღი ცხოვრების წესს, ერიდეთ მავნე ჩვევებს, სტრესულ სიტუაციებს, საჭიროა რეგულარული სქესობრივი ცხოვრება. თუ ქალს არ აქვს ენდოკრინული ან სხვა ქრონიკული დაავადება და მისი სასქესო სისტემა არ არის გამოფიტული მრავალრიცხოვანი აბორტებით, კლიმაქსიც გაურთულებლად ჩაივლის.

**ვარ ახალგაზრდა ქალი. ექიმმა დამისვა „კანდიდოზის“ დიაგნოზი და მითხრა, რომ ეს დაავადება სქესობრივი გზით გადადის. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მეუღლემ მიღალატა სხვასთან?**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

ნუ იჩქარებთ მეუღლის დადანაშაულებას. კანდიდოზის გამომწვევი სოკოს სპორები პრაქტიკულად ყველა ქალის საშვილოსნოში არსებობს. როდესაც რაიმე მიზეზით ლორწოვანი გარსის „მობინადრეთა“ შორის წონასწორობა ირღვევა, კანდიდა სოკოს შეუძლია დაიწყოს აქტიური გამრავლება და კანდიდოზი გამოიწვიონ. ეს უფრო იმუნიტეტის დაქვეითების შედეგია. ასე რომ, თქვენი დაავადება გამწვავდა გარკვეულ არასასურველ ფაქტორთა ზემოქმედებით.

რაც შეეხება მამაკაცს, მის საშარდე გზებში კანდიდა სოკო ვერ ცოცხლობს, რადგან იქ სხვაგვარი ეპითელიუმია. თუმცა მამაკაცს შეიძლება ჰქონდეს კანის ან ლორწოვანი გარსის კანდიდოზი.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## ლობიო იმუნიტეტს აძლიერებს



ის, ვინც არასოდეს ამბობს უარს ლობიოზე, სწორადაც იქცევა — მიიჩნევენ ექიმები. ის არა მარტო გემრიელია, არამედ ამარაგებს ადამიანის ორგანიზმს ახალი ქსოვილების ასაშენებელი ცილებით, B ჯგუფის ვიტამინებითა და სპილენძით, რომელიც ასე საჭიროა ნერვული სისტემის ქსოვილების, კუნთებისა და სისხლის წარმომქმნელი ორგანოებისათვის. ალბათ, ბევრმა ისიც იცის, რომ ეს ბრწყინვალე პროდუქტი მდიდარია ასკორბინითა და თუთიით, რაც ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას. ლობიო შეიცავს ნიკოტინურ მჟავას, რომელიც ამაგრებს ძარღვების კედლებს, ასევე კალიუმს, რომელიც აწესრიგებს გულისა და თირკმლების მუშაობას.

რაც მთავარია, ლობიო სასარგებლოა მათთვის, ვინც არ ჭამს ხორცს, იგი ძალიან მაწიერია. ლობიოს რეგულარულად მიღება ხელს უწყობს თირკმლების გაწმენდას, რადგან მასში შემავალი ყველა სასარგებლო მინერალი ზემოქმედებს სითხის სწორად გამოყოფაზე და ნორმალურს ხდის შარდის შემადგენლობას.

***ოტდოხნი! №25***

## როგორ გამოვიცნოთ მიოკარდიუმის ინფარქტი

დღეს ისეთ მძიმე დაავადებასთან, როგორიცაა ინფარქტი, ბრძოლის ძალიან ბევრი სამედიცინო საშუალება არსებობს. მაგრამ ექიმისათვის, რომელიც იბრძვის ავადმყოფის სიცოცხლისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად სწრაფად (წუთებსაც კი მნიშვნელობა აქვს) გამოიძახებთ ექიმს. მიოკარდიუმის ინფარქტის დროს აი, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება:

1. ავადმყოფს აქვს ინტენსიური, ხანგრძლივი, მგუდავი, მარწუხისებრი, აუტანელი მწვავე ხასიათის ტკივილი გულის არეში, რომელიც ქრება ნიტროგლიცერინის მიღების შემდეგ (თუ ტკივილი არ გაქრა, შეიძლება მეორე აბიც მისცეთ ავადმყოფს);

2. ტკივილი გადაეცემა მხარს, ხელს, კისერს, ყბასა და ზურგს;

3. ავადმყოფი გრძნობს მკვეთრ სისუსტეს, ეუფლება შიშის შეგრძნება, ასხამს ცივი ოფლი, ეწყება ხუთვა და სხვა. „სასწრაფოს“ მოსვლამდე ავადმყოფს შეუქმენით მშვიდი გარემო, დააწვინეთ და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიეცით ნიტროგლიცერინი; გულმკერდის არეში დაადეთ მდოგვის საფენები, სათბურა ფეხებთან და გაუთბეთ ხელები.

***ლიზა №32***

## [illegible]



***სრულიად საკმარისია პომიდვრის სალათს ერთი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი დავამატოთ, რომ სალათი წამლად იქცეს: ვიტამინების უმეტესობა, რომლითაც ასე მდიდარია ბოსტნეული, უკეთესად აითვისება მცენარეული ცხიმებით.***

***თურმე:***

### სიმინდის ზეთი ებრძვის რადიკალებს...

სიმინდისა და ხორბლის ზეთი შეიცავს ბევრ ვიტამინ E-ს, რომელიც იცავს უჯრედებს „თავისუფალი რადიკალებისაგან“, აუმჯობესებს ტვინისა და კუნთების მუშაობას. გარდა ამისა, სიმინდის ზეთი, რომელიც შეიცავს ლინოლენის მჟავას, ამაღლებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარსა და არეგულირებს სისხლის შედედებას.

უმჯობესია სიმინდისა და ხორბლის ზეთი დაამატოთ მზა სალათებსა და კერძებს, რადგან გაცხელების შემთხვევაში, მათში შემავალი სასარგებლო ნივთიერებები სწრაფად იშლება.

### სოიის ზეთი ამაღლებს იმუნიტეტს...

სოიის ზეთი შეიცავს ბევრ ცხიმოვან მჟავას (ლინოლენის, ოლეინის, არაქინის და სხვა), რომელიც ამცირებს კორონარული დაავადებების განვითარებისა და ინფარქტის რისკს, არეგულირებს წნევას, ამაღლებს იმუნიტეტს. მსგავსად სიმინდის ზეთისა, მასაც შესწევს უნარი, შეებრძოლოს „თავისუფალ რადიკალებს“ და გამოდევნოს ორგანიზმიდან. არარეკომენდებულია სოიის ზეთზე შეწვა, უმჯობესია გამოიყენოთ სალათების შესაზავებლად.

### სელის ზეთი — ჯანმრთელობა

სელის ზეთი კეთილსასურველად მოქმედებს სისხლის შემადგენლობაზე, ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას. სოიის ზეთის მსგავსად გამოიყენება სალათების შესაზავებლად.

### მზესუმზირის ზეთი წმენდს ორგანიზმს

ერთი კოვზი მზესუმზირის ზეთი 10-15 წუთით ჩაიგუბეთ პირში და „ატრიალეთ“ (აგორავეთ) კბილებს შუა, ენის ქვეშ, სადაც ძალიან ბევრი სისხლძარღვთა სისტემაა. შემდეგ გადმოაფურთხეთ და გამოირეცხეთ პირი. ტოქსინები, რომლებსაც შეიცავს ორგანიზმი ამ პროცედურის დროს სისხლიდან გადადის ზეთში. სასურველი შედეგის მისაღწევად პირში ზეთი უნდა გამოივლოთ კვირის განმავლობაში არანაკლებ 2-3-ჯერ.

### ზეითუნის ზეთი

სტატისტიკური მონაცემებით ხმელთაშუა ზღვის მხარის მოსახლეობა იშვიათად ავადმყოფობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებით. მეცნიერები ამას ხსნიან იმით, რომ ისინი საუკუნეების განმავლობაში იყენებენ ზეითუნის ზეთს. მართლაც ზეითუნის ზეთი არა მარტო გვიხსნის ინფარქტისაგან, არამედ ბრწყინვალედ შველის მტვრევად ფრჩხილებს (შემთბარ ზეთში რამდენიმე წუთით უნდა ჩავაწყოთ ხელები, არ შევიმშრალოთ და ისე შევიზილოთ).

ზეითუნის ზეთი შეიძლება გამოიყენოთ შესაწვავადაც და უმადაც. ის ძალიან უხდება სალათებს.

**რჩევა პირველი:** თუ ზეითუნის ზეთი, ტემპერატურის სულ მცირედით დაწევის შემთხვევაშიც კი კარგავს გამჭვირვალობას და ემსგავსება დაშაქრულ თაფლს, ე.ი. ის ნამდვილი არ არის.

**რჩევა მეორე:** წარწერამ ბოთლზე: „არ შეიცავს ქოლესტერინს“ არ მოგატყუოთ. საქმე ის არის, რომ არათუ ზეითუნის ზეთში, არამედ ნებისმიერ მცენარეულ ზეთში არ არის ქოლესტერინი.

***ლიზა №31***

**რა იწვევს ტრიქომონოზს და როგორ ვებრძოლოთ ამ დაავადებას?**

***ანა თოდაძე***

## ტრიქომონოზი

ტრიქომონოზი შარდ-სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებაა, რომელსაც ტრიქომონადა იწვევს. ადამიანის ორგანიზმში სამი სახის ტრიქომონადაა: 1) შარდ-სასქესო ორგანოების, ნაწლავების და მოხუცებულ ქალთა პირის ღრუში. პირველი სახის ტრიქომონადა ორივე სქესს ასნებოვნებს. ის ერთუჯრედიანი პარაზიტია — ქალებში იწვევს ძირითადად ვაგინიტს — საშოს ანთებას, მამაკაცებში — ურეთრიტს, სპერმისა და შარდგამომტანი მილაკების ანთებას. აზიანებს შარდ-სასქესო ორგანოების სხვა ნაწილებსაც: საშვილოსნოს ყელის ლორწოვან გარსს, იშვიათად — კვერცხსავალ მილებსაც. მამაკაცებში პარაზიტი ნაპოვნია სათესლე ბუშტუკებში, წინამდებარე ჯირკვალსა და სათესლე ჯირკვლების დანამატებში.

ტრიქომონოზის გადაცემა უპირატესად სქესობრივი გზით ხდება, თუმცა შესაძლებელია პარაზიტი ორგანიზმში შეიჭრას უსუფთაო თეთრეულის, საერთო პირსახოცის, წყლის საშუალებითაც. გამომწვევის შეჭრიდან დაავადების განვითარებამდე პერიოდია, 3-4 დღიდან 2-3 კვირამდე ან უფრო დიდხანს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ორგანიზმში მოხვედრილი ტრიქომონადები დაავადებას ყოველთვის არ იწვევენ. ისინი სრულიად ჯანმრთელ ორგანიზმშიც აღმოაჩინეს. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს იმუნიტეტის დაქვეითება, ორსულობა, სხვა დაავადებების თანდართვა. მამაკაცებში ტრიქომონიაზი უმთავრესად უსიმპტომოდ მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით საშიშია.

ტრიქომონოზის გამოვლინებანი დამოკიდებულია დაავადების სტადიაზე (მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული) და ანთებადი პროცესის ლოკალიზაციაზე. მისთვის დამახასიათებელია ხანგრძლივი მიმდინარეობა რეციდივებით (დაავადების განმეორებითი ეპიზოდები). საშოს დაზიანების შემთხვევაში ქალი უჩივის ქავილს, წვას, სასქესო ორგანოებისა და შორისის გაწითლებას, საშოდან ქაფიან, მოყვითალო ჩირქისმაგვარ გამონადენს, მუცლის ქვედა ნაწილში დაჭიმვის მაგვარ ტკივილს, აგრეთვე ტკივილსა და უსიამოვნო შეგრძნებას სქესობრივი აქტის დროს. შარდგამომყოფი და ბუშტის დაზიანების შემთხვევაში აღინიშნება მტკივნეული და გახშირებული შარდვა. თუკი დაავადება ქრონიკულ სტადიაშია, ყველა ზემოხსენებული ნიშანი სუსტად იხატება. დამახასიათებელია გარეთა სასქესო ორგანოების ქავილი, გაღიზიანება. ადამიანს ძილი და სულიერი სიმშვიდე დარღვეული აქვს.

მამაკაცებში, ტრიქომონიაზით დაავადებისას, ძირითადად იგივე სიმპტომები აღინიშნება. ისინი უჩივიან ურეთრაში (შარდგამომყოფი მილი) წვასა და ქავილს. გარეთა ხვრელი თითქმის ყოველთვის ნორმალურია. გამონადენი კი მცირეა, ლორწოვანი ან ლორწოვან-ჩირქოვანი, იშვიათად — სისხლნარევი. შარდვა გახშირებული არ არის, თავად შარდი გამჭვირვალეა ან ოდნავ მღვრიე. დაავადების მსგავსი სურათი გრძელდება 1-2 კვირის განმავლობაში, შემდეგ სიმპტომები მცირდება, თუმცა დაავადება არ ქრება, არამედ ქრონიკულ სტადიაში გადადის.

ტრიქომონოზს შესწევს ჰონოკოკების (ჰონორეის გამომწვევი მიკრობების) შთანთქმის უნარი, თუმცა არ გააუვნებელყოფს მათ. აქედან გამომდინარე, ტრიქომონადებს შეუძლიათ „გადაიტანონ“ ჰონოკოკები ერთი ადამიანის ორგანიზმიდან მეორეში. თუ პიროვნებამ იმკურნალა ჰონორეა, შემდეგ კი ტრიქომონიაზი, შესაძლებელია მას კვლავ განუვითარდეს ჰონორეის რეციდივი.



ტრიქომონოზი ხშირად უნაყოფობის მიზეზიც ხდება. ტრიქომონადები აზიანებენ საშვილოსნოს, კვერცხმავალ მილებსა და საკვერცხეებს. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ მათ მიერ შთანთქმული მიკრობები სხვადასხვა სახის მძიმე გართულებების მიზეზად გვევლინებიან.

ტრიქომონოზის დიაგნოზის დასმა შესაძლებელია პაციენტთა ჩივილების მიხედვით. გარდა ამისა, აუცილებელია დაავადების გამომწვევის — ტრიქომონადას აღმოჩენა. ეს შესაძლებელია გამონადენის (საშოდან, შარდგამომყოფი მილიდან) ან ახალგამოყოფილი შარდის მიკროსკოპიული კვლევის საფუძველზე.

ტრიქომონოზის დიაგნოსტიკას ართულებს ის, რომ დაავადება ხანგრძლივად და უსიმპტომოდ მიმდინარეობს (ფარული მატარებლობა). მკურნალობა ხორციელდება ექიმის მიერ დანიშნული სქემით (ტრიქოპოლი, ვლაგილი). მკურნალობის ეფექტიანობას განაპირობებს რამდენიმე გარემოება:

— მკურნალობის კურსი უნდა ჩაიტაროს ორივე სქესობრივმა პარტნიორმა.

— მკურნალობის პერიოდში სქესობრივი კავშირისგან თავის შეკავება აუცილებელია.

— აუცილებელია შარდ-სასქესო ორგანოების ჰიგიენური ტუალეტი.

***მაია მუხიგული***


ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**





სისხლში შაქრის საზომი აპარატები

სერტიფიცირებულია

სიახლე!!!

კომპლექტი: აპარატი; 50ც. ტესტ-ჩხირი; ავტოკალამი.

159 ლარად + 25ც. ტესტ-ჩხირი საჩუქრად!

შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4

☎ 35-44-05; 899-19-60-55



SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

## ომი მთავრდება?

ჩეჩნეთის გარშემო შექმნილი გაურკვევლობის პერიოდი დასასრულს უახლოვდება. ამის დასტურია ის, რომ მოქმედი პირე-



ბი კონკრეტულ განცხადებებს აკეთებენ რესპუბლიკის მომავალი მოწყობის თაობაზე. მაგალითად, ჩეჩნეთის რესპუბლიკის თავკაცის, აჰმად კადიროვის თქმით, სექტემბერში უნდა დამთავრდეს საჯარისო ოპერაციები და შეიქმნას სამხედრო სამინისტრო; იმავდროულად, უნდა ამუშავდეს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

შემთხვევითი არ არის, რომ პერსპექტივებზე ლაპარაკისას, ჩინოსნები ხშირად ახსენებენ სექტემბერს, როცა გაიმართება რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც დაამტკიცებს ჩეჩნეთის მიმართ შემდგომი მოქმედების საბოლოო ვარიანტს.

პოლიტიკოსთა უმეტესობა ფიქრობს, რომ რახან რუსეთმა ომი მოიგო, დამარცხებულ მოწინააღმდეგესთან საზოდიშო არაფერი აქვს და პუტინმაც არ უნდა გამართოს მოლაპარაკება მასხადოვთან. ზოგი პოლიტიკოსი თუ პოლიტოლოგი, მაგალითად, რუსლან ჰასბულათოვი და ემილ პაინი, ბოევიკებთან დიალოგის მომხრენი არიან, მაგრამ ეჭვობენ, რომ პუტინი ამაზე არ წავა — რადგან ჩეჩნეთში კრემლის პოლიტიკა სამხედროების მერკანტილური ინტერესების მძევალი გახდაო. შესაძლოა ისინი ცდებოდნენ. ბოლო ხანს კრემლი ყოველნაირად ცდილობს დააოკოს სამხედროთა მადა.

მოლაპარაკების მაგიდას პუტინი ასლან მასხადოვთან ერთად ალბათ არ მიუჯდება. შესაძლოა მახაშევთან დაიწყოს მოლაპარაკება, იგი მასხადოვმა ახლახან თავის წარმომადგენლად დანიშნა ა. ზაკაევის ნაცვლად.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №31***

## აფრიკულ ნაციონალიზმს ათასობით თეთრკანიანი შეეწირა

ზიმბაბვეში ვითარდება დრამა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროინდელ კოლექტივიზაციას მოგვაგონებს. 9 აგვისტოს ამოიწურა 45-დღიანი ვადა, რომლის განმავლობაში 2.900 თეთრ ფერმერს უნდა დაეტოვებინა თავისი კარ-მიდამო. მათ ადგილ-მამულს შავკანიანი ზიმბაბველები დაისაკუთრებენ, პირველ რიგში კი, ომის ვეტერანთა ასოციაცია. იგი ბრიტანელ კოლონიზატორებთან მებრძოლ პარტიზანებს აერთიანებს. თეთრკანიანებს უკვე წაართვეს 1000 ფერმა. წინააღმდეგობის გამწევთ პატიმრობა და ჯარიმა ელის.

თეთრკანიანებისთვის მიწის ჩამორთმევის კამპანიას ხელმძღვანელობს პირადად ქვეყნის პრეზიდენტი, საპატიო დოქტორი რობერტ მუგაბე. მუგაბე 22 წლის წინ (იგი ამჟამად 78 წლისაა) ხელისუფლებაში მოვიდა ლოზუნგით: „თეთრების მიწა — შავებს“. პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები ირწმუნებიან, მუგაბემ ოდესღაც აყვავებული კოლონია გაალატაკა, კორუფციის ბუდედ აქციაო. პრეზიდენტი მაინც ჯიუტობს — ვერავინ შემიშლის ხელს, რომ თეთრების მიწა შავებს გადავცე, წესით, მათ უნდა



ეკუთვნოდეთო. პარადოქსია, მაგრამ საბოლოოდ მაინც შავკანიანები ზარალდებიან. გამოცდილი თეთრკანიანი ფერმერები სოფლის მეურნეობის დიდ წილს აწარმოებდნენ და ასიათასობით ადგილობრივ მცხოვრებს ასაქმებდნენ. ახლა მიწა იმათ უვარდებათ ხელში, ვისაც დიდი მეურნეობის გაძღოლისთვის არც ცოდნა აქვთ და არც გამოცდილება.

***ნიუ ზუიქი***

# ევროპა ატლანტიდად იქცა

***საუკუნეზე მეტია, არ მოსწრებია ევროპას ასეთი წყალდიდობები. პესიმისტები ალაპარაკდნენ ქვეყნის დასასრულზე, წარღვნაზე. ევროპა შეშფოთებულია, ქვეყნები ლამის სამხედრო მდგომარეობას აცხადებენ, უხმობენ მოხალისეებს. ომი არ არის, მაგრამ ბევრია დაღუპული და მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება.***

***შავი ზღვის სანაპიროზე, რუსეთის სამხრეთ რეგიონში, ადგილობრივი მოსახლეობის და დამსვენებლებისათვის სტიქია მოულოდნელი აღმოჩნდა და უფრო ამიტომაც მოჰყვა ამხელა მსხვერპლი. დაიღუპა 59 ადამიანი, თუმცა მაშველები ირწმუნებიან, მათი რიცხვი გაცილებით მეტიაო. წყალმა დაფარა კრასნოდარის მხარის 15-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ანაპა და ნოვოროსიისკი. ზღვის ფსკერზე მყვინთავებმა 26 მანქანა იპოვეს, დაინგრა 15 ათასი საცხოვრებელი სახლი, დაიღუპნენ ცხოველები, განადგურდა ბაღები, სტადიონები. ადამიანები ეძებენ დაკარგულ ახლობლებს...***

## პრაღელებს სპილო დაეხრჩოთ...

პრაღის ძველი ნაწილის ზოგიერთი კვარტალიდან საჭირო გახდა მოსახლეობის ევაკუაცია, ხიდების უმეტესობა დაკეტილია. პრაღელებს ურჩევენ, თუ აუცილებელი არ არის, შინიდან ნუ გახვალთ, სამსახურშიც კი არ წახვიდეთო. მერის ბრძანებით, საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობა უფასო გახდა, ზედიზედ იხურება მეტროს სადგურები. ვითარება ძალიან სერიოზულია. პრაღის საქალაქო სამსახურს და მოხალისეებს ქალაქიდან გაჰყავთ მოსახლეობა და ტურისტები. წყალმა დაფარა ზოოპარკის ის ნაწილი, სადაც სპილოები იყვნენ, ორი იხრჩობოდა და ტანჯვის შესამსუბუქებლად ტყვია ესროლეს. პრაღელები ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა. კოკისპირული წვიმების ტალღამ ქვეყნის ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლა.



**„ნაოსნობა“ პრაღის ქუჩებში**

## წყალი აკლდა ვენეციას?..

იტალიაში მდინარეებმა ნაპირები გადმოლახა. წყალმა დაფარა პიემონტის პროვინციის ბევრი დასახლებული პუნქტი. ვენეციაში ასეთი წყალდიდობა დღეს ცოცხალ უხუცესებთაგან არავის ახსოვს. რომის ქუჩები წყლითაა სავსე.



**ელბა დრეზდენის ოპერის „სტუმარია“**

კოკისპირული წვიმების გამო ესპანეთში ტემპერატურა $-10^{0}C$-მდე დაეცა, ბარსელონაში გზები მოყინულია, ანდორას სამთავროში ისეთი თოვლი დევს, რომ თხილამურებით სრიალი შეიძლება.

## ავსტრიელები ყვინთვას სწავლობენ

ავსტრიის ხელისუფლება შფოთავს — ქვეყანაში უბედურება ტრიალებსო. ზალცბურგისა და ვენის ისტორიული ძეგლების დიდი ნაწილი წყალმა დაფარა. დაიღუპა რამდენიმე ადამიანი, ბევრი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

## არც გერმანიას ადგას კარგი დღე

გადაუღებლად წვიმს ბერლინში, ქარიშხალი ძირფესვიანად თხრის ხეებს, სახურავებს ხდის შენობებს, მაგრამ გაცილებით უარესი მდგომარეობაა გერმანიის სხვა რეგიონებში. ბავარიასა და საქსონიაში მდინარეების დონემ 9-10 მეტრით აიწია. ათეულობით დასახლებული პუნქტი მოწყდა გარე სამყაროს, დაინგრა უმშვენიერესი ხიდები.

ნაპირიდან გადმოსულმა ელბამ დრეზდენის ცენტრი დატბორა. ქალაქის მერია, მოხალისეები, სპეციალური ბრიგადები ყველანაირად ცდილობენ მსოფლიოში სახელგანთქმული მუზეუმისა და ოპერის თეატრის შენობის გადარჩენას, მაგრამ მდინარის დონე სულ უფრო მაღლა იწევს და უმძიმეს მდგომარეობას ქმნის.

დრეზდენის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაყვანილია სახიფათო ზონიდან, მაგრამ წყალდიდობამ უკვე 20 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დრეზდენის ფარგლებში ელბას დონე 9,4 მეტრია და ხელისუფლება იმედოვნებს, რომ საქსონიის დედაქალაქში ეს იქნება წყალდიდობის პიკი. თუმცა სპეციალისტი ჰიდროლოგები ვარაუდობენ, რომ წყალმა თუ დაიწია, ეს მაინც ძალიან ნელა მოხდება. ელბის დონე 8 მეტრამდე დაახლოებით 2 კვირაში ჩამოვა. ჩვეულებრივ, დრეზდენის ფარგლებში ზაფხულში ელბის წყლის დონე 2 მეტრს არ აჭარბებს.

ათასობით ადამიანის თავგანწირული მცდელობის მიუხედავად, ელბის შენაკადმა — მულდემ დამცავი კაშხალი გაარღვია და ქალაქი ბიტერფილდი დატბორა. მოსახლეობის 80% ევაკუირებულია. წყლით დაიფარა ქალაქები მიულბერგი და პასაუ. ჯერჯერობით ვერ დაზუსტდა დაღუპულთა რაოდენობა.

გერმანელი მეცნიერების ვარაუდით, სტიქიური უბედურება კლიმატის დათბობასთანაა დაკავშირებული. 1905 წლის შემდეგ მსოფლიოში ტემპერატურამ ცელსიუსის მიხედვით $0{,}7^{0}$-ით აიწია.

ევროპაში უკვე დაიწყეს წყალდიდობით გამოწვეული ზარალის დათვლა. ზუსტი ციფრის დასახელება ნაადრევია, მაგრამ სავარაუდოდ, ავსტრიამ 3 მლრდ ევრო იზარალა. ჩეხეთმა დაახლოებით 2 მლრდ ევრო, გერმანიამ კი 1 მლრდ ევრო.

***უცხოური პრესის მიხედვით***

# ვინ შეაბამს კატას ეჟვანს?

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კაბინეტებში ისე კამათობენ ერაყის ეკონომიკურ-სამართლებრივი მოწყობის საკითხებზე, თითქოს ბაღდადელი დიქტატორი უკვე ჩამოგდებული იყოს. ამ საკითხს ორდღიანი სემინარიც კი მიუძღვნეს. ბუშის ადმინისტრაცია, მართალია, ჰუსეინის ჩამოგდებაზე დაუფარავად ლაპარაკობს და პრესაში გამოქვეყნდა კიდეც „საბრძოლო გეგმა“, მაგრამ მისი განხორციელება მეტად ძნელია.

ერაყიდან დევნილმა ექვსი პოლიტიკური დაჯგუფების ლიდერებმა დაიწყეს საერთო პოლიტიკური პლატფორმის ძიება. ლიდერთაგან ყველაზე ძლიერს, აჰმედ ჩალაბს, ამერიკელი კონსერვატორი კონგრესმენები და პენტაგონის „ბოსები“ უჭერენ მხარს. საგულისხმოა, რომ მთავარი ბრძოლები ბაღდადისთვის ერაყის მიწაზე კი არა, ვაშინგტონში იმართება. ლაპარაკია ამერიკის 225.000-კაციანი არმიის ერაყში, ერთდროულად ყოველი მხრიდან შესვლაზე. ცხადია, სამხედრო ოპერაციას დიდი მსხვერპლი მოჰყვება. ამერიკელები ამუშავებენ გეგმას, თუ როგორ „გამოიტყუონ“ ჰუსეინი დედაქალაქიდან. მაგრამ არც ერაყელი დიქტატორი ზის გულხელდაკრეფილი. მან ქვეყანაში გაეროს სამხედრო ინსპექტორები მიიწვია. თუ ინსპექტორებმა ვერ იპოვეს ბირთვული იარაღის საწყობები. მაშინ ერაყს საერთაშორისო სანქციებსაც მოუხსნიან და სადამიც კარგა დიდხანს იქნება „ერაყელთა მამა“.

***ნიუ-იორკ თაიმსი***

## – ამხანაგ სტალინს „ვაჯობეთ“



### უნდა წამოვიდეთ კავკასიიდან და მოვინანიოთ

1973 წელს, საბჭოთა კავშირიდან გაყრილი დისიდენტები — მარია როზანოვა და პატიმრობამოხდილი ანდრეი სინიავსკი პარიზის მახლობლად, ძველ სახლში დაბინავდნენ. სინიავსკი აბრამ ტერცის ფსევდონიმით ბეჭდავდა საზღვარგარეთ თავის ნაწარმოებებს, ლექციებს კითხულობდა სორბონაში, წერდა წიგნებს, უშვებდა ჟურნალ „სინტაქსისს“. იგი 1997 წელს გარდაიცვალა საფრანგეთში. მის საქმეს მეუღლე, მწერალი მარია როზანოვა აგრძელებს. გთავაზობთ მცირე ამონარიდს მისი საუბრიდან:

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 11 წელი გავიდა... და მხოლოდ საზღვარგარეთ თავისუფალი გასვლის უფლება მივიღეთ, მეტი არაფერი. რაც ახლა ხდება, არაფერი აქვს საერთო არც დემოკრატიასთან და არც კაპიტალიზმთან. რუსეთი ბანანების რესპუბლიკაც კი არაა, იმიტომ, რომ არც ბანანები გვაქვს, არც რესპუბლიკა. ეს არის თვითმპყრობელობის პაროდია, არც ვიცი, რა ვუწოდო ამ წყობას. რასაც ვიმსახურებდით, ის მივიღეთ. არაფრის იმედი არა მაქვს.

...მე დავწერე სტატია რუსეთზე „კავკასიის ტყვე ქალი“. ჩვენ კავკასიის ტყვეები ვართ. იქაურობა უნდა დავტოვოთ ერთხელ და სამუდამოდ. ჩვენ უნდა წამოვიდეთ ყველა ადგილიდან, სადაც კი დამპყრობლებად მივედით. დაპყრობილი შენი მეგობარი ვერასოდეს გახდება. ამხანაგ სტალინს ჰქონდა არჩევანი — ან ომი უნდა დაეწყო მათთან, ვისაც რუსები აღიზიანებდა, ან განსაკუთრებით საშიში პიროვნებები გაესახლებინა. მან ეს უკანასკნელი ირჩია, რაც, ცხადია, აგრეთვე დანაშაულია. ახლანდელმა დემოკრატებმა ომი ირჩიეს — ჩეჩნეთის პირველი ომი და მერე მეორე. შედეგების თვალსაზრისით — ადამიანთა მსხვერპლი, მატერიალური ზარალი, რომ აღარაფერი ვთქვათ ზნეობრივზე — ჩვენ ამხანაგ სტალინს „ვაჯობეთ“. უნდა წამოვიდეთ კავკასიიდან და მოვინანიოთ. პატიება ვითხოვოთ — მეტს ამას აღარ ვიზამთო!

***ნოვიე იზვესტია №147***

## მოკლედ

**რუსეთის** გოსდუმის ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ჟირინოვსკი საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა ბოსტონში. ჟირინოვსკიმ განაცხადა, — დარწმუნებული ვარ, კატასტროფა მომიწყვეს. ჩვენს გვერდით მიმავალი მანქანა ხუთჯერ შეეცადა დარტყმას და ბოლოს კინაღამ კლდიდან ოკეანეში გადაგვაგდო. ჟირინოვსკიზე მეტად მისი თანაშემწეები დაშავდნენ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, ჟირინოვსკი ჰოსპიტალიზაციაზე უარს ამბობს.

**სალმან რადუევი**, რომელიც 2001 წელს გაასამართლეს მშვიდობიანი მოქალაქეებისა და სამხედრო პირების დახოცვისთვის, სიცოცხლის ბოლომდე იქნება პერმის ოლქის ქალაქ სოლიკამსკის მკაცრი რეჟიმის ციხეში.

**იუგოსლავიის** ყოფილი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის (მის საქმეს ჰააგის ტრიბუნალი იძიებს) მომხრეებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება სერბეთის პრეზიდენტად მისი კანდიდატურის წამოსაყენებლად. არჩევნები სექტემბერში გაიმართება.

**დაღესტანში** გაიტაცეს ნიდერლანდების მოქალაქე არჯან ერკელი, რომელიც ხელმძღვანელობდა ჰუმანიტარულ მისიას „ექიმები საზღვრების გარეშე“. მისიამ მუშაობა შეაჩერა.

**აშშ**-სა და ბელორუსიას შორის ძალზე დაიძაბა ურთიერთობა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ს. პაიფერმა მინსკს საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთი სპონსორი უწოდა. — ბელორუსიამ ერთი ნაბიჯიც არ გადადგა დემოკრატიის მხარეს და საკუთარი თავი თვითონვე მოაქცია იზოლაციაშიო, — დასძინა ს. პაიფერმა.

**საფრანგეთის** პოლიციამ შვებით ამოისუნთქა. როგორც იქნა, დააპატიმრეს ძებნილი ლუი რიცი. მან 1976 წელს, თანამზრახველებთან ერთად რამდენიმე წუთში ნიცის ბანკიდან გაიტაცა 12 მლნ დოლარი და 3,5 ტონა ოქრო.

# კალენდარი კოსმოსური რიტმების მიხედვით

**მეურნე კაცი ვარ... ბოლო 20 წელია ვადგავარ ამ გზას... თითქოს ყველაფერი ვიცი, მაგრამ თქვენი კოსმოსური კალენდარი ძალიან წამადგა. გიჯერებთ და გმადლობთ.**

*სანდრო შაიშმელაშვილი*

**(19 აგვისტო — 1 სექტემბერი)**

**19-20/VIII, თხის რქა** — ფუტკრის მკურნალობა, ხილის დაკონსერვება, ნიადაგის გასუფთავება სარეველებისაგან, კომპოსტის მომზადება.

უკვე საგრძნობლად იკლო ტემპერატურამ, მოერიდეთ გაცივებას. ბინას ნუ გაანიავებთ და ლოგინს ნუ გაამზეურებთ დიდი ხნით. მოერიდეთ ქვემო კიდურებისა და სახსრების გადატვირთვას, ეცადეთ, არ გაიღიზიანოთ კანი, მოერიდეთ გულის გადატვირთვას, რამაც საღამოს შეიძლება გამოიწვიოს ნერვული დაძაბულობა და სტრესი. ამ დღეებში ორგანიზმი კარგად ითვისებს სამკურნალო და კოსმეტიკურ საშუალებებს.



მიირთვით ხილი, ბოსტნეული, ფაფები, ხაჭო, მაწონი. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეს.

**21-22/VIII, მერწყული** — განთავისუფლებული ნიადაგის დამუშავება, თიბვა, ხეხილის გარშემო ნიადაგის მოვლა, ხეხილზე ხმელი ქერქისა და ტოტების შეცლა.

ყურადღება მიაქციეთ სახსრებს, მხედველობის ორგანოს, სისხლის მიმოქცევის სისტემას. აუცილებელია ოთახის განიავება, ლოგინის გამზეურება, დილით და ძილის წინ სუფთა ჰაერზე ყოფნა. მიზანშეწონილია მკურნალობა გულზე, ხერხემალსა და დიაფრაგმაზე. მოერიდეთ ნებისმიერ ოპერაციულ ჩარევას. 22 აგვისტოს მოსალოდნელია მოთენთილობა და მაღალი ემოციურობა. სამაგიეროდ ამ დღეს კარგია ახალი საქმის წამოწყება, ფიზიკური ვარჯიშის დაწყება.

მოერიდეთ მწარე და ტკბილ საკვებს, მიირთვით ხილი, თხილი, რძის პროდუქტები. თავი შეიკავეთ ბევრი სითხისა და ალკოჰოლისაგან.

**23-24-25/VIII, თევზები** — ნიადაგის განოყიერება და რწყვა, დეკორატიული მცენარეების რწყვა, ბალახის თიბვა. მიუღებელია ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვება და შენახვა.

აუცილებელია ბინისა და ლოგინის განიავება, ღრმა სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება. ნუ გადატვირთავთ ტერფებს, ხელის მტევნებს. აუცილებელია ორგანიზმის გაკაჟება შხაპით. მოსალოდნელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობისა და წნევის ცვალებადობა. შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა.

მიიღეთ პარკოსნებისაგან დამზადებული კერძები. ასევე ცხარე და სამარხვო საკვები. გამორიცხეთ ალკოჰოლი.

**26-27/VIII, ვერძი** — თიბვა და ზვინის დადგმა 6 სექტემბრამდე, სარეველების მოსპობა, ხეხილის გარშემო ნიადაგის გადაბარვა, თავისუფალი ნიადაგის დამუშავება. ხილის, ბოსტნეულისა და სოკოს კრეფა გასახმობად. მურაბების, ჯემის, საწებლებისა და წვენების მომზადება.

აუცილებელია ბინისა და ლოგინის განიავება, ღრმა სუნთქვითი ვარჯიშები, ნუ გადატვირთავთ თავის არეს და მხედველობას. ამ დღეებში ირღვევა ადამიანის ნორმალური მდგომარეობა, ცვალებადობს არტერიული წნევა, მოსალოდნელია ტკივილები თავისა და მუცლის არეში. ყურადღება მიაქციეთ თირკმლებს. აუცილებელია მასაჟი და შხაპი.

ნუ მიირთმევთ ხორციან კერძებს და ალკოჰოლს.

**28-29-30/VIII, კურო** — ნიადაგის გასუფთავება, ნარჩენების დაწვა, კომპოსტის მომზადება, კარტოფილის ამოღება, ნიადაგის ორგანული სასუქით განოყიერება, თიბვა.

მოუფრთხილდით ნერვულ სისტემას, სმენის ორგანოს, ყელის არეს, სასუნთქ გზებს, თანდათან შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა, აუცილებელია აბაზანისა და შხაპის მიღება, ყურადღება მიაქციეთ ღვიძლს, მენჯბარძაყის, ხერხემლის არეს. ერიდეთ სწრაფ მოძრაობებს, მძაფრ განცდებს, ნერვულ სტრესებს.

ამ დღეებში შესაძლებელია ნებისმიერი საკვების მიღება ხშირად და მცირე ულუფებით.

**31/VIII-1/IX, მარჩბივი** — ნიადაგისა და ოთახის ყვავილების რწყვა, ხეხილის შტამბების დამუშავება, გაწმენდა, ხმელი ტოტების შეცლა, ნიადაგის დამუშავება და გაფხვიერება, ნაკელის ან კომპოსტის შეტანა, ზამთრისათვის ბოსტნეულისა და ხილის შენახვა. მრავალწლიანი ყვავილების გაყოფა და გადარგვა.

ბინისა და ლოგინის განიავება-გამზეურება. აუცილებელია დილით და ძილის წინ სუფთა ჰაერზე ყოფნა. ყურადღება დაუთმეთ სასუნთქ ორგანოებს. კარგია ერთკვირიანი შიმშილის დაწყება. მოერიდეთ ფიზიკურ და ემოციურ გადატვირთვას, უარყოფითი ემოციების გამომწვევ ინფორმაციას, ვინაიდან მოსალოდნელია სტრესი და ფიზიკური მოთენთილობა.

მოერიდეთ ხორცს და ალკოჰოლს, ძირითადად იკვებეთ რძის ნაწარმით, ხილით და რუხი პურით.



# ქართული პურის მადლი

***„კვირის პალიტრაში“ (8-14.07.02) ჟურნალისტ ზვიად ჩაკვეტაძის ფრიად საყურადღებო და საჭირბოროტო წერილი გამოქვეყნდა: „ამერიკიდან ხორბალი ადგილობრივი ფერმერების გასაკოტრებლად შემოიტანეს?“***

ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „პურპროდუქტების“ კორპორაციის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ ქართული ხორბალი და მისი ფქვილი უვარგისია; მეორე მხრივ, მეცნიერები, ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები საპირისპიროს ამბობენ: ქართული ხორბალი მსოფლიოში საუკეთესოაო. ვის დავუჯეროთ? ამ საკითხში მე საკმაო გამოცდილება მაქვს.

სამწუხაროდ, ჩვენში გავრცელებული სენია: ტრადიციული ქართული ნაწარმისა თუ წეს-ჩვეულების დამცირება და აბუჩად აგდება, საზოგადოდ, ეროვნული არასრულფასოვნების ისედაც ღრმად დამკვიდრებული გრძნობის გაღვივება და გაძლიერება. დავუკვირდეთ ლოგიკურად: ქართველი კაცისათვის პური ყოველთვის მთავარი საკვები იყო; ქართველები და კავკასიელები (უბედურ 1990-იან წლებამდე) გამოირჩეოდნენ მსოფლიოში ყველაზე მეტი საშუალო დღეგრძელობით; ეს შეუძლებელი იქნებოდა, ქართული პური რომ მავნებელი ყოფილიყო (ისევე, როგორც სხვა ეროვნული სასმელ-საჭმელი!) და კიდევ ერთი: ქართველურმა ტომებმა შექმნეს მეპურეობის ერთ-ერთი უძველესი კერა მსოფლიოში და ხორბლის უძველესი კულტურული ჯიშების დიდი ნაწილი ჩვენი წინაპრების მიერაა გამოყვანილი. მსოფლიოში ამჟამად მცხოვრებ ერებს შორის ვერ დავასახელებთ ვერც ერთს, რომელსაც მეპურეობის (და აგრეთვე მეღვინეობის) ისეთი ძველი და მდიდარი წარსული ჰქონდეს, როგორიც ქართველებს.

ამ საკითხებს, გარდა ჯანმრთელობისა და გემოვნებისა, მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეც აქვს. უკვე 1990 წელს გამოვაქვეყნე წერილი „შრომა და თავისუფლება“ (გაზეთი „თბილისი“, 14.08). მასში, სხვა საკითხებთან ერთად, ვასაბუთებდი, რომ საქართველო ვერ იქნება ნამდვილად დამოუკიდებელი, თუკი მას არ შეეძლება საკუთარი თავის გამოკვება, ხოლო ამ მხრივ უპირველესი — ესაა პური. ესეც ქართული პურის მადლი უნდა იყოს.

სამწუხაროდ, ამ წერილში აღძრულ საკითხთაგან თითქმის ყველა ამჟამადაც ისევე საჭირბოროტოა, როგორც მაშინ, 12 წლის წინ იყო. საქართველოს თითქმის არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები წინ, თუნდაც თავისუფლებისკენ. უფრო უარესიც — საქართველოსთვის ჩვეულებრივი მდგომარეობა გახდა უხარისხო ლუკმაპურის მათხოვრად ყოფნა. ეს კი ძალიან ხელსაყრელია მათთვის, ვინც ამით მილიონებს შოულობს და მათთვისაც, ვისაც საქართველო მუდმივ ლაქიად წარმოუდგენია.

აქაა ძაღლის თავი დამარხული: იმიტომ გახდა ქართული ხორბალი „უვარგისი“, იმიტომ არ უნდა ჩაიბაროს საქართველოს სახელმწიფომ ადგილობრივი წარმოების კარგი, ეკოლოგიურად სუფთა ხორბალი, იმიტომ არ უნდა განვითარდეს საქართველოში მემარცვლეობა. ზოგიერთი იმასაც „დაამტკიცებს“, რომ საქართველოს არ ძალუძს საკუთარი თავის გამოკვება; ანდა რომ უმჯობესია, მხოლოდ „ბორჯომი“, ღვინო, ჩაი და ციტრუსი აწარმოოს და ამით მოიპოვოს პურიც, ყველიცა და ხორციც; მონოკულტურა რომ დამღუპველია, ამ საყოველთაოდ ცნობილ კანონზომიერებასაც უარყოფენ მავანნი... ქართველი კაცი ლუკმაპურისთვისაც კი ხელისუფლებასა და სხვა სახელმწიფოებზე უნდა იყოს დამოკიდებული — აბა კაცს რომ საკუთარი ყველ-პური ექნება, დანაყრდება, ღვინოსაც დააყოლებს, წელში გაიმართება, გაამაყდება, რაღაცნაირი ფიქრები გაუჩნდება, გაიხედავ და აღარც უფროსებს დაემორჩილოს იქნება და აღარ გააყიდვინოს მთელი საქართველო... განა ის არა ჯობია, რომ ყოველდღიურად ახსოვდეს: „მამაო ჩვენო მარჩენალო, პური ჩვენი არსობისა გვიშოვე უცხოეთში და მოგვეც დღეს!“ და კიდევ: „მამამ სათბობ-საწვავი შეშა მოგვიტანა, ვის ჰყავს მამა ჩვენისთანა!“

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველები მთელ რუსეთის იმპერიაში პირველ ადგილზე ვიყავით ერთ სულ მოსახლეზე მაღალხარისხოვანი ყველის, ფქვილის, ღვინის, თაფლის, ხილისა და სხვა სასოფლო ნაწარმის ექსპორტით. სხვათა შორის, საინტერესოა: აგრეთვე ერთ სულ მოსახლეზე მწერალთა და საზოგადოდ ხელოვანთა, მეცნიერთა, თავად-აზნაურთა, ოფიცერთა, პოლიტიკოსთა (და აგრეთვე მოღალატეთა) რაოდენობითაც. ფრიად დასაფიქრებელია ეს ყოველივე.

**ზურაბ ვახანია,**

***მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი***

# ეს ყველა ქართველის სათქმელია!...

***„თქვენი წკიპურტიც კი გვწყინსო და ჩვენს პანღურს კი ნუ იწყენთო. რა ნაბიჭვრები ჩვენა ვართ ამ წუთისოფლისა, რომ ამას გვეუბნებიან, ამით გვითათბირებენ. რას გვიქვიან აქ ლიბერალობა, ან რეტროგრადობა, როცა ჩვენს ვინაობას, ჩვენს თავ-ბედს ასე აბიაბრუებენ და ძირიანად სთხრიან! მარტო მხდალი და ლაჩარი ამისთანა ლათაიებს მიზეზად დაიხვევს ხოლმე ხელზე, როცა სხვისა ნაფურთხალს ხმაამოუღებლივ ჰლოკავს და სხვის ლანძღვა-თრევას ხმაამოუღებლივ იტანს, რომ მერე გაქცევა, უკუდგომა და ხმაამოუღებლობა ლაჩრობაში არ ჩამომართვანო. ჯერ სამაგისოდ, ღვთის მადლით, არა გაგვჭირვებია-რა. გული იმოდენად კიდევ შეგვრჩენია, იმოდენად კიდევ გვერჩის, რომ ჩვენს ვინაობას ვუპატრონოთ და ქართველობის სახელი სალანძღავ-სათრევად არ დავანებოთ არავის“.***

***ილია, „ქვათა ღაღადი“.***

**მე ასე მგონია — თქვენ ყველაზე ქართული გაზეთი ხართ — ჭეშმარიტად მართლმადიდებლური.**

**ნაწერი მომაქვს ფსევდონიმით, რადგან ეს ყველა ქართველის სათქმელია.**

**არ მიწყინოთ და მისი გამოქვეყნება თქვენი ვალია.**

**მაპატიეთ ასეთი კატეგორიულობა.**

● ● ●

ვინ? — ღმერთო ჩემო, დიდება შენდა,
ვის? — დაცინვაა მართლა საწუთრო,
ამ უტიფრობამ ლამის შემშალოს,
უმადურობამ გული დაწუროს.
ვინ მეცილება ხახულს და ბანას
... ანისის ამღებს, ურდოთა დამქცევს.
გამითავხედდნენ... ილია მოკვდა,
არავინაა, პასუხი გასცეს.
ჯვარზე ქართული სისხლი ადუღდა,
გულში ვიურვებ საშინელ რისხვას,
ჩემი ნათრევი წარსულის ძალით,
მიფერმკრთალებენ ჯიშსა და ჯილაგს.
განგაშის დროა, ჩაგვთვლიმა ხრამზე,
გვმართებს ვაფხიზლოთ ჩვენში გენები,
ერთ მუშტად დავდგეთ, ვიდრე ალგეთზე
დაგვეზრდებიან ისევ ლეკვები.
განგაშის დროა, წარსულს გვართმევენ,
ზარების რეკვით ზეცა გადავხსნათ,
იქნებ მოვიდა ის დრო ნანატრი,
რომ ამირანი იმ კლდიდან ავხსნათ.
და ჩემი ერი ხელახლა აღსდგეს
სიამაყით და რწმენით გამთბარი,
თორემ ცისკარამ თუ ვერ ივარგა,
დევებს დარჩებათ ზღაპრად მთა-ბარი.
ვის? ღმერთო ჩემო, დიდება შენდა,
აღმაშენებლის მოდგმას, ნაშიერს?!
მხოლოდ იმისთვის, რომ ვაპურებდი?
ყველა მათხოვარს და ყველა მშიერს!

*„ქართველი-ქართველთაგანი“*


**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“**

*აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:*

◆ იურიდიული; ◆ ქართული ენა და ლიტერატურა; ◆ ჟურნალისტიკა; ◆ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა; ◆ საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; ◆ ფინანსები და კრედიტები; ◆ საბანკო საქმე; ◆ უცხო ენები; ◆ დაწყებითი განათლების პედაგოგიკა; ◆ სკოლამდელი აღზრდა.

წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ. ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან გადასახადისგან 50%-ით

საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-17 სთ-მდე. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №178, მე-18 საშ. სკოლა („დინამოს“ სტადიონთან). ტელ: 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07

**„ტოპ-პროფი“ ფირმის**

**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**

**ძალიან იაფად**

**ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...**

**ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია**

მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით

☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

**შპს „გეოკორი“**



აწარმოებს **ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად**

მის: აკურის ქ. №8 (საორგის სასახლის უკან), ოთ. 118

ტ: 33-26-75; 38-24-02


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 17 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1900 |
| ევრო | 2,1446 |
| ინგლ. ფუნტი | 3,4661 |
| რუსული რუბლი | 0,0690 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3050 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ბაქრაძის საბავშვო ბაღის დეკლამატორი

ეს ამბავი კარგა ხნის წინ მოხდა. თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე იყო ძალიან ცნობილი საბავშვო ბაღი, ბაქრაძის ბაღს ეძახდნენ (ახლაც პრესტიჟულ საბავშვო ბაღად ითვლება). ის დრო იყო, როდესაც კოსმოსში გაფრინდა პირველი კოსმონავტი ქალი, ვალენტინა ტერეშკოვა.



ახალი წელი ახლოვდებოდა და იყო ერთი მზადება, სიხარული. ზეიმზე მოიწვიეს საპატიო სტუმრები ცეკადან, განათლების სამინისტროდან და რაიკომიდან. დიდი სუფრაც გაშალეს.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებში ერთი გოგონა გამოირჩეოდა, 4 წლის თინიკო ჯ. ძალიან ნიჭიერი, ზრდილი, ცნობილი მამის შვილი და ყველაზე კარგი დეკლამატორი. ისე კითხულობდა ლექსებს, მსახიობი გეგონებოდათ, ამიტომ ძალიან გათამამებული იყო ბაღში და ყველას გამორჩეულად უყვარდა.

... დადგა ზეიმის დღე. საბავშვო ბაღი, აღმზრდელ-მასწავლებლები და რა თქმა უნდა, ბავშვებიც მორთულ-მოკაზმულები არიან. მობრძანდნენ სტუმრებიც და დაიწყო ზეიმი. პატარები მღერიან, ცეკვავენ, ლექსებს კითხულობენ და სცენიდან საჩუქრებით ბრუნდებიან. თინიკომაც იმღერა და დიდი დათუნიაც გადასცა ცეკას წარმომადგენელმა.

ბოლოს, სამინისტროს ინსტრუქტორმა იკითხა, აბა, ახლა თუ ვინმემ იცის რუსული ლექსიო. რამდენიმემ ხელი ასწია. მათ შორის თინიკოც იყო და არჩევანიც მასზე შეჩერდა. გამოვიდა გოგონა მეორე საჩუქრის იმედით და თვალებგაბრწყინებულმა დასცხო, მაგრამ რა დასცხო:

*ვალენტინე ტერეშკოვე*
*ზა პოლიოტ კოსმიჩესკიი,*
*პოდარილი კოსმონავტი —*
*ხ..ი ავტომატიჩესკიი...*

რა მოხდა, იცით? დარბაზი გაისუსა, პედაგოგები გაშრნენ, მშობლები ხმას არ იღებენ, მაგრამ მოწვეულმა სტუმრებმა თავი ვერ შეიკავეს და სიცილ-სიცილით გადიოდნენ მეორე დარბაზში, სადაც სუფრა იყო გაშლილი. იმათ კი კარგად მოილხინეს, მაგრამ გაოცებულ თინიკოს ვერ გაეგო, რატომ არ მისცეს მეორე საჩუქარი...

როგორც გაირკვა, თინიკოსთვის ლექსი მეზობლის გოგონას უსწავლებია.

P.S. ახლაც კი, ამდენი ხნის შემდეგ, როცა შევხვდებით მშობლები ერთმანეთს, არ შეიძლება ეს შემთხვევა არ გავიხსენოთ.

***ლელა ნიჟარაძე, თბილისი***

### ქართული კურიოზი ხარკოვიდან

## მომწერე მერე, როგორ დაგხვდება ბებიაშენი!..



ხარკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტში სწავლობდა ჩემი მეგობარი, სამტრედიელი თემურ ახობაძე. არ იყო ცუდი სტუდენტი, მაგრამ ერთ სემესტრში მასალათგამძლეობაში უზარმაცია და გამოცდაზე არც მთლად მომზადებული გასულა. როგორც პირველკურსელს, გადაუწყვეტია, რუსული ენის არასრულფასოვანი ცოდნისთვის გადაებრალებინა თავისი სიზარმაცე.

ბილეთის აღებიდან მთელი ნახევარი საათი გულმოდგინედ, თავაუღებლად წერდა თურმე რაღაცას და გამომცდელთან რომ გავიდა საპასუხოდ, თაბახის ორი ფურცელი გადასცა ლექტორს, ქართული ნაწერით აჭრელებული (რომელსაც რამდენიმე ფორმულაც „ამშვენებდა“).

გამომცდელს გაკვირვებით შეუხედავს, თემურს დარცხვენით, დამტვრეული რუსულით აუხსნია: — პატივცემულო, თქვენი საგანი კი ვიცი, აი, ქართულადაც დავწერე, მაგრამ ენა არ მაქვს ჯერ გატეხილი და მრცხვენია ყველას გასაგონად რუსულად საუბარიო.

სინამდვილეში, ფურცელზე მთელი სიზუსტით იყო აღწერილი, როგორ გამოაცილეს ახლობლებმა სამტრედიიდან. განსაკუთრებული სისათუთით მართა ბებიასთან გამოთხოვების სცენა იყო ასახული.

ბალანოვსკიმ (გამომცდელის გვარია) ერთხანს ათვალიერა ნაწერი, მერე ჩვენს თემურს მიუბრუნდა და სუფთა ქართულით უთხრა:

— ახობაძე, მოგართმევ ახლა დიდთავიან ორიანს, მიგარიცხავ ამ ინსტიტუტიდან და მომწერე მერე, როგორ დაგხვდება ბებიაშენი მართა სამტრედიის სადგურში!

თურმე წინაკურსელ ქართველებს ვერ მოუსწრიათ თემურის გაფრთხილება, ბალანოვსკი საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი რომ იყო...

***მადონა კაპანაძე, ხარკოვი***

## იყავით თუ არა არჩევნებზე? პაროდიის კუთხე

## ტესტი



**1) არჩევნებში გაიმარჯვა იმ პარტიამ, რომელსაც თქვენ მიეცით ხმა, თქვენ:**

ა) ულოცავთ პარტიას გამარჯვებას (1).

ბ) გილოცავთ პარტია გამარჯვებას (2).

გ) ამით ჩვენს ცხოვრებაში არაფერი არ იცვლება (1000).

**2) თქვენი მეზობელი არჩევნებზე წავიდა ძაღლით, თქვენ:**

ა) წახვედით თქვენი კატით (1).

ბ) წახვედით მეზობლის ძაღლით (2).

გ) წახვედით თქვენი კატით და დაბრუნდით მეზობლის ძაღლით (1000).

**3) თქვენი მეგობარი არჩევნების დღეს ძალიან ავად იყო და თქვენი ყურადღება სჭირდებოდა:**

ა) თქვენ მიატოვეთ იგი და არჩევნებზე წახვედით (ქულის ღირსი ხართ?!).

ბ) წაიყვანეთ თქვენი მეგობარი არჩევნებზე საკაცით (2).

გ) თქვენმა მეგობარმა გითხრათ, — თუ გინდა, წადიო (1000).

**4) არჩევნების შემდეგ კვლავ ამჩნევთ ქალაქში გაკრულ პოლიტიკოსთა პლაკატებს, თქვენ:**

ა) ჩამოხსნით (1).

ბ) ჩამოხევთ (2).

გ) აუ, შენც მოიფიქრე რა რამე, მარტო მე რომ ვწვალობ (1000).

**5) როგორ მოემზადეთ არჩევნებისთვის:**

ა) შეიჭერით თმა დაბალზე (1).

ბ) ჩაიცვით ღია ფერის ტანსაცმელი (2).

გ) ეს კი არა, შხაპიც არ მიგიღიათ (1000).

**6) სამსახურში მიხვედით დაგვიანებით და უთხარით უფროსს:**

ა) „არჩევნებზე ვიყავი“ (1).

ბ) „და იმიტომ“ (2).

გ) „დავიგვიანე“ (1000).

**7) ტესტის მეშვეობით გეძლევათ შანსი კიდევ ერთხელ დააფიქსიროთ თქვენი აზრი:**

ა) სოციალისტური პარტია (0).

ბ) ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია (0).

გ) ლეიბორისტული პარტია (0).

დ) ნაციონალისტური პარტია (0).

ე) ახალი მემარჯვენეები (0).

ვ) აღორძინება (0).

ზ) მოქალაქეთა კავშირი (0).

თ) და ა.შ. (0).

## ტესტის პასუხები:

**თუ თქვენ დააგროვეთ 10 ქულამდე, მაშინ თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ ხელისუფლების იმედი და მიგაჩნიათ, რომ რიგი საკადრო ცვლილებები დადებით როლს ითამაშებს ხალხის კეთილდღეობისათვის. ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი...**

**თუ თქვენ დააგროვეთ 10-დან 1000 ქულამდე, მაშინ თქვენ, მგონი, კენჭს იყრიდით რომელიღაც პარტიის სახელით და არ ამხელთ. ისე დროზე რომ გეთქვათ, ხმას მოგცემდით.**

**თუ თქვენ დააგროვეთ 1000-ზე მეტი ქულა, მაშინ თქვენ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გაქვთ და ასეც უნდა იყოს, თუ შენით არ იჩალიჩე და რამე არ მოიფიქრე, არავინ არ დაგეხმარება, თუ არ შეგატყო, რომ რაღაცის პოტენცია გაქვს. კაი, ახლა მეტს ველარ გელაპარაკები, მეწერება, გნახავ მერე... კაი, პაკააა... ტუუ, ტუუ...**

***ტესტი თქვენთვის „გაახერხა“ ზაქრო ინწკირველმა***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

# მკითხველის — — საყვარელი ანეკდოტი

— მიხომ ცოლი მოიყვანა, უკეთესს ვერ ინატრებ. ოთხი შვილი მოჰყვა, ოთხივე ბულასავით ბიჭი და ოთხივეს სხვადასხვა გვარი აქვს! მაგრამ მიხო დაიჭირეს — უშრომელი შემოსავლის მითვისებისთვის (გორბაჩოვის დრო იყო).

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***





კახელი გურულ ძმაკაცს ესტუმრა ჩოხატაურში.

ერთკვირიანი მასპინძლობის შემდეგ, გამომშვიდობებისას კახელი ეკითხება გურულს:

— აქა, თქვენთანა, კაცი რო გაგიჟდება ხოლმე, ჭკვიანებისგან როგო არჩევთ?

***გია პატარიძე, თბილისი***

მიხომ 8 წლის ბიჭი მიიყვანა სტომატოლოგთან. დიდი დავიდარაბის შემდეგ ექიმმა ბიჭს კბილი ამოუღო და გასამრჯელოდ 30 ლარი მოითხოვა. გაგიჟდა მიხო, აკი ხუთი ლარი ღირსო?!

— ხუთი ლარი კი ღირს, მაგრამ ისე ღრიალებდით მამა-შვილი, 6 კლიენტი გამიქციეთ!

***ლევან ყუფარაძე, თბილისი***





სვანს ახალი „მერსედესი“ ჰყავს. დაეჯახება ქუთაისელი და შეუჭყლეტს წინა კარს. გადაირევა სვანი, მაგრამ ქუთაისელი დაამშვიდებს: „ნუ გეშინია, შენი „მერსედესი“ ახალი მოდელია, უკან, „გლუშიტელში“ ჩაბერავ და ხუთ წუთში კარები გაიბერებაო.

სვანმა რომ ჩაბერვა დაიწყო, ქუთაისელმა დრო იხელთა და მოუსვა. გამოიარა მეორე სვანმა და დაინტერესდა, რას აკეთებო. როცა გაიგო, რაც ხდებოდა, ხელები გაშალა და წამოიძახა:

— შე სულელო, როგორ გაიბერება ეს კარი, ლუქი ღია გქონია!

ჭიჭიკია საზღვარგარეთიდან დაბრუნდა, ახალი მანქანაც ჩამოიტანა, მალაზიაც იყიდა, ერთი სიტყვით, აიწყო ცხოვრება.

ბიჭიკია ეკითხება, — სად იშოვე, ბიჯო, ამდენი ფული, რათ მუშაობდი საზღვარგარეთო.

— რათ ვმუშაობდი და შვეიცარი ვიყავი! — ამაყად უპასუხა ჭიჭიკიამ.

— რაია შვეიცარი? — დაინტერესდა ბიჭიკია.

— რაია და დგახარ დიდ შენობაში, კართან ახალ კოსტუმში გამოწყობილი, დარეკავს ვინმე ზარს, გოუღებ, შემოვა და მერე დაკეტავ კარს. გასვლა მოუნდება, გოუღებ და ისევ დაკეტავ. მერე კიდევ დარეკავს ვინმე ზარს და კიდე გოუღებ, კიდე დაკეტავ, კიდე გოუღებ...

— ბიჯო, შენ შვეიცარად კი არა, „პრუჟინად“ გიმუშავია და მატყუებ აქანა რაღაცას!



***შოთა ტყეშელაშვილი, ქუთაისი***

C M Y K

# «სახე» არ დაბრუნდება...

— ვარ ჯგუფ „სახეს“ და დათო ფორჩხიძის ერთგული მსმენელი. მაკვირვებს ესტრადიდან დათოს გაუჩინარება. საბოლოოდ ხომ არ დაიშალა ეს ჯგუფი? რას საქმიანობს დათო ფორჩხიძე და აპირებენ თუ არა ჯგუფის წევრები კვლავ გაერთიანებას?

*ანი დოლიძე*


ჯგუფი „სახე“: მარცხნიდან — გოგა ხაჩიძე, დათო ფორჩხიძე და დათო ხუჯაძე

კითხვაზე უპასუხებს **დათო ფორჩხიძე:**

— ამჟამად მაქვს ჩემი ხმის ჩამწერი სტუდია. ესტრადაზე არ ვჩანვარ, რადგანაც სამწუხაროდ, დღეს ყველაზე მასხრად ასაგდები პროფესია მომღერლის გახლავთ. ამიტომ არანაირი სურვილი არ მაქვს ვიმღერო. თუ წარვდგები მაყურებლის წინაშე, აუცილებლად ახალ ამპლუაში. ეს იქნება დახვეწილი და მაღალი ხარისხის მუსიკა. თუ ეს აქ ვერ შევძელი, საზღვარგარეთ წავალ.

რაც შეეხება „სახეს“, მისი ძველი სახით აღდგენა ახალს არაფერს მოიტანს. „სახეში“ ვაკეთებდი იმას, რაც მომწონდა და ჯგუფი საინტერესო იყო. ამაზე მეტყველებს თუნდაც თქვენი მკითხველის წერილი. წლების წინ შესრულებულ სიმღერებს უკვალოდ არ ჩაუვლია, დღესაც ახსოვთ და უსმენენ. ეს კი ალბათ იმის დამსახურებაა, რომ პირველ რიგში პროფესიონალები ვართ.

მე გაერთიანების წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ვიცი, რომ დათო ხუჯაძეს სხვა გეგმები აქვს. თუმცა, კვლავ გავიმეორებ, თუკი მომავალში „შეიქმნება“ ჯგუფი „სახე“, იგი არავითარ შემთხვევაში არ იქნება ძველი ტრადიციების გამგრძელებელი. ახალი „სახე“ რადიკალურად განსხვავებული უნდა იყოს. დღევანდელი რეალობა უფრო მეტს მოითხოვს. ამიტომაც ვაპირებ შევქმნა სადღეისოდ ჩვენში „დამკვიდრებული“ მუსიკისგან სრულიად განსხვავებული, მაღალი პროფესიული დონის მუსიკა და ამისგან არც ისე შორს ვარ.

# ინტერნეტი 40 წლისაა?!

— გთხოვთ გვიპასუხოთ, ვინ, როდის და რა მიზნით გამოიგონა ინტერნეტი?

*დავით მინაძე*



— აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ, 1962 წელს დაიწყო ქსელის მომზადება. იმედოვნებდნენ, რომ ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ცენტრებს ინფორმაციის სწრაფი გაცვლით საკუთარი საქმიანობის შედეგის გაუმჯობესება გაუადვილდებოდათ და ეფექტი მართლაც განსაცვიფრებელი იყო. 1969 წელს ამ ქსელში ჩაერთო აშშ-ის ოთხი უნივერსიტეტი, ხოლო 1972 წელს გაიგზავნა პირველი e-mail-ი (ელექტრონული წერილი).

გლობალური სისტემა თავდაპირველად სულაც არ ისახავდა მიზნად ასეთ ფართო და გამარტივებული მოხმარების წესს. დღეს ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია ინტერნეტის მეშვეობით გაერთოს ან აწარმოოს სერიოზული, სამეცნიერო საქმიანობა.

# ქართველი მეფეების სასახლეები

— მეგობრების წრეში ხშირად გვიმსჯელია, თუ სად მდებარეობდა ქართველი მეფეების რეზიდენცია. გვიკამათია და როგორც ჩანს, არც ერთ ჩვენგანს სათანადო და შესაფერისი მონაცემები არ გაგვაჩნია. გთხოვთ, მოგვითხროთ ამის შესახებ.

*ალეკო დონდუა*

კითხვაზე უპასუხებს **ჯაბა სამუშია**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი


**დარეჯანის სასახლე**

სასახლის აღმნიშვნელად ძველ ქართულში სხვადასხვა ტერმინს ვხვდებით. V-X საუკუნეებში მას ეწოდებოდა „ტაძარი“, „პალატი“. X საუკუნიდან ძირითადად „დარბაზი“ და „სრა“ იხმარებოდა. უშუალოდ სიტყვა სასახლე, რომელსაც თანამედროვე ქართულში ვხმარობთ, XV საუკუნიდან უნდა დამკვიდრებულიყო.

საქართველოს მეფეებს გააჩნდათ ძირითადი და დროებითი (სეზონური) რეზიდენცია-სასახლეები. დროებითი რეზიდენციაც თავის მხრივ იყოფოდა საზაფხულო, საზამთრო და სანადირო სასახლეებად.

ქართლის მეფეთა ძირითადი რეზიდენცია ჯერ მცხეთაში მდებარეობდა, შემდეგ კი თბილისში. მაგალითად, ვახტანგ გორგასლის ძემ, დაჩიმ თბილისი შექმნა „სახლად სამეუფოდ“. ტაო-კლარჯეთის მეფეების რეზიდენცია არტანუჯი იყო, კახთა მეფეებისა — ჯერ თიანეთი, მოგვიანებით კი თელავი. აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს მეფეების ძირითადი სასახლე ქუთაისში მდებარეობდა.

მეფის მთავარ რეზიდენციას წყაროებში „სახლი სამეუფო“, „საჯდომი“ ეწოდება. X-X სს-ში თბილისის განთავისუფლებამდე ქვეყნის დედაქალაქს ქუთაისი წარმოადგენდა და შესაბამისად, მეფეთა მთავარი რეზიდენციაც იქ იმყოფებოდა. ამიტომაც იყო, რომ ბაგრატ V-მ ქუთაისში, მის „სამკვიდრო სასახლეში“ შეკრიბა მოდავე ოპიზარნი და მიძნაძორელნი. დავით V ალმაშენებელმა კი თბილისი აქცია „საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“.

მეფის რეზიდენციაში ტრიალებდა მომსახურე პერსონალთა მთელი დასი. აქ თავს იყრიდა ასობით ადამიანი. ამიტომ, სასახლეში ძირითადი შენობის გარდა, იყო სხვადასხვა დანიშნულების დიდი თუ პატარა დამხმარე ნაგებობები, მარნები, ბეღლები, საჯინიბო. სასახლე ძლიერი გალავნით იყო გარშემორტყმული. შუა საუკუნეებში მართალია, მეფეს გააჩნდა მთავარი სასახლეები (მაგალითად, ქუთაისის სასახლე, თბილისში — ისნის სასახლე და სხვა), მაგრამ ამას გარდა არსებობდა სხვა სამეფო „სადგომები“ ანუ სასახლეები, რომლებიც მთელ ქვეყანაში იყო გაბნეული. დედაქალაქში მეფის არყოფნის შემთხვევაში, მთელი სასახლის აპარატი მასთან ერთად მოგზაურობდა. ასე რომ, სადაც მეფე იმყოფებოდა, იქ იყო მისი სამდივნოც, რომლის მეშვეობითაც ახორციელებდა მონარქი ქვეყნის მმართველობას.

X-X საუკუნეების წყაროებში დასტურდება მრავალი სასახლე, მათ შორის: გეგუთის, მუხრანის, ნაჟარმაგევის, ფანასკერტის, ნადარბაზევის, დიდგორის, ტაბახმელის, კოჯრის, დიდუბის და სხვა. მეფეს სასახლეები გააჩნდა ქვეყნის ყველა საერისთაოში.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგაც იმერეთის, ქართლისა და კახეთის მეფეებსაც რამდენიმე სასახლე გააჩნდათ (მაგალითად, იმერეთის მეფეებს ქუთაისის სასახლის გარდა, თავიანთი დროებითი რეზიდენციები ჰქონდათ სკანდაში, ჭალატყეში, გელათში და სხვა. კახეთის მეფეებს სასახლეები ჰქონდათ თელავში, გრემში, შუამთაში, სიღნაღში და სხვ.).

რამდენიმე რეზიდენცია ჰქონდათ ასევე დიდებულებსაც და საეკლესიო იერარქებსაც (მაგ. გურიელს 10-მდე სასახლე ჰქონია. ლევან დადიანს 12-მდე სასახლე ჰქონდა მთელ ოდიშში). დღეისათვის სრული სახით არც ერთი სამეფო სასახლე არ არის შემორჩენილი, ნანგრევების სახით კი — გეგუთის, თელავის, ქუთაისის და ნადარბაზევის.

# მერია გაკვირვებულია, ელენე თევდორაძე კი კვლავ დაზარალებული



„კვირის პალიტრის“ №30-ში გამოქვეყნებულ მასალაში — „ელენე თევდორაძე დაზარალებულია“, მიწისძვრით დაზარალებულ მოქალაქეს აინტერესებდა მართლა გადასცა თუ არა ქალბატონ ელენე თევდორაძეს თბილისის მერმა ახალი ბინის გასაღები. მიწისძვრისგან დაზარალებული ქ-ნი ელენეს განმარტებით, მას მერიისაგან არანაირი დახმარება არ მიუღია, თუმცა ამგვარ დახმარებაზე უარს არ იტყოდა. აღნიშნულის შესახებ აღშფოთება გამოთქვა თბილისის მერიის საბინაო მეურნეობის საქალაქო სამსახურმა, საიდანაც რედაქციამ მიიღო ფაქსი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „ქ. თბილისის 2001 წლის 13 დეკემბრის მთავრობის დადგენილებით ქალბატონ ელენე თევდორაძის ოჯახს გამოეყო სამოთახიანი მშენებარე ბინა მარჯანიშვილის 16-ში, სადარბაზოს V სართულზე, რომლის ექსპლუატაციაში გადაცემის შემდეგ ქალბატონმა ელენემ მერიას უნდა ჩააბაროს მისი ამჟამინდელი ოროთახიანი ბინა, რომელიც მდებარეობს ქიქოძის ქუჩაზე.“



აღნიშნულმა სამსახურმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ქალბატონმა ელენემ პრესის მეშვეობით დაუზუსტებელი ინფორმაცია გაავრცელა, რომ ვანო ზოდელავა — ქ. თბილისის მერი ვერ მიართმევს ქ-ნ ელენეს ასეთ ძვირფას საჩუქარს, რადგანაც არც თავად მას აქვს ასეთი სახსრები და არც ქალაქის ბიუჯეტს.

*რედაქციამ კვლავ მიმართა კომენტარისთვის ქალბატონ ელენე თევდორაძეს. ამასთანავე ვთხოვეთ განემარტა, რატომ არ გაგვიმხილა ის ფაქტი, რომ მისთვის ბინა უკვე შენდება.*

— მე არაფერი დამიმალავს თქვენთვის. მოქალაქის კითხვა სულ სხვა შინაარსის იყო. ძალიან კარგად ვიცი, რა შენდება ჩემთვის, ახლავე მოგახსენებთ — ჯერ კიდევ შვიდი წლის წინ მივმართე სახელმწიფოს თხოვნით, სადაც აღნიშნული იყო, რომ დავთმობდი ჩემი ამჟამინდელი საცხოვრებელი ბინის ფართს (ქიქოძის ქუჩაზე), თუ სანაცვლოდ სახელმწიფო დამაკმაყოფილებდა ახალი ბინით. საკითხი მხოლოდ 2001 წლის დეკემბერში განიხილეს მთავრობის სხდომაზე. არ უარვყოფ, რომ ველოდები მშენებლობის დასრულებას, თუმცა, არა მგონია, სიცოცხლეში მოვესწრო ახალ ბინას. ახლახან გახლდით მშენებლობაზე და გარწმუნებთ, რომ სადარბაზო და მით უმეტეს, V სართული, ჯერ არც არსებობს, ანუ ამ სადარბაზოს მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. ასევე ვერ ვხვდები, რა კავშირშია 2001 წლის 13 დეკემბრის მთავრობის დადგენილება 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრასთან. თქვენს კითხვაზე უბრალოდ აღვნიშნე, რომ როგორც ნებისმიერი მიწისძვრისგან დაზარალებული მოქალაქე, მეც ველოდები სახელმწიფოსგან კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას. რატომ უნდა მიმეთითებინა ჯერ არარსებული „მშენებარე“ ბინის თაობაზე?

# რას ნიშნავს PR-ი (პიარი)?..

— რას ნიშნავს ჩვენთან ახალდამკვიდრებული ტერმინი „პიარი“? გთხოვთ, გამოეხმაუროთ ჩემს კითხვას და ამიხსნათ მისი მნიშვნელობა.

*ნუგზარ ახობაძე*

კითხვაზე უპასუხებს **მარიკა დარჩია**, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის ასოციაციის თავმჯდომარე.

— „PUBLIK RELATION“ — სიტყვასიტყვით საზოგადოებასთან ურთიერთობას ნიშნავს და მიზანად ისახავს ამა თუ იმ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, საზოგადოებასთან კავშირსა და უწყვეტ კონტაქტს. პიარ-ი (P.R.) არ გახლავთ მხოლოდ ტერმინი, იგი მთელ მსოფლიოში დამკვიდრებულია როგორც საგანი-დისციპლინა.

ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს ევალებათ დამკვეთისა და მისი საქმიანობის შესახებ სასურველი აზრის დამკვიდრება საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, არა ძალისმიერი მეთოდით, არამედ ხანგრძლივი სტრატეგიული დაგეგმვის, ტაქტიკისა და ისევ და ისევ კვლევის მეთოდების გამოყენებით.

პიარ-ის სამშობლო გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატები. 1919 წელს, ნიუ-იორკში, ედუარდ ბერნეისმა (ფსიქოლოგი, ფროიდის დისშვილი) შექმნა პირველი ორგანიზაცია, რომელსაც „გამოჩენილ პიროვნებათა ორგანიზაცია“ დაარქვა. ერთ წელიწადში მან შეცვალა ორგანიზაციის სახელი და უწოდა „რჩევები საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე“. ამ დროიდან მოყოლებული, ვინც კი საკუთარი სახელის დამკვიდრებისკენ მიისწრაფოდა (პოლიტიკოსი თუ საქმოსანი), ყველა სარგებლობდა პიარ-ის კონსულტაციებით.

1923 წელს ედუარდ ბერნეისმა ნიუ-იორკში პიარ-ის პირველი კურსები ჩამოაყალიბა. 50-იან წლებში უკვე ფართოდ ხორციელდება ამ დისციპლინის სწავლება აშშ-ის სხვადასხვა კოლეჯსა თუ უნივერსიტეტში.

საქართველოში „PUBLIK RELATION“-ს მცირე გამოცდილება აქვს. ამიტომ ეს ტერმინი და მით უფრო, დარგი ბოლო დრომდე უცხო იყო ჩვენთვის. თუმცა დღეს უკვე წარმატებით ისწავლება უმაღლეს სასწავლებლებში.

# ურეკის ქვიშა...

— ჩემს შვილს აქვს რაქიტის გამოხატული ფორმა. გვესაჭიროება სპეციალისტის რჩევა ურეკის ქვიშების აბაზანის მიღების თაობაზე.

*დიანა კუპრაშვილი*

კითხვაზე უპასუხებს **ნანა კალანდია**, კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის მთავარი ექიმი



სამკურნალო აბაზანებისთვის ქვიშა უნდა იყოს სუფთა, გაცრილი, ნაწილაკების ოპტიმალური სიდიდით 0,25-2 მმ-ის ფარგლებში. უფრო მსხვილი ნაწილაკები გამოიწვევს კანის დაზიანებას, უფრო წვრილი კი წარმოქმნის მტვერს. მზეზე ბუნებრივად შემთბარი ქვიშის აბაზანის მიღების წესი ასეთია: სანაპიროს ერთ-ერთ უბანს შემოსაზღვრავენ ღობით ქარისგან დასაცავად. ქვიშას გაცრიან. დილის 6-7 საათზე მოედანს დაყოფენ წრიული მედალიონის ფორმის უბნებად. ყოველი უბნის ირგვლივ კეთდება 30 სმ სიმაღლის ქვიშის ბორცვი. დილის 11-12 სთ-ზე ქვიშა თბება 50-55$^{0}$ C-მდე, ავადმყოფი უნდა დავაწვინოთ მედალიონის ერთ-ერთ უბანზე და ბორცვიდან სწრაფად დავაყაროთ გამთბარი ქვიშა მთელ სხეულზე. თავისუფალი რჩება თავი და გულმკერდის წინა ნაწილი, ოდნავ წამოწეულ თავს უნდა ფარავდეს ქოლგა ან მზისგან დამცავი დაფა. შეიძლება ბავშვს თავი დავუსველოთ გრილი წყლით. პროცედურის ხანგრძლივობა მოზრდილთათვის არის 10-დან 30-40 წუთამდე, ბავშვისთვის — 10-20 წუთი. პროცედურის დამთავრების შემდეგ ავადმყოფს ჩამოაცლიან ქვიშას, მოახურავენ ზეწარს და 10-15 წუთით დასვამენ ჩრდილში. შემდეგ რეკომენდებულია მზეზე გამთბარი წყლის შხაპი და დასვენება შენობაში 1,5-2 საათით. მკურნალობის კურსი მოიცავს 10-15 აბაზანას.

მზის სხივებით გამთბარი ქვიშის ზედა ფენის ტემპერატურა ზოგჯერ 60$^{0}$ C-ს აღწევს, მაგრამ 5 სმ-ის სიღრმეზე ქვიშის ტემპერატურა საგრძნობლად ნაკლებია, ამიტომ თუ ქვიშას კარგად ავურევთ, ცხელ ამინდშიც შეიძლება დავიზღვიოთ თავი კანის დამწვრობისგან.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

## მილოცვა

ნათელა ხოსიტაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს.

***კვირისპალიტრელები***

ნიკა ასლანიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ წარმატებებსა და ჯანმრთელობას.

***ნუცა თოფჩიშვილი***

მარინა, გილოცავ დაბადების დღეს და ფერისცვალებას. დაესწარი მრავალს გახარებული და ბედნიერი. გისურვებ დიდ სიყვარულს, ბევრ სიხარულს. ძალიან მიყვარხარ.

***შენი ძმა***

გოჩა მელაძეს და თეონა ჭრელაშვილს გილოცავთ გაბედნიერებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, უსაზღვრო სიყვარულს და თქვენი სურვილების ასრულებას.

***თქვენი ხათუნა, ემზარი, მაია და გურამი***

## მადლობა

მქონდა მძიმე გინეკოლოგიური პათოლოგია. სამედო გინეკოლოგიის კლინიკა „გინეკაში" მეცნიერებათა დოქტორმა ბატონმა ელგუჯა ტარტარაშვილმა გამიკეთა ურთულესი ოპერაცია. დიდი მადლობა მას. მადლობა ექიმებს: ნანიკაშვილს, პარუნაშვილს და მთელ მედპერსონალს.

***ნატო გერგაია***

## ბინები

მცხეთაში ორსართულიანი კაპიტალური სახლი პრესტიჟულ ადგილზე, ფართი 280კვმ (6 ოთახი, სველი წერტილები), აივნებით, გარაჟით, გაზით, ხეხილის ბაღით 2000კვმ. ფასი 50000. ტ: 32-84-88; 877-46-03-31 ჯემალი

## ქირავდება

ქირავდება 1,2 და 3-ოთახიანი ბინები, ასევე 1 ოთახი პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში, როგორც კერძო სასტუმრო დღიურად ჩამოსულ და ადგილობრივ მაცხოვრებლებზე. ფასი 1 დღე-ღამე 1 კაცი 7 $; 12 $; 17 $; 22 $; 30 $ და 50 $ ოთახების შერჩევით. მივიღებთ ტურისტულ ჯგუფს 15-20 კაცამდე. ტ: 92-03-85; 99-94-67; 893-33-03-86; 899-91-69-98

სტილისტების საყურადღებოდ ქირავდება სილამაზის სალონი იოსებიძის ქ. 53-ში, 161-ე სკოლის წინ. 899-168-168; 93-19-52; 37-71-66; გთხოვთ ახალი დამწყები და საქმის არამცოდნენი ნუ გამომეხმაურებით.

## გთავაზობთ სამუშაოს

რუსული კომპანია გთავაზობთ მაღალანაზღაურებად საინფორმაციო საოფისე სამსახურს. ინფორმაცია უფასოა. ტ: 34-20-19 ანი

გთავაზობთ მაღალი ანაზღაურებით, სერიოზული საქმიანობისთვის, საერთაშორისო ბიზნეს-პროგრამაში მუშაობას. პროფესიის განურჩევლად. ტ: 34-20-19 ირმა

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18

გვაქვს ვაკანსიები. გვესაჭიროება რუსულის მცოდნე, განათლებული თანამშრომლები. ვთანამშრომლობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა, კომპანიის ხარჯებით. გამომუშავება ახალი ამერიკული სტანდარტებით $200-400-ის გამომუშავებით. მიმდინარეობს შერჩევა! მის: მ. „დიღუბე", „სამთო ქიმიის" ინსტიტუტი, I სართ. ოთახი №6. ტ: 34-02-38; 899 90-54-78. მენეჯერი ბატონი დიმიტრი

## მომსახურება

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენას, განახლებას, სამეულების ქიმწმენდას, მატრასების გასუფთავება, სკამების აღდგენა-განახლებას. ვღებავ გერმანული ტყავის სამეულებს. ტ: 95-97-12 ვალერი

ვიზის გაფორმება, ორმხრივი მგზავრობა თვითმფრინავით, ცხოვრება სასტუმრო „ლორდს ჰოტელ" ორჯერადი კვებით — 650 დოლარი. 1 კგ ტვირთის ტრანსპორტირების ღირებულება 1 ტონამდე — 1,25 დოლარი, 2 ტონამდე — 1,20 დოლარი, 2 ტონის ზემოთ — 1,15 დოლარი. გაბარიტული ტვირთები მოლაპარაკებით. საჭიროების შემთხვევაში — ადგილობრივი იურისტის ფასიანი მომსახურება ტ: 96-32-27; 59-02-60; 9919-54-14; 7741-54-14

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება), კარადებზე, მაგიდებზე, სკამებზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ტ: 69-45-18 გიორგი

## ტურიზმი

დასვენება: ესპანეთისა და თურქეთის კურორტებზე, შეღავათიან ფასად, სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში; აჭარაში — ბათუმი, ქობულეთი, სარფი, კვარიათი, გონიო, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მახინჯაური, მალთაყვა; ასევე ბაკურიანში, ბორჯომში — კვებით და კვების გარეშე, სასტუმროებსა და კერძო სექტორებში. მის. ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაია) ქ. №21. ტურ. კომპანია „DILAMPUS". http://dilampus.gol.ge. ტელ: 98-69-51; 899-54-00-79

ტურისტული ფირმა „ქართი" გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ დასვენებას ქობულეთში კერძო სექტორი და სასტუმრო კარგი პირობებით თქვენთვის მისაწვდომ ფასად (10-15 დღე), კვება 3-ჯერადი, ზღვასთან და პარკთან ახლოს. დარჩებით კმაყოფილები. აგრეთვე მწვანე კონცხი. მის. აღმაშენებლის №115. კაბ. 20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამ.); 96-22-89 (ბინა); 899-90-67-52 ირინა ჯანაშია, ნონა ღადუა

კერძო პირებს, ოჯახებს და ჯგუფებს გთავაზობთ დასვენებას კურორტ ქობულეთში, განთავსება კერძო სექტორში და სამჯერადი კვება კაფე „ივერიაში" (ფიჭვნარში) 1 აგვისტოდან, საგზურის ღირებულება 10 დღე 130 ლარიდან. ცნობებისთვის მობრძანდით: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 113-115 (ეზოს ბოლოში სამკურნალო ცენტრი „ფანასკერტელი"). კაბ. №31, ცისანა სუმბაძე. ტ: 91-18-38 (სამსახური); 877-41-86-16; 69-18-38 (ბინა)

## მკურნალობა

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უკვალოდ და უმოკლეს დროში. დაიმახსოვრეთ, არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და თქვენი სილამაზე გარანტირებულია. ტ: 57-50-49; 899-91-46-36 მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, 1სთ — 6 ლარი, თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით), წარბების კორექცია. ვასწავლი კოსმეტიკას და ეპილაციას საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მისამართი: მეტრო 300 არაგველი, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. 15, მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და გაყურებით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი პირველივე სეანსზე. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. იოსებიძის 66. II სად. VIII სართ. ბ.46. ტ: 37-74-22 მანანა

თბილისში — მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობის საკმაო გამოცდილებით — აღმდგენი სათანადო აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და სხვა მეთოდებით აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას — ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით. ტ: 899-55-05-75

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეში მასაჟებისა და ნემსების გარეშე — ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899-14-64-95

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე

მოწვეული ჰყავს რუსეთისა და ისრაელის კლინიკებში მომუშავე მაღალი კვალიფიკაციის ექიმები: მკურნალობენ მანუალური თერაპიით, ჩინური ნემსებით: რადიკულიტს, სახსრების დაავადებებს, სქოლიოზს, ძვალ-სახსრების დაავადებებს, წონაში დაკლებას, ბუასილს, წითელ ქარს, ტროფიკულ წყლულს, ფრჩილების სოკოს, თმის ცვენას. მკურნალობის კურსი 5-10-დღიანია. დავით აღმაშენებლის №115. კაბ. 17. ტ; 95-74-29 (სამ.)

ტკივილის სინდრომის, ქვედა კიდურების სისხლძარღვების დაავადებების, ჰიპერტონიის, ტროფიკული წყლულების, კუჭ-ნაწლავის, სახსრების დაავადებების, ფსორიაზის სწრაფი და ეფექტური მკურნალობა. მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". ხელმძღვანელი პროფ. ლუიზა მარსაგიშვილი. ბახტრიონის ქ. 18. ტ: 38-27-52

მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, ნაწიბურების, სვირინგების და სხვა არასასურველი წარმონაქმნების სწრაფი, უნაწიბურო მოცილება, კოსმეტიკური დეფექტების შესწორება, ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". ბახტრიონის 18. ტ: 38-27-52; 877-46-82-53

## ვასწავლი

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი და კოლეჯი აცხადებს მიღებას ქართული და რუსული სექტორების დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა; 2. უცხო ენები; 3. ეკონომიკური. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან მე-3 კურსზე. კოლეჯში ფუნქციონირებს იგივე ფაკულტეტები. ფასი 220-300 ლარი. გათვალისწინებულია შეღავათები. მის: თოფურიას №12 (ვაჟა-ფშაველას III და IV კვარტალებს შორის), 128-ე საშ. სკოლა. ტ: 32-82-60; 32-06-97; 30-51-30 (საღამოს)

ბიოტექნოლოგიური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას სპეციალობებზე: I საკვები პროდუქტების და ნედლეულის სანიტარული ექსპერტიზა (სტანდარტიზაცია, სერტიფიცირება, კონტროლი საბაჟოზე) ექიმ-ექსპერტის კვალიფიკაციით; II ვეტერინარია-ვეტექიმის კვალიფიკაციით. ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო გაწვევიდან. წლიური გადასახადია 350 ლარი. მის. კრილოვის 15. ტელ: 95-95-72

კომპიუტერული სტუდია — „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერებზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899-14-03-31

ახალგაზრდა მასწავლებელი გერმანიაში შესწავლილი მეთოდით შეასწავლის სკოლის ასაკის ბავშვებს გერმანულ სასაუბრო ენასა და გრამატიკას. ტ: 39-24-74 ანა

## იყიდება

იყიდება სმენის აპარატები შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ)

## სხვადასხვა

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის წევრებს! 2002 წლის 30 აგვისტოს 18სთ-ზე, გაიმართება ცენტრის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგშია: 1. ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ; 2. გამგეობის წევრების არჩევა; 3. სხვადასხვა. საერთო კრება გაიმართება ორგანიზაციის ოფისში შემდეგ მისამართზე: თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №8, მე-5 (ქუჩიდან მე-3) სართული. გთხოვთ მობრძანდეთ. ცენტრის გამგეობა.

## ხსოვნა

### ზურა ჯოხაძის მონატრება



22 აგვისტო შენი დაბადების დღეა. უკვე მესამედ ვხვდებით უშენოდ როგორი მტკივნეულია ყველაფერი უშენოდ, გვენატრები ყველას, განსაკუთრებით შენს დისშვილს ელენეს, რომელიც ყოველთვის გვეკითხება, როდის მოვა ზურა ჩვენთან? შენს საწოლში წევს და არავის ანებებს იქ წოლას. გვეუბნება, ჩემი პატარა გულით ვლოცულობ ზურასათვისო. მამა უშენოდ ეწვალება, შენი მიზნების განსახორციელებლად ყველაფერს გაგიკეთებს, მაგრამ ვაი, რომ შენ ვეღარ გხედავს, როცა ჩანაფიქრს დავამთავრებთ, შენი სახელით დავამთავრებთ. ისღა დამრჩენია, მოგილოცოთ დაბადების დღე და როცა მომენატრები, სულეთის ქვეყნისკენ მივაპყრობ ხოლმე მზერას და მაშინ თითქოს ცხადში ისევ ვხედავ, მიღიმი, რაღაცას მიმახი იქიდან — ალბათ მამიდებ — ყოჩაღად იყავი, ჩემო დაო, არ ჩაუმუხლო წუთისოფელს და შენი შემხედვარე მეც იმწუთას ვმხნევდები. აღარ მეშინია და ვფიქრობ, რომ ჩემი ძმაი იმდენს შეძლებს, იქიდანაც მოახერხებს და მისი სულის ნათელი დამეხმარება აქ. თანაც მჯერა, მთელი ჩემი სულითა და გულით, რომ აუცილებლად იქნება აღდგომა.

***შენით ფრთამოტეხილი და ქეთევანი***

### მურმან ბოკუჩავას ხსოვნას



მეხუთედ შევხვდით უშენოდ შენს დაბადების დღეს. 17 აგვისტოს 69 წელი შეგისრულდა. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. მაგრამ უშენოდ განვლილი წლები ვერ აღმოჩნდა მკურნალი შენი საკუთარი ოჯახის, ახლო ნათესავებისა და მეგობრებისთვის. ისღა დაგვრჩენია, პატივი ვცეთ შენს სპეტაკ სულს, უფალს შევევედროთ, რომ მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ნათელ სულს.

***შენი ოჯახი***

### ვახო გოჯიაშვილის მონატრება



19 აგვისტო მწარე მოგონებად გადაექცა შენს ოჯახს, ფერისცვალების დილას 29 წლის ასაკში შენმა უმანკო სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი. იმ საბედისწერო დღის შემდეგ გაფრინდა ოთხი წელი, ტკივილის, განცდის, მოგონების. დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი, რომელიც მოუნელებელი იქნება ჩვენი სიცოცხლის ბოლომდე. შენს უბედურ დედას მხოლოდ შენი დანატოვარი პატარა ანდრო მასულდგმულებს, რომელიც შენი ასლია. შვილო ვახო შენი გაუხარელი სულის ხსოვნა მარად იქნება ჩვენს გულებში.

***შენი საყვარელი ოჯახი***

### თეოდორე (ფედია) ხვედელიძის ხსოვნას



ცრემლები აღარ მაწერინებენ ამ სტრიქონებს... თავზარდაცემული ვერ ვალაგებ სათქმელს, თუმცა სათქმელისა და მოსაგონარის მეტი რა მაქვს... წახვედით ჩვენგან უშურველი გულის ადამიანი, შინაგანად სუფთა, ყველას მიმართ პირუთვნელი და მოსიყვარულე. დიდიოდით — ხორცშესხმული სიკეთე და იმედი — ამ გაუსაძლისი დროის შეჭირვებულთა. ისე გულხარჯვით შემოგვიმსხვრევდით ხოლმე „სევდის ტოტებს" და სიცოცხლეს გვაყვარებდით, იმედით გვავსებდით, გვახალისებდით — სიყვარულის, პატიოსნების, სიბრალულის, სიამყის, თანაგრძნობის, თავგანწირვის უბადლო მცოდნე. თქვენ ცხოვრობდით ზუსტად მარკესისეული „სიყვარულით სიყვარულთან". საშინელ სიზმარში მგონია თავი — გავახელ თვალებს და კვლავ დაგინახავთ ღიმილიანს, თბილს, მოსიყვარულეს, — მომეთბილებით და მეტყვით თქვენებურად — ნუ გეშინია... მაგრამ ვაი, რომ დღეს მოგონებების მეგობარი ვარ მხოლოდ.

***მ. ოდიშვილი***

### ნოე ქათამაძის გახსენება



ჩვენო ძვირფასო ნოე! 23 აგვისტო მეორმოცე დღეა შენი გარდაცვალებიდან. შენი სახით საქართველომ დაკარგა ნამდვილი პროფესიონალი მეცნიერი და დიდებული ადამიანი. შენ წახვედი, ჩვენ კი დაგვიტოვე დიდი ტკივილი და უსაზღვრო სევდა. გვენატრები. უშენობა დიდად გვაკლია. შენ მუდამ იცოცხლებ ჩვენს გულებსა და მოგონებებში.

***მეგობრები***

### თენგიზ სუარიშვილის გახსენება



კელაპტარივით ენთე...
სიყვარულში ჩამოიღვენთე...
მარადისობაში გადაინაცვლე...

ამ სიტყვებს წაიკითხავს ყველა, ვინც შენს უკანასკნელ სამფლობელოსთან მოვა და პატივს მოგაგებს! ეს სიტყვები ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც გვინდა ამჯერად ხმამაღლა გითხრათ, თუმცაღა ვიცით შენს კაცობას ფურცელზე გადატანილი სიტყვებით ვერ გამოვხატავთ... მაინც შევეცდებით! შემოდგომის მიწურულს ხე რომ გაიძარცვება ფოთლებისგან ისე ვართ გაძარცვულნი სულით ხორცამდე უშენოდ... მაგრამ ძლიერ ფესვზეა ამოსული ეს ხე, რომელიც კვლავ შეიმოსება და მუდამ მყარად იდგება! გვენატრები ტკივილამდე, საოცრად მშრომელი, უპრეტენზიო, ყველასთვის უზომოდ დახარჯული კაცური კაცი! ჩვენი დარჩენილი სიცოცხლის პრინციპები კვლავაც შენით განისაზღვრება, შენი საზომით! შემოვევლეთ შენს ლამაზ თვალებს ტკივილით დაღლილ გულს, სულს — რომელიც ბოლომდე ამაღლებული დარჩა სიკვდილთან შეურიგებელ ბრძოლაში!

***შენი ოჯახი***

### ეთერი ნიკოლეიშვილის გახსენება



ჩვენო საყვარელო დედა, ორმოცი დღე მიილია, რაც შენი სიკვდილით მძიმე დარტყმა მოგვაყენე მთელ ოჯახს. ჯერ კიდევ გვჭირდებოდი და ბევრი სიკეთის მოლოდინში ვიყავით, მაგრამ შენმა უცაბედმა ავადმყოფობამ უძლური გაგვხადა გვეშველა შენთვის. დედა, რომ იცოდე, რამდენი ტკივილი მოგვაყენე შენი ამ ქვეყნიდან წასვლით. ტკივილი მიაყენე შენს მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, შენს ოჯახს, რომელსაც ახლა სჭირდებოდა შენი მარჯვენა. დედა, გჯეროდეს, რამდენი წლებიც არ უნდა გავიდეს, შენი ოჯახი არასოდეს დაივიწყებს შენს სახელს. გქონდეს იმედი, რომ ყოველთვის მოგიგონებთ, სანთელს დავანთებთ და ღმერთს შევეხვეწებით შენი სულის ნათელში ყოფნას. შევამკობთ შენს საფლავს ცრემლითა და ყვავილებით და ლოცვით შევთხოვთ უფალსა ჩვენსა, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული უკუნითი უკუნისამდე... ამინ.

***ნოდარი, შორენა, მარიკა, გიორგი***

### გია ჩხენკელის ხსოვნას!



16 აგვისტოს 38 წელი შეგისრულდებოდა, რომელსაც ყველანი დიდი სიხარულით ველოდით, მაგრამ შენ გულმა გიმტყუნა და წახვედი ზეციურ მარადისობაში. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო გულისტკივილი, მწუხარება, მწარე ცრემლი...

გილოცავთ დაბადების დღეს და შენი შვილის — რაულის პოლიციის აკადემიაში ჩარიცხვას, რაზეც სიცოცხლეში ოცნებობდი. ცრემლიანი სიყვარულით დაგინთებთ სანთელს და ვილოცებთ შენი წმინდა სულისთვის. ღმერთმა სამარადისო ნათელში ამყოფოს შენი სული.

***მეგობრები***

### დათო შელიას ხსოვნას!



18 აგვისტოს 32 წელი შემისრულდებოდა თუ არა ტრაგიკული დასასრული ჩემი ცხოვრების. ალბათ ეს იყო ჩემი ბედისწერა.

„დავიბადე სიდუხჭირის ბედის ვარსკვლავზე,
სიდუხჭირის ბრჭყალებიდან ვერ დავაღწიე.
სიდუხჭირემ მე დამტანჯა, ამაწიოკა,
და ბოლომდის მიმეგობრა, არ მიმატოვა.
გული ტირის, სული წამობს,
მკვლელი ჩემი ამით ხარობს.
გული ტირის, გული ტირის
დედაჩემი თავს დამსტირის,
ჩემი ბედის ვარსკვლავია
დედაჩემო! გთხოვ, ნუ სტირი.

### მამუკა პაჭკორიას გახსენება



უკვე ორმოცი დღე გავიდა, იმ ავადმოსაგონარი დღიდან. წახვედი, დაგვიტოვე მოურჩენელი ტკივილი. უდროოდ შეწყვიტა შენი ლამაზი სიცოცხლე ტრაგიკულმა შემთხვევამ. წახვედი და უნუგეშოდ დატოვე შენი მშობლები, ძმები, შენი საფიცარი ძმისშვილები, სათაყვანებელი რძლები. ყველასათვის თავგადადებული იყავი. შენი ქორწილისთვის ვემზადებოდით. ვაგლახ, რომ ყველაფერი გაიყინა და აღარც გალღვება. ჩვენო საფიცარო მამუკა! გონს ვერ მოვსულვართ, რატომ განსაჯა ასე განგებამ? დაცარიელდა სახლი, დიდია შენი მონატრება. ნუთუ შენ არ გენატრება დედა, რომელსაც თვალზე ცრემლი არ შეშრობია, გტირით დღითა და ღამით. ხშირად გულში იკლავს მოუშუშებელ ტკივილს. ნუთუ არ გებრალება შენი გულდათუთქული მამა. ჩვენო მამუკა! ვინ არ განიცადა და დაგიტირა. ზღვა ხალხი მოვიდა, უამრავი პატივისმცემელი გყოლია, ყველას უსაზღვროდ უყვარხარ. ღრმა და მტკივნეული ჭრილობა, რომელიც შენ მოგვაყენე. მოკლე გამოდგა შენი სავალი გზა. ისღა დაგვრჩენია ვილოცოთ შენს ლამაზ სულზე. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

***ოჯახი***

### მამუკა პაჭკორიას გახსენება

მამუკა! ჩვენო ბავშვობისა და სიყრმის ერთგულო მეგობარო, დარჩი სამარადისო მონატრებად და მოურჩენელ იარად. ჩვენო ალალმართალო, სიყვარულით სავსე კეთილო ბიჭო. როგორ დაგვაკლდი, როგორ დააკლდი შენს მშობლიურ აბაშას. სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული იყავი, მაგრამ ბედისწერამ სასუფეველში ინდომა მისი გაგრძელება. ჩვენ შორის ყველასგან გამორჩეული იყავი. ნუღოხაშის არასრულ საშუალო სკოლაში სწავლისას და შემდგომაც ვამაყობდით შენით. ჩვენო მამუკა! არასოდეს დაგივიწყებთ, მოვალთ შენს საფლავთან, მოგეფერებით, უამრავ ლამაზ ყვავილს მოგიტანთ. ვილოცებთ შენს ლამაზ სულზე.

***თანაკლასელები***

### ბონდო (ედბუნდი) მირონის ძე ტოკლიკიშვილი



19 აგვისტოს შენი დაბადების დღეა მამა. პირველი დაბადების დღე, რომელიც უშენოდ უნდა აღვნიშნოთ. დღე, რომელიც იქნება ცრემლიანი და ტკივილიანი. ყველა შენი ახლობელი და ოჯახის წევრები მოვალთ შენს საფლავზე და მოგილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა აცხონოს შენი ტკბილი სული.

***ხათუნა, თამრიკო, მირიანი და მეუღლე ლამარა***

უფასო განცხადებების გაზეთი
სიტყვა და საქმე
33-10-03 36-30-04 33-10-05
40 გვერდზე



ყოველ ნომერშია: 7000-მდე განცხადება,
დღის ახალი ამბები და დასვენების გვერდი

# უცნაური გაფრთხილება, ანუ ღვინით სავსე ჭიქის ამბავი



ერთ მშვენიერ საღამოს მეგობრები — ნინო და ლალი ხაჟალიები მეწვივნენ. სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ნინომ უცნაური ამბავი მიამბო:

— შარშან, საგაზაფხულო სესიების შემდეგ დედულეთს — ზუგდიდს მივაშურეთ. დეიდაშვილებმა, დათომ და ზურამ, გვთხოვეს, მათი გარდაცვლილი მეგობრის ოჯახში გავყოლოდით სამძიმარზე (თუმცა ლევანი 6 თვის წინ დაიღუპა ავტოკატასტროფაში, მაგრამ მოგვიანებით მაინც უნდა გამოგვეხატა ჩვენი თანაგრძნობა დამწუხრებული ოჯახისთვის). ლევანს ჩემი და, ლალი მოსწონდა...

მიუხედავად მწუხარებისა, ლევანის ოჯახს ესიამოვნა ჩვენი ნახვა. აივანზე გაგვიშალეს სუფრა. ლევანის უმცროსმა ძმამ, გიამ, გვითხრა, — ვიცი, არ დამძრახავთ, ამიტომ მინდა მოგიყვეთ ის, რაც გადამხდა...

ლევანის სურათის ქვეშ, პატარა მაგიდაზე, მუდამ გვიდგას ღვინით სავსე ჭიქა და ხილი. ამ სამი თვის წინ, სანთლის ასანთებად რომ მივედი, პირველად მოღიმარი ძმის სურათს ავხედე. ლევანი საოცრად ნაღვლიანი მეჩვენა, თითქოს თვალებიც ცრემლით ჰქონდა სავსე. შევკრთი. ჭიქა სასწრაფოდ ავავსე ღვინით, ახალი ხილი დავამატე და ის იყო, ოთახიდან უნდა გამოვსულიყავი, რომ ჭახანი მომესმა. შიშით შევტრიალდი. ჭიქა გატეხილიყო და ღვინო იატაკზე წვეთავდა. გამოვცვალე ჭიქა, კვლავ ჩავასხი ღვინო.

მეორე დღეს ლევანის ნათლია ხიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. სამი დღის მერე ძლივს მოიკეთა. როცა ლევანის ოთახში შევედი სანთლის ასანთებად, სურათი „დამშვიდებულიყო“, კვლავინდებურად იღიმებოდა. რამდენიმე კვირის შემდეგ კვლავ გატყდა ღვინიანი ჭიქა. შევფიქრიანდი. დედამ და ჩემმა დამ თქვეს, — ვაითუ იქ რამე უჭირსო და ეკლესიაში, პანაშვიდი გადაუხადეს.

ჩვენ სოფელშიც პატარა ღელე ჩამოუდის. სწორედ იმ დროს, როცა ქალები ეკლესიიდან ბრუნდებოდნენ, ღელესთან წივილ-კივილი ატყდა. ჩემი ბიძაშვილის შვილს, 18 წლის ბიჭს, გადაეწყვიტა დენით თევზის დახოცვა და დენს დაერტყა... ლევანს ის ძალიან უყვარდა...

ამის მერე კიდევ ორჯერ გატყდა ჭიქა. პირველად მამაჩემმა შეშის ჭრის დროს თვალი ისე დაიზიანა, კინაღამ დაბრმავდა, მეორე შემთხვევას ახლობლის ოჯახის გაძარცვა და ოჯახის უფროსის დაჭრა მოჰყვა.

ლევანი თითქოს გრძნობს, რომ ვინც მას უყვარდა, ხიფათი ელის და გვაფრთხილებს... ნუ შეშინდებით, მაგრამ გუშინ კვლავ გატყდა ჭიქა. ვიცი, ლალი მოსწონდა ჩემს ძმას და გაფრთხილდითო, — დაასრულა გიამ.

შინისკენ მიმავლებს გზად სატვირთო მანქანა წამოგვეწია, გასწრება მოინდომა. დათომ ვერ მოასწრო მანქანის გადაყენება, სატვირთომ გვარიანად გაგვკრა „ცხვირი“... გადავრჩით, მაგრამ დათომ ტვინის შერყევა მიიღო, მე ხელი ვიღრძე.

დავბრუნდით თბილისში...

ერთ საღამოს ლალი მეგობრის დაბადების დღიდან გვიან დაბრუნდა. გათენებისას ცუდად გახდა. სასწრაფო გამოვიძახეთ. ექიმებმა — მოწამლულიაო და საავადმყოფოში გადაიყვანეს... ერთი კვირის მერე, მომჯობინებულმა ჩემმა დამ მკითხა: ნეტავ, ამ დღეებში ხომ არ გამტყდარა ლევანის ჭიქაო. ავფორიაქდი, დავრეკე ლევანის ოჯახში. გიამ გახარებულმა მითხრა, რომ ერთი კვირის წინ კიდევ გატყდა ჭიქა, მაგრამ ახლობლობაში არავის არაფერი დამართნიაო. ვიყვირე: რა არ დამართნია, ლალი დღეს გამოეწერა საავადმყოფოდან-მეთქი. გიას ყურმილი გაუვარდა ხელიდან.

რჩევისთვის მოძღვარს მივმართეთ. დაგვარიგა, — მიცვალებულის სახელზე აუცილებლად აკურთხონ ღვინოო... ლევანის ოჯახი ასეც მოიქცა. მას მერე ერთი წელი გავიდა და ჭიქა აღარ გატეხილა, აღარც უბედურება მომხდარა.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# მოძრავი კუბოების საიდუმლო



ეს უცნაური ისტორია ვესტინდოეთში, კუნძულ ბარბადოსზე მოხდა. პოლკოვნიკი თომას ჩეიზი უზარმაზარი საგვარეულო აკლდამის შენებას შეუდგა. ეს აკლდამა დღემდე არსებობს კუნძულის სამხრეთ ნაწილში. საძვალე მიწის ქვეშ, 3 მ სიღრმეშია, დიდი დარბაზით, ქვის კედლებით და იატაკით, თავზე მძიმე მარმარილოს ფილით.

ყველაფერი კი 1807 წელს დაიწყო. როცა აკლდამაში პოლკოვნიკის ნათესავი ტომაზინა გოდარდი დაკრძალეს. მისი თუთიის კუბო მიწის ქვეშ ჩაუშვეს და საძვალის შესასვლელი ამოქოლეს. 1808 წელს აკლდამა გახსნეს, რათა ორი წლის ბავშვი, ჩეიზის ქალიშვილი მერიანა დაეკრძალათ. 4 წელიწადში კი ოჯახს ახალი უბედურება დაატყდა: პოლკოვნიკის უფროსი ქალიშვილი დორკასი მოულოდნელად გარდაიცვალა. რამდენიმე კვირაში მის გზას პოლკოვნიკიც გაუყვა. მაშინვე დაიწყეს ჭორაობა, რომ ჩეიზი ქალიშვილს აიძულებდა მასთან ცხოვრებას და საცოდავმა გოგონამ შიმშილით მოიკლა თავიო. პოლკოვნიკის პატივისმცემელნი ამ ხმებს უარყოფდნენ.

...როცა პოლკოვნიკის კუბო აკლდამაში შეიტანეს, გაოგნდნენ — მისის გოდარდის კუბო მობრუნებული იყო, მერი-ანასი — ამოტრიალებული...

5 წლის მანძილზე ოჯახის კიდევ რამდენიმე წევრი მოკვდა და ყოველ ჯერზე კუბოებს ადგილი მონაცვლებული ჰქონდა.

ფიქრობდნენ, ეს მიწისძვრის ან ნიადაგის წყლების ბრალიაო, მაგრამ ესეც გამოირიცხა, რადგან მეზობელ საფლავებს არაფერი დამართნია, თანაც, ნიადაგის წყლები ამხელა საგნებს ვერ დაძრავდა, აქ არც გადამეტებული სინესტე იგრძნობოდა. ისიც ითქვა, ამას ვიღაც ცოცხალი ადამიანი აკეთებსო. ჯერ ერთი, ამ ოჯახს ყველა პატივს სცემდა, თანაც, თუთიისა და ტყვიის კუბოების გადანაცვლებას დიდი ძალა სჭირდებოდა.

რჩებოდა ბოლო ვერსია: აკლდამაში „ონავრობდა“ საცოდავი დორკასის სული. შეიძლება საწყალი გოგო ასე ცდილობდა, თუნდაც სიკვდილის შემდეგ სამაგიერო გადაეხადა სისხლის აღმრევი მამისათვის.

მეცნიერებმა ვერ ახსნეს ეს ფენომენი.

***ნლო №31***

# სულის დაბრუნება

იტალიელმა სწავლულმა ქალბატონმა ბელა რებიჩმა 1978 წლის 14 ოქტომბერს გამორთული ტელევიზორის ეკრანზე დაინახა თავისი ოჯახის წევრების პორტრეტები. შემდეგ გამოჩნდა მეზობლის ვაჟი ბრუნო მორელი, რომელიც 25 წლის ასაკში გარდაიცვალა. საოცარია, რომ ახალგაზრდას ისევე ეცვა, როგორც სიკვდილის დღეს. ბრუნომ ბელას გაუღიმა.

ორი კვირის შემდეგ, ტელევიზორის გვერდით მდგარი მაგნიტოფონიდან გაისმა ბრუნოს ხმა, რომელმაც ქალს უთხრა — საღამოს ჩემი მშობლების ტელეეკრანზე გამოვჩნდებიო. ქალბატონმა რებიჩმა ეს ამბავი მაშინვე ბრუნოს მშობლებს შეატყობინა. მართლაც, ბრუნომ პირი არ გატეხა — ის სიცოცხლეშიც სიტყვის კაცი იყო!..

ასეთი შემთხვევა იშვიათობას აღარ წარმოადგენს. ამ მოვლენას მეცნიერულად შეისწავლიან აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბრაზილიასა და სხვა ქვეყნებში.

შვედი სწავლულები იურგენსონი და რაუდივი მაგნიტოფონის საშუალებით დაუკავშირდნენ ორ იმქვეყნიურ არსებას. მათ უკვე ათ წელზე მეტია ერთმანეთთან კავშირი აქვთ.

ისინი მეცნიერებს მაგნიტოფონის საშუალებით გაეცვნენ და უთხრეს, რომ არასდროს უცხოვრიათ ადამიანური ცხოვრებით. მათი მისიაა — ზრუნვა დედამიწის კეთილდღეობაზე. ფრანგმა თეოლოგმა ფრანკო ბრაენმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კოსმოსში არსებული „ციური ფენა“ „აფიქსირებს“ სიცოცხლეში ადამიანის ყველა მოქმედებას. ისინი შემდეგ უსასრულობაში მიდიან, მაგრამ მათი გრძნობები, აზრები და საქციელი დედამიწაზე რჩება.

***ტაინაია ვლასტ №8***

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I.** ირემი, ცხვარი, სპილო და ნიანგი;

**II. რებუსი**
ცუდი შვილი დედის სირცხვილია და მამის მწუხარება;

**III.** ძროხა;

**IV.** მეოთხეს არ ჰყავს ორეული;

**V.** 1) — გ); 2) — ბ);
3) — ბ); 4) — ა)

**VI.** მეოთხეს პირველი ენაცვლება, მეხუთეს — მეცხრე და მეორეს — მეთორმეტე.

# ფრთაფარფატა ფერია

ფერიებზე უამრავი ზღაპარი, ლეგენდა და ნამდვილი ამბავი არსებობს. ასწლეულების მანძილზე ევროპელი (განსაკუთრებით ნორვეგიელი) გლეხები ცელქი ფერიების მსხვერპლნი ხდებოდნენ, ან პირიქით, მათ კეთილი ფერიები ეხმარებოდნენ. მაგრამ ისტორიაში ფერიებთან შეხვედრის დოკუმენტურად დადასტურებული მხოლოდ ერთი შემთხვევაა ცნობილი.

10 წლის ფრანს გრიფიტი და 13 წლის ელსი რაიტი ბიძაშვილები იყვნენ და სოფლად ცხოვრობდნენ. ეს ჩვეულებრივი გოგონები თანატოლებისგან არ განსხვავდებოდნენ. უყვარდათ დიდების კაბებში გამოწყობა და ფერ-უმარილის წასმა. ხშირად გარბოდნენ მინდორში სათამაშოდ. ერთხელ დაბრუნებულებმა მშობლებს უთხრეს, — ფერია ვნახეთო. რასაკვირველია, ეს არავინ დაიჯერა, გოგონები ძალიან განაწყენდნენ და გაიბუტნენ. ელსის მამა ძალიან შეწუხდა და ბავშვებს ფოტოაპარატი აჩუქა: თუ ფერიები მართლა არსებობენ, მაშინ ფოტო გადაუღეთო...



1920 წლის „STRAND MAGAZIN“-ში პირველად, ისტორიაში, გამოქვეყნდა ელსის და ფრანსის მიერ გადაღებული ნამდვილი ფერიების სურათები.

...ბავშვებმა როგორც კი ფოტოაპარატი მიიღეს, მაშინვე ფერიების მინდორს მიაშურეს და როგორც თავად განაცხადეს, მათ სურათის გადაღების ნება სთხოვეს. გამარჯვებული და გახარებული გოგონები შინ დაბრუნდნენ. არტურ რაიტმა ფირი რომ გაამჟღავნა, გაოგნდა, ფოტოზე ელსის გარშემო ადამიანის მსგავსი არსებები დაფრინავდნენ, ზურგზე გამჭვირვალე ფრთები ჰქონდათ და პეპლები გეგონებოდათ. რაიტმა თვალს არ დაუჯერა, გაეშურა მდელოსკენ და ყოველი კუთხე-კუნჭული დაათვალიერა — ვერაფერი აღმოაჩინა, სურათებიც გადაიღო, მაგრამ ფერიები არსად ჩანდნენ. მაშინ კვლავ გოგონებს სთხოვა ფოტოების გადაღება.

### კონან დოილს ფერიები უყვარდა

ახალ ფოტოებზე გოგონებმა ფერიები მსხვილი პლანით გადაიღეს. ერთ მათგანს მამაკაცის ძველმოდური კოსტიუმი ეცვა და ელსის ხელისგულზე იდგა. ამის შემხედვარე არტურ რაიტი რაღაც ამოუცნობმა შიშმა შეიპყრო, ფოტო გადამალა, გოგონებს კი მინდორში წასვლა აუკრძალა. მაგრამ საოცარი სურათების ამბავი გარშემო სოფლებს გასცდა და არტურს პროფესიონალი ექსპერტ-ფოტოგრაფი ეწვია ფოტოების ნამდვილობის შესამოწმებლად. ექსპერტმა დაადასტურა — სურათებზე არც მონტაჟია გამოყენებული და არც სხვა მხატვრული ხერხები — ფოტოსურათები ნამდვილიაო.

ბოლოს და ბოლოს, ამ ამბავმა მწერალ კონან დოილის ყურამდეც მიაღწია.

ბევრმა არ იცის, რომ მისი შემოქმედების მთავარი თემა იყო არა შერლოკ ჰოლმსის და დოქტორ უოთსონის თავგადასავლები, არამედ ის უცნაური და საშინელი ამბები, რაც ადამიანებს გადახდომიათ თავს. ასე რომ, კონან დოილი მისტიკის ავტორიტეტად ითვლებოდა. მან ცნობილი კინოოპერატორი მიიწვია და იმანაც დაადასტურა, ფირი ნათალლითარი არ არისო. მაშინ კონან დოილმა გოგონებს სთხოვა, კვლავ გადაიღეთ სურათებიო. ახალ ფოტოებზე ფერიების ახალი სახეები აღიბეჭდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაბეჭდეს ისინი ჟურნალში, რამაც ნამდვილი სენსაცია მოახდინა.

ბოლო ფოტოები გოგონებმა 1921 წელს გადაიღეს, — აღარაფერი გამოუვიდათ, ფოტოებზე მხოლოდ რეალური ხალხი და ნივთები აღიბეჭდებოდა.

სპეციალისტები ცდილობდნენ გაეგოთ, რა მოხდა. ერთნი ამბობდნენ, — გოგონები გაიზარდნენ და გარე სამყაროსთან კავშირის ძალა დაკარგესო, მეორენი — ფერიები საერთოდ არ არსებობენ, პარანორმალური თვისებებით დაჯილდოებულმა ბავშვებმა ფირზე თავისი ფანტაზიის ნაყოფი აღბეჭდესო.

ასეა თუ ისე, ეს იყო ერთადერთი, — ადამიანისა და ფერიის კავშირის დამადასტურებელი საბუთი.

***ვოტ ტაკ! №32***

# სარკმელი მიღმა სამყაროში



კაცობრიობას ყოველთვის აინტერესებდა ე.წ. მიღმა სამყარო. მისი წარმომადგენლები კი თვალს ადევნებდნენ კაცობრიობას. ზოგჯერ მათ შორის დიალოგი არასტანდარტული სიტუაციებით რთულდება — კედლებზე ხან გაუგებარი წარწერები ჩნდება, ხან რაღაც არსება ჩაგვისახლდება. განსაკუთრებით დაზარალებული შემოქმედი ხალხია. მაგალითად, მხატვრები ხშირად ჩივიან, ერთს ვხატავთ და მეორე გამოგვდისო — თითქოს ვიღაც უხილავი სარკმლად ნახატებს იყენებს ადამიანთა სამყაროში ჩასახედად.

1485 წელს ფლორენციელები გაოცებით შეჰყურებდნენ კაპელა სასეტიში დომენიკო გირლანდაიოს უცნაურ ფრესკას. თითქოს ყველაფერი თავის ადგილას იყო — ზუსტი პერსპექტივა, კარგი ტექნიკა, საინტერესო სიუჟეტი: მოდურად გამოწყობილი ქალბატონები უდარდელად საუბრობენ, იქვე ლოყებდაბრაწული ბავშვები დახტიან, ბალახზე კი მედიდურად დასეირნობს წყვილი თეთრი მარტოეშვა. საოცარი ამ ფრესკაზე ბალახია — იგი ნარინჯისფერი გახლდათ. ფერმწერი თავადაც შეცბუნებული იყო, — მან ხომ ბალახი მწვანე ფერით დახატა.

მალე ფერმწერმა ახალი დაკვეთა მიიღო — იგივე შემცირებული ვარიანტით უნდა დაეხატა. სასწაული მოხდა — ბალახი ისევ ნარინჯისფერი გამოუვიდა. ეს უცნაურობა მარტორქებს დაბრალდა — მათ ძველთაგანვე მაგიურ ცხოველებად მიიჩნევდნენ. ერთგული, თავდავიწყებული სიყვარულის სიმბოლოებად აღიარებდნენ (მაგრამ ცხოველი, რომელიც გირლანდაიოს ფრესკებზე ხშირად ჩნდებოდა, ბუნებაში არ არსებობს და არც ჩვენთვის ცნობილი მარტორქას ანალოგია).

1505 წელს რაფაელი ქმნის ტილოს „ქალის პორტრეტი მარტოეშვასთან ერთად“. მოშურნეებმა გაიხარეს — უკანა პლანზე პეიზაჟი, ხეები ცისფერი იყო. რა მოხდა? ნუთუ მხატვრებს დაავიწყდათ, რომ ბალახი მწვანეა. იქნებ არაფერში არიან დამნაშავენი: უბრალოდ, ის მისტიკური ცხოველები ამქვეყნიურ პეიზაჟში უცხოდ გრძნობდნენ თავს და გადაწყვიტეს თავისი, ნარინჯისფერ-ცისფერბალახიანი სამყარო ეჩვენებინათ.

1850 წელს გერმანელმა მხატვარმა ადოლფ ფონ მენცელმა პრუსიის სამეფო სახლის ყოფის ამსახველი ისტორიული ტილოების ციკლის შექმნა გადაწყვიტა. მენცელი ფრიდრიხ დიდის, განსაკუთრებით, მისი მუსიკალური ტალანტის თაყვანისმცემელი იყო. ხელმწიფე მუსიკას თხზავდა და შესანიშნავად უკრავდა ფლეიტაზე. დროდადრო კონცერტებსაც მართავდა სასახლე სან-სუსიში. შედეგად შეიქმნა უმშვენიერესი ტილოები — „ფრიდრიხ II-ს მრგვალი მაგიდა სან-სუსიში“ და „ფრიდრიხის კონცერტი სან-სუსიში“. პირველ გამოფენაზე დიდებულები აღტაცებით ათვალიერებდნენ ტილოებს. უეცრად მხატვარს ჰკითხეს: „აი, ისინი ვინ არიან?“ მხატვარი საკუთარ ნახატს დააშტერდა — აშკარად ახსოვდა, მითითებულ ადგილას მას არავინ დაუხატავს. ახლა კი ტილოდან წვერიანი მოხუცი შემოჰღიმოდა, იქვე ვიღაც ჩასუქებული მამაკაცი იდგა. „იცი, — უთხრა მეგობარმა მხატვარს, — სან-სუსიში კონცერტებზე ზოგჯერ უსიამოვნო განწყობა სუფევდა. ფრიდრიხი ხუმრობდა, კონცეტის მოსასმენად ალბათ სულები მოდიანო. ეტყობა, მათაც მოსწონდათ ხელმწიფის მუსიკა“.

აი, ჩვენს თანამედროვე მხატვარ რენე მაგრიტს კი ყოველთვის იზიდავდა მაგიური მოვლენები — ტილოზე „პანდორის ყუთი“ მხატვარმა გამოსახა ქუჩა, გამვლელი და თეთრი ვარდი. განსაკუთრებული თითქოს არაფერია, მაგრამ რატომღაც მნახველში ტილო უცნაურ ასოციაციას იწვევს: თანამედროვე ქალაქი მისი თეთრ-ვარდისფერი ილუზიებით ცდუნებებისა და განხეთქილებების ეპიცენტრად წარმოგვიდგება. „უხილავი, დამალული ხილულია, — ამბობდა მაგრიტი, — მხოლოდ ფარდის გადაწევაა საჭირო“.

***ორაკული №8***

# რატომ გარბიან საქართველოდან ქართველები?



ვლადიმერ სტეფანია

შარშან, შემოდგომაზე უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრებს კიდევ ერთხელ გაუჩნდა ჯგუფური ტურნირის დაძლევისა და მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი. სწორედ ამ დროს გაავრცელეს სენსაციური ინფორმაცია: თურმე არგენტინის მოქალაქე და ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი, „ველეს სარსფილდის“ თავდამსხმელი დიეგო კლიმოვიჩი მზად იყო მიეღო უკრაინის მოქალაქეობა იმ იმედით, რომ ამ სლავური ქვეყნის სახელით მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის საშუალება მიეცემოდა. გასაკვირი არ არის, რომ ბატისტუტას, კრესპოსა და სხვა, მათი დონის ვარსკვლავებით სავსე ნაკრებში კლიმოვიჩი ვერ მოხვდა. ცნობების თანახმად, ხელწამოსაკრავი და უკრაინელთა დასაწუნი ფეხბურთელი არ იყო. არგენტინელი თავდამსხმელის პაპა კომუნისტების დროს უკრაინიდან გაქცეული ემიგრანტი გახლდათ და შვილიშვილმაც მუნდიალის მოახლოებისას გაიხსენა ფესვები.

არადა, იყო დრო, ჩვენსავით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნიდან სპორტსმენები გარბოდნენ. ამ პროცესმა შესძინა რუსეთს ახალი მოქალაქეები. ნიკიფოროვი, ონოპკო, იურანი, ციმბალარი და ა.შ.

უკრაინელებმა ეს მძიმე პერიოდი დაძლიეს და კლიმოვიჩის მსგავსად არც სხვა სპორტსმენებს არ უთქვამთ უარი სლავების სამსახურში ჩადგომაზე. ასე მოექცნენ უკრაინელებად ქართველი მოჭიდავეები სალდაძე, ბიჩინაშვილი...

ოთხი თვის წინ მსოფლიოსთვის ყველაზე ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელმა კახა კალაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ ძმის გათავისუფლების იმედი გადაეწურა და ფიფას მიმართავს თხოვნით, დაუშვას გამონაკლისი და უკრაინის ნაკრებში თამაშის უფლება დართოს.

მას შემდეგ დრო გავიდა და კახამ ისიც აღიარა, რისთვის დასჭირდა ულტიმატუმის ენაზე საუბარი — იქნებ ამგვარად მაინც გაათავისუფლონ ჩემი ძმაო.

თუმცა საქართველოში ამით არაფერი შეცვლილა. ჩვენ ახლაც იმავე დღეში ვართ, როგორშიც ათი წლის წინ უკრაინა იყო და არანაირი საშველი არ ჩანს. საეჭვოა, დღევანდელ ვითარებაში ჩავარდნილ სალდაძეს, ბიჩინაშვილს, კახნიაშვილს, ჩომახიძეს, თეთრაძეს სხვაგვარი გადაწყვეტილება მიეღოთ, ვიდრე თავის დროზე, როდესაც უცხო ქვეყნის სამსახურში ჩადგნენ. მათ დღესაც გააქცევდა ეს ქვეყანა და უკან მოხედვასაც შეაჯავრებდა.

მაგალითები, რამდენიც გნებავთ, იმდენია. აბა, კარგად დავფიქრდეთ, რატომ არ სურს უცხოეთში მოთამაშე მდიდარ ქართველ სპორტსმენთა დიდ ნაწილს (სტეფანია, კალაძე, კობიაშვილი და ა.შ.) შვებულების საქართველოში გატარება? რატომ ექცათ ტანჯვად სამშობლოში ორიოდე დღით, ნაკრების თამაშებზე ჩამოსვლა? და საერთოდ, რატომ აქვთ ერთი სული, უცხოეთში დაბრუნდნენ?

კობიაშვილის ოჯახი დააყაჩაღეს, ქინქლაძის მამა კინაღამ „მერსედესს“ შეეწირა, გუცაევს მანქანა მოჰპარეს, დემეტრაძე დაყაჩაღებას სასწაულით გადაურჩა, ფედერაციიდან რამდენჯერმე „აორთქლდა“ ფული და ა.შ. ამ ყოველივეს „თეთრხელთათმანიანი“ რეკეტერებიც ემატებიან.

— ძმაკაც, ერთი, ხუთასი დოლარი მჭირდება, — ეტყვის ვიღაც ნარკომანი ბაზიდან გამოსულ სპორტსმენს და ფეხბურთელებს ასეთი „წვრილ-წვრილი“ ხარჯებით ჯიბეები უცარიელდებათ. უარის შემთხვევაში უსიამოვნება და არაკაცის სახელი გარანტირებული აქვთ, თითქოს მათთვის ხუთასი დოლარი არაფერია და ენანებათ.

ბოლო დროს მოდაშია NBA-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელის, ვლადიმერ სტეფანიას გინებაც. აქაოდა, საქართველო ეჯავრება, ნაკრებში თამაშს უარობს და ამერიკაში მაგის თამაში ვის რაში სჭირდებაო. ამ დროს იჩქმალება ნამდვილი მიზეზი.

საქმე ისაა, რომ NBA-ში ჩარიცხულმა სტეფანიამ ფიზკულტურის ინსტიტუტში მდებარე საკალათბურთო აკადემიის დაფინანსება გადაწყვიტა. ეს მართლაც დიდი საქმე გახლდათ, მაგრამ დაინახეს რა მისი ფული, ყაჩაღებს ვოვას „გაფცქვნის“ სურვილი მოეძალათ და პირველივე ჩამოსვლისას 30 ათასი დოლარი წაართვეს. სამწუხაროდ, ეს ბევრმა იცოდა, მაგრამ ახალგაზრდა, ქუჩისგან შორს მდგარი ბიჭის დახმარება ვერავინ შეძლო. ახლა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ბესიკ ლიპარტელიანი ნაკრებში სტეფანიას დაბრუნებას ცდილობს, მაგრამ ვოვას დღემდე მწარედ ახსოვს თბილისური ამბები და გართულებას ერიდება.

— ახლა უკვე მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ „მაიამიში“ ათწლიანი კონტრაქტით სტეფანია 1,2 მილიონი დოლარით გამდიდრდა და მას ეს ფული სხვებისთვის არ გამოუმუშავებია. ასევე ძნელი სათქმელია, როდის მოირგებს საქართველოს ნაკრების მაისურს „მილანის“ მცველი კახა კალაძე. წელიწადი და სამი თვე გავიდა მისი ძმის გატაცებიდან, არის უამრავი დაპირება, მაგრამ ლევანის ალი-კვალი არ ჩანს.

უკრაინელები კი, რომლებიც ათიოდე წლის წინ ჩვენ არაფრით გვჯობნიდნენ, იმით არიან ბედნიერები, რომ უცხოელები თავად მიილტვიან მათკენ. აბა, რა ისეთი გრანდია დონეცკის „მეტალურგი“, „დანდის“, „ფრაიბურგისა“ და მოსკოვის „დინამოს“ რომ არ დაუთმო გოჩა ჯამარაული. მაგრამ უკრაინა უკვე ქვეყანაა და არა მხოლოდ ტერიტორია. ჯამარაულმა ამის გათვალისწინებით გააკეთა არჩევანი და ჩვენი „დინამოს“ წინადადებაზე სერიოზულად არც დაფიქრებულა — საქართველოში თამაში არ ღირსო.

ასე, ნელ-ნელა იცლება საქართველო ქართველი სპორტსმენებისაგან და არა მარტო მათგან

# „კოპენჰაგენი“ ჩვენს გუნდებს არ ახარებს

გასულ ხუთშაბათს უეფას თასის გათამაშებამ აიღო სტარტი. ტურნირში საქართველოს ჩემპიონატის მეორე და მესამეადგილოსანი გუნდები ჩაებნენ — თბილისის „ლოკომოტივი“ და „დინამო“. წილისყრამ რკინიგზელებს „დინამოზე“ ბევრად ძლიერი მეტოქე არგუნა. დანიური „კოპენჰაგენი“ ქართველმა გულშემატკივარმა შარშან გაიცნო, როცა ქუთაისის „ტორპედოს“ საკმაოდ იოლად სძლია ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე. ხუთშაბათს კოპენჰაგენში მატჩი ისე დაიწყო, უკეთესს ვერც ვინატრებდით. მეცხრე წუთზე ზაზა ჯანაშია დანიელ მცველებს დაუძვრა და ანგარიშიც გახსნა. დანიელები ასეთმა დასაწყისმა დააბნია, მასპინძლები მხოლოდ ტაიმის მიწურულს მოეგნენ გონს, 41-ე წუთზე იონსონმა ანგარიში გაათანაბრა, მეორე ტაიმის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული, როცა ლარსონმა აიღო ლომაიას კარი, კიდევ 8 წუთში კი იმავე იონსონმა მესამეც გაიტანა და საბოლოო შედეგიც დააფიქსირა. საპასუხო მატჩს 22 აგვისტოს რკინიგზელები საკუთარ სტადიონზე გამართავენ და მიუხედავად იმისა, რომ „კოპენჰაგენი“ პირველი მატჩის ანგარიშიდან გამომდინარეც ფავორიტია და თავიდანვე ფავორიტად ითვლებოდა, სიტუაციას უიმედო არ ეთქმის. „ლოკომოტივი“ რევანშის აღებას შეეცდება.

თბილისის „დინამომ“ ყოველგვარი დაძაბულობისა და ნერვიულობის გარეშე მოუგო ესტონურ „ტალინს“. 4:1 ის ანგარიშია, რომელიც საპასუხო მატჩის წინ თბილისელებს მშვიდად ყოფნის საშუალებას აძლევს. სტუმართა კარში ორი გოლი შაშიაშვილმა გაიტანა, თითო — კარლოსმა და დარასელიამ. მატჩის შემდეგ თბილისელთა ხორვატი მწვრთნელი ივო შუშაკი კმაყოფილებას არ მალავდა. „დინამოელთა“ ქება არც სტუმართა მწვრთნელს ვიაჩესლავ სმირნოვს დაზარებია — აშკარაა, რომ „დინამო“ აღმავლობის გზას ადგას და მალე ძველ სახელსაც დაიბრუნებსო. ღმერთმა ქნას ტალინელთა მწვრთნელი პროგნოზებში არ სცდებოდეს. რას წარმოადგენს წლევანდელი „დინამო“, მომავალ ეტაპზე უკეთ გამოჩნდება, სადაც სავარაუდოდ შუშაკის გუნდს ესტონურ კლუბზე ძლიერი მეტოქე ეყოლება.

## უეფას თასი. I საკვალიფიკაციო ეტაპი

| | | | |
|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი (დანია) | — | ლოკომოტივი (საქართველო) | 3:1 |
| დინამო (საქართველო) | — | ტალინი (ესტონეთი) | 4:1 |
| ქაირათი (ყაზახეთი) | — | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 0:2 |
| სპარტაკი (სომხეთი) | — | სერვეტი (შვეიცარია) | 0:2 |
| ატირაუ (ყაზახეთი) | — | პუხოვი (სლოვაკეთი) | 0:0 |
| ამიცა (პოლონეთი) | — | ტნს (უელსი) | 5:0 |
| გომელი (ბელორუსი) | — | ჰიკი (ფინეთი) | 1:0 |
| პობედა (მაკედონია) | — | მიდტიულანდი (დანია) | 2:0 |
| პრიმორიე (სლოვაკეთი) | — | ზვარტნოცი (სომხეთი) | 6:1 |
| ვენტსპილსი (ლატვია) | — | ლუგანო (შვეიცარია) | 3:0 |
| ენკამპი (ანდორა) | — | ზენიტი (რუსეთი) | 0:5 |
| მეტალურგი (ლატვია) | — | კაერნტენი (ავსტრია) | 0:2 |
| სლიმა (მალტა) | — | პოლონია (პოლონეთი) | 1:3 |
| დინამო (ბელორუსი) | — | ცსკა (ბულგარეთი) | 1:4 |
| მიუპა (ფინეთი) | — | ოდენსე (დანია) | 1:0 |
| ლევადია (ესტონეთი) | — | მაკაბი (ისრაელი) | 0:2 |
| მეტალურგი (უკრაინა) | — | ბირკირკარა (მალტა) | 3:0 |
| სენეცი (სლოვაკეთი) | — | შიროკი ბრიეგი (ბოსნია) | 1:2 |
| კლაკსვიკარი (ფარერები) | — | უიპეშტი (უნგრეთი) | 2:2 |
| ლეიშოეში (პორტუგალია) | — | ბელასიცა (მაკედონია) | 2:2 |
| სტაბეკი (ნორვეგია) | — | ლინფილდი (ჩრ. ირლანდია) | 4:0 |
| ანორთოსისი (კვი) | — | გრევენმახერი (ლუქსემბურგი) | 3:0 |
| პაპოელი (ისრაელი) | — | პარტიზანი (ალბანეთი) | 1:0 |
| ტირანა (ალბანეთი) | — | ნაციონალი (რუმინეთი) | 0:1 |
| აიკი (შვედეთი) | — | ვესტმანაეიარი (ისლანდია) | 2:0 |
| ბრანი (ნორვეგია) | — | სუდუვა (ლიტვა) | 2:3 |
| ზიმბრუ (მოლდოვა) | — | გიოტებორგი (შვედეთი) | 3:1 |
| ლიტექსი (ბულგარეთი) | — | ატლანტასი (ლიტვა) | 5:0 |
| სიგმა (ჩეხეთი) | — | სარაევო (ბოსნია) | 2:1 |
| გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) | — | ვისლა (პოლონეთი) | 0:2 |
| რაპიდი (რუმინეთი) | — | გორიცა (სლოვაკეთი) | 2:0 |
| ვარტექსი (ხორვატია) | — | დანდალკი (ირლანდია) | 5:0 |
| ავენირი (ლუქსემბურგი) | — | იფსვიჩი (ინგლისი) | 0:1 |
| ფალკირკი (ისლანდია) | — | მუსკრონი (ბელგია) | 1:1 |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) | — | აელი (კვი) | 4:0 |
| ჰაიდუკი (ხორვატია) | — | გოტუ (ფარერები) | 3:0 |
| ბანგორი (უელსი) | — | სარტიდი (იუგოსლავია) | 1:0 |
| დომანიანო (სან-მარინო) | — | ვიქტორია (ჩეხეთი) | 0:2 |
| აბერდინი (შოტლანდია) | — | ნისტრუ (მოლდოვა) | 1:0 |
| შემროკი (ირლანდია) | — | იურგორდენი (შვედეთი) | 1:3 |

# ევროპას დიდი ფეხბურთი დაუბრუნდა

სამშაბათს და ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის გადამწყვეტი — მესამე სტადია დაიწყო, საქმეში ევროპული გრანდებიც ჩაებნენ. 13 და 14 აგვისტოს პირველ შეხვედრები გაიმართა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო „მილანისა“ და ჩეხური „ლიბერეცის“ შეხვედრა იყო, რომელიც კახი კალაძის გუნდმა საკუთარ „სან სიროზე“ ფილიპო ინძაგის კინკილა გოლის წყალობით მოიგო. ქართველმა ფეხბურთელმა სრული 90 წუთი ითამაშა და საკმაოდ კარგი შეფასებაც დაიმსახურა. სხვა გრანდთაგან „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „მოახერხა“ და აქამდე ყველასათვის უცნობ უნგრულ „ზალაეგერსეგთან“ წააგო, მილანის „ინტერმა“ კი სტუმრად პორტუგალიურ „სპორტინგს“ ვერ აჯობა. რაც შეეხება „ბარსელონას“ და მიუნხენის „ბაიერნს“, მათ პირველი მატჩებში გაინაღდეს ლიგაში ადგილი, პირველმა მათგანმა შინ 3:0 მოუგო პოლონურ „ლეგიას“, მეორემ კი ამავე ანგარიშით, ოღონდ სტუმრად დაამარცხა იუგოსლავიური „პარტიზანი“.



უნგრელებმა ფერგიუსონს თავსატეხი გაუჩინეს

## ჩემპიონთა ლიგა მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი, I შეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| მაკაბი (ისრაელი) | — | შტურმი (ავსტრია) | 2:0 |
| ფეიონოორდი (ჰოლანდია) | — | ფენერბახჩე (თურქეთი) | 1:0 |
| ბოავიშტა (პორტუგალია) | — | ოსერი (საფრანგეთი) | 0:1 |
| ჰაპოელი (კვიპროსი) | — | აეკი (საბერძნეთი) | 2:3 |
| გენკი (ბელგია) | — | სპარტა (ჩეხეთი) | 2:0 |
| შახტარი (უკრაინა) | — | ბრიუგე (ბელგია) | 1:1 |
| ჟელეზნიჩარი (ბოსნია) | — | ნიუკასლი (ინგლისი) | 0:1 |
| გრაცერი (ავსტრია) | — | ლოკომოტივი (რუსეთი) | 0:2 |
| ლევსკი (ბულგარეთი) | — | დინამო (უკრაინა) | 0:1 |
| მილანი (იტალია) | — | ლიბერეცი (ჩეხეთი) | 1:0 |
| პარტიზანი (იუგოსლავია) | — | ბაიერნი (გერმანია) | 0:3 |
| სელტიკი (შოტლანდია) | — | ბაზელი (შვეიცარია) | 3:1 |
| ბარსელონა (ესპანეთი) | — | ლეგია (პოლონეთი) | 3:0 |
| სპორტინგი (პორტუგალია) | — | ინტერი (იტალია) | 0:0 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) | — | ბრონდბიუ (დანია) | 1:0 |
| ზალაეგერსეგი (უნგრეთი) | — | მანჩესტერი (ინგლისი) | 1:0 |

# ალექსიძე „არისტოკრატებს“ დაემშვიდობა

მოსახდენი მოხდა — „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ რატი ალექსიძე გუნდიდან დაითხოვა. არადა, 2000 წლის იანვარში ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გუნდში ჩარიცხული ფეხბურთელის დიდი იმედი ჰქონდა „ჩელსის“ მაშინდელ მწვრთნელს ჯან ლუკა ვიალის.



რატი ალექსიძე

სამწუხაროდ, დრო გადიოდა, რატის კი არ ეღირსა გუნდის შემადგენლობაში დამკვიდრება, თანაც, „ჩელსი“ მასზე მზრუნველ ვიალისაც შეელია და რატიმ ახალ გუნდში გადასვლაზე დაიწყო ფიქრი. ასე მიილია ორი წელი. ალექსიძე სხვა გუნდს ვერ ეღირსა და 24 წლისაც შესრულდა, ამ ასაკის მოთამაშეს კი ინგლისში პერსპექტიულს აღარ უწოდებენ, სარეზერვო გუნდში მის დარჩენასაც არ ჰქონდა აზრი. თავად რატი გათავისუფლებისთვისაც (რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ) უზომოდ კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ ახლა გაცილებით გაუიოლდება დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკება: „პრემიერლიგის ერთ-ერთ გრანდში თუ ვერ ვითამაშე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სხვა ინგლისური ან საერთოდ ევროპული კლუბები არ მიმიწვევენ. პირიქით, გუნდმა ჩემი ინტერესების გათვალისწინებით გამათავისუფლა“.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში „ფრაიბურგის“, „კიოლნისა“ და „ფიურტის“ შემდეგ „უნტერხახინგი“ მეოთხე გუნდია, რომელშიც ქართველი ითამაშებს — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 26 წლის მიხეილ საჯაია ახლახან სწორედ „უნტერხახინგში“ ჩაირიცხა. ქართველი ფეხბურთელი ამ გუნდს ბუნდესლიგაში დაბრუნებაში დაეხმარება.

**ლაშა დუმბაძე**

# მოზაიკა. მოზაიკა. მოზაიკა

## ჯენიფერ ლოპესი დაზარალდა...



გაყრით დასრულდა ჯენიფერ ლოპესისა და კრის ჯადის ქორწინება. ამის მიზეზი კი გახლდათ ჯადის მექალთანეობა. კრისმა ისარგებლა ჯენიფერის საგასტროლოდ ყოფნით, გარე-გარე დაიწყო სიარული. ბარებსა და ღამის კლუბებში „ახვევდა“ გოგონებს, სასმელსა და ნარკოტიკს ყიდულობდა მათთვის და, რაც მთავარია, ცოლის საკრედიტო ბარათით იხდიდა დანახარჯებს. შინ დაბრუნებულმა ჯენიფერმა ეს რომ გაიგო, ყელში ეცა ქმარს, არც ხელი დაუკლია და არც ფეხი.

ჯენიფერმა სასწრაფოდ გადაწყვიტა გაყრა, მაგრამ კაი ზარალიც ნახა.

8 თვის წინ, გათხოვებისას, იმდენად აღელვებული იყო, რომ საქორწინო კონტრაქტის დადება არც გახსენებია, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ კრისს სავსებით სამართლიანად შეუძლია მოითხოვოს ჯენიფერის ქონების ნახევარი. თუმცა, საქმე მეგობრულად მოგვარდება. რადგან კრის ჯადს 14 მლნ დოლარიც აკმაყოფილებს — ეს იმ თანხის ნახევარია, რაც ლოპესმა წინა წლის სექტემბრიდან გამოიმუშავა. თუმცა ჯენიფერმა სხვა მხრივაც იზარალა — ამ გაყრის გამო შეცვალეს პლაკატები, სადაც ლოპესი ქმართან ერთად იყო გადაღებული.

## ოფრამ შერი აატირა...



როგორც ცნობილია, ოფრა უინფრიმ — ამერიკელმა ტელევარსკვლავმა, სახელ-დიდება (და შეიძლება ითქვას, ქონებაც) სკანდალური ტოკ-შოუებით მოიხვეჭა. ახლაც, მან პირდაპირ ეთერში აატირა მსახიობი და მომღერალი შერი. შეგახსენებთ, რომ შერი აქამდე საზოგადოებისთვის და ნათესავ-მეგობრებისთვისაც ცნობილი იყო, როგორც საკმაოდ გულგრილი ადამიანი, რომელსაც თავისი გარეგნობისა და წარმატების მეტი არავინ და არაფერი ახსოვს. შოუზე ოფრას რატომღაც ფიქრად მოუვიდა, შერისთვის ეჩვენებინა ყოფილი ქმრის — სონი ბონოს დაკრძალვის ვიდეოჩანაწერი. შერიმ თავი ვერ შეიკავა და აქვითინდა.

შერის მანამდე არ სცოდნია, რომ მისი მართლაც საყვარელი მეუღლის გასვენება ფირზე იყო გადაღებული. ოფრა იძულებული შეიქნა, ბოდიში მოეხადა მისთვის, ხოლო სამსახურიდან სასწრაფოდ დაითხოვა თავისი თანაშემწეები, რადგან მათ სტუმარს წინასწარ არ გააცნეს შოუს სცენარი...

## სანდრა ბალოკმა გააოგნა ჰოლივუდი



სანამ სანდრა ბალოკის თაყვანისმცემლები იმაზე ბჭობდნენ, თუ რა დამოკიდებულება აქვს მათ კერპს ჰიუ გრანტთან, რომელიც სანდრას ერთ-ერთი ბოლო ეკრანული პარტნიორი იყო, ვარსკვლავმა საზოგადოების წინაშე გამოჩენა დაიწყო მორიგ პარტნიორთან, გოსლინგთან ერთად.

37 წლის ბალოკს სულაც არ ანაღვლებს ის ფაქტი, რომ მისი ახალი მეგობარი მხოლოდ 21 წლისაა...

როგორც ჩანს, ასაკობრივი სხვაობა არც მომავალ სექს-სიმბოლოს ანაღვლებს — ამ ტიტულს უწინასწარმეტყველებენ გოსლინგს...

## სტივენ სიგალი ჩინგის ხანი იქნება



გაისად, მაისში, ჰოლივუდში დაიწყება გადაღება ფილმისა, რომელიც მონღოლთა ლეგენდარულ მთავარსარდალ ჩინგის ხანზე გვიამბობს. ჩინგის ხანის როლს სტივენ სიგალი ითამაშებს.

ახალი გმირის სახე რომ მოირგოს, ვარსკვლავმა მონღოლეთს მიაშურა. ფილმს გადაიღებენ მონღოლეთსა და რუსეთში. სიგალმა, თავგადადებულმა ბუდისტმა, რომელიც ირწმუნება, ძარღვებში მონღოლური სისხლი მიჩქეფსო, მთელი დღე ულან-ბატორის მთავარ სალოცავში გაატარა, ლამებთან ერთად ღვთისმსახურებაში მონაწილეობდა და უზენაეს ლამასაც ეწვია, ჩინგის ხანის 840 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმსაც დაესწრო და მთაზე ავიდა, საიდანაც ყველა დროისა და ხალხის ერთ-ერთი იღბლიანი მთავარსარდლის დიდების მზე ამოცურდა — ვარსკვლავი სასტუმრო „ჩინგის ხანში“ ცხოვრობდა.

ფილმი ჰოლივუდის საზომებით, მეტად იაფი დაჯდება — მხოლოდ 30 მლნ დოლარი. თუმცა ეს ჯერჯერობით სავარაუდო თანხაა.

## კარგის მქნელს ქვა ჰკრესო...



ბრძენია ჩვენი წინაპარი — სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გამართლდა ანდაზა!

ამ ცოტა ხნის წინ სახელგანთქმულმა მსახიობმა, მელ გიბსონმა, ყოვლად უანგაროდ 10 000 დოლარი აჩუქა სტუდენტ გოგონას, რომლის პოლიციელი მამა დავალების შესრულების დროს დაიღუპა და საცოდავი ობოლი ვეღარ იხდიდა სწავლის საფასურს. და როგორ ფიქრობთ, ავსტრალიის მთავრობამ მადლობა გადაუხადა ვარსკვლავს გულმოწყალებისთვის? ნურას უკაცრავად! საგადასახადო ორგანოებმა უმალ დაადანაშაულეს მსახიობი — მისი საქველმოქმედო ნაბიჯი მხოლოდ და მხოლოდ გადასახადებისგან თავის დაღწევის მიზნით იყო გადადგმულიო. ამ ბრალდებამ აღაშფოთა არა მარტო მელ გიბსონი, არამედ მსახიობის ახლობლები, რომლებმაც კარგად იციან, თუ რარიგ გულუხვი და კეთილშობილია ვარსკვლავი.

# სევდიანი კოვბოი

20 აგვისტოს 24 წელი შესრულდება ფრანგი მომღერლის — ჯო დასენის გარდაცვალებიდან. ორი ათეული წლის გასვლის მიუხედავად, მის სიმღერებს დღესაც დიდი სიყვარულით უსმენენ თაყვანისმცემლები, პარიზის ქუჩებში დღესაც ღიღინებენ მის მისამღერებს. 15-წლიანი წარმატებული კარიერის შემდეგ, 70-იანი წლების ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი 41 წლის ასაკში გარდაიცვალა გულის შეტევით.

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

შერეული სისხლის, ემიგრანტთა ოჯახის შვილი ჯო, 1938 წლის 5 ნოემბერს დაიბადა. მამამისი, უნგრულ-რუსული წარმოშობის ჟიულ ლორენი ამერიკის მოქალაქე გახლდათ. პროფესიით რეჟისორს, „მეტრო გოლდვინ მაიერთან“ ჰქონდა კონტრაქტი დადებული. გაამართლა კიდეც: მისი ზოგიერთი სურათი შედევრად აღიარეს. დედა — ბეატრიჩე, წარმოშობით ავსტრიელი, ცნობილი მევიოლინე იყო. მისი წყალობით შეისწავლა ჯერ კიდევ პატარა ჯომ პიანინოზე, გიტარასა და აკორდეონზე დაკვრა, მღეროდა კიდეც თბილი, ხავერდოვანი ხმით.

ბედნიერი ბავშვობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მაკარტიზმის წლებში „შავ სიაში“ შეტანილი ჟიულ ლორენი იძულებული გახდა, საფრანგეთში გადასულიყო საცხოვრებლად. მოგვიანებით მთელი ოჯახი მის კვალს გაჰყვა, მალე ბეატრიჩე და ჟიული გაიყარნენ. ჯოს თავდაპირველად პარიზის გარეუბანში მოუწია ცხოვრება, შემდეგ შვეიცარიის პანსიონში. თუმცა აქეთ-იქით სიარულს სულაც არ შეუშლია ხელი, ბრწყინვალე მოსწავლე ყოფილიყო. 17 წლისამ ბაკალავრის წოდება მიიღო და კვლავ აშშ-ში დაბრუნდა საცხოვრებლად. დაეუფლა მედიცინას, მოგვიანებით, ეთნოლოგიას, ცხოვრობდა ინდიელ ტომებთან. 23 წლის იყო, როცა უმაღლესი განათლების დიპლომი მიიღო. იგი თავისუფლად ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, იტალიურ ენებს. ერკვეოდა სანსკრიტში. რამდენიმე წლის შემდეგ მამამ, რომელსაც რეჟისორობა არც საფრანგეთში მიუტოვებია, როლი შესთავაზა ფილმში „სიკვდილისთვის განწირული“. ამას მოჰყვა „კანონი“ და „ტოპკაპი“. ამ უკანასკნელმა ჯოს წარმატება მოუტანა. თუმცა, კარგად ხვდებოდა, რომ მსახიობობა მისი საქმე არ იყო და გული სიმღერისკენ მიუწევდა. აი, უცნაური შემთხვევა! — 1965 წელს



რესტორანში ჯომ ერთ ქერა ქალს, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, მარიზ მესიერა იყო, წაუღიღინა: „ცოტათი მე შევცვლი ქმარს“. გარდატეხაც მის ცხოვრებაში აქედან დაიწყო. ჯოს გარეგნობით მოხიბლულმა (185 სმ სიმაღლის ცისფერთვალა, ვნებიანი ტუჩებით, ხვეული თმით) ნიცელმა ქალმა ვაჟს სიმღერის მაგნიტოფონზე ჩაწერა სთხოვა და კასეტა CбA-ს გაუგზავნა. კონტრაქტსაც არ დაუხანებია. იწყება თავბრუდამხვევი კარიერა. მთელი პარიზი გაუმიჯნურდა ჟაბოიან პერანგებში, თეთრ პიჯაკებსა თუ კოვბოის ქუდში გამოწყობილ ყმაწვილს. იქმნება ლეგენდები მელანქოლიური სახის, ფრანგული ყაიდის კოვბოიზე. გოგონებს აგიჟებს მისი სევდანარევი ღიმილი.

1966 წელს ჯომ მარიზ მესიერა შეირთო ცოლად. იგი, ამავდროულად, იყო მისი სტილისტიც, მოდელიერიც, მძღოლიც, პარიკმახერიც. მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი შვილის სიკვდილამდე... ნანატრი პატარა დაბადებიდან მეხუთე დღეს გარდაიცვალა. ამგვარი ტრაგედიისთვის ისინი მზად ვერ აღმოჩნდნენ.

1978 წელს ჯო და მარიზი ოფიციალურად გაიყარნენ. მანამდე კი, 1971 წელს (ამ დროისთვის ჯო უკვე ცნობილი ვარსკვლავი იყო) მომღერალმა თვითმფრინავში გაიცნო ლამაზი, ოქროსფერთმიანი ქრისტინ დელვო, რომელიც შემდგომში მისი ცხოვრების სიყვარული და შვილების დედა გახდა.

თითქოს მათ ირგვლივ აღარ არსებობდა სამყარო, თითქოს მთელ დედამიწაზე მხოლოდ ისინი იყვნენ...

1995 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში ქრისტინი იხსენებს, — ჩვენ, ორივე, წელიწად-ნახევრის განმავლობაში კოკაინს ვიღებდით, მაგრამ როგორც კი დავორსულდი, სამუდამოდ გადავეჩვიე ამ მავნე სენსო.

გამუდმებული მოგზაურობით, ორი შვილის გაჩენითა და მოუსვენარი ცხოვრებით დაქანცული ქრისტინი პარიზში დაბრუნდა. მალე მათი განქორწინების პროცესიც დაიწყო, მაგრამ სასამართლოს დამთავრებას ჯო ვეღარ მოესწრო. იგი 1980 წლის 20 აგვისტოს კუნძულ ტაიტზე, მზიან პლაჟზე გულის შეტევით გარდაიცვალა.

15 წელი ქრისტინმა ქმრის მოგონებებით და შვილებზე ზრუნვაში გაატარა.

ჯო დასენის ხსოვნის პატივსაცემად გამართულ სატელევიზიო შოუზე გრძნობამოჭარბებულმა ქრისტინმა თვალები ინსტინქტურად ზეცისკენ აღაპყრო და წარმოთქვა: „ყველაფრისთვის მადლობელი ვარ, ჯო“.

1995 წელს მას ასთმის შეტევამ მოუსწრაფა სიცოცხლე.

ამჟამად ჟულიენ და ჯონათან დასენები პარიზიდან 30 კმ-ის დაშორებით მდებარე, მემკვიდრეობით მიღებულ სახლში ცხოვრობენ. „რა თქმა უნდა, მამა ყოველთვის გვაკლდა, მაგრამ დედა ამ დანაკლისს თავისი მონათხრობებით გვივსებდა. მამა თითქოს სულიერად მთელი ბავშვობა ჩვენთან ერთად იყო“, — ამბობს ჟულიენი.

„როცა ვუყურებ მამაჩემის მონაწილეობით გადაღებულ ფილმს ან მის ფოტოებს, ტანზე თითქოს ჭიანჭველები მეხვევიან. მინდა, ასეთი მშობლების ღირსეული შვილი ვიყო“, — უმატებს ჯონათანი.

*7 დღე №19*

## ანგარიშიანი მადონა



თავისი ანგარიშიანობით ცნობილი მადონა 1 მლნ ასი ათას დოლარად აეროდრომის ყიდვას აპირებს. მომღერალს სულაც არ სურს ახალი ბიზნესის წამოწყება, უბრალოდ, იგი მესამე შვილს ელოდება და ძალიან აღიზიანებს მისი ფეშენებელური ციხე-კოშკის თავზე მოზუზუნე თვითმფრინავების ხმა.

ლაპარაკია ქალაქ ქომფთონ აბასთან მდებარე აეროპორტზე, რომელიც საკმაოდ ახლოს არის ვარსკვლავის მამულთან დორსეტის საგრაფოში. გრიგორიანული ეპოქის სასახლე, 485 ჰა მიწითურთ, მომღერალმა 13 მლნ დოლარად შეიძინა და ძალიან მოსწონს აქ ცხოვრება. ამიტომ, ადგილმამულის გაყიდვას, აეროდრომის ყიდვა ამჯობინა. თანაც მეზობლად სტინგი ცხოვრობს და არ უნდა ასეთ კარგ მეზობელთან განშორება...



# საჩუქრად ფეთხუმებს



შეერთებულ შტატებში არსებობს ერთი უცნაური გაერთიანება — „ფეთხუმთა კავშირი“. მასში ის ხალხია თავმოყრილი, ვინც სადილობისას გამუდმებით სვრის ტანსაცმელს კეტჩუპით, ფორთოხლის წვენით თუ ცხიმით. მათთვის ზოგიერთი ფაბრიკა საგანგებო წინსაფრებსაც უშვებს, — ეს ორგანიზაცია „მისტერ“ და „მისის ფეთხუმების“ ტიტულის მოსაპოვებლად ყოველწლიურ შეჯიბრსაც კი მართავს. ასეთ ადამიანთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ „დოკერსის კომპანიამ“, რომელიც ძირითადად ჯინსებსა და ხაკის შარვლებს უშვებს, „ფეთხუმთა ბაზრის“ დასაპყრობად უჩვეულო შარვლების კერვა დაიწყო. ამ შარვლის ქსოვილი, სხვებისგან განსხვავებით, ცხიმსა და სითხეს არ იწოვს. მასზე სითხის წვეთები ისე ჩამოცურდება, რომ ნაკვალევიც არ რჩება.

თუმც შარვალს ერთი ნაკლი მაინც აქვს — ცხიმისა და სითხის უკუგდების თვისებას ის 30-ჯერ გარეცხვის შემდეგ კარგავს. მაგრამ „ფეთხუმები“ მაინც აღტაცებულნი არიან ამ 52-დოლარიანი შარვლებით და აცხადებენ: 30-ჯერ არც ერთ ტანსაცმელს არ ვრეცხავთ, ჩვენ ხომ მათ 29-ე გარეცხვაზე ვყრითო.

*ნიუ ზუიქი*



# სტეფანის ახალი სიყვარული ეწვია

სამი თვეც არ გასულა იმ დღიდან, რაც მონაკოს მთავრის უმცროსმა ასულმა სტეფანიმ ბოლო სატრფო — ცირკის პატრონი მიატოვა და უკვე ახალი მიჯნური გაიჩინა — მთავრის ოჯახის შეფ-მზარეული. როგორც ჩანს, პრინცესა მის მიერვე შემოღებული ტრადიციის ერთგული დარჩა და კვლავ მოსამსახურე პერსონალს „დაერია“.

შეგახსენებთ, რომ სტეფანის პირველი ქმარი და ორი შვილის მამა საკუთარი მცველი იყო, მესამე ბავშვი კი მეორე მცველისგან გააჩინა. ახლა მზარეულების ჯერიც დადგა!..

*პარი მატჩი*

# ღმერთო, დამიმუხტე მობილური!



მილანის ერთ-ერთი ეკლესიის მღვდლები გულაჩუყებულნი უყურებდნენ ლათინური ამერიკიდან ჩამოსულ ახალგაზრდა წყვილს, რომელიც ყოველდღე მოდიოდა ეკლესიაში და მადონას ქანდაკებასთან ორი საათი ლოცულობდა.

ამავე დროს, წმინდა მამები ააღელვა ელექტროენერგიის დანახარჯის უჩვეულოდ დიდმა გადასახადმა.

ეკლესიის მსახურებმა გამოიძიეს და დაადგინეს, რომ ღვთისმოსავი ახალგაზრდები თურმე ეკლესიაში, ლოცვის დროს მუხტავდნენ თავიანთ მობილურებს და ეკლესიას ელექტროენერგიას ჰპარავდნენ.

როცა ეს გაირკვა, ღვთის მსახურებმა მათ პრეტენზია არ წაუყენეს. ეკლესიის წინამძღვარმა დონ ანტონიო კოლომბომ განაცხადა, რომ მობილურების დამუხტვის დროს ისინი ისე მხურვალედ ლოცულობდნენ, რომ ღმერთმა მათ შეუნდოო.

*ოჯი*



# კლინტონს ცოდვები მოეკითხება?

აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს ბილ კლინტონს დნმ-ის ანალიზის ჩატარება მოუწევს, რის შემდეგაც დადგინდება, მართლა არის მისი თუ არა 20 წლის ყმაწვილი, რომლის მამობასაც აბრალებს ყოფილი საყვარელი. მათ რომანი ჰქონდათ ბილის არკანზასის შტატის გუბერნატორობისას. შემდეგ კლინტონმა თეთრ სახლში მოიკალათა, მისი ყოფილი საყვარელი კი, მშვიდად ცხოვრობდა ქმართან. მაგრამ ბიჭი რაც იზრდებოდა, მით უფრო ემსგავსებოდა კლინტონს. ეს კი, საკმარისი გამოდგა საჯარო სკანდალისათვის...

ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი მამობას უარობს და მეტი გულმოდგინებით ეფიცება სენატორ მეუღლეს სიყვარულს.

*პოსლედნიე ნოვოსტი №31*

# ცხენ-ნაგაზი



ამერიკელმა ფერმერმა ყოფილი დოღის ცხენი იაფად შეიძინა.

სპორტული კარიერის მანძილზე 15 წლის მაზიმ განსაკუთრებულ წარმატებას ვერ მიაღწია, სამაგიეროდ, ჩინებული მეცხვარე დადგა. ფარას არ შორდება, გარს უვლის, ზუსტად ნაგაზივით იქცევა. უშიშრად იცავს ცხვრებს მტაცებლებისაგან. ძალიან შეუყვარდა თავისი ხუჭუჭა მეგობრები, ღამითაც კი არ ტოვებს მათ უყურადღებოდ. როცა მწყემსები ცხვრებს საღამოს ფარეხში ერეკებიან, მაზი კართან დგას.

რახან ცხენი თავლაში არ მიდის, პატრონმა ფარეხის გვერდით ცალკე სადგომი აუშენა.

*ნაუკა ი ჟიზნ*

# ჰატრიოტი ქურდი

თელ-ავიველი ცნობილი ქურდი და ნარკომანი მოტი აშკენაზი ტურისტების რისხვა იყო. როცა ის პლაჟს უახლოვდებოდა, პოლიცია დამსვენებლებს მაშინვე აფრთხილებდა — „მოტი მოდისო“. ეს კი ნიშნავდა, რომ დამსვენებლები ჩანთებს და ნივთებს უნდა გაფრთხილებოდნენ.

მოტი მოუხელთებელი იყო და იღბლიან ქურდად მიიჩნეოდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ მოიპარა ვიღაცის მიერ მიტოვებული მოზრდილი ჩანთა, რომელშიც საათის მექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა იდო.

მიუხედავად სამართალდამცავებთან დაძაბული ურთიერთობისა, ქურდმა მაშინვე პოლიცია გამოიძახა, ბომბთან ერთად ჩაბარდა და ამით საშიში ტერორისტული აქტი ჩაშალა. ჩანთაში 10 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოჩნდა.

საზოგადოებისთვის საშიში მტერი ელვის უსწრაფესად გმირად გადაიქცა. მოტის იწვევდნენ ტელევიზიაში, მასზე გაზეთებში წერდნენ, სხვადასხვა ღონისძიების სასურველი სტუმარი გახლდათ და მის შესახებ ფილმიც კი გადაიღეს.

არც პოლიცია დარჩენილა ვალში: მან სასწრაფოდ დახურა მოტიზე წარმოებული სისხლის სამართლის ყველა საქმე. აშკენაზიმ იმკურნალა, ცოლიც შეირთო, შვილები შეეძინა და თავს ბედნიერად გრძნობდა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ფინანსურმა გაჭირვებამ ის კვლავ ძველი ხელობისკენ მიაბრუნა.

ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გადა-



წყვიტა, გმირს დახმარებოდა და მას შესთავაზეს... პლაჟების ინსტრუქტორის თანამდებობა საკმაოდ დიდი ხელფასით.

ყოფილი ქურდი მოტი აშკენაზი დამსვენებლების ქონებას ქურდებისგან დაიცავს. „მე დიდი გამოცდილება მაქვს, — ამბობს ახალგამომცხვარი ინსპექტორი, — კარგად ვიცი ყველა ქურდული ილეთი და ტრიუკი“.

*ინტერპოლ-ექსპრესი №29*

# „ფეხმძიმე ბიჭუნა“ იცოცხლებს

თურქეთში დაიბადა უნიკალური, დიდმუცლიანი ბიჭუნა. ექიმებმა ბიჭუნას მუცელში მისი ორი ძმა აღმოაჩინეს, რომლებიც განვითარების მეხუთე თვეში იყვნენ. ბიჭუნას მაშინვე გაუკეთეს ურთულესი ოპერაცია, თუმცა მისი გადარჩენის იმედი ქირურგებს არც ჰქონდათ. მაგრამ მოხდა საოცრება — ბიჭუნა გადარჩა, მის ძმებს კი არ გაუმართლათ — ისინი მკვდრები იყვნენ...

*ვერსია №30*

# ხელები შორს ღამურისაგან!



— ყოველ შემთხვევაში, ზაფხულის მიწურულამდე მაინც, — ასე განუცხადეს ამერიკელ გრანტ გრიფინს და საკუთარი ბინიდან გამოაბრძანეს. ყველაფერი კი იმ ღამურების ბრალი ყოფილა, რომლებიც მასპინძლის დაუკითხავად დაბინავდნენ მის საცხოვრებელში. ყველგან — ფარდებზე, პირსაბანში, საწოლზე თურმე ღამურა კიდია და თვლემს.

დაშინებულმა გრიფინმა სანეპიდსადგურის თანამშრომლები იხმო. ღამურების დანახვაზე ყველამ ერთხმად განუცხადა ბინის პატრონს — ღამურების გასანადგურებლად საგანგებო ნებართვა გვჭირდება, რადგან მათი დახოცვა ან ზიანის მიყენება მკაცრად აკრძალულიაო. გამონაკლისი მხოლოდ ცოფიან ღამურებზე ვრცელდება, საბრალო გრიფინის ყველა ღამურა კი, თითქოს ჯიბრზე, უწყინარი და მშვიდია. მაშინ სახლის პატრონმა ჰუმანურ ხერხს მიმართა ბინის გასაწმენდად — ყველა ნახვრეტი თუ ღიობი ამოავსო, მაგრამ ამაოდ — ესეც აუკრძალეს. მოტივი — ღამურებს სამთვიანი საქორწინო პერიოდი აქვთ და ეს-ესაა, შთამომავლობაც გაიჩინესო.

როგორც გრიფინი გარემოს დამცველებმა გააფრთხილეს, ღამურებს შვილებთან მიფრენა და გამოკვება არ უნდა აუკრძალოს, თორემ დაიღუპებიან და ეს მკვლელობის ტოლფასი იქნება.

ასე რომ, სახლის ნახვრეტებს თუ ღიობებს გრიფინი მხოლოდ სექტემბერში თუ ამოქოლავს, მანამდე კი მეგობრებს უნდა შეაფაროს თავი.

*დეილი მეილი*

# მაძებარი ბებიები



რიო-დე-ჟანეიროში დღითი დღე მატულობს ბინის გაქურდვის შემთხვევები მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში. სამუშაო საათებში, როცა ბინის პატრონები სამსახურში არიან, ქურდები დაუბრკოლებლად „ასუფთავებენ“ მთელ სადარბაზოებს. გაიზარდა ავტოპატრულთა რაოდენობა, მაგრამ ქურდებს არაფერი ეშველათ. მაშინ, ექსპერიმენტის სახით, პოლიციამ ქურდებთან საბრძოლველად პენსიონერი ბებიების გამოყენება გადაწყვიტა. ცნობილია, რომ მათ უყვართ ფანჯრებთან ჯდომა და ყველაფერს აფიქსირებენ, რაც მათ ეზოში ხდება. ქალაქის ერთ-ერთ რაიონში, პოლიციამ ორმოცამდე პენსიონერს ჭოგრიტები დაურიგა. მათ ევალებოდათ ეზოს თვალთვალი და თუკი საეჭვო უცხო პირს შეამჩნევდნენ, სასწრაფოდ პოლიციაში უნდა დაერეკათ.

შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: პირველივე კვირის განმავლობაში, ბებიების წყალობით, პოლიციამ დააპატიმრა სამი ქურდი, რომლებიც ბინებში შეღწევას ცდილობდნენ და შვიდი ძებნილი დამნაშავე.

*კრიმინალნაია ხრონიკა №29*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში **ფრენსის ბეკონის** სიტყვებს ამოიკითხავთ.




**კ.** ქალაქი ლიტვაში; **ვ.** თენგიზ აბულაძის ერთ-ერთი ფილმი; **ი.** მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; **რ.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **ი.** სოფელი კასპის რაიონში, რომლის გავლისასაც მანქანის მძღოლები ტრასაზე ხურდა ფულს ყრიან; **ს.** ნაცარქექიას „ცივი იარაღი“; **პ.** ფრთოსანი ცხენი ბერძნულ მითოლოგიაში; **ა.** ტროპიკული ხილი; **ლ.** შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი ბორჯომის მახლობლად; **ი.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ტ.** ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, ურანოსისა და გეას ასული ტიტანიდა; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ა.** ინგლისის უძველესი სახელწოდება; **პ.** სიმდიდრის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **რ.** რისამე გრაგნილი; **ე.** ოთარ მეღვინეთუხუცესის პერსონაჟის სახელი მხატვრულ ფილმში „ნატვრის ხე“; **ს.** სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **ი.** იმამის ხელისუფლება; **ს.** ღონე, ილაჯი, არაქათი; **ლ.** კინემატოგრაფიის ფუძემდებელი ძმების გვარი; **ი.** იაპონური მხატვრობა — ტოტებით, ფოთლებითა და ყვავილებით გამოსახულების შექმნა; **დ.** მცენარე, რომლისგან დაწნული გვირგვინითაც ძველ რომსა და საბერძნეთში გამარჯვებულს უმკობდნენ თავს; **ე.** განსწავლული ადამიანი; **რ.** მურმან ლებანიძის მშობლიური კუთხე; **ი.** ჰომეროსის ნაწარმოები; **ა.** მტაცებელი ფრინველი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დამასკო; **ა.** ალარიხი; **ი.** იაშინი; **ს.** სიფაჰი; **ვ.** ვიოლინო; **ე.** ერთაოზი; **ნ.** ნოე; **ე.** ელბა; **თ.** თასმა; **ჩ.** ჩეჩნეთი; **ვ.** ვიერი; **ე.** ერმაკი; **ნ.** ნოინი; **თ.** თორა; **ა.** ავესტა; **ნ.** ნოკაუტი; **ე.** ელვა; **რ.** რეიგანი; **თ.** თხემი; **ა.** არმანდო; **დ.** დოინჯი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მაშფოთებს ჩემი რეკვიემი.**

# ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ * ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ * ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

**ᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲐ** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №32 (306) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ჩვენს პოლიტიზებულ ქვეყანაში პოლიტიკური ფიგურებისადმი ინტერესი არასოდეს ცხრება. სწორედ ამის დასტურია დღევანდელ რეიტინგში რესპონდენტთა ძველებური აქტივობა.

კითხვას: **„ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲘᲧᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ“**, — 516-მა რესპონდენტმა უპასუხა. აქედან 173 ქალია, 338 მამაკაცი; 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული.

რეიტინგში მონაწილეთა უმეტესობა თვლის, რომ სწორედ **ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲐ** ის ადამიანი, ვისაც ხელისუფლება ყველაზე უსამართლოდ მოექცა. შესაბამისად, სწორედ მისი გვარია რეიტინგში პირველ ადგილზე, საერთო ქულით — **7,37**. რესპონდენტთა 78%-მა იგი მაქსიმალური 8 ქულით შეაფასა, მინიმალური ქულა კი მხოლოდ 1%%-მა დაუწერა.

მომდევნო, მე-2 ადგილზე გია ჭანტურია გახლავთ, საშუალო ქულით 6,33. მაქსიმალური ქულით იგი 13%%-მა შეაფასა, მინიმალურით კი მხოლოდ 3%%-მა. როგორც ჩანს, ინტერესი გურამ აბსანძის მიმართ ჯერაც არ ცხრება და ალბათ ამიტომაცაა იგი მე-3 ადგილზე.

რეიტინგში მამაკაცების და ქალბატონების შეხედულებანი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვევა, თუმცა, არც ძალიან მკვეთრად განსხვავებულია. ამჯერადაც, მამაკაცებს შორის გურამ აბსანძე IV ადგილზე, ხოლო გუჯარ ყურაშვილი III ადგილზე დასახელდა (რესპონდენტ ქალთა შეფასება კი ზუსტად ემთხვევა რეიტინგის საერთო მონაცემებს).

პირველ სამ ადგილზე გასულ პერსონებს არცთუ დიდი სხვაობით ჩამორჩებიან დანარჩენები, თუ არ ჩავთვლით თენგიზ კიტოვანს, რომელსაც მხოლოდ 1%%-მა დაუწერა მაღალი შეფასება. უმეტესობა კი თვლის, რომ მას ხელისუფლება საკმაოდ სამართლიანად მოექცა.




საპრიზოს ზუსტად დაემთხვა 13 ბარათი-რეიტინგი. მათი ავტორები არიან, თბილისიდან: 54 წლის **ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, 45 წლის **ᲔᲚᲔᲜᲔ ᲑᲐᲨᲔᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, 65 წლის **ᲠᲔᲖᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ**, 46 წლის **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲩᲐᲚᲐᲣᲠᲘ**, 64 წლის **ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲒᲝᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, 44 წლის **ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲭᲘᲝᲙᲐᲫᲔ**, 32 წლის **Ა. ᲛᲐᲡᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, 40 წლის **ᲒᲝᲩᲐ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ**, 58 წლის **ᲗᲐᲗᲣᲨᲘ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ**, 40 წლის **ᲒᲘᲐ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ**, 66 წლის **ᲕᲐᲟᲐ ᲥᲘᲛᲔᲠᲘᲫᲔ**; ასევე 60 წლის **ᲨᲝᲗᲐ ᲟᲐᲛᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (ხონი) და 20 წლის **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲤᲐᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (დაბა სურამი). საპრიზო თანხა 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 21 აგვისტოს, 17 საათზე.

## №33 (307) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ᲚᲐᲠᲘ

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲚᲝᲗ *მკითხველის ლიცინეში*

**№33 (307) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 21 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 22 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №33 (307) — ფასეულობა

**ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№33(307) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| N | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | რელიგია | |
| 2 | ეროვნება | |
| 3 | პიროვნული თავისუფლება | |
| 4 | კომფორტული ცხოვრება | |
| 5 | მშვიდობა | |
| 6 | ოჯახური ბედნიერება | |
| 7 | განათლება | |
| 8 | დემოკრატიული ფასეულობები | |

*მკითხველის ლიცინეი*

**დაასახელეთ, რომელ ქართულ რადიოს უსმენთ ყველაზე ხშირად?**

✓ ______________________

**ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური**

✓ ______________________

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)

ᲐᲡᲐᲙᲘ — ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

*მკითხველის ლიცინეის შედეგები*

*ყველაზე ეთიკური პოლიტიკოსი*

| | | |
|---|---|---|
| 1. | ნინო ბურჯანაძე | 18% |
| 2 | ვახტანგ ბოჭორიშვილი | 17% |
| 3. | გურამ შარაძე | 11% |
| 4. | ზურაბ ჟვანია | 8% |
| 5. | გიორგი თარგამაძე | 7,5% |
| 6. | შალვა ნათელაშვილი | 7% |
| 7. | ედუარდ შევარდნაძე | 5% |
| 8.-9. | აკაკი ასათიანი | 4% |
| 8.-9. | ირაკლი ბათიაშვილი | 4% |
| 10. | მიხეილ სააკაშვილი | 3% |

მკითხველთა 1 ეთიკურად არც ერთ ქართველ პოლიტიკოსს არ მიიჩნევს.

მკითხველის რეიტინგში 404 რესპონდენტი მონაწილეობდა.

## ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ:

**1. ლელა ჯიყაშვილი — „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას...“ — 110 ხმა**

**2. ნოდარ შოშიტაშვილი — „საიდან იწყება საქართველო...“ — 56**

**3. ზურაბ მჭედლიშვილი — „შევარდნაძე მუდმივად „უჩხიკინებს“ რუსეთს... მან ეს კარტი ზედმეტად გაითამაშა“ — 44**

**4. ვაჟა გავაშელი — „შეკვეთილია, უნდა მოკვდეს!“ — 42**

**5. ზვიად ჩაკვეტაძე — „როგორ აპარტახებენ საქართველოს შიგა წყლების ფაუნას...“ — 33**



თქვენი პრემიის — 50 ლარის მფლობელია ჟურნალისტი **ᲚᲔᲚᲐ ᲯᲘᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

*მკითხველის პრემიის ლაურეატის გამოვლენაში 404 მკითხველი მონაწილეობდა.*

# ᲤᲝᲢᲝᲐᲜᲢᲘᲙᲕᲐᲠᲘ © ᲤᲝᲢᲝᲐᲜᲢᲘᲙᲕᲐᲠᲘ ©

**პოპულარული ადამიანების ბავშვობის ფოტოებით უნდა ამოიცნოთ ისინი და უპასუხოთ კითხვას — „აბა, ვინ ვარ ახლა მე?“ თუ ძველ ალბომებში თქვენც მოგეპოვებათ ცნობილი პიროვნებების ბავშვობის დროინდელი „ფოტოანტიკვარები“, გამოუგზავნეთ თქვენი საყვარელი გაზეთის რედაქციას.**



2 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲠ — ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲘᲐ

მკითხველთა უმეტესობამ შემოთავაზებულ „ფოტოანტიკვარში“ სწორად ამოიცნო „ადრესატი“ — მომღერალი **ᲛᲐᲘᲐ ᲯᲐᲑᲣᲐ**. ერთმა ნაწილმა მსახიობი ნანული სარაჯიშვილი „ამოიცნო“ (ზოგმა ასეც მიგვანიშნა — „მანანას“ როლის შემსრულებელიო). რამდენიმემ თამრიკო ჭოხონელიძე დაასახელა. ერთმა მკითხველმა მომავალი მომღერლის ფოტო მომავალი პოლიტიკოსის ფოტოდ მიიჩნია და ნინო ბურჯანაძის „კანდიდატურა“ შემოგვთავაზა...



**„ფოტოანტიკვარი“ ახალ სახეს გთავაზობთ.**



*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



— აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ... ᲕᲐᲠ

C

## ფოტო განწყობისთვის



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები



23/VIII სავსე მთვარე

მაგნიტური დღეები:

26/VII — 21-დან 23 სთ-მდე

29/VII — 20-დან 22 სთ-მდე

## რისი ეშინიათ ჰოლივუდის ვარსკვლავებს?

ელიტურ პლაჟებზე ვერავინ მოჰკრა თვალი ქალების რისხვას ბრედ პიტს, ვერც მოჰკრავენ... თურმე, ბრედს სელაჩოფობია ტანჯავს. ეს ზვიგენის შიშია და ვარსკვლავისთვის მნიშვნელობა არა აქვს, არიან თუ არა სანაპიროსთან ზღვის მკვლელები. იგი უბრალოდ, ტალღების შორიდან ცქერით ტკბება.

არც ვაინონა რაიდერი ეკარება წყალს, მაგრამ მისი შიში განსხვავებულია, მიზეზიც გააჩნია საამისოდ — თორმეტი წლისა კინაღამ დაიხრჩვალა ზღვაში...

მშვენიერ კეტრინ ზეტა ჯონსს ვირთხების შიშით სისხლი ეყინება. ვუდი ალენსაც ჰყავს თავისი ოფოფები — იგი ეშინია ტემპერატურის მომატების, რომ ყოველ ორ საათში იზომავს სიცხეს. ავიაფობია, ანუ თვითმფრინავის შიში აქვთ შერის, ვუპი გოლდბერგს, მაიკლ ჯექსონს...

კიმ ბეისინჯერს აგორაფობია ტანჯავს — ეს ღია სივრცის შიშია. ერთხელ, ამ აეადმყოფობის გამწვავებისას, მას მთელი ექვსი თვე გარეთ არ გამოუხედავს. მისგან განსხვავებით, მიშელ პფაიფერს, კლაუსტროფობია (დახურული სივრცის შიში) აწუხებს და ბუნებაში ყოფნას არაფერი უჯობს.

რობერტ დე ნიროს დანტოფობია „შეჩვევია" და სტომატოლოგებს გაურბის.

ძალზედ უცნაურია ბილი ბობ ტორნტონის „ახირება" — იგი ანტიკვარიატს ვერ იტანს. „ჩემი მეგობრები ფიქრობენ, — ამბობს ბილი, — რომ წარსულ ცხოვრებაში ვიღაცამ ძველებური სკამი ჩამცხო თავში". ფაქტია, რომ „მონსტრების მეჯლისის" გმირი ანტიკვარული ავეჯის გარემოცვაში დროს გატარებას კი არა, სუნთქვასაც ვერ ახერხებს.

რას იზამ, არც ვარსკვლავებს ჰქონიათ დალხენილი ცხოვრება...

ტვ პარკი



„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; სადგურთაღის ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - ვორვასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მისკოვის გამზირის ბოლოში; ხილიყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღმის ავტოსადგურთან; ვაკე დიდომწიშვილის პეტრიაწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი. მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. ქუჩკოძედის წინ, გაჩერებასთან; ჩოჯოძიკის (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კი „საქართველოსთან"; წერეთლის გამზ. ვაგზლების წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიღუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსიტეტის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - ჭავჭავაძის ქუჩაზე ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ყაზბეგელის დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

„კვირის პალიტრის" **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე"** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში"** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

## (33) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№33 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 22 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.



ფირმა „ბერმუხა"



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

* * *



— გამოგადგა ფუტკრები?

— ძაან.. თაფლი ჯერ არ ამიღია, მაგრამ მეზობლები მაგრად დაასივეს...

მთავარი რედაქტორი ლალი ბენთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-64

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა"©

გამოდის ორშაბათობით